ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდის ოთხშაბათობით

ფასი: 1 ლარი

16-22.X 2013

№42

გვ.8

ნინო სურგულაძე: „ყველაზე ბედნიერი მაშინ ვიქნები, თუ ქართულ ოჯახს შევქმნი“

„ბევრი აკრძალვა მაქვს, მაგრამ სწორედ ეს მიზიდავს“

„ლა სკალაში პირველად 22 წლისამ ვიმღერე, 23 წლისას კი ვერდის ოპერაში მთავარი პარტია მომცეს“

გვ.23

„მეგონა, მეორე შვილი შეცვლიდა ჩვენს ურთიერთობას, მაგრამ მუცელი მომეშალა“

სოფო ბედია ქმართან გაყრის მიზეზებზე საუბრობს

გვ.37

დიმა ტატიშვილი ანნა იმედაშვილის გამო ულვაშების გაპარსვას აპირებს

გვ.22

ირაკლი ჩოლოყაშვილი მეორედ დაქორწინდა

გვ.35

რასთან შეგუება უწევს ვანიკო თარხნიშვილის ცოლს

გვ.30

გიგი გაჩეჩილაძეს სალომე ჭაჭუას დავიწყებაში ძმა დაეხმარა

გვ.11

კოკო როინიშვილს და ანი იმნაძეს გოგონა გაუჩნდათ

„პატარა მარიამ როინიშვილი დაიბადა“

ISSN 1987-9369

9 771987 936002

„იმის გამო, რომ შვილს მამამთილის სახელი არ დავარქვი, ქმარმა სამშობიაროში მიმატოვა“

გვ.13

myaccount.silknet.com

მართეთ თქვენი ანგარიში ონლაინ

გაიარეთ რეგისტრაცია მისამართზე* www.myaccount.silknet.com

- მართეთ პირადი ანგარიში
- შეამოწმეთ ბალანსი
- ნახეთ ანგარიშის კოდური სიტყვა, სილქტივის ვიდეოთეკის პინ კოდები
- ისარგებლეთ ანტივირუსით
- გაიაქტიურეთ ტურბო ღილაკი, რომელიც საშუალებას მოგცემთ ოპტიკური ქსელის მომხმარებლებს გააქტიურებიდან 2 საათის განმავლობაში ისარგებლოთ 100 მბ/წმ სიჩქარი ინტერნეტით სულ რაღაც 1,50 ლარად

*ამ ეტაპზე რეგისტრაციის გავლა მხოლოდ ინტერნეტის აბონენტებს შეუძლიათ.

2 100 100
www.silknet.com

სილქნეტი
SILKNET

ნომერში

ნარმატების ფორმულა

ნინო სურგულაძე: „ყველაზე ბედნიერი მაშინ ვიქნები, თუ ქართულ ოჯახს შევქმნი“ 8

მწვავე თემა

ოლიმპიური დილემა — ეროვნული საამაყოს დემონსტრირება თუ პრაგმატიზმი? 10

ახალგაზდა მშობლები

კოკო როინიშვილს და ანი იმნაძეს გოგონა გაუჩნდათ 11

გულახდილი საუბრები 12

პოლიტიკა

- დავით ბერძენიშვილი: „პოლიტიკიდან ივანიშვილის წასვლის შემდეგ კოალიცია კი არ დაიშლება, შედუღაბდება“ 16
- ზურაბ ბიგვავა: „ხმის მიცემის ფასი გაიზარდა, ხმებს ბენზინსა და ფქვილზე ადარ ცვლიან“ 18
- ეკა ბესელია: „არ მაქვს საფუძველი, ვიფიქრო, რომ გოგი ძველაია ცხინვალში მოკლეს“ 20

პირადი ცხოვრება

- ირაკლი ჩოლოყაშვილის მეორე ცოლი მეკიოლინე სალომე ბუკიაა 22
- სოფო ბედია: „მეგონა, მეორე შვილი შეცვლიდა ჩვენს ურთიერთობას, მაგრამ მუცელი მომეშალა“ 23

სამზარეულო

დალი ჩიტალაძე საფირმო „ჰეროგის“ საიდუმლო რეცეპტს ამხელს 24

სარკის წინ

თამუნა კვარაცხელია: „სიტყვები — „რა კარგად გამოიყურები“ — ჩემთვის კომპლიმენტი ადარ არის“ 26

ჭორ-მართალი

გურამ ლომაძე: „ივანა მელაისთან თავს ძალიან კარგად ვგრძნობ“ 27

მოზარდები 28

დედამამიშვილები

გიგი გაჩეჩილაძეს სალომე ჭაჭუას დავიწყებაში ძმა დაეხმარა 30

საკონკურსო ვნებები

შოთა ადამაშვილი: „შესაძლოა მაია დარსმელიძესთან ურთიერთობაც გამოფუჭდეს, მაგრამ გარკვეულ ღირებულებებს ვერ გადავაბიჯებ“ 33

ცოლ-ქმრის კლუბი

ალეკო ელისაშვილი ცოლს მესამე შვილის გაჩენას ეხვეწება 34

მეორე ნახევარი

რასთან შეგუება უწყვს ვანიკო თარხნიშვილის ცოლს 35

ტანდემი

დიმა ტატიშვილი ანნა იმედაშვილის გამო ულვაშების გაპარსვას აპირებს 37

ცხოვრება ჩემოდნებზე

ნინო თარხან-მოურავი: „ძალიან მინდა, მონაკოში დავბრუნდე“ 45

მეგზური

ასტანა — 21-ე საუკუნეში აშენებული ერთადერთი დედაქალაქი 47

ქალის ტვირთი

ვინ რჩება მოგებული — მეამბოხე თუ მორჩილი ცოლები? 48

ჭრელაჭრელა 49

მხოლოდ ქალებისთვის 50

დედიკოების სკოლა 51

ექიმები ხუმრობენ

პაციენტის ნაკბენი, სექსოპათოლოგისგან გაბედნიერებული ქალი და პროფესიული ანეკდოტები ექიმ ენდოკრინოლოგისგან 52

სპორტის მინდა 53

შეშლილი. შეშლილი. შეშლილი მსოფლიო 54

სახალისო 56

„ლუბა ელიაშვილს, ეკა კვესიტაძეს და დათო პაიჭაძეს ჩემს კოლეგებად და ჟურნალისტებად არ მივიჩნევ!“

ტელეჟურნალისტი ეკა ბერიძე ეკრანზე, როგორც წამყვანი, ჯერჯერობით აღარ გამოჩნდება. „მეცხრე არხის“ დახურვის შემდეგ „პირველ არხთან“ აწარმოებდა მოლაპარაკებებს, მაგრამ კონტრაქტი არ შედგა.

ამჟამად კერძო კომპანიის, „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერის“ დირექტორის მრჩეველია პიარისა და მარკეტინგის საკითხებში. საზოგადოებრივ მაუწყებელზე კი ამბობს, რომ იქ ყველაფერი ისევ ისეა, როგორც გასულ საუკუნეში იყო.

ქართულ მასმედიაში დღეს არსებულ მდგომარეობაზე ეკა ბერიძე „სარკესთან“ საუბრობს.

გვ.14

იყავით ჯანმრთელი 58

კროსვორდები 60

ადამიანის ინსტიტუტი 62

სიცილის გვერდი 63

უცხოური დეტექტივი

წითელი სახლის საიდუმლოება (გაგრძელება) 64

ქალური მოთხრობები

თინათინ ბონი. ოცნების ძიებაში (გაგრძელება) 66

აბდაუბდა 69

წმინდანები

ღმერთი მაშინაც ჩვენთან არის, როცა ადარაფის ადარ აქვს ჩვენი იმედი — ხსენება ღირსისა მამის ჩვენისა სამსონ უცხოთშემწყნარებელისა 72

კითხვები მოძღვარს

„იმიტომ ვეზიარებით იესო ქრისტეს, რომ ადარასოდეს დავშორდეთ მას, სულ მუდამ ვიცხოვროთ მასთან ერთად“ 73

გზა ტაძრისაკენ

მოძღვარი, რომელიც ეკლესიაში პასუხგაუცემელმა კითხვებმა მიიყვანა 75

საბავშვო გვერდი 76

ხელსაქმე 78

№42(807) 16 — 22 ოქტომბერი, 2013

ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 14.10.2013, 21.00 სთ-ზე.

ილია II: „თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ ჩვენს ფასეულობებს — ეროვნებას, ენას, მართლმადიდებლურ სარწმუნოებას!"

14 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ და ქართველმა ხალხმა, ტრადიციულად, სვეტიცხოვლობის დღესასწაული აღნიშნა. ამ დღესთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში, სადღესასწაულო ლიტურგია აღავლინა, რომლის დასრულების შემდეგ ტაძარში შეკრებილ ხალხს უქადაგა.

— ჩვენ ვდგავართ იმ წმინდა ადგილზე, სადაც დაფლულია უფლის კვართი და წმინდა ილია თეზბიტელის ხალენი; ჩვენ ვდგავართ ისეთ ადგილზე, სადაც მრავალი ქართველის სისხლი დაღვრილა და სადაც მრავალი მეფე და პატრიარქი განისვენებს. დღეს ცა და დედამინა ზეიმობს. რა უნდა ვთხოვოთ უფალს? მადლი, რომელიც არის უძლურთა მკურნალი და ნაკლულოვანთა აღმავსებელი.

ღმერთი ადამიანის გულს ხედავს, ჩვენ არ უნდა დავკარგოთ უფლისგან მონიჭებული და თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ ჩვენს ფასეულობებს — ეროვნებას, ენას, მართლმადიდებლურ სარწმუნოებას იმ დროს, როდესაც დედამიწაზე ასეთი ცვლილებები ხდება. ძველი რომაელები ამბობდნენ, დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებითო. ჩვენ უნდა წავიდეთ სრულყოფისაკენ. მაცხოვარი ამბობს, იყავით სრულყოფილი, ვითარცა მადლი ჩვენი სრულყოფილ არს. მამაზეციერის მსგავსად სრულყოფას ადამიანი ვერ მიაღწევს, მაგრამ ეს სიტყვები მეტყველებს, რომ ადამიანის სრულყოფა დაუსრულებელია. ისეთი საქმეები უნდა გავაკეთოთ, რომ სრულყოფა გაგრძელდეს ზეციურ ქვეყანაში, — დამოძღვრა უწმინდესმა მრევლი.

პატრიარქმა დღესასწაულთან დაკავშირებით ხუთი გამოჩენილი ქართველი მოღვაწე დააჯილდოვა წმინდა გიორგის ოქროს ორდენით: ქართული მწერლობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის გურამ დოჩანაშვილი, ქართულ კინემატოგრაფიაში გაწეული წვლილისთვის ელდარ შენგელაია და რევაზ ჩხეიძე, ქართულ სახვით ხელოვნებაში გაწეული წვლილისთვის მერაბ ბერძენიშვილი, საგუნდო მუსიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის შალვა მოსიძე.

პატრიარქმა ამბიონზე მიიწვია პრემიერმინისტრი ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც სვეტიცხოვლობის დღესასწაული იქიდან მიულოცა ხალხს.

— გილოცავთ სვეტიცხოვლობას! გილოცავთ მცხეთობას! გილოცავთ ამ დიდ დღესასწაულს! სვეტიცხოველი ჩვენი სარწმუნოების სიმბოლოა, სვეტიცხოველი ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კულტურის უწყვეტობისა და რწმენის სიძლიერის სიმბოლოა! ჩვენმა ეკლესიამ სვეტიცხოვლის კათედრალური ტაძრისა და უძველესი სატახტო ქალაქის, მცხეთის უდიდესი მნიშვნელობის გამო დღესასწაულიც კი შემოიღო და ამით მიაგო პატივი ქართული სულიერების, ჩვენი ისტორიის ამ უნიკალურ ძეგლებს. მე ბედნიერი ვარ იმით, რომ ამ უძველესი ისტორიისა და სრულიად უნიკალური კულტურის მქონე ერის შვილი ვარ. მინდა, მჯეროდეს, ჩვენ ისე ვიცხოვრებთ, რომ ეს ტაძარი მხოლოდ ისტორიის ნაწილი კი არ იქნება ჩვენთვის, არამედ იქნება ჩვენი თანამედროვეც. კიდევ ერთხელ გილოცავთ სვეტიცხოვლობას! გისურვებთ სიმშვიდეს, ბედნიერებას, ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობას! — განაცხადა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა.

სვეტიცხოვლის ტაძარში ჩატარებულ ლიტურგიას აგრეთვე ესწრებოდა აშშ-ის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში — რიჩარდ ნორლანდი, რომელიც თარჯიმნის დახმარებით დიდი გულისყურით ისმენდა პატრიარქის ქადაგებას.

ჰამეხბეჩგს ქათული ტხადიცეების პატივისცემისკენ მოუწოდებენ

საზოგადოების წარმომადგენლებმა სამართლებრივ საკითხებში საქართველოს მთავრობის მრჩეველს, თომას ჰამერბერგს ღია წერილი გაუგზავნეს, რომელსაც ხელს აწერენ პოეტი რეზო ამაშუკელი, მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი, ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, ბიზნესმენი ლევან ვასაძე, ქორეოგრაფი ფრიდონ სულაბერიძე, რეჟისორი გოგა ხაინდრავა და სხვა პირები.

წერილი ეხება საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ ჰამერბერგის დასკვნის იმ ნაწილს, სადაც უფლებადამცველი სექსუალური გარყვნილების პროპაგანდის უფლებაზე საუბრობს. წერილის ხელმომწერების თქმით, დასკვნის ამ ნაწილში ჰამერბერგი რატომღაც ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებზე ამახვილებს ყურადღებას, რაც იდეოლოგიური ფანდია.

„ჩვენი საზოგადოება საუკუნეების მანძილზე ისეთი პატივისცემითა და ტოლერანტობით ეპყრობა თავისი რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, იმდენად თავის სწორად მიიჩნევს მათ, რომ არასოდეს მოსვლია აზრად მათი მამათმავლობისა და სხვა სქესობრივი გარყვნილების მქადაგებელ ადამიანებთან გატოლება. ეს უახლესი იდეოლოგიური ფანდი ჩვენთვის სრულიად მიუღებელი გახლავთ, რამდენადაც უნდა ეცადონ მის დამკვიდრებას დასავლეთში. დარწმუნებულნი ვართ, რომ სექსუალური პერვერსიის მატარებელი ადამიანების გაიგივება ნებისმიერი ქვეყნის რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებთან, რაც მიზანმიმართულად მოხდა შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში ამ ბოლო წლებში, ხელოვნური, განზრახ თავს მოხვეული იდეოლოგიაა, რომელსაც საერთო არაფერი აქვს ადამიანური საზოგადოების ცხოვრების საუკუნოვან წესთან", — ნათქვამია წერილში.

წერილის ავტორები ჰამერბერგს არ ეთანხმებიან, რომ „ჰომოფობიის საწინააღმდეგო საერთაშორისო დღის აღნიშვნა უფლებების რეალიზებაა და არა ე.წ. პროპაგანდა".

„ყველანაირი საჯარო ღონისძიება იმის პროპაგანდაა, რასაც იგი ქადაგებს და ამის უარყოფა ალოგიკურია. გვინდა, შეგახსენოთ, რომ 2012 წლის 17 მაისს ანალოგიური აქცია თბილისის 51-ე საჯარო სკოლის წინ გაიმართა, სადაც ვითომ უწყინარი უფლებების რეალიზება ბავშვების თვალწინ გარყვნილების პროპაგანდად გადაიქცა. თქვენ უფლებებს იცავთ და სწორედ ეს არის იმ მშობლებისა და ბავშვების უფლებების შელახვა, რომელთათვისაც მიუღებელია უზნეობის უსირცხვილო ექსჰიბიციონიზმი. საქართველოში გარყვნილების მიმდევრებს, რომელთაც იციან, რომ ცოდვას სჩადიან, არავინ ერჩის, რადგან ჩვენი ტრადიციისამებრ, ყველა ადამიანმა საკუთარ სინდისსა და წესიერებაზე უნდა იზრუნოს. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ჩვენი საზოგადოების საუკუნოვანი წესები გარყვნილებისა და უნესობის საჯაროდ პროპაგანდისა და ზეიმის უფლებას იძლევა", — ნათქვამია წერილში.

წერილის ავტორები ჰამერბერგს ქართული ტრადიციების პატივისცემისკენ მოუწოდებენ: „დიპლომატიის ნორმები თქვენგან მოითხოვს პატივისცემას იმ ქვეყნის ტრადიციებისა, სადაც იმყოფებით. ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ მომენტში თბილისში ქრისტიანული ზნეობის დაცვას 100 ათასმა ადამიანმა რამდენიმე დღეში ნებაყოფლობით თავი შესწირა. თბილისელები ამ ადამიანებს წმინდანებად მიიჩნევენ. თქვენ კი გამოდიხართ და ამ ქალაქისა და ამ ქვეყნის მცხოვრებთ ჭკუას გვასწავლით, თუ რა არის წესიერება და კიდევ აბმობთ, რომ თურმე ჩვენც უფლება უნდა მოგვეცეს ჩვენი აზრის გამოხატვისას! მივაპყრობთ თქვენს ყურადღებას იმ ფაქტს, რომ თქვენ გეძლევათ ჩვენგან უფლება ჩვენს ქვეყანაში თქვენი აზრის თავისუფლად გამოხატვისა, ჩვენ კი უფლებას ვიტოვებთ, გაგცეთ პასუხი თქვენს აზრზე".

სარკე ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი
მთავარი რედაქტორი
კომერც. დირექტორი

შპს „სარკე"
მეფეა სანაია
ვაჟა შენგელია

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში" გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.

მთავარი რედაქტორის მოადგილეები — ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა — მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი — ირინე მჭედლიძე, რუსუდან ადვაძე, ლანა კიკნაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თამთა ბოჭორიძე. მედიცინა — აზა გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფოტო — ქეთი ყირიმლიშვილი. მხატვარი — ქეთი ხარატიშვილი.

კომპიუტერული მომსახურება: დაკბადონება — ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი — მარინა ჯღენტი, მია ფიფია. კორექტურა — ლანა გაბუნია, მია ფიფია. სარეკლამო სამსახური — მაჩუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru მდივანი — იზა ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE

Cyan Magenta Yellow Black

გიორგი მარგველაშვილს საკუთარი სიტყვების განმარტება მოუხდა

„ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი გუბერნატორების თემაზე გაკეთებულ თავისივე განცხადებას განმარტავს. ის პრემიერ ივანიშვილთან ერთად შეხვედრებს იმერეთში მართავდა, სადაც განაცხადა, რომ პრეზიდენტად მისი არჩევის შემთხვევაში „კრიმინალ გუბერნატორებს“ მოხსნიდა.

— გუბერნატორების თემაზე ვინც მისმენდა, ალბათ სწორად უნდა გაიგოს. მე ვთქვი, რომ კრიმინალების დანიშვნა პოლიტიკურ თანამდებობაზე არის არასწორი და ახალი ხელისუფლება ასეთ ნაბიჯს არ გადადგამს, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში.

2 დაღუპული და 4 დაჭრილი — სპეცოპერაცია ხობში

2 დაღუპული და 4 დაჭრილი, ასეთი შედეგით დასრულდა სპეცოპერაცია ხობში, რომელიც სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ჩაატარეს. 2 ავტომატითა და ხელყუმბარებით შეიარაღებულმა თეიმურაზ ოკუჯავამ წინააღმდეგობა გაუწია პოლიციის თანამშრომლებს. ორმხრივი სროლისას დაიღუპნენ ოკუჯავა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომელი დავით დემურია. ხელყუმბარის ნამსხვრევებით მსუბუქად დაიჭრა პოლიციის 4 თანამშრომელი. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ამნისტიით გათავისუფლებული თეიმურაზ ოკუჯავა 2013 წლის 3 აგვისტოდან ყაჩაღობის ბრალდებით იძებნებოდა. ის თანამზრახველებთან ერთად 1 ოქტომბერს ხობის რაიონის სოფელ თორსაში საკუთარი ნათესავების, ქარჩავების ოჯახს დაესხა თავს. მოკლეს ოჯახის უფროსი და გაიტაცეს ფული და ოქრო. დანაშაულებრივი ჯგუფის ერთი წევრი სამართალდამცველებმა რამდენიმე დღის წინ დაიკავეს, ხოლო მეორე ამჟამად აფხაზეთის ტერიტორიაზე იმყოფება.

თურქეთის 3 ათასი წარმოშობით ქართველი მოქალაქე საქართველოს მოქალაქეობას მიიღებს

საქართველოს პრეზიდენტი თურქეთში მცხოვრებ ქართველებს შეხვდა. მიხეილ სააკაშვილი ქალაქ საქარიასა და გოლჯუკის რაიონში იმყოფებოდა, სადაც რამდენიმე ათეულ ქართველს საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი მოწმობები გადასცა. გოლჯუკის რაიონში პრეზიდენტმა ადგილობრივებს სიტყვითაც მიმართა. მისი თქმით, თურქულ მხარესთან უკვე მიღწეულია შეთანხმება ადგილობრივ სკოლებში, სურვილის შემთხვევაში, ქართული ენის შესწავლის შესახებ.

მიხეილ სააკაშვილმა კავკასიის კულტურის ანსამბლს მუსიკალური ინსტრუმენტიც აჩუქა. ადგილობრივებმა კი ისტორიის წინაშე გაწეული ღვაწლისა და დამსახურებისათვის მადლობის ნიშნად პრეზიდენტსაც გადასცეს საჩუქარი. სააკაშვილი ერთ-ერთი ქართველის ოჯახშიც იმყოფებოდა. მისი ინიციატივით, 3 ათასი წარმოშობით ქართველი თურქი მიიღებს მოქალაქეობას.

მაია ფანჯიკიძე დასავლეთს აფხაზეთს: „მაღე საოკუპაციო ხაზზე ფიქსირებული საზღვარი იქნება“

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ავსტრიულ გამოცემა „შტანდარტთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ შეიძლება ძალიან მალე საოკუპაციო ხაზზე ფიქსირებული საზღვარი მივიღოთ. მისი თქმით, რუსეთის მიერ მავთულხლართების გაბმის პროცესის შესაჩერებლად, საერთაშორისო დახმარების გარდა, სხვა საშუალება არ გვაქვს.

— ჩვენ თავიდანვე განვაცხადეთ, რომ არ წამოვეგებით პროვოკაციას და არ გამოვიყენებთ ძალას არამხოლოდ იმიტომ, რომ ყველა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების გვჯერა, არამედ იმის გამოც, რომ ჩვენს მოსახლეობას ვუწევთ ანგარიშს და მათი ისედაც რთული მდგომარეობის კიდევ უფრო გართულება არ გვინდა. მაგრამ ძალიან მალე საოკუპაციო ხაზზე შეიძლება ფიქსირებული საზღვარი მივიღოთ, — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

მინისტრის თქმით, ბოლო კვირების განმავლობაში საქართველომ საკმაოდ ძლიერი მხარდაჭერა მიიღო ევროკავშირისა და ნატო-ს მხრიდან, მკაცრი განცხადებები გააკეთეს აშშ-მა და სხვა მოკავშირე ქვეყნებმა, მაგრამ ამან რეალურად ვერ აღკვეთა ეს პროცესი, რომელიც ისევ გრძელდება.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ავსტრიულ გამოცემასთან საუბრისას განაცხადა, რომ საქართველოს პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკა წინა ხელისუფლებისგან იმით განსხვავდება, რომ არ არის აგრესიული.

— მართალია, ბიძინა ივანიშვილმა ქონება რუსეთში დააგროვა, მაგრამ ეს სუფთა ხელებით შეძლო. ის უკვე ათ წელზე მეტია იქიდან წამოვიდა და აღარ ყოფილა რუსეთში, არც მის ხელისუფლებას იცნობს პირადად. ასე რომ, რუსეთთან განსაკუთრებული კონტაქტები არ აქვს. ბიძინა ივანიშვილი სხვა პოლიტიკას ატარებს და არ არის აგრესიული, როგორც ეს სააკაშვილის მმართველობისას იყო. ეს დრო მთავრდება. ვიმედოვნებ, რომ არჩევნებში ჩვენი კანდიდატი გაიმარჯვებს. ასევე ვიმედოვნებ, რომ დადებითი იმპულსები, რომელიც რუსეთთან მოლაპარაკებების სხვა ფორმატში გვაქვს, ერთ მშვენიერ დღეს პოლიტიკურში გადაიზრდება. ამ ეტაპზე ასე არ არის და რუსები საკუთარ თავს ეწინააღმდეგებიან საოკუპაციო ხაზის გამაგრებით, — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ არსებობს უამრავი შესაძლებლობა, თუ როგორ აღდგეს ნდობა საქართველოს ხელისუფლებასა და აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ მოსახლეობას შორის.

— ცხოვრების ყველა სფეროში უამრავი შესაძლებლობა არსებობს. ადამიანებს შორის კონტაქტების ასამუშავებლად აუცილებელია მათი გააქტიურება. მცირედით უნდა დავიწყოთ, რომ დიდ შედეგამდე მივიდეთ, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

ჩესეთში კავკასიელების დაჩხვევა დაიწყეს

13 ოქტომბერს მოსკოვში, ბირიულევოში, 600-მდე რუსმა ნაციონალისტმა კავკასიიდან მიგრანტთა თავშეყრის ადგილად მიჩნეული სავაჭრო ცენტრი „ბირიუზა“ დაარბიეს შეძახილებით — „რუსეთი რუსეთისთვის!“, „რუსებო, წინ!“. ომონმა მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ გადაწყვიტა ჩარევა, მაგრამ მათაც გაუსწორდნენ.

ბირიულევოში ადგილობრივებსა და კავკასიელ მიგრანტებს შორის ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც 10 ოქტომბერს ვიღაცამ მოსკოველი ეგორ შჩერბაკოვი მოკლა და მიიმალა. 12 ოქტომბერს რაიონის მცხოვრებლები ბოსტნეულის ბაზართან შეიკრიბნენ და გამოძიების დაჩქარება და დამნაშავის დასჯა მოითხოვეს. ბოლოს აქცია არეულობაში გადაიზარდა და პოლიციამ 400 ადამიანი დააკავა.

ადგილობრივი მედიის ცნობით, ეჭვმიტანილი, რომელიც უსაფრთხოების კამერამ დააფიქსირა, „არასლავური“ გარეგნობისაა და, სავარაუდოდ, ჩრდილოკავკასიელია. იმავეს ამბობს მოკლულის მეგობარი ქალიც.

არეულობას კავკასიელი მიგრანტების მასობრივი დაპატიმრება მოჰყვა. „ბიბისი“-ს ინფორმაციით, 1200 მიგრანტია დაკავებული. მილიციის განცხადებით, რეიდის შედეგად აღმოჩენილია ავტომობილი, რომელშიც დიდძალი ფული და იარაღი ინახებოდა.

Cyan Magenta Yellow Black

ბალზამი პრომიოდი

100% ნატურალური პროდუქტი!

როცა თვით ბუნება კურნავს...

ბალზამი „პრომიოდი“ – ბუნების მიერ ნაჩუქარი ჯანმრთელობა!

ლეგენდებით განთქმული ურალის მთები, რომელიც მრავალ ხალხურ გადმოცემაში უმღერიან, ცნობილია მიწისქვეშა განძეულით. ჩვენთვის ძნელად წარმოსადგენია ის საოცრებები, რომლებიც იბადება მთის უმდიდრეს ფლორასა და ფაუნაში. ურალის მთების დიდებული ბუნება წყაროა ამოუწურავი სასიცოცხლო ენერგიისა და ნამდვილი ჯანმრთელობისა.

იმისთვის, რომ გავიზიაროთ ეს სასიცოცხლო ენერგია, სრულიადაც არ არის საჭირო გავემგზავროთ ურალში, რადგან ამ მთების სამკურნალო ძალა იმალება ჯადოსნურ ბალზამ - „პრომიოდში“. ამ ბალზამის უნიკალურობა არის ის, რომ 100%-იანი ბუნებრივი პროდუქტია და თითოეული შემადგენელი კომპონენტი მრავალფუნქციურია.

მის შემადგენლობაში შედის:

თაფლი, დინდგელი, კედარის ზეთი, გოგრის თესლის ზეთი, ქაცვის ზეთი, ფუტკრის ცვილი.

თაფლი-პროდუქტი, რომელიც შეიცავს 70 სხვადასხვა ნივთიერებას, ძირითადად გლუკოზას, ფრუქტოზასა და ვიტამინებს: B1, B2, B3, B, B6, H, K, C, E, A და სხვა. თაფლი ასევე შედგება მთელი რიგი მიკროელემენტებისაგან: მარგანეცი, სილიციუმი, ალუმინი, ქრომი, ბორი, სპილენძი, ბარიუმი, ნიკელი და სხვა.

პროპოლისი-ფუტკრის წებო. ის შეიცავს თითქმის ყველა ბიოლოგიურად მნიშვნელოვან ელემენტს, რომლებიც აუცილებელია ცოცხალი ორგანიზმის ნორმალური განვითარებისთვის. ამჟამად მასში აღმოჩენილია მცირე ოდენობით ვიტამინები:B1, B2, B3, A, E, PP

კედარის ზეთი-კედარის თხილისა და წიწვის ზეთი ვიტამინების: E, B1, F, C, A ცილების საწყობია.

ქაცვის ზეთი-შეიცავს ვიტამინების მთელ კომპლექსს: C, E, A, H, B1, B2, ასევე სტერინებს და სხვა სასარგებლო ნაერთებს.

გოგრის თესლის ზეთი-დიდი ოდენობით შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს. აქვს დახვეწილი გემო და არომატი.

ფუტკრის ცვილი-შეიცავს ცხიმოვანი, თავისუფალი მჟავების, რთულ ეთერებს, მინერალურ ნივთიერებებს და ვიტამინ A-ს. იგი შეიცავს 300-ზე მეტ კომპონენტს.

ნებისმიერ მათგანს ხალხში „ურალის ოქროს ფესვს“ უწოდებენ. მხედველობაში აქვთ ამ კომპონენტების სამკურნალო თვისებათა უნიკალურობა. ხოლო ერთ ბალზამად შეკრული, ტექნოლოგიურად ურთულესი დამუშავების გავლის შემდეგ, ერთიანობაში იძლევა კუმულაციურ ეფექტს და წარმოადგენს უზარმაზარ ძალას, რომელიც გასაოცარ შედეგებს იძლევა და აღადგენს ჩვენს ორგანიზმს.

ხანმოკლე დროის მანძილზე „პრომიოდი“ დაეხმარა ათასობით ადამიანს დაავადებებთან ბრძოლაში.

პრომიოდი ეფექტურია, როგორც გარეგანი ასევე შინაგნი გამოყენებისთვის, შემდგომი დაავდებებისას:

- **გულ-სისხლძარღვთა სისტემის:** სტენოკარდია, ათეროსკლეროზი, ინფარქტი, ცვალებადი წნევა, ვენების ვარიკოზული გაგანიერება, ტრომბოფლებიტი, ინსულტი, შაქრიანი დიაბეტი, ჰიპერტონია, ჰიპოტონია,
- **საჭმლის მომნელებელი სისტემის**: გასტრიტი, 12-გოჭა ნაწლავის წყლული, ღვიძლის დავადებები (ცეროზი, ჰეპატიტი), ნაღვლის ბუშტის (ჰოლეცესტიტი), კუჭქვეშა ჯირკვლის (პანკრეატიტი), ნაწლავური (დისბაქტერიოზი, კოლიტი, სწორნაწლავზე ნახეთქები)და აგრეთვე ბუასილის დროს.
- **საყრდენ -მამოძრავებელი აპარატის:** ართრიტი, ართროზი, პოლიართრიტი, პოდაგრა, ოსტეოქონდროზი, კოკსართროზი და ა, შ. :
- **სუნთქვის ორგანოების:** ანგინა , ფარინგიტი, ლარინგიტი, რინიტი, ცვირის სისხლდენა, ჰაიმორიტი, ქრონიკული ხველა, ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა, პნევმონია, ტუპერკულიოზის კომპლექსური მკურნალობისას
- **მხედველობის:** გლაუკომა კონიუქტივიტი, მხედველობის ძარღვის ნევრიტი.
- **საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის:** ართრიტი, ართროზი, პოლიართროზი, ოსტეოქონდროზი, პადაგრა, კოკსართროზი, პოლიართრიტი და ა. შ.
- **ცენტრალური ნერვული სისტემის:** ინსულტის შემდგომ რეაბილიტაცია (დამბლა ხელების, ფეხების, ტანის)
- **ენდოკრინული სისტემის:** შაქრიანი დიაბეტი, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები.
- **სისხლმბადი ორგანოების:** დაბალი ჰემოგლობინი
- **შარდ-სასქესო სისტემის:** თირკმლების დაავადებები(პიელონეფრიტი, ნეფრიტი), შარდის ბუშტის(ცისტიტი, ურეთრიტი), ქალის სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებები-საშვილოსნოს ყელის ეროზია, მიომა, მასტოპათია და სხვა, მამაკაცის სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებები-დაქვეითებული პოტენცია, ადენომა, პროსტატა და სხვა.
- **პერიფერიული ნერვული** სისტემის: რადიკულიტი, ნევრიტი, ნევრალგია
- **კანის დაავადებები:** ფსორიაზი, ჰერპესი, დერმატიტი, ეკზემა, ნეიროდერმიტი, ტროფიკული წყლული.
- **იმუნიტეტის გასაძლიერებლად სეზონური ვირუსული დაავადებების დროს**:გრიპი, ანგინა, ყელ-ყურის დაავადებები

წლების მანძილზე ვმუშაობი სკოლაში დაწყებით კლასში. ბევრი ნერვიულობის გადატანა მომიხდა. ამის ნიადაგზე გამოვითარდა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადება-ჰიპერტონია, უძილობა, ამის გარდა პრობლემები მქონდა კუჭ-ნაწლავის სისტემასთან. „პრომიოდის„ მიღება დავიწყე 3 თვის უკან, შედეგიც მაქვს. მომიწესრიგდა კუჭ-ნაწლავის მოქმედება, დამირეგულირდა წნევა და გულის მუშაობა. თქვენი მადლობელი ვარ. გელაშვილი გულიკო. ჯავახეთი

8 წლის უკან გამიჩნდა **კვანძები ფარისებრ ჯირკვალზე**. ამის გამო მქონდა მუდმივი გულისრევის შეგრძნება, მიჭირდა საკვების გადაყლაპვა. ვმკურნალობდი მედიკამენტებით, მაგრამ უშედეგოდ, მათი ზომა არ პატარავდებოდა, პირიქით, იზრდებოდა. ექიმებმა მირჩიეს გამეკეთებინა ოპერაცია, მაგრამ გამბედაობა არ მყოფნიდა გადამედგა ეს ნაბიჯი. გამოხმაურებები ბალზამ პრომიოდის შესახებ ამოვიკითხე გაზეთში, რომელმაც დიდი იმედი ჩამისახა. ერთი მთლიანი კურსის ჩატარების შემდეგ, საგრძნობლად შემიმცირდა ტკივილი და გულისრევის შეგრძნება, შემდეგ გადავიღე ექო. პასუხი იყო გასაოცარი კვანძები შემიმცირდა ზომებში. გავნარგძობ მკურნალობას უკეთესი შედეგების მისაღწევად. **იაკობაშვილი ვერა, თბილისი**

Cyan Magenta Yellow Black

ჯერ ჩამოვთვლი იმ დაავადებებს რაც მაწუხებდა: სახსრები, დიაბეტი. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ორივე თვალში გამიჩნდა შავი მოგრძო ლაქები, რომელიც მხედველობას მიშლიდა, ასევე მქონდა ცრემლიანობა. ბევრ ექიმთან ვიყავი, მაგრამ უშედეგოდ. კიბეებზე ასვლა-ჩასვლა მიჭირდა, ვინაიდან მუხლებიც მტკიოდა. როგორც კი გავიგე პრომიოდის შესახებ, გამიჩნდა იმედი, იქნებ რაღაც შვება მეგრძნო, ამიტომ შევიძინე. ცოტა ხნის შემდეგ შევატყვე, რომ ლაქები ნელ-ნელა გაქრა. გამომისწორდა მხედველობა, ვაგრძელებ მიღებას, რომ დანარჩენი პრობლემებიც მომიგვარდეს. **რაინდი სიმონია 71წლის, აბაშა**

ვარ მსოფლიო ომის და შრომის ვეტერანი. დაჯილდოებული ვარ წითელი დროშის ორდენით. ძალიან რთული პერიოდი მაქვს გამოვლილი, რამაც ჩემს ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. მაწუხებდა **ჰიპერტონია, ოსტეოქონდროზი, ცვალებადი წნევა.** ჩემდა საბედნიეროდ, ჩემმა ნაცნობმა მომიყვა პრომიოდის შესახებ, გადავწყვიტე დამეწყო პრომიოდის მიღება. მას მერე უკვე ერთი წელი გავიდა. მაქვს შესანიშნავი შედეგები. დამირეგულირდა წნევა, გამიარა ტკივილმა სახსრებში და ზურგის არეში, სმენა და მხედველობა გამიუმჯობესდა. მომემატა ძალა და ენერგია. უღრმესი მადლობა მინდა გადაგიხადოთ ჩემი ასეთი დახმარებისთვის! **დოლიძე ლალი, გურია**

მოგესალმებით, პირველ რიგში მინდა დიდი მადლობა მოგიხადოთ, უნიკალური პრეპარატის შექმნისათვის. მქონდა დიდი პრობლემები, მაწუხებდა ადენომა, ხშირი შარდვა, რომელიც ძილის საშუალებასაც კი არ მაძლევდა, პრომიოდი შეიძინა ჩემთვის ჩემმა მეუღლემ. 12 დღის მიღების შემდეგ უკვე ვიგრძენი მისი სასიკეთო მოქმედება, ადენომა დამიცხრა, თავს უფრო კარგად და მხნედ ვგრძნობ. **ლომიძე როლანდი.დუშეთი**

რამდენიმე თვის უკან, დედეჩემი უძლური მოხუცებულისგან იქცა დამოუკიდებელ ადამიანად, თავისთავს თვითონ უვლის და აღარ ჩივის ჯანმრთელობაზე. დედაჩემი ლოგინად იყო ჩავარდნილი, ჰქონდა **მაღალი წნევა,** რომელიც იწვევდა **თავბრუსხვევას, აუტანელ ტკივილებს საფეთქლებში, ვეღარ ხედავდა, ტკივილები ჰქონდა სახსრებში** და გულის არეში. მისი გამოჯანმრთელების იმედი გადაწურული გვქონდა. სწორედ იმ დროს ჩვენმა ნაცნობმა გვირჩია გვეცადა პრომიოდი, რომელსაც თვითონაც მოიხმარდა. მინდა აღვნიშნო, რომ მალევე პრომიოდის მიღებიდან შეეტყო შედეგი, პირველ რიგში დაურეგულირდა წნევა, გაუარა თავის ტკივილმა და არითმიამ, უკეთესად ხედავს, მთელი ჩემი ოჯახი ძალიან გახარებულია. დიდ მადლობას ვუხდით თქვენს კომპანიას! **თოდუა თამარი. სვანეთი**

19 წლის განმავლობაში ვმუშაობდი ექთნად ჰოსპიტალში. ჯანმრთელობას არ ვუჩიოდი მაგრამ ორი თვის უკან ძალზე ცუდად გავხდი, უეცრად **დამეწყო თავბრუსხვევა, დავკარგე გონება.** გამოკვლევის შედეგად დამიდგინეს **შაქრიანი დიაბეტი.** მკურნალობა გადავწყვიტე დამეწყო პრომიოდით. შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ. შაქრის მაჩვენებლმა სისხლში დამინია. ვაგრძელებ მკურნალობას თქვენი ნატურალური პრეპარატით, პრომიოდით! **წიკლაური ანა. მცხეთა**

პირველად შევიძინე ბალზამი „პრომიოდი„ დედაჩემისთვის, I ჯგუფის ინვალიდია. აქვს საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაავადება, ხრტილოვანი ქსოვილების გაცვეთა, აგრეთვე ართროზი, ართრიტი. ძლიერი ტკივილების გამო ვეღარ დადიოდა, ყველაფერი შეიცვალა ბალზამ „პრომიოდის„ მიღების შემდეგ. ახლა უკვე შეუძლია სიარული, პატარა ნაბიჯებით. ასეთი პროგრესი ნამდვილი სასწაულია მთელი ჩემი ოჯახისთვის. დედაჩემის შემხედვარე, მე და მთელმა ჩემმა ოჯახმა დავიწყეთ „პრომიოდის„ მიღება ჯანმრთელობის გასაძლიერებლად. **გოგოლაძე ქეთევანი. გურჯაანი**

გაყიდვის განრიგი

თბილისი

16, 17, 18, 19, 20, 21, 29, 30, 31 ოქტომბერი, 1, 2, 3, 4 ნოემბერი მის.: ბახტრიონის 22. 15.00-17.00 სთ.
ვარკეთილი–3, 2-მ/რ, სუხიშვილის ქუჩის ბოლოს, სეს. თაყაიშვილის 1, 167 და 150 მარშუტკის ბოლო გაჩერება, ავერსის აფთიაქის თავზე 10.00-20.00 სთ. ყოველდღე.

თელავი. 19 ოქტომბერი, 2 ნოემბერი. მის.: 26 მაისის ქ. 5, ჭადრაკის სახლი 11.00-12.00 სთ.

რუსთავი. 20 ოქტომბერი, 3 ნოემბერი. შარტავას გამზ. 15, ქალთა კონსულტაცია. 12.00-13.00 სთ.

გორი. 21 ოქტომბერი, 4 ნოემბერი. მის.: სტალინის .26. სასტურ. „ჯორჯია“. 12.00-13.00 სთ.

ბათუმი. 22 ოქტომბერი, 5 ნოემბერი. მის.: ზუბალაშვილების 18. სასტ. „თიკო“, 10.00-12.00 სთ.

ოზურგეთი. 22 ოქტომბერი, 5 ნოემბერი. იოანე პეტრიწის 1, რესტ. „იზაბელა“. 11.00-12.00 სთ.

ქობულეთი. 22 ოქტომბერი,.5 ნოემბერი. მის.: აღმაშენებლის 388, სასტ. „რივიერა“. 13.00-14.00 სთ.

ფოთი. 22 ოქტომბერი, 5 ნოემბერი. მის.: 9 აპრილის 10. „ბალუ“ 15.00-16.00 სთ.

ზუგდიდი. 22 ოქტომბერი,.5 ნოემბერი. მის.: გამსახურდიას 26. „ატრიუმი“, 17.00-18.00 სთ.

სამტრედია. 23 ოქტომბერი,.6 ნოემბერი. მის.: რუსთაველის 21, რესტ. „ჭურტავა“, 10.00-11.00 სთ.

ქუთაისი, 23 ოქტომბერი,.6 ნოემბერი. მის.: კოსტავას 25. სასტუმრო „ლია“, 12.00-13.00 სთ.

ზესტაფონი. 23 ოქტომბერი, 6 ნოემბერი, მ. ჭანტურიას 42, ბაზრის მიმდებარე ტერ. 14.00-15.00 სთ.

ჭიათურა. 23 ოქტომბერი, 6 ნოემბერი. მ. აღმაშენებლის 91, სასტ. „ნელი ტაბატაძე“, 16.00-17.00 სთ.

ახალციხე. 24 ოქტომბერი, 7 ნოემბერი. კოსტავას 4/24, ბარი „სტუმრად ნუკისთან“ 12.00-13.00 სთ.

ბორჯომი. 24 ოქტომბერი, 7 ნოემბერი. მის.: რუსთაველის 101. სასტ. „ოლიმპი“. 14.00-15.00 სთ.

ხაშური. 24 ოქტომბერი, 7 ნოემბერი. მის.: კოსტავას 6. აფთიაქი. 16.00-17.00 საათამდე.

ბალზამი “პრომიოდი” ერთი შეფუთვის ფასი: 32.80 ლარი
ინვალიდებისა და პენსიონერებისათვის: 29.80 ლარი
ადგილზე მიტანით ქ. თბილიში (ფასდაკლება არ მოქმედებს)
მინიმალური შეკვეთა - 2 შეფუთვა
არ წარმოადგენს მედიკამენტს.
მიღებამდე გაიარეთ ექიმის კონსულტაცია.
საქონელი სერტიფიცირებულია

ასევე გაყიდვაში გვაქვს ზეთი „ჟივიცა“

www.apifito.net

გამოსცადე ბალზამის სამკურნალო თვისება, გუნების საჩუქარი

(+995) 571 22 98 98

Cyan Magenta Yellow Black

ნინო სურგულაძე: „ყველაზე ბედნიერი მაშინ ვიქნები, თუ ქართულ ოჯახს შევქმნი“

„სულ ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ბეწვის ხიდზე დავდივარ“, — ამბობს ოპერის ვარსკვლავი, ქართველი მეცოსპრანო, ნინო სურგულაძე. მის ცხოვრებაში მართლაც ბევრი სირთულე იყო და არის, ყოველდღე უწევს საკუთარ თავთან ბრძოლა და ყოველდღე ხელახლა ამარცხებს საკუთარ თავს.

ქართველმა მაყურებელმა პატარა ნინო სურგულაძე ფილმიდან „მეტიჩარა“ გაიცნო. სცენაზეც ბავშვობიდან დგას, ჯერ იყო ესტრადა, მერე კი საკუთარი თავი საოპერო ხელოვნებაში იპოვა. 21 წლისა გაემგზავრა საქართველოდან და მალე ლა სკალას თეატრის სცენაზე აღმოჩნდა, აკანკალებულმა გოგონამ ვერდის ოპერაში მთავარი პარტია შეასრულა. ახლაც ახსოვს ის ემოცია, რაც იმ დროს დაეუფლა... მისი კარმენი ოპერის მოყვარულებს გამორჩეულად უყვართ. სპექტაკლის შემდეგ ერთ მაყურებელს მისთვის უთქვამს, ახლა კი მივხვდი, ნამდვილი კარმენი როგორი იქნებოდაო. თავად მომღერალსაც გამორჩეულად უყვარს ეს გმირი და მისი ესმის. „როცა უყვარდა, ყველაფერი გააკეთა, რომ თავდავიწყებით ჰყვარებოდა. როცა აღარ უნდოდა, ჰყვარებოდა, ყველაფერი გააკეთა, რომ არ ჰყვარებოდა“, — ამბობს მომღერალი. ასეთია ნინოს კარმენი.

ნინოს პირად ცხოვრებაზე ღიად საუბარი არ უყვარს, იმაში კი გულახდილად გამოგვიტყდა, რომ ქართულ ტრადიციულ ოჯახზე ოცნებობს. დღემდე ურთულესი რეჟიმით ცხოვრობს, გამუდმებით მოგზაურობს ქვეყნიდან ქვეყანაში, მაგრამ ყველაზე დიდი გულით, ყველაზე დიდი სიხარულით საქართველოსკენ მოეშურება. ინტერვიუს ჩაწერიდან რამდენიმე საათის შემდეგ იტალიაში გაფრინდა, მანამდე კი „სარკეს“ თავის ცხოვრებაზე უამბო:

— ბავშვური ბუნება, რომელიც ჩვენთან ერთად იბადება, როგორც წესი, მთელი ცხოვრება რჩება. ეს არის ის წყარო, რომელიც მუდამ კვებავს ადამიანის ხალისს, სილაღეს. სწორედ ეს ბუნება გვაძლევს საშუალებას, ცხოვრება ენერგიულად გავაგრძელოთ და ყოველი დღე ახლის დასაწყისი იყოს. როცა ადამიანს ჰგონია, რომ მან ყველაფერი იცის და ცხოვრება ვეღარაფრით გააკვირვებს, მისი ზრდა დამთავრებულია, მისი სილაღე — გამქრალი. ბავშვს კი ყოველთვის ყველაფერი უხარია, აინტერესებს, მისთვის ყველაფერი ახალია. არ არის აუცილებელი, სიბერე 80 წლის ასაკში მოვიდეს, ბევრი ადამიანი მალე ბერდება მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ბავშვი მასში მიძინებულია და აღარაფერი უხარია.

— თქვენში როგორი ბავშვი ცხოვრობს დღემდე?

— არასტანდარტული ბავშვობა მქონდა. სკოლის ძალიან იშვიათი სტუმარი ვიყავი. ისე აეწყო ჩემი ცხოვრება, რომ ბავშვობიდან სულ გადაღებაზე ან რეპეტიციაზე ყოფნა მიწევდა, თუმცა ძალიან მიყვარდა ჩემი კლასელები და დღემდე მაქვს მათთან ურთიერთობა. „ფეისბუქით“ თუ შევეხმიანებით ხოლმე ერთმანეთს, უკვე ყველას თავისი ცხოვრება აქვს. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში იშვიათად მივდიოდი, მაინც იყო საგნები, რომლებიც ძალიან მიყვარდა, ეს იყო — ქართული, ისტორია, ბიოლოგია.

სკოლა ჩემთვის მოგზაურობასთან, რეპეტიციებთანაა ასოცირებული, ხან ამერიკაში ვიყავი, ხან ბულგარეთში. თან იმ დროს საზღვარგარეთ წასვლა საოცრება იყო. ხელოვნების სკოლაში ვსწავლობდი, არაჩვეულებრივი დირექტორი გვყავდა ნათელა წერეთელი. დიაბეტი ჰქონდა, მაგრამ ეს სულ არ აინტერესებდა, ჩვენზე მეტი ენერგია მას ჰქონდა. ჩვენთან ძალიან საინტერესო ბავშვები სწავლობდნენ, მათ შორის — სოფო შევარდნაძეც. იმ პერიოდში ყველაზე გამორჩეული სკოლა იყო. საინტერესო პედაგოგები გვყავდა, მზია ღამბაშიძე, რომელმაც ქეთი მელუა გაზარდა. ასევე დინარა ვირსალაძე, დავით ანდღულაძე, ავთო ვარსიმაშვილი... მათთან ერთად ყოფნა ჩვენთვის ნამდვილი ფუფუნება იყო.

პარალელურად კინოგადაღებებზე დავდიოდი. არც მოწყენის დრო მქონდა, არც თანატოლებთან გართობის, ეზოში თამაშის. ბავშვობამ დიდი პასუხისმგებლობა მასწავლა. როდესაც სოლისტი ხარ, წარმატების ძალიან დიდი ნაწილი შენზეა დამოკიდებული, შენ უნდა მოინდომო, რადგან დანარჩენები შენ გიყურებენ, მათთვის სტიმული ხარ. ამას ქვეცნობიერად ყოველთვის ვგრძნობდი, რაც ჩვევაში გადამივიდა. როცა ლიდერი ხარ, ეს ფუნქცია ყველანაირად უნდა შეითავსო.

— დღემდე აღნიშნავენ, რომ შეგიძლია ისეთივე წარმატებული კინომსახიობი ყოფილიყავი, როგორი წარმატებული მომღერალიც ხარ. რატომ არ აირჩიეთ კინო, მას ხომ დიდი ხიბლი აქვს?

— გიგა ლორთქიფანიძე მთხოვდა, თეატრალურ უნივერსიტეტში ჩამებარებინა, როინ მეტრეველი მეუბნებოდა, უნივერსიტეტში ჩაბარეო. ჩემმა მშობლებმა კი კონსერვატორიაში ჩაბარება მირჩიეს. გზაგასაყართან დგომა ძალიან ძნელი იყო. ისეთი გადაწყვეტილების მიღება მიწევდა, რაც ძალიან შეცვლიდა ჩემს ცხოვრებას. ადამიანები ალბათ ხშირად უნდა ვენდოთ მშობლებს, მით უმეტეს, თუ ისეთები არიან, როგორიც ჩემი დედ-მამა. ისინი ყოველთვის ჩემ გვერდით იდგნენ, ძალიან ვენდობი მათ, განსაკუთრებით დედას. დედებს ყველაზე მეტად უნდათ ჩვენთვის სიკეთე. მათ უანგაროდ ვუყვარვართ. თუ ინტელიგენტი მშობლები გყავს, მათ ძალიან საინტერესო რჩევების მოცემა შეუძლიათ შვილისთვის.

მოკლედ, მშობლების რჩევას მოვუსმინე, გავითვალისწინე და მერე თავადაც ისე ჩავიძირე ამ საოცარ სამყაროში, რომ უკან მოხედვა აღარ მომინდა. ამ სფეროშიც დარჩა თეატრის და კინოს ელემენტები, ოპერის თეატრშიც მიწევს თამაში, საინტერესო პერსონაჟების განსახიერება. თუ მექნება შემოთავაზება, კინოროლებზე უარს არ ვიტყვი. ყოველთვის მაინტერესებს საკუთარი თავის დუელში გამოწვევა. ასეთი მიდგომა მაძლევს საშუალებას, საკუთარ თავში საინტერესო რაღაცეები აღმოვაჩინო...

— შეგიძლიათ თქვათ, რომ ადვილად იპოვეთ საკუთარი თავი?

— მაქვს შეგრძნება, რომ იქ ვარ, სადაც მიხარია და ბედნიერი ვარ. ეს ის საქმეა, რომელიც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. ღვთისგან ბოძებული ნიჭი მე არ მეკუთვნის, მე უბრალოდ ვუვლი და ვზრდი. ჩემს ნიჭს სხვებსაც ვუნაწილებ. ზოგჯერ ცხოვრება გადის და ადამიანი ბოლოს ხვდება, რომ თურმე თავისი ადგილი ვერ იპოვა. მე ხიბლში არ ვარ, მაგრამ მომწონს პროცესი, რომლის საშუალებითაც ვიზრდები.

— ურთულესი ბრძოლისა აირჩიეთ ამ გზაზე იქნებოდა ბევრი სირთულე და იმედგაცრუებაც.

— ვერ ვიტყვი, რომ უცებ სულ სხვა სამყაროში მოვხვდი, მაგრამ ძალიან განსხვავდება შოუბიზნესის სამყარო საოპერო ხელოვნებისგან. ჩვენ გვაქვს შეხება უკვდავ ნაწარმოებებთან, ძეგლებთან, რომლებიც გენიალური კომპოზიტორების მიერაა შესრულებული. საკუთარ თავზე მუშაობა ყველგან საჭიროა, მაგრამ აქ სულ სხვა მოთხოვნებია. ხმის ფლობის ტექნიკური მხარეც ბევრად განსხვავდება. როგორც წესი, რაც იოლია, ის არ მიზიდავს. აქ კი ბევრ სირთულეს წავაწყდი, მქონდა ენის ბარიერი და ვალდებული ვიყავი, ბევრი უცხო ენა მესწავლა. ამას გარდა, დღეში რამდენიმე საათი მიწევდა და მიწევს საკუთარ თავზე მუშაობა, სულ ფორმაში უნდა ვიყო. ბევრი აკრძალვა მაქვს, ვერ ვჭამ ნაყინს, მეგობრებთან ერთად არ შემიძლია ღამის გათენება, ვერ მივდივარ დაბადების დღეებზე. მოკლედ, საკმაოდ შეზღუდული და რთული ცხოვრება მაქვს, მაგრამ სწორედ ეს სირთულეები მიზიდავს.

— 21 წლის ასაკში წასულიხართ საქართველოდან. როგორ იგრძენით თავი, როცა ფეხს უცხო მიწაზე დადგით, სადაც ჯერ არ იცოდით, რა გელოდებათ?

— მანამდეც მივდიოდი ფესტივალებზე და კონკურსებზე... უცხოეთში თავის დამკვიდრების პროცესი მართლაც ძალიან რთული იყო. მით უმეტეს, მაშინ საქართველოში უკვე ცნობილი ვიყავი, იქ კი ნულიდან მომიწია ცხოვრების დაწყება. აქ მიჩვეული ვიყავი ტაშს, წარმატებას და როცა სხვაგან ამ ყველაფრის თავიდან დაწყება გიწევს, საკმაოდ რთულია. ეს იმას ჰგავს, წლების

„ვეჩ ბეტყვით, შევძლებ თუ არა უცხოეთ მამაკაცზე გათხოვებას. მინდა, ჰომ სამაგალითო, სიყვარულით სავსე ქართული ოჯახი მქონდეს. მინდა, ოცა შვილი მეყოლება, იცოდეს ქართული ენა, ჩვენი ტრადიციები, იცოდეს, რას ნიშნავს, იყო ქართველი. ადამიანი აღბათ ყველაზე ბედნიერი მაშინაა, ოცა თავის გენს ამჰავლებს".

„სულ ფოჩმაში უნდა ვიყო. ბევრი აკრძალვა მაქვს, ვერ ვჭამ ნაყინს, მეგობრებთან ერთად არ შემიძლია ღამის გათენება, ვერ მივდივარ დაბადების დღეებზე. მოკლედ, საკმაოდ შეზღუდული და რთული ცხოვრება მაქვს, მაგრამ სწორედ ეს სირთულეები მიზიდავს".

Cyan Magenta Yellow Black

განმავლობაში რუდუნებით აშენებულ სახლს რომ დაგინგრევენ, მერე კი თავიდან თითო აგური უნდა დადო და ააშენო. მე მომეცა შანსი, ცხოვრება თავიდან დამეწყო. ჩავთვალე, რომ ეს იყო ღვთისგან ბოძებული უფლება და კიდევ ერთხელ უნდა მეცადა, რა შემეძლო, რამდენად ღირსეულად მოვიქცეოდი. მერე ნელ-ნელა მეგობრები შევიძინე, იყო ცოტა წარმატებაც, რომელსაც დიდი წარმატებებიც მოჰყვა, მაგრამ ჩემთვის ყველაზე დიდი წარმატება ის იყო, რომ საკუთარ თავზე მუშაობა ვისწავლე. ყოველდღიურად მიწევს ბრძოლა საკუთარ თავთან და ჩემს თავს ვამარცხებ. ჩემი ყველაზე დიდი სიხარული კი ისაა, რომ იღბალი მაქვს.

— რა გრძნობაა, როცა ასეთ დიდ სცენებზე ვადასტურთ, რომლებზეც ბევრი მომღერალი ოცნებობს?

— სანამ ადამიანი საოპერო ოკეანეში შეცურავს, ყველაფერს სულ სხვანაირად აღიქვამს. როცა უშუალოდ ამ პროცესის მონაწილე ხდები, ავტომატურად ერთ ჭანჭიკად იქცევი. ეს კომპლექსური მექანიზმია, რომელშიც ყველაფერი მნიშვნელოვანია. ვისწავლე, რომ დაძრული მატარებლიდან აღარ უნდა გადმოხტე და გზა გააგრძელო. ასეთ დიდ სცენებზე გამოსვლა ადრენალინის მოჭარბებული შეგრძნებაა.

ლა სკალაში პირველად 22 წლისამ ვიმღერე, 23 წლისას კი ვერდის ოპერაში მთავარი პარტია მომცეს. მახსოვს, მაშინ მუხლები მიკანკალებდა, საოცარი შეგრძნებები მქონდა, მაგრამ იმდენად დიდი სიხარული იყო იმაზე ფიქრი, რომ ამხელა ნდობას მიცხადებდნენ, ნერვიულობას ფარავდა. თუ დაჯდები და დაფიქრდები, სად მღერი და ვის უმღერი, შეიძლება ქუდი დაიხურო და წამოხვიდე. მე, რა თქმა უნდა, სიმღერის დროს ასეთ რაღაცეებზე არ ვფიქრობდი. ჩემი კოლეგებისგან ბევრი კარგი მაგალითი მქონდა. ისინი ჩემზე ბევრად გამოცდილები იყვნენ, მაგრამ ვხედავდი, რომ თავადაც ღელვდნენ. ზოგი პირჯვარს იწერდა, ზოგს გული უჩქარდებოდა...

„საქართველოში ყოველთვის გიჟივით მოვქცევარ, ძალიან მენატრება აქაურობა. ჩვენს ქვეყანას ისეთი ხიბლი, ისეთი სიყვარული აქვს, რომ არც ერთ ქვეყანაში მსგავსს არაფერს ვგრძნობ".

ვერ გეტყვით, რომ სცენაზე გასვლის წინ აღარ ვღელავ. ადამიანი სანამ ცოცხალია, ეს შეგრძნება აქვს და როცა ეს შეგრძნება ქრება, იქ ყველაფერი თავრდება. მე სულ ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ბეწვის ხიდზე დავდივარ. ცოცხლად სიმღერის დროს ვერ მოიტყუები. თითოეული ნოტი ისტორიაშია ჩაბეჭდილი, ამიტომ შენ არ გაქვს ინტერპრეტაციის უფლება.

— ძირითადად იტალიაში ცხოვრობთ და მუშაობთ?

— ბაზა იტალიაში მაქვს, მაგრამ სხვადასხვა ქვეყანაში მიწევს სიარული. ხან ინგლისში ვარ, ხან იაპონიაში, ხან გერმანიაში... გააჩნია, იღბალი სად გადამისვრის. უკვე მიჩვეული ვარ ფრენას და მოგზაურობას. ვგიჟდები ახალ ადამიანებთან შეხვედრაზე, ეს ჩემთვის საინტერესოა. ბავშვობიდან მიყვარდა ხალხთან ურთიერთობა.

თბილისში, მოსეშვილის ქუჩაზე, ბებიასთან რომ მივდიოდი, ყველა მეზობელს ვეძახდი და შოუებს ვდგამდი. მერე კალათებით ზოგი შოკოლადს მიგზავნიდა და ზოგი რას. ყოველთვის მომწონდა ყურადღების ცენტრში ყოფნა, მაგრამ ახლა უკვე — ნაკლებად. ცხოვრებაში აღარ მიყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა, მაგრამ სცენაზე რატომაც არა?! ძალიან კარგად მესმის იმ მსახიობების და მომღერლების, რომლებიც დიდი ასაკის მიუხედავად, სცენას არ ტოვებენ. სცენა დიდი ნარკოტიკია და მის გარეშე ცხოვრება აღარ შეგიძლია.

— საზღვარგარეთ როგორია თქვენი დღის განრიგი, ისეთივე როგორიც საქართველოში? რამდენჯერაც დავრეკეთ, ან შუადღეზე სართ, ან ტელეფონზე საუბანი საუბრები გაქვთ.

— იქ სულ სხვა რეჟიმია. როცა რეპეტიციები იწყება, კონკრეტულად ერთ საკითხზე უნდა ვიყო კონცენტრირებული. ყველაფერი ის, რაც ჩემს საქმეს სცილდება, სტრესად ითვლება. იქ ქუჩაში დავდივარ, ვჭამ თუ რასაც ვაკეთებ, გონებით სულ ჩემს პერსონაჟთან ვარ. მუშაობის დროს ყურადღების გადატანა არაფერზე შეიძლება. სხვა შემთხვევებში სულ ვცდილობ, ბევრი ვიარო, რომ ფორმაში და ტონუსში ვიყო, სწორად ვიკვებო.

„ლა სკალაში პირველად 22 წლისამ ვიმღერე, 23 წლისას კი ვერდის ოპერაში მთავარი პარტია მომცეს. მახსოვს, მაშინ მუხლები მიკანკალებდა, საოცარი შეგრძნებები მქონდა, მაგრამ იმდენად დიდი სიხარული იყო იმაზე ფიქრი, რომ ამხელა ნდობას მიცხადებდნენ, ნერვიულობას ფარავდა. თუ დაჯდები და დაფიქრდები, სად მღერი და ვის უმღერი, შეიძლება ქუდი დაიხურო და წამოხვიდე".

ჩემთვის ძალიან სასიამოვნო პროცესია, როცა მუზეუმში მივდივარ. ვთვლი, რომ ხელოვანი ადამიანი აუცილებლად უნდა ცდილობდეს, მაქსიმალურად მეტი ინფორმაცია მიიღოს. ამას გარდა, ძალიან მიყვარს კინოში სიარული, შოპინგი, მეგობრებთან ურთიერთობა და, რა თქმა უნდა, სამზარეულო. ინტერნეტსაც ვხმარობ, რომელიც ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, მაგრამ ვცდილობ, მხოლოდ ინფორმაციისთვის და ახლობელ ადამიანებთან კონტაქტისთვის გამოვიყენო.

■ კადრი ფილმიდან „მეტიჩარა"

— ყიდრე თქვენთან შესახვედრად მოვიდოდი, მთხოვეთ, რომ პირად ცხოვრებას არ შეეხებოდით. რატომ არასიდეს საუბრობთ პირადზე?

— იმიტომ, რომ პირადია და მხოლოდ ჩემია. ეს ჩემი გადაწყვეტილებაა.

— მხოლოდ საქართველოში გაქვთ პირადზე ტაბუ დადებული თუ საზღვარგარეთაც?

— აბსოლუტურად ყველგან! მე მყავს ჩემი წრე, მეგობრები და ჩემი ოჯახი, სადაც შემიძლია ამაზე ვისაუბრო. ვფიქრობ, რომ ბევრად უფრო საინტერესო რაღაცეები არსებობს, რომ ჩემზე ვილაპარაკოთ, ვიდრე პირადი ცხოვრებაა. არ ვთვლი, რომ ვინმესთვის ეს მნიშვნელოვანია.

— საქართველოში ძალიან უყვართ ჭორები, მაგრამ არ მახსოვს, რაღაც ხმები თქვენზე გავრცელებულიყოს. როგორ ახერხებთ პირადი ცხოვრების ასე დამალვას?

— იმდენად ბევრი საქმე მაქვს, რომ სხვა რაღაცეებისთვის ვეღარ ვიცლი. არც ხმაურიანად ვცხოვრობ... საქართველოში კი ყოველთვის გიჟივით მოვქრივარ, ძალიან მენატრება აქაურობა. ჩვენს ქვეყანას ისეთი ხიბლი, ისეთი სიყვარული აქვს, რომ არც ერთ ქვეყანაში მსგავსს არაფერს ვგრძნობ. ამას ერთი ახსნა აქვს — მე ქართველი ვარ და ჩემი ქვეყნის ნოსტალგია მაქვს. მჯერა, საქართველო გამორჩეულია. მერე რა, რომ პრობლემები გვაქვს, დარწმუნებული ვარ, ყველაფერი დალაგდება.

როცა საზღვარგარეთ ვარ და ჩემს ქვეყანაზე მეკითხებიან, ყოველთვის ბევრს ვსაუბრობ. დაუსრულებლად შემიძლია ვილაპარაკო აქაურ ურთიერთობაზე, მეგობრობაზე, სიყვარულზე. ვამაყობ ჩემი ქვეყნით და იმით, რომ ქართველი ვარ!

— მაგრამ სიყვარულმა ეროვნება არ იცის. უცხოელი მამაკაცი თუ შეგიყვარდებათ, დაუკავშირებთ მას თქვენს ცხოვრებას?

— ვამბობ, რომ სიყვარულმა არ იცის ასაკი, ეროვნება, მაგრამ ვერ გეტყვით, შევძლებ თუ არა უცხოელ მამაკაცზე გათხოვებას. გულწრფელად გეტყვით, მინდა, რომ კარგი, სამაგალითო, სიყვარულით სავსე ქართული ოჯახი მქონდეს. მინდა, როცა შვილი მეყოლება (ღმერთმა ქნას, რომ მეყოლოს), იცოდეს ქართული ენა, ჩვენი ტრადიციები, იცოდეს, რას ნიშნავს, იყო ქართველი. ადამიანი ალბათ ყველაზე ბედნიერი მაშინაა, როცა თავის გენს ამრავლებს და ოჯახში იმ გამოცდილებას და ცოდნას დებს, რაც გააჩნია. ალბათ ამ დროს ვიქნები ყველაზე ბედნიერი.

— ამჯერად ქართველმა მაყურებელმა სრულიად განსხვავებულ ამბლუაში გისილათ — პროექტის „ცეკვავენ ვარსკვლავები" ფინალში. ამ შეთავაზებას მაშინვე დათანხმდით თუ იყოყმანეთ?

— ძალიან რთული იყო დათანხმება. გასული სეზონებიდანაც მქონდა შემოთავაზება, მაგრამ ფიზიკურად არ შემეძლო. როდესაც შოუს ვუყურე, იმდენად მომეწონა, ისე გავხალისდი, რომ ვიფიქრე, რატომაც არა-მეთქი. ჩემი მთავარი პრობლემა დროის ფაქტორი იყო. ეს 3 თვე სულ წინ და უკან სიარული მომიწევს, რაც ყველაზე მეტად მეზიზღება. იმედია, ყველაფერს მოვახერხებ.

— ძალიან გაწონასწორებული ფინალის წევრი ხართ. შოუს სჭირდება ასე თუ ასეთი ბუნება გაქვთ?

— როცა მონაწილეების ცეკვებს ვუყურებ, ვხვდები, რა დგას ამ ყველაფრის უკან, რადგან იმ წუთას მათ ადგილზე ჩემს თავს წარმოვიდგენ ხოლმე. ისინი სცენაზე აკეთებენ იმას, რისი გამოცდილებაც არ აქვთ. ჰოროსკოპით სასწორი ვარ, არ მიყვარს კონფლიქტები, ყოველთვის ვცდილობ, ჩემ გარშემო მშვიდობა და სიკეთე იყოს.

— მოცეკვავის სტატუსით დათანხმდებოდით მონაწილეობას?

— ახლა ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ, ალბათ ამის დრო არ მექნებოდა. ბავშვობის მერე აღარ მიცეკვია, მაგრამ ისეთი ტიპი ვარ, თუ მიზნად დავისახავდი, შეიძლებოდა რაღაცეები მომეხერხებინა.

✓ ჭეთი დინოშვილი

Cyan Magenta Yellow Black

ოლიმპიური დილემა — ეროვნული სიამაყის დემონსტრირება თუ პრაგმატიზმი?

ჰას მივიღებთ და ჰას დავკარგავთ სოჭში წასვლა-არწასვლით

საქართველო და ქართველი საზოგადოება ახალი დილემის წინაშე დგას, რომელიც ისევ და ისევ რუსეთთან არის დაკავშირებული — წავიდნენ თუ არა ქართველი სპორტსმენები 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე სოჭში. რა ჯობია, ეროვნული სიამაყის დემონსტრირება თუ პრაგმატიზმი — ბოლო კვირეებია, ეს თემა განიხილება ტელედებატებში, პარლამენტში, მთავრობაში, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, პოლიტიკოსებსა თუ არაპოლიტიკოსებში, სპორტულ წრეებში, აქციებზე და ოჯახებშიც კი. მონაწილეობა-არმონაწილეობა სოჭის ოლიმპიადაში, სადაც აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ ქვეყნებად არიან აკრედიტებული, ქართველებისთვის ეროვნული ღირსებისა და თავმოყვარეობის განმსაზღვრელად იქცა.

საზოგადოების დიდი ნაწილი ოკუპანტისა და აგრესორის ტერიტორიაზე გამართულ ოლიმპიადაში მონაწილეობის სასტიკი წინააღმდეგია. მოქალაქეებმა პეტიცია შეიმუშავეს და ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს და სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს მიმართეს, უარი თქვან სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობაზე და ამით მსოფლიო თანამეგობრობას ამცნონ, რომ ქართველი ხალხი არასოდეს შეეგუება რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას.

„გვსურს, მოვუწოდოთ საქართველოს მთავრობას და ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, შეცვალონ გადაწყვეტილება სოჭის ოლიმპიადაში ჩვენი ქვეყნის მონაწილეობასთან დაკავშირებით. მაშინ, როდესაც რუსეთის ხელისუფლება სისტემატურად არღვევს 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებას და ახდენს საოკუპაციო ზოლის გადმოწევას, ვთვლით, რომ ყოვლად გაუმართლებელი იქნება საქართველოს მონაწილეობა სოჭის 2014 წლის ოლიმპიურ თამაშებში. იმედს ვიტოვებთ, ქვეყნის ხელისუფლება რეაგირების გარეშე არ დატოვებს ხელმომწერთა მოწოდებას", — ნათქვამია პეტიციაში.

❖

პროტესტი და აჟიოტაჟი მას შემდეგ გამძაფრდა, რაც ცნობილი გახდა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის გმირად გამოცხადებული რუსი სამხედრო მფრინავი, ივან ნეჩაევი ოლიმპიური ცეცხლის ერთ-ერთი მეჩირაღდნეა. ნეჩაევმა ინტერვიუში თქვა, რომ პასუხისმგებლობით ეკიდება ამ ისტორიულ და საპატიო მისიას და ეცდება, ღირსეულად შეასრულოს დავალება. რთული არ არის მიხვდე, რომ ამ ფაქტით რუსეთი მსოფლიო სპორტული ღონისძიების პოლიტიზირებას ცდილობს. მისი მიზანი აშკარაა — გაიმყაროს სუპერსახელმწიფოს იმიჯი, რომელიც მსოფლიოში თავის წესრიგს ამყარებს.

ივან ნეჩაევი 2008 წლის 11 აგვისტოს დაახლოებით დღის პირველ საათზე ცხინვალს ბომბავდა, როცა მის ბომბდამშენს თავად რუსებმა ესროლეს, რადგან თბილისის საავიაციო ქარხანაში იყო დამზადებული. მფრინავმა მოახერხა ბომბდამშენის გადარჩენა და რუსებმა მას ომის გმირის წოდება მიანიჭეს.

❖

„თუ რუსეთი შეეცდება, სპორტული ღონისძიება პოლიტიკურ ღონისძიებად გადააქციოს, ან თუ რუსეთი აგრეთვე შეეცდება, არ ან ვერ დაინახოს ჩვენი კეთილშობილური განზრახვა, მაშინ ჩვენც მოგვიწევს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება. პირადად მე მიმაჩნია, რომ რუსი სამხედრო მფრინავის იმ როლში გამოყვანა, რაზეც დღეს არის საუბარი, ხაზგასმული ნაბიჯი და გზავნილია არამხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი დემოკრატიული საზოგადოებისთვის... დღეიდან განსაკუთრებული ყურადღებით გავაგრძელებთ დაკვირვებას ამ პროცესებზე. თუ საბოლოოდ დავრწმუნდებით, რომ სოჭის ოლიმპიადაზე პოლიტიკა სჭარბობს სპორტს, მაშინ ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი მოქალაქეებისთვის შესაფერის გადაწყვეტილებას მივიღებთ", — აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი.

„სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადაში საქართველომ აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა", — ეს კი საქართველოს პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილის პოზიციაა.

❖

ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცეპრეზიდენტის, გუჯა ბერიშვილის მტკიცე აზრით, ოლიმპიადაში არმონაწილეობა მხოლოდ და მხოლოდ ქართულ სპორტს დააზიანებს, სხვა პროცესებზე კი ვერავითარ გავლენას მოახდენს.

■ გუჯა ბერიშვილი

„ახწასვლით ბევრი ჰამ დაეშავება ქართველ სპორტს. პრიველ ოიგში, ევროპის ოლიმპიურ კომიტეტთან გავიფუჭებთ ურთიერთობას".

გუჯა ბერიშვილი: ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება. პირველი ის არის, რომ ოლიმპიადას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ატარებს და არა — რუსეთი. ეს ქვეყანა მხოლოდ ამ ოლიმპიადის მასპინძელია. როდესაც ბოიკოტზეა ლაპარაკი, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ამით ბოიკოტს, პირველ რიგში, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ვუცხადებთ, რაც, რა თქმა უნდა, ჩვენი სპორტის პერსპექტივისთვის არ არის სასურველი. სოჭის ოლიმპიადით არ იწყება და არ მთავრდება ქართული სპორტი და ჩვენი სპორტის ისტორია.

ზამთრის სპორტის სახეობებში ჩვენ არ ვართ წარმატებული ქვეყანა, მაგრამ ამ ოლიმპიადას ნუ ავკიდებთ მთელი ქართული სპორტის და ქართული პოლიტიკის ინტერესებს. ჩემი საქმე არ არის პოლიტიკური განცხადებების გაკეთება, მაგრამ რასაც ვაკვირდები, ამ ბოლო დღეებში ვიგრძენი, რომ ეს პროცესები გარკვეულწილად ანგაჟირებულია, პოლიტიკური მოტივებიდან გამომდინარე.

— **ბატონო გუჯა, როგორ და ვინ მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილება სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობის შესახებ?**

— ოლიმპიურ მოძრაობას აქვს თავისი ისტორია, თავისი გზა და ჩვენ, ქვეყნის სპორტული ორგანიზაციები, ვალდებულები ვართ, დავიცვათ სპორტსმენებისა და ჩვენი სპორტის ინტერესები. ამით ვიხელმძღვანელეთ, როცა წელს, 2 მაისს, შევიკრიბეთ სესიაზე, რომ მიგვეღო გადაწყვეტილება სოჭის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით. ოლიმპიური კომიტეტის საგანგებო სესია მოვიწვიეთ. 5 დღე იყო დარჩენილი იმ ვადამდე, როცა ჩვენ უნდა გვეცნობებინა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისთვის, ვიღებდით თუ არა მონაწილეობას. ყველა ქვეყანას და მათ შორის ჩვენც, მოწვევა მოგვივიდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან მისი პრეზიდენტის ხელმოწერით.

სესიაზე იყო აზრთა ჭიდილი, მაგრამ საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ვისაც ეჭვი ეპარებოდა ჩვენი გადაწყვეტილების სისწორეში, აბსოლუტურად ყველამ დაგვიჭირა მხარი. იმ დღეს სულ 49 დელეგატი იყო — ოლიმპიური სპორტის სახეობების წარმომადგენლებმა და ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა და ხელმძღვანელობამ მივიღეთ გადაწყვეტილება, სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა მიგვეღო. მაშინ ეს ამბავი არავის გაუკროტესტებია და ხმაურიც არავის აუტეხია. ჩვენ კი ჩვეულებრივად ვაგრძელებდით მზადებას ოლიმპიური თამაშებისთვის.

შემდეგ მოხდა ასეთი რამ: საზოგადოებრივი მაუწყებლიდან გვაცნობეს, რომ ჟურნალისტთა აკრედიტაციის ბაზაში ქვეყნების ჩამონათვალში ცალკე სახელმწიფოებად იყო მოხსენიებული აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. მხოლოდ საზოგადოებრივ მაუწყებელს აქვს წვდომა ამ ბაზაზე. ეს არის ევროპის სამაუწყებლო კავშირის ელექტრონული ბაზა და მას, თავის მხრივ, ურთიერთობა აქვს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან.

ჩვენ წერილით მივმართეთ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, ვთხოვეთ განმარტება, თუ რა ხდებოდა. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი არ არის აღიარებული არც გაერო-ს და არც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ. ვთხოვდით, რაიმე ფორმით გამორიცხულიყო მათი მონაწილეობა ოლიმპიადაში, როგორც ცალკე სუბიექტების. იქიდან მოვიდა პასუხი, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი საორგანიზაციო კომიტეტისგან მკაცრად მოითხოვს ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების დაცვას, რომელიც ეხება არამხოლოდ აკრედიტაციას. ჩვენ არ მოგვსვლია კონკრეტული პასუხი, თუ როდის მოხდება ეს ყველაფერი. ახლა, როცა მე თქვენ გელაპარაკებით, ამ ქვეყნების ჩამონათვალში ისევ არის აფხაზეთი და ოსეთი (ინტერვიუ ჩაწერილია 13 ოქტომბერს. ავტ.). როცა „სარკე" გამოვა, შეიძლება უკვე აღარ იყოს ასე.

— **ყველაზე დიდი ვნებათაღელვა იმ ინფორმაციამ გამოიწვია, რომ ოლიმპიადის მეჩირაღდნე აგვისტოს ომის „გმირი", რუსი მფრინავი, ივან ნეჩაევი იქნება. ქართველი საზოგადოების დიდმა ნაწილმა ეს ჩვენი ქვეყნისთვის თავზე ლაფის დასხმად აღიქვა.**

— ნეჩაევი იქნება მათ პირველ რიგებში, ვინც ესტაფეტას ჩაუდგება სათავეში. ეს ჩირაღდანი დადის მთელ რუსეთში, ათეულ ათასობით კილომეტრი უნდა გაიაროს და, თუ არ ვცდები, მსვლელობაში 14 ათასი ადამიანი მონაწილეობს. ამ ინფორმაციამ ძალიან დაძაბა ვითარება. ქართველებისთვის ეს იყო ემოციური შოკი. ადამიანთა გარკვეულმა ნაწილმა, რომელიც თვლიდა, რომ ქართველი სპორტსმენები სოჭში უნდა წასულიყვნენ, პოზიცია შეცვალეს. ჩვენთვის კი, რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი აზრი მნიშვნელოვანია.

ჩვენს განცხადებაში წერია, რომ თუ ასე გაგრძელდა, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი იტოვებს უფლებას, 2 მაისის გადაწყვეტილება გადასინჯოს. ზუსტად ასეთი →71

Cyan Magenta Yellow Black

კოკო როინიშვილს და ანი იმნაძეს გოგონა გაუჩნდათ

„ჩემს დას რომ ვუთხარით, პატარა მარიამ როინიშვილი დაიბადა, იმდენი იტირა, ხმა ვერ ამოიღო“

ახალგაზრდა მსახიობების წყვილი, კოკო როინიშვილი და ანი იმნაძე, მშობლები გახდნენ. 4 ოქტომბერს მათი პირველი შვილი — გოგონა მოვევლინა ქვეყანას. ანიმ ქმრის ოჯახს სიურპრიზი გაუკეთა და ბავშვს მამიდის სახელი დაარქვა. ასე რომ, ახლა უკვე ორი მარიამ როინიშვილი ჰყავთ.

ახალბედა მშობლებს კარგად აქვთ გაცნობიერებული შვილზე პასუხისმგებლობა და ისიც, რომ არაერთი უძილო ღამე ელით, მაგრამ ეს არ აშინებთ. თავისი ბედნიერება „სარკეს“ სიამოვნებით გაუზიარეს. კოკომ ქალიშვილთან ერთად ფოტოები სიხარულით გადაიღო.

— ვილოცავთ შვილის დაბადებას, ბედნიერები იყავით თქვენს პატარასთან ერთად! როგორი გოგონა გაჩნდა მარიამ რეინიშვილი?

კოკო: გმადლობთ! 8 დღეა, რაც მშობლები გავხდით (ინტერვიუ 12 ოქტომბერს ჩაიწერა. ავტ.). მარიამი 4 ოქტომბერს 3,5 კილო და 50 სანტიმეტრი დაიბადა.

— ანი, ადვილად იმშობიარეთ?

ანი: 3 ოქტომბერს, დილით, წავედი კლინიკაში, მაგრამ უკან გამომაბრუნეს. მას მერე ორჯერ კიდევ მივედი, მესამე მისვლაზე დამტოვეს და 4 ოქტომბერს, დილის 9-ის ნახევარზე, დაიბადა. ფიზიოლოგიურად ვიმშობიარე, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მინდა, დიდ მადლობა გადავუხადო ჩაჩავას კლინიკას და ექიმ ზურა დარახველიძეს.

— მამა ესწრებოდა შვილის გაჩენას?

კოკო: ანის რომ ტკივილები დაეწყო, ჩემი ნერვიულობაც დაიწყო, მაგრამ ვცდილობდი, ანისთვის ჩემი ღელვა არ მეჩვენებინა. სამშობიარო ბლოკში მთელი ღამე გავატარე, მაგრამ, როცა მშობიარობის პროცესი დაიწყო, ანის თხოვნით, იქაურობა დავტოვე.

ანი: იმ დროს არავინ მინდოდა ჩემ გვერდით ყოფილიყო. ორსულობის დროს კოკოს ვეუბნებოდი, რომ ბოლომდე ჩემ გვერდით დარჩენილიყო, მაგრამ ბოლოს გადავიფიქრე.

კოკო: ანი ტკივილების დაწყებას მომზადებული და მშვიდად შეხვდა.

— ორსულობისაც კარგად ჩაიარა?

კოკო: ანის პრეტენზიები ნაკლებად მახსოვს, თუმცა, თუ რამეს მთხოვდა, მსიამოვნებდა, რომ მის სურვილს ვასრულებდი.

ანი: ახლაც, ხანდახან, მგონია, რომ ორსულად ვარ. 2 დღის წინ ფეხი ფეხზე გადავიდე და მივხვდი, რომ მსგავსი მოძრაობა 9 თვე არ გამიკეთებია. კოკოს ვეხუტებოდი და მუცელს უკან ვწევდი, მეგონა, რომ კვლავ დიდი მუცელი მქონდა და არ მინდოდა, ბავშვი შემეწუხებინა... ნელ-ნელა ვეჩვევი ახალ რეალობას.

— რა ცვლილებები შემოიტანა მარიამმა თავისი დაბადებით თქვენს ოჯახში?

კოკო: ეს ყველაზე რთული კითხვაა, რაც ოდესმე დაგისვამთ. ჩვენთვის აბსოლუტურად ყველაფერი შეიცვალა და არამარტო ოჯახში, არამედ სრულიად სამყაროში. ამ გრძნობის ენით გადმოცემა შეუძლებელია. მის დასახვედრად მთელი 9 თვე ვემზადებოდი.

ანი: ორსულობის პერიოდში სულ ვკითხულობდი და ვეცნობოდი ინფორმაციებს, გამოცდილ მეგობრებს ვეკითხებოდი ჩემთვის საინტერესო რაღაცეებს. ყველაფერი კარგად მქონდა გაცნობიერებული, ამიტომ არაფერი გამჭირვებია. როცა სძინავს, მე და კოკო ვაკვირდებით და გარეგნობაში ჩვენთან მსგავსებას ვეძებთ. როცა იღიმის, კოკოს ჰგავს.

— მამიდის სახელის დარქმევა ვისი იდეა იყო?

ანი: მე გადავწყვიტე, რომ ჩემი შვილისთვის მარიამი დამერქმია. სამშობიარო ბლოკში ჩვენი ოჯახის წევრები რომ შემოვიდნენ და იკითხეს, ვინ დაიბადაო, ვუპასუხე, მარიამი-მეთქი. ბავშვი პირველად რომ დავინახე, მაშინვე გადავწყვიტე, რომ მარიამი დამერქმია.

— უფროსი მარიამ რეინიშვილი ესწრებოდა ძმისშვილის დაბადებას?

კოკო: როცა ანი სამშობიაროში წავიყვანეთ, მარიამმა ჩვენთან ერთად წამოსვლა ვერ შეძლო. გვიანი ღამე იყო და შვილი ვერავის დაუტოვა. დილით დავურეკეთ და რომ ვუთხარით, პატარა მარიამ რეინიშვილი დაიბადა, იმდენი იტირა, ხმა ვერ ამოიღო.

ანის ეს გადაწყვეტილება ძალიან მომეწონა. რამდენიმე ვერსია გვქონდა მოფიქრებული, ხან ქეთევანს ვფიქრობდით, ხან — რას, ხან — რას. ანის გადაწყვეტილება ჩემთვისაც მოულოდნელი იყო.

— ჩვილის მოსაელელად რიღები რიგორ გასაწილეთ?

ანი: როცა ღამით მარიამი საჭმელად იღვიძებს, კოკოც ჩემთან ერთად დგება. დაიწყო უძილობა, მაგრამ ამისთვის მზად ვიყავით. ეს ყველაფერი ძალიან სასიამოვნოა.

კოკო: რაც სამშობიაროდან გამოვიდნენ, ფაქტობრივად მხოლოდ ერთი ღამე გავათენეთ.

ანი: საბედნიეროდ, მარიამი კარგი გოგოა, ბუნებრივ კვებაზეა. თუ არაფერი აწუხებს, მშვიდადაა.

— კოკო, თქვენს ასაკში მამაკაცები ხელშიც კი ვერ იჭერენ შვილებს. თქვენ არ გიჭირთ მასთან ურთიერთობა?

კოკო: მარიამი ხელში ამყავს, თუმცა ძალიან დაძაბული ვარ. როცა კისრის, თავის დაჭერას ისწავლის, ალბათ მერე უფრო გავუთამამდები.

— ცოლქმრული ურთიერთობაში რა სიახლეები შემოიტანა შვილის დაბადებამ?

კოკო: მე გავხდი ძალიან სათნო და ნაზი... (იცინიან).

ანი: ამას სათაურად დაგიწერს!

კოკო: სანამ მარიამი დაიბადებოდა, მე და ანის მანამდეც ფანტასტიკური ურთიერთობა გვქონდა. ახლა ეს ყველაფერი უფრო სხვა გრძნობაა, ჩვენი სიყვარულის ნაყოფი გვიწევს გვერდით. ეს არის სიგიჟე, საოცრება!

ანი: სანამ შვილი გვეყოლებოდა, მანამდეც ასე ვფიქრობდი, რომ ჯერ ერთმანეთისთვის უნდა მიგვეხედა, ყურადღება არ უნდა მოგვეკლო და მერე ყოფილიყო შვილი. როცა ბავშვი იბადება, ქალებს ქმრები ავიწყდებათ და ეს არ არის კარგი. რა თქმა უნდა, მარიამი პრიორიტეტია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კოკომ უკანა პლანზე გადაიწია.

— ოჯახის სხვა წევრები რიგორ დახვდნენ მარიამს?

ანი: თვალებზე ყველას სიხარულის ცრემლები ჰქონდა, ბედნიერები იყვნენ.

კოკო: დიდი მადლობა ჩემს დედა დედიკოს, ანუ ანის დედიკოს, ჩემს დედიკოს, მამიკოს, დას. ისინი ჩვენ გვერდით არიან.

ანი: ელენე (მარიამის შვილი. ავტ.) განსაკუთრებით ელოდებოდა პატარას დაბადებას. როცა ელენემ პატარა მარიამი პირველად ნახა, მკითხა, ეს არის ის, ვინც მუცელში გყავდაო. თავიდან ცოტა იეჭვიანა, მაგრამ ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ, რომ არ იეჭვიანოს და ორჯერ მეტად ვაქებთ და ვადიდებთ.

— ანი, წონაში ბევრი მოიმატეთ?

ანი: ვღორმუცელობდი და ამიტომაც მოვიმატე ასე. ჯერ წონის დარეგულირებაზე ადრეა საუბარი, რამდენიმე დღეა, რაც სახლში ვარ. ჩემს წონას ტრაგედიად არ აღვიქვამ. ბუნებრივია, როცა ქალი ორსულადაა, წონაში იმატებს. სიმსუქნისკენ მიდრეკილება არ მაქვს და ამით ვიმშვიდებ თავს. დიეტის მეშვეობით არ ვაპირებ გახდომას, ვივარჯიშებ და ისე ჩავდგები ფორმაში.

კოკო: მეცხრე თვეში იყო, როცა ანის წონის კონტროლი დავიწყე. ექიმმა გვითხრა, რომ მეტი არ უნდა მოემატა და ამიტომ ვცდილობდი, მისი წონისთვის ყურადღება მიმექცია.

ანი: მინდებოდა ნამცხვარი, ნაყინი. თუ აკრძალვამდე 4 ნაყინს ვჭამდი, აკრძალვის შემდეგ 2 ნაყინს ვჯერდებოდი.

— კოკო, წარმომიდგენია, რეპეტიციიდან სახლში რიგორი სიხარულით ბრუნდებით.

კოკო: სანამ მარიამი დაიბადებოდა, მანამდეც დიდი სიხარულით მოვიჩქაროდი სახლში. ახლა კი ჩემს სიხარულს ყოველდღე ემატება დიდი სიხარული.

ანი: ჩვენ გვიყვარს სახლი და სახლში ყოფნა.

— ანი, მალე აბრუნებთ საქმეს დაუბრუნდეთ თუ ჯერ ამაზე არ ფიქრობთ?

ანი: რა თქმა უნდა, მალე დავუბრუნდები ჩემს საქმეს!

კოკო: მაქსიმუმი, 2 თვეში ანი ფორმაში იქნება და შეძლებს, თავის საქმეში აქტიური იყოს. ამ ყველაფერში მე შევუწყობ ხელს.

— თქვენი ოჯახი წელიწადსახევარს ითვლის. რიგორ შეაფასებთ ერთად გასულილ პერიოდს?

კოკო: თებერვალში ჩვენი შეუღლებიდან 2 წელი ხდება და ამ პერიოდს საუკეთესოდ ვაფასებ, უფრო და უფრო მძაფრდება გრძნობა, რასაც სიყვარული ჰქვია. ჩემი შვილი პირველად რომ დავინახე, მივხვდი, რა არის ბედნიერება. ანი და მარიამი ჩემი ბედნიერება, ჩემი ცხოვრების აზრია.

ანი: არ მიყვარს ამ თემაზე საუბარი, ერთს გეტყვით: ბედნიერი ვარ, რომ კოკო ჩემი მეორე ნახევარია და ახლა ჩვენ გვყავს დიდი სიყვარული — მარიამი.

— კიდევ ერთხელ ბედნიერებას გისურვებთ.

კოკო: ორივე დიდ მადლობას გიხდით!

✓ ლანა კენჭაძე

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიანური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65. ქალბატონი ქეთათო

Cyan Magenta Yellow Black

„ცოლად მხიარული კაცს გავყევი, ხოლო კი ოქმული და კომპლექსიანი ქმარი შემხვდა“

ს აკმაოდ შეგნებულ ასაკში გავთხოვდი — 23 წლის ვიყავი. ყველაფერი გაცნობიერებული მქონდა, ოჯახს რაც დასჭირდებოდა. კარგად ვიცოდი, ყველაფერი ვარდისფერებში აღარ იქნებოდა და ბევრი დაბრკოლების გადალახვა მომიწევდა, მაგრამ ცოლქმრული ცხოვრება იმაზე რთული აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდი.

მიყვარდა და ვუყვარდი. მეგონა, მისი მესმოდა და ისიც ყველაფერში მიგებდა. ძალიან მხიარული, აქტიური ვიყავი. უამრავი მეგობარი მყავდა და ყოველი დილა იმით იწყებოდა, საღამოს რომელ დაქალთან წავსულიყავი, როგორ გვემხიარულა. ხშირად ჩვენი გართობის ორგანიზატორი ჩემი შეყვარებული იყო. ისიც არანაკლებად ერთობოდა. ყველა დაქალი ამბობდა, რა ბედნიერი ხარ, რომ გვერდით ასეთი ადამიანი გყავსო.

გათხოვების შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ჩემი ქმარი აბსოლუტურად სხვა ადამიანი იყო. მისი მხიარული ხასიათი მხოლოდ ნიღაბი აღმოჩნდა. სინამდვილეში ძალიან მძიმე პიროვნებაა. თავიდან არ ვიჯერებდი, რომ ასეთი იყო. მეგონა, ხუმრობდა, როცა ჩვენს საუბრებს სერიოზულ სახეს აძლევდა და ყვირილს იწყებდა. შეუღლებიდან ერთი თვის შემდეგ სახეში გამარტყა და მაშინ მივხვდი, რომ მართლა სხვა ადამიანს გავყევი ცოლად.

ჩემი სამეგობროს შეკრების და ჩვენი გართობის მთავარმა ორგანიზატორმა, ანუ ჩემმა ქმარმა, დაქალებთან ურთიერთობა ამიკრძალა. ისინი, ვინც მისთვისაც მეგობრები იყვნენ, დაქორწინების შემდეგ მიუღებელნი აღმოჩნდნენ. მითხრა, რომ ისინი ჩვენს სახლში არასოდეს მოვიდოდნენ. როცა ვუთხარი, თუ არ მოგწონდა, მაშინ მათთან რატომ მეგობრობდი-მეთქი, მიპასუხა, შენთან დაახლოება სხვანაირად ვერ მოვახერხეო. მართლა ეშმაკურ ხერხს მიაგნო. უხერხული კი არის თავის ქება, მაგრამ გარეგნობით ბევრისგან გამოვირჩეოდი. ერთხელ სილამაზის კონკურსის შესარჩევ ტურშიც კი გავედი. ჩემ გარშემო უამრავი თაყვანისმცემელი ტრიალებდა, მაგრამ მხოლოდ მან შეძლო ჩემი ყურადღების მიქცევა. რა უნდა გვეთქვა, რომ ჩვენთვის სურვილი არ შეესრულებინა. ხან სად დავყავდით, ხან — სად.

ჩემებს პირველად რომ გავუმხილე, მიყვარდა, გადაირივნენ. მითხრეს, გარეგნობით სულ არ შეგეფერებაო. მე კი ვუმტკიცებდი, შეხედულებას ყურადღებას ნუ მიაქცევთ, რომ გაიცნობთ, თავისი ხასიათით თავს შეგაყვარებთ-მეთქი. თურმე როგორ ვცდებოდი!

ყველა მეგობარი ჩამომაშორა, უფრო მეტიც, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ დამაპატიმრეს. მარტოს არსად მიშვებს, ყველგან თან დამყვება, დედასთანაც კი. მისი თანდასწრებით უნდა ველაპარაკო დედას, მამას, ძმას, რძალს. თუ ისე მოხდა, საუბრის დროს იქ არ არის, გიჟდება. სახლში მისულს საშინელ დღეში მაგდებს, ჰგონია, რომ ჩემებს მასზე ვეჭორავები. სულ იმის კომპლექსი აქვს, რომ არავის მოსწონს და ამიტომ მასზე ცუდ რაღაცეებს მელაპარაკებიან. ისე, მართალიც არის, ის არავის მოსწონს, თავისი საქციელით ყველას შეაძულა თავი. მეუბნებიან, ასეთ უქმურთან როგორ ძლებო.

შვილი მყავს, რომელიც ამ საშინელ ყოფაში მაძლებინებს. როცა ძალიან ცუდად ვარ, მას ვიხუტებ გულში და ყველაფერი მავიწყდება. ქმარს თითქმის არ ველაპარაკები. ზოგჯერ დღე ისე გადის, ზედიზედ ორ სიტყვას არ ვეტყვი. პატარა მიზეზს რომ ნახულობს, მაშინვე ყვირილს იწყებს, ხელით მეხება.

ალბათ გაინტერესებთ, მისგან რატომ არ ვითავისუფლებ თავს. არ შემიძლია და იმიტომ. ჩემს მშობლებს ბოლო პერიოდში ურთიერთობა დაეძაბათ. მათ ცოლქმრობაში სერიოზული ბზარი გაჩნდა... ეს იმდენად რთული საკითხია, რომ ამაზე დაწერა არ მინდა. მათ პრობლემებს ჩემსას ვერ მივუმატებ. ჩემი ძმა ისედაც ლამის ჭკუიდან გადავიდეს და ჩემს ჯავრს ვეღარ ავკიდებ.

ქმარმა ჩემი ოჯახის მდგომარეობა კარგად იცის და ამით სარგებლობს. არ გეგონოთ, მართლა იმ მხიარულ დღეებს მივტირი. ისეთი განწყობა მაქვს, რომ მეგობრებთან ძალითაც ვერ გამაგდებს, მაგრამ მინდა, ადამიანური სითბო მქონდეს. ქმრისგან სიყვარულს ვგრძნობდე, რასაც ვერ ვეღირსე.

თქვენი ერთგული მკითხველი

„წლების წინ მე სხვას დავუნგრიე ოჯახი. ახლა კი ჩემს შვილს წაართვეს ქმარი“

ს ანამ საკუთარ ტყავზე არ გამოცდი იმ დანაშაულის სიმწარეს, რაც სხვის წინაშე ჩაიდინე, მანამ ბოლომდე ვერ გააცნობიერებ, რაც გააკეთე. მე ცხოვრების ზუსტად იმ ეტაპზე ვარ, როცა ჩემს წარსულს, გადადგმულ ნაბიჯებს ვაანალიზებ და ვფიქრობ, რა შეცდომები დავუშვი. უცოდველი არავინაა, მაგრამ ისეთი რამ არ უნდა გააკეთო, რომელიც ადამიანს გააუბედურებს. მე კი სწორედ ასეთი დანაშაული ჩავიდინე. ჩემმა გადაწყვეტილებამ ბევრი ადამიანი დააზარალა.

25 წლის გოგოს ერთი მამაკაცი შემიყვარდა, რომელსაც ცოლიც ჰყავდა და შვილიც. მასაც ძალიან ვუყვარდი. ერთად თავს ძალიან კარგად ვგრძნობდით. ეს რომანი შეიძლებოდა ისე დამთავრებულიყო, ჩვენი ურთიერთობის შესახებ არავის გაეგოთ, მაგრამ ჯერ ჩემმა დაქალმა გაიგო, მერე მან სხვას უთხრა, ბოლოს კი მისი ცოლის ყურამდე მივიდა. დაიწყო სკანდალები, ჩხუბი... მე თავს ვიმართლებდი, რომ მიყვარდა და მის გარეშე არ შემეძლო, რომ გრძნობას ვერაფრით მოვერიე. ახლა კი ვფიქრობ და დარწმუნებულიც ვარ, სხვები რომ არ ჩარეულიყვნენ, შეიძლებოდა ისედაც დავშორებოდით ერთმანეთს, რადგან ჩვენ შორის ისეთი ვნება აღარ იყო, როგორიც სიყვარულის პირველ ეტაპზე, თავდასხმებმა კი უფრო გაგვაძლიერა.

ეს ყველაფერი დიდიხნის წინ ხდებოდა. მაშინ საზოგადოება უფრო მკაცრი იყო. ახლა ასეთი ამბები შეიძლება ყოველდღე მოისმინო, მაგრამ მაშინ იშვიათი იყო. მთელი რაიონი ჩვენი ისტორიის მოყოლით ირთობდა თავს. უცნობი თუ ნაცნობი ამაზე ლაპარაკობდა. როგორც გითხარით, თავდასხმებმა ჩვენი სიყვარული უფრო გააძლიერა, გრძნობამ თითქოს თავიდან იფეთქა.

საბოლოოდ ჩემს საყვარელ მამაკაცს ოჯახი დაენგრა და მისი ცოლი გავხდი.

გეტყვით, როგორც ქალი, რას ვგრძნობდი. მანამდე რომ მეგონა, უბედნიერესი ვიქნებოდი, პირიქით მოხდა. ჩვენს ურთიერთობას ბედნიერების ნიშანწყალი არ ეტყობოდა. დამღასავით მოგვყვებოდა ის, რაც წარსულში ორივემ ჩავიდინეთ. მართალია, ამაზე ერთმანეთთან აღარ ვლაპარაკობდით, მაგრამ ზუსტად ვიცი, ჩემი ქმარიც ნანობდა თავის საქციელს და არც მე ვიყავი კარგ დღეში. ასე თუ ისე, დღემდე ოჯახი გვაქვს და ერთმანეთს პატივს ვცემთ.

ორი გოგონა შეგვეძინა. უფროსი ორი წლის წინ გათხოვდა. ახლა კი საშინელი რამ შეემთხვა. მასაც ზუსტად იგივენაირად მოექცნენ, როგორც მე მოვექეცი ჩემი ქმრის პირველ ცოლს. ერთმა ქალმა ჩემს შვილს ქმარი წაართვა. ჩემი გოგონა საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ისე ინერვიულა, თავის მოკვლაც კი სცადა და, უფლის წყალობით, გადავარჩინეთ. მისი მოძღვრის მადლიერი ვარ, რომ ცხოვრებისკენ მოახედა და იმედი გაუჩინა.

ყოფილი სიძისთვის არც მე მითქვამს რამე და არც ჩემს ქმარს. ან რა უფლება მქონდა, მის საქმეში ჩავრეულიყავი, თავის დროზე ხომ ჩვენც მსგავსი ნაბიჯი გადავდგით? ჩემი ქმრის ყოფილმა სიდედრმა შემომითვალა, როგორი ყოფილა ეგ სიმწარე, ახლა ხვდები, მე რა დღეში ჩამაგდეო. მისი თქმა არ მჭირდებოდა. დანაშაულის შეგრძნება ისედაც მთელი ცხოვრება მომყვება.

თქვენი ერთგული მკითხველი

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე
ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.
თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:
1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დაანკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.
1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე:irmchedlidze@mail.ru
ანონიმურობა დაცულია

Cyan Magenta Yellow Black

„იმის გამო, რომ შვილს მამამთილის სახელი არ დავარქვი, ქმრმა სამშობიაროში მიმატოვა"

ერთ ჟურნალში ერთ-ერთი გინეკოლოგი იხსენებდა მელოგინეების ისტორიებს, იმ მომენტში მათი ოჯახის წევრების რეაქციებს. ამ წერილმა მიბიძგა, ჩემი ამბავი მომეყოლა.

ახალგათხოვილს დედამთილ-მამამთილი თან მყვებოდნენ, ყველაფერს მიკეთებდნენ. თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობდი, ქმარიც თვალებში შემომცინებდა.

ბიჭი გამიჩნდა. როცა მკითხეს, რა უნდა დაარქვაო, ვუთხარი, რომელი სახელიც მომწონდა. ჩემი ქმარი პალატაში შემომივარდა, მითხრა, მამაჩემის სახელს ვარქმევო. ჩემს მამამთილს ძალიან ძველმოდური სახელი ერქვა, თანაც იმდენად, რომ სანათესაო ამაზე ხშირად შაყირობდა. ყურებს არ ვუჯერებდი, ქმარმა ასეთი ულტიმატუმი რომ წამომიყენა. ძალიან მძიმე მშობიარობა მქონდა, განერვიულებული ვიყავი. ამიტომ ნერვები ვერ მოვთოკე და ვუთხარი, რომ შვილს იმ სახელს არ დავარქმევდი. ისეთი შელაპარაკება მოგვივიდა, ჩემი ქმარი ექთანმა გარეთ გააგდო. მერე დედამთილმა გამომიგზავნა პრეტენზიებით სავსე წერილი. მასაც ვუპასუხე, რომ შვილი ჩემი იყო და, რაც მინდოდა, იმას დავარქმევდი. ამაზე კი მიპასუხეს, თუ შენი შვილია, მაშინ შენ თვითონ მიხედეო. მერე გავიგე, რომ ჩემს მშობლებთან სერიოზულად უჩხუბიათ. თურმე მამამთილმა დედაჩემზე გაიწია, ხელის დარტყმა უნდოდა. მამაჩემმა კი ეს არ აპატია და ხელჩართული ბრძოლა გამართულა.

მოკლედ, იმის გამო, რომ შვილს მამამთილის სახელი არ დავარქვი, სამშობიაროში მიმატოვეს. ქმარმა შემომითვალა, შენი დანახვა არ მინდაო. შვილის დაბადებით გამოწვეული სიხარული ამ ყველაფერმა გადაფარა. თავს საშინლად ვგრძნობდი, დეპრესიაში ჩავვარდი. ლოგინიდან არ ვდგებოდი, ბავშვს ძუძუს არ ვაჭმევდი. მისი ტირილიც კი ისტერიკაში მაგდებდა. მთელი სამი თვის განმავლობაში ბავშვს ჩემი და უვლიდა. მან თავის სახლში წაიყვანა და იქ ზრდიდა, რადგან მე მისი დანახვაც არ მინდოდა. ის ტრავმა, რაც მაშინ მივიღე, ბოლომდე ახლაც არ მაქვს მოშუშებული.

მერე ჩვენს ურთიერთობებში მთელი სანათესაო ჩაერია. ჩემი ქმრის ოჯახმა, როგორც იქნა, გული მოიბრუნა ბავშვისკენ, მაგრამ მე ვიყავი საშინელ დღეში, მათი დანახვა არ მინდოდა.

ნევროპათოლოგებთან, ფსიქოლოგებთან, ექიმბაშებთან დამატარებდნენ. ბოლოს დამემუქრნენ, თუ ჭკუაზე არ მოხვალ, ფსიქიატრიულში დაგაწვენთო. იქ მიმიყვანეს კიდეც, რომ შემშინებოდა. ამის შემდეგ მართლა ცოტა გამოვფხიზლდი, მივხვდი, რომ ჩემი თავისთვის სასიკვდილო განაჩენი გამომქონდა. შვილს თანდათან შევეჩვიე. ქმარსაც შევურიგდი.

ახლა სამი შვილის დედა ვარ და ჩემი ბავშვების გარეშე ერთ წუთსაც ვერ ვძლებ. სულ ვფიქრობ, რამ გამაძლებინა ჩემი ახალდაბადებული შვილის გარეშე, როგორ მოვიგლიჯე მკერდიდან, ჩემს დას როგორ გავატანე. მის წინაშე სულ დანაშაულის შეგრძნება მაქვს, რომ ძუძუც კი არ ვაჭამე.

ასე რომ, ასეთი თემები ხშირად სასაცილო კია, მაგრამ ამ ანეკდოტური ამბების უკან ადამიანური ტრაგედიები იმალება. ვითომ ხომ სასაცილო სიტუაცია შექმნეს ჩემებმა, მაგრამ მე სიკვდილის პირამდე მიმიყვანეს. ახლა, ამას რომ ვწერ, იარა თითქოს განმიახლდა.. ქმრის ოჯახის წევრებთანაც ისეთი ურთიერთობა აღარ მაქვს, როგორიც ადრე. ჩვენ შორის თითქოს რაღაც ზღვარი გაჩნდა, რომელიც ვერც მე გადავლახე და ვერც — მათ. მეორე შვილს დედამთილის სახელი დავარქვი, მაგრამ ძველი ურთიერთობა ამანაც ვერ აღადგინა. მესამეც გოგო მეყოლა, თორემ ვაპირებდი, მამამთილის სახელი დამერქმია. ვფიქრობ, ალბათ საჭირო არც იყო ასეთი სიჯიუტე. ქმრის მამას თუ ასე უნდოდა, შვილიშვილს მისი სახელი რქმეოდა, დამერქმია, ამაში ცუდი რა იყო? მეოთხე ბავშვს თუ გავაჩენ და ბიჭი იქნება, მის სახელს აუცილებლად დავარქმევ. ამ ოცნებას შევუსრულებ.

„სარკის" ერთგული მკითხველი

„ჩემი სიმსუქნის გამო ყველა გოგომ ზურგი შემაქცია"

გამარჯობა! მე ვარ 22 წლის ბიჭი, მაგრამ ცხოვრებაზე უკვე ხელი მაქვს ჩაქნეული. ვინც მიყვარდა ან მომწონდა, ყველამ ზურგი შემაქცია. ეს ალბათ იმიტომ ხდება, რომ ჭარბი წონა მაწუხებს და ისეთი სამსახური მაქვს, რომ ფორმაში ჩადგომას ვერ ვახერხებ. ყველა ქალი შემძულდა და აღარ ვაპირებ ცოლის მოყვანას. შეიძლება ყველა ეგეთი არ არის, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ჩემს ცხოვრებაში ასე ხდება, ასეთები ჩნდებიან.

ჩემი რჩევა იქნება: გოგოებო, მხოლოდ გარეგნობას ნუ შეხედავთ, მამაკაცში სხვა რამეც ეძებეთ!

თქვენი ერთგული მკითხველი

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

«თავისუფლებას არაფერი სჯობია»

გამოხმაურება

ჟურნალ „სარკეში" წავიკითხე წერილი — „ქმრის დეპრესიას ვეღარ ვუძლებ". მინდა გითხრათ, რომ გულით წავიკითხე თქვენი ისტორია და რჩევის მოცემაც გადავწყვიტე. თუ თქვენი ანაზღაურება საკმარისი იქნება, რომ შვილის რჩენა შეძლოთ, იცხოვრეთ დამოუკიდებლად. თავისუფლებას არაფერი სჯობია.

„სარკის" ერთგული მკითხველი

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება. საჭირო გამოკვლევები უფასოა! ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0. ქ-ნი ქეთევანი

☎ 599-90-54-78, 234-02-38

Cyan Magenta Yellow Black

ეკა ბერიძე: „ჩვენი მედიასივრცე ისევ ნაციონალების კონტროლქვეშაა!“

„სახტად დავჩჩი, როცა ჩამდენიმე ტელეეთერში ჩემი ლანძღვა მოვისმინე“

ტელეჟურნალისტი ეკა ბერიძე ეკრანზე, როგორც წამყვანი, ჯერჯერობით აღარ გამოჩნდება. „მეცხრე არხის“ დახურვის შემდეგ „პირველ არხთან“ აწარმოებდა მოლაპარაკებებს, მაგრამ კონტრაქტი არ შედგა.

ამჟამად კერძო კომპანიის, „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერის“ დირექტორის მრჩეველია პიარისა და მარკეტინგის საკითხებში. საზოგადოებრივ მაუწყებელზე კი ამბობს, რომ იქ ყველაფერი ისევ ისეა, როგორც გასულ საუკუნეში იყო.

— ეკა, „მეცხრე არხის“ დახურვის შემდეგ ვრცელდებოდა ხმები, რომ „პირველ არხზე“ იწყებდით მუშაობას. ჟურნალისტიკიდან წყლის კომპანიაში როგორ აღმოჩნდით?

— ეს არის კერძო კომპანია და ბიზნესიც კერძოა. კარგა ხანია აქვს თავისი პიარის დეპარტამენტი და ამ მიმართულებით გაძლიერებას აპირებდნენ. ერთ-ერთი მისი მფლობელი შემხვდა და მითხრა, რომ ჩემთან თანამშრომლობის სურვილი ჰქონდა. ეს ის პერიოდი იყო, როცა „პირველ არხთანაც“ მქონდა მოლაპარაკებები. ტელევიზიაში მისვლა გადავიფიქრე და აქ წამოვედი.

მე ვსწავლობდი ბიზნესის მაგისტრატურაში და ეს სფერო ჩემთვის უცხო არ არის. ერთი კვირაა, რაც მუშაობა დავიწყე (ინტერვიუ ჩაწერილია 11 ოქტომბერს. ავტ.) და საკმაოდ საინტერესოა.

— ტელეჟურნალისტიკაზე გული არ გწყდებათ?

— ამ სფეროში გაცილებით ნაკლები ინტრიგა და გაცილებით ჯანმრთელი სიტუაციაა, ვიდრე მედიაში. ამ მხრივ „პირველი არხი“ გამოირჩეოდა, როცა იქ ვმუშაობდი. რომ მივდიოდი, ოთახში შევიკეტებოდი და გარეთ მაშინ გამოვდიოდი, როცა გადაცემა უნდა წამეყვანა. არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ მედიას უფრო ახასიათებს, ვიდრე სხვა სფეროებს.

— „მეცხრე არხსა“ და „მაესტროზეც“ თავს იკავებდით კოლეგებთან ურთიერთობისგან?

— ვისაც ჩემთან ერთად უმუშავია, დამემოწმება, რომ სადაც ვმუშაობ, იქ საკუთარ ავტონომიას ვქმნი და ვცდილობ, არ გავითქვიფო თანამშრომლებში. როგორც წესი, დიდად ინტეგრირებული არ ვარ ყველასთან. „მეცხრე არხზე“ მქონდა ჩემი ავტონომია, თუმცა იქ ჩემი მეგობრები მუშაობდნენ. როცა მათი ნაწილი წავიდა, მე ისევ ის გზა ავირჩიე, რომელიც მქონდა. „რუსთავი 2“-ში კი ინტრიგების ადგილი არ იყო. არ არსებობდა ცალკე ოთახი და მე და გიორგი სანაია ვისხედით სხვებთან ერთად. არც „მაესტროზე“ ყოფილა ინტრიგები, თითქმის ყველასთან თბილი ურთიერთობა მქონდა.

— შეგიძლიათ გვითხრათ, „მეცხრე არხზე“ რა პროცესები განვითარდა?

— მფლობელმა შეცვალა მენეჯმენტი. მიზეზები ალბათ ჩემთან არ არის გასარკვევი, რადგან ცალსახა პასუხი არ მაქვს. კახა (ბექაური, ეკას მეუღლე. ავტ.) ასე ფიქრობდა — არჩევნების შემდეგ იმდენად აღარ დასჭირდებოდა ამ არხს, რამდენადაც მანამდე სჭირდებოდა. ახალი მენეჯმენტის მოსვლას წაჰყვა ის ინტელექტუალური ბირთვი, რომელიც იქ მუშაობდა. შესაძლებელია, სხვა მენეჯერი რომ მოსულიყო, დარჩენილიყვნენ. მე ბევრი ფაქტორიდან გამომდინარე, მივიღე გადაწყვეტილება, რომ დავრჩენილიყავი. ჩემთვის ბევრი არაფერი იცვლებოდა, გარდა იმისა, რომ, თუ არხი უარესობისკენ წავიდოდა, ეს ჩემი გადაცემის რეიტინგზეც აისახებოდა. არხი გახდა უარესი, აჯაფსანდალი გაკეთდა, სრულიად გაუგებარი გადაცემებით, კონცეფცია აღარ ჰქონდა. რეიტინგიც ძალიან დაეცა. რაც უნდა იძახოს მაშინდელმა ხელმძღვანებობამ, რომ მაღალი რეიტინგი ჰქონდათ, ტყუილია.

— თქვენს გადაცემას როგორი რეიტინგი ჰქონდა?

— როცა გადაცემას ვიწყებდი, რეიტინგებში მეოთხე ადგილიდან ვიწყებდი და პირველ ან მეორე ადგილზე ავდიოდი. არხს სხვა მიზეზების გამოც ჰქონდა დაბალი რეიტინგი — გავრცელების შეზღუდული არეალის გამო.

— თუმცა ეკა ბერიძე, როგორიც მაყურებელს „რუსთავი 2“-დან თუ „პირველი არხიდან“ ახსოვდა, გარკვეულწილად აღარ იყო ისეთი. ხშირად პოლემიკის გარეშე, მონოლოგის რეჟიმში მიგყავდათ გადაცემა.

— ვერ დაგეთანხმებით. ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები ჩემს ეთერში არ მოდიოდნენ. ხშირად დისკუსიის წარმართვა მიხდებოდა ექსპერტებთან. შესაბამისად, კამათის რეჟიმი ჩემთვის არაადეკვატური იქნებოდა. „ოცნების“ წარმომადგენლები არ სხდებოდნენ სხვა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებთან და ა.შ. ჩემი ძლიერი მხარე არის ჰარდ თოქის (მძიმე საუბრის. ავტ.) რეჟიმი — ერთ სტუმართან ინტერვიუ. ეს ძალიან მიყვარს და, მგონია, რომ ყველაზე კარგად გამომდის. არჩევნების შემდეგ პერიოდში გარკვეულ თემებს სიმწვავე არ ჰქონდა. ახლა რომ ვიყო ეთერში, ხელისუფლების წარმომადგენლებთან უფრო მეტი მწვავე კითხვა მექნებოდა, რადგან ბევრი თემა მომწიფდა და ბევრი კითხვა მაქვს.

— ლუბა ელიაშვილი გემდურეოდათ, თავლით არ მინახავს და, მაგალითად, ისე წავიდა შეებულებაში, არავისთვის უკითხავსო.

— ვინ არის ლუბა ელიაშვილი?! მე ეგეთს არავის ვიცნობ!

— ლუბა ელიაშვილი მაშინ, როცა „მეცხრე არხზე“ ტოქ შოუ მიგყავდათ, ამ არხის ხელმძღვანელი იყო.

— მაგრამ მე არ მიმაჩნდა, რომ ის იყო ჩემი ხელმძღვანელი ან შეიძლებოდა ყოფილიყო. არ მიმაჩნია, რომ კვალიფიკაციის დონით ან რაიმე სხვა კრიტერიუმით, ლუბა ელიაშვილი ჩემი ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო. ჩემთვის ეგ ადამიანი არ არსებობს! არიან ადამიანები, რომლებსაც ჩემს კოლეგებად არ მივიჩნევ. ასეთი არაერთია და მათ შორის ისინი, ვინც ამბობდნენ, რომ თურმე ისინი საზოგადოებრივი მაუწყებლიდან ჩემ გამო გაუშვეს, მაგალითად, ეკა კვესიტაძე და დავით პაიჭაძე. არც მათ მივიჩნევ ჩემს კოლეგებად და არც ჟურნალისტებად ვთვლი, რადგან ისინი იაფფასიან პიარს აწყობდნენ ჩემს სახელზე. ვინც მედიაში ამა თუ იმ მხარეს წარმოადგენს, ჩემს კოლეგებად არ ვთვლი! არაპროფესიონალიზმს ემატება ადამიანური ფაქტორები, რომლებიც გარკვეულ ფარგლებში უნდა ეტეოდეს. როცა ამ ტყავიდან გადიხარ, ჩემი კოლეგა აღარ ხარ!

> „არიან ადამიანები, რომლებსაც ჩემს კოლეგებად არ მივიჩნევ, მაგალითად, ეკა კვესიტაძე და დავით პაიჭაძე, მათ არც ჟურნალისტებად ვთვლი“.

— „პირველ არხზე“ რატომ არ დაიწყეთ მუშაობა, რამ შეგიშალათ ხელი?

— გიორგი ბარათაშვილთან („პირველი არხის“ ყოფილი გენდირექტორი. ავტ.) მქონდა მოლაპარაკება. ვსაუბრობდით კონკრეტულ, ძალიან საინტერესო ფორმატზე, მაგრამ ამაზე საჯაროდ არ ვილაპარაკებ, რადგან არ მინდა, ვინმემ დაგვასწროს. იმედს ვიტოვებ, ოდესმე ამას გავაკეთებ. ეს არ იქნებოდა ჩვეულებრივი ტოქ შოუს ფორმატი, რომელიც დღეს ყველა არხზე გადის და მეც კი აღარ შემიძლია მათი ყურება, არათუ მაყურებელს. ბარათაშვილი ბორდმა მოხსნა და ვეღარ აეწყო ეს ურთიერთობა, რადგან ვერ გავიგე, ჩემგან რა უნდოდათ.

„პირველი არხის“ შენობაში რომ შევედი, ვნახე ისევ ისეთი სიტუაცია, რაც 15 წლის წინ იყო — დამტვრეული იატაკი, იგივე ადამიანები, იგივე სიტუაცია. იქ დრო გაჩერებულია და მივხვდი, რომ ვერ ვიმუშავებდი. სრული გამყინვარებაა. იმ ადამიანებისაც არ მესმის, ვინც გულდაწყვეტილი არიან, რომ გადაცემები დაუხურეს. არავის ეგონოს, იქ იმიტომ არ წავედი, რომ ვიღაცამ რაღაც დამაბრალა. ზუსტად ვიცი, რომ ამ ტელევიზიის ხელმძღვანელობა იმ წამყვანებს ეუბნებოდა, რომ მე უნდა მივსულიყავი და მათ იმიტომ ათავისუფლებდნენ, ის წამყვანებიც იმავეს იმეორებდნენ. ახლა ეკა მიშველაძეზის იმ ეთერში და მიმაჩნია, რომ ეს წამყვანი სრულიად შესაფერისია ამ არხისთვის. მასზე რეაქცია რატომღაც არ ყოფილა.

— გამოდის, მათი საეთერო დრო მართლა უნდა დაგეკავებინათ.

— არ ვიცი. არანაირი პრეტენზია არ მქონია კონკრეტულ დროსთან დაკავშირებით. ჩემი გადაცემა თავისუფლად შეიძლებოდა გასულიყო 7 საათიან თუ 11 საათიან ზოლში. ვინმეს ტოქ შოუს მოხსნის ჩემთან დაკავშირება დიდი ტყუილი და უსინდისობაა. გონიერი მენეჯმენტის პირობებში საეთერო დრო ყველასთვის საკმარისი იქნებოდა. სახტად დავრჩი, როცა რამდენიმე ტელეეთერში ჩემი ლანძღვა მოვისმინე.

— ისინიც გდებდნენ ტენდენციურობაში ბრალს და ამის მიზეზად იკანაშვილის არხზე მუშაობას ასახელებდნენ.

— ყველა ტელევიზია მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნოდა გასული 9 წლის განმავლობაში და ამიტომ, ვინც ამ არხებზე მუშაობდა, ყველას ხაზი გადავუსვათ?! მაყურებელი გადაუსვამს ტენდენციურ ჟურნალისტებს ხაზს.

Cyan Magenta Yellow Black

ალექსიშვილის კლინიკა

ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა უსწრაფესი ეფექტით

ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები) პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ ეფექტს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.

ირმა ღოღოგერიძე (38 წლის, პედაგოგი. თბილისი).

დიაგნოზი – წელის მალების დისკოპათია. L5-S1 – პროლაფსი.

– მე და ჩემი ტკივილი 6 წელი „მეგობრულად“ ვცხოვრობდით. მუდმივად გამაყუჩებლებს ვიღებდი და ის მაძლებინებდა. ზამთარში გავცივდი და ტკივილებმა მომიმატა – წელიდან თეძოში და იქიდან ფეხში გადამეცემოდა. უბნის ექიმმა დიკლოფენაკის ნემსები და სხვა უამრავი რამ დამინიშნა. არ მიშველა. შემდეგ ანოდინ-დულაი გამაკეთებინა. სამი დღე ცოტა უკეთესად ვიყავი, მერე კი ისევ გამიმწვავდა. ამას მოჰყვა ფიზიო, მაგრამ, უშედეგოდ. ბოლოს ადგილს ვეღარ ვპოულობდი, პოზას ვერ ვპოულობდი, რომ შვება მენახა. ნათესავმა აქეთ მომასწავლა. არც კი მჯეროდა, როცა პირველივე პროცედურის შემდეგ გასაოცარი შვება ვიგრძენი, ხოლო ოთხ დღეში ყველა ტკივილი გამიქრა. თითქოს თავიდან დავიბადე, თავი სიზმარში მეგონა...

ნატალია ოგანეზოვა *(47 წლის, მხატვარი. მოსკოვი).*

დიაგნოზი – კისრის ოსტეოქონდროზი, პლექსიტი.

– (თარგმანი) მე რუსეთიდან ჩამოვედი. მეუღლე ქართველი მყავს. ეს პრობლემა დიდი ხანია, მაწუხებს. მტკიოდა მხარი, კისერი, მკლავი. მკურნალობის უამრავი მეთოდი მოვსინჯე – დაწყებული ჩინური ნემსებით, მედიკამენტური ბლოკადებით დამთავრებული, თუმცა, შედეგი ყოველთვის არადამაკმაყოფილებელი იყო. ბოლოს ტკივილი მარჯვენა მკლავში გადავიდა და კინაღამ ჩემს პროფესიას დავემშვიდობე... ახლობლებმა თბილისიდან დამირეკეს და ამ კლინიკაში მირჩიეს ჩამოსვლა. წინა კვირას დავიწყე სეანსებზე სიარული და პირველივე ჯერზე ვიგრძენი შეღავათი. დილით რომ გავიღვიძე, მტკივნეულ მხარზე ვიწექი, მაგრამ – არანაირი შეგრძნება. ტკივილების სრულ მოხსნას 4-5 დღე დასჭირდა. ერთდროულად მუშაობდა აპარატები, მედიკამენტები, მანუალური თერაპია, ფიტოთერაპია, ჰომეოპათია, მალამოები... სწორედ ამ კომპლექსურმა მკურნალობამ გამოიღო არაჩვეულებრივი ეფექტი. ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას ვუსურვებ მანანა ექიმს!

ბუასილი მარტივად იკურნება

მტკივნეული კვანძები, ნვა, ქავილი, სისხლდენა, ნაპრალი, კოლიტი, დისბაქტერიოზი – ეს ის პრობლემებია, როდესაც პაციენტი უხერხულობის გამო ექიმთან მისვლას ერიდება, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. გამოსავალი არსებობს – ბუასილი იკურნება ალექსიშვილის კლინიკაში, თანაც, მარტივად, სწრაფად და ყოველგვარი ქირურგიული ჩარევის გარეშე!

ცირა ნოზაძე *(34 წლის, დიასახლისი).*

– კვანძები და ტკივილები მშობიარობის შემდეგ მაწუხებს, შეკრულობა კი – თითქმის ბავშვობიდან. შარშან ნაღვლის ბუშტის ოპერაცია გავიკეთე და უარესად დამერღვა ნაწლავების ფუნქცია. აფთიაქის ყველა მალამო და სანთელი გამოვცადე, ვყლაპე „სენადე“ და „ბისაკოდილი“, მაგრამ, ნორმალური შედეგი ვერ მივიღე, აქ კი ყველაფერი ძალიან მარტივად მოგვარდა. ორი კურსი ჩავამთავრე და – არანაირი ტკივილი, არანაირი კვანძები. ეფექტი პირველივე დღეებიდან ვიგრძენი. მადლობა ჩემს ექიმებს – ქალბატონ მანანას და ბატონ სოსოს!

გელა მიმინოშვილი, *39 წლის (მძღოლი, თბილისი).*

– 2009-ში ოპერაცია გავიკეთე. წელსაც იგივე მეშუქრებოდა, რომ არა ეს ხალხი. საკმაოდ ძლიერი სისხლდენები მქონდა. ნაპრალი დამიდგინდა და, ასევე, კვანძიც. ტკივილი იმდენად ძლიერი არ იყო, რამდენადაც დამასუსტა. რაც აქ მოვედი, ჰემოგლობინი 10 დღეში 52-დან 68-მდე ავიდა, სისხლდენა თავიდანვე შეწყდა და კვანძებმაც საგრძნობლად იკლო. დღეს მეორე კურსის წამლები მიმაქვს, თუმცა, უკვე აღარაფერი მაწუხებს. შარშანწინ ჩემმა ახლობელმა იმკურნალა „ალექსიშვილის კლინიკაში“. საშინელი ტკივილი ჰქონდა და უკვე საოპერაციოდ იყო გამზადებული. მას შემდეგ ორი წელი გავიდა და, კიდეც ჭამს ყველაფერს, კიდეც სვამს, დაავადება აღარ გამწვავებია. მეც მისი რჩევით მოვედი აქ. დიდი მადლობა ექიმებს!

მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18, №19. მიღება 11-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.

— როგორ ფიქრობთ, მედიასივრცეში, უკვე მერამდენედ, რატომ აღარ არის თქვენი ადგილი?

— დიდი არეულობაა, თუმცა ლოგიკურია, რომ მედიასივრცის გარკვეულწილად გათავისუფლება ამ არეულობას იწვევდეს. ქაოსი თანმდევია იმ დიქტატურის, რომელიც იყო. შთაბეჭდილება მრჩება, რომ ისევ ძველი ხელისუფლება აკონტროლებს სიტუაციას მედიაში. ახალი ხელისუფლება კი ძალიან სუსტია იმისათვის, რომ არამხოლოდ მისი კონტროლისგან იყოს თავისუფალი, არამედ უზრუნველყოს მედია ზოგადად ყველას კონტროლისგან. სანამ ხელისფლებას იმის ინტელექტი არ ეყოფა, რომ მედია იქცეს ბიზნესად, ვერაფერი დალაგდება. ჩვენ გავლენას არ ვახდენთ და თქვენ რაც გინდათ, ის ქენითო, ეს იმის მაჩვენებელია, რომ მედიასივრცე ისევ ნაციონალების კონტროლქვეშაა, ოღონდ ოდნავ სახეშეცვლილი.

— ტელეეკრანზე დაბრუნებას არ გამორიცხავთ?

— შეიძლება დავბრუნდე რომელიმე ტელეარხზე, სადაც ჩავთვლი, რომ იქ ჩემი ადგილია. შესვლა რაღაც ტალახში, რომელიც არაფერს მომცემს, არაფრად მიღირს. თუ მენეჯმენტი არ ვარგა, ერთი კი — არა, 10 კარგი წამყვანი ვერაფერს გახდება. სწორი კონცეფციის შემთხვევაში საშუალო დონის წამყვანიც კი შეიძლება ვარსკვლავი გახდეს და პირიქით.

— „მაესტროდან“ არ გქონიათ შემოთავაზება?

— არა, რადგან ყველამ იცოდა, რომ „პირველ არხზე“ მივდიოდი. თან იგივე „მაესტრო“ იმდენად გაჯერებულია ტოქ შოუებით, სადღაა ჩემი ადგილი?!

— კონკურენციის ხომ არ გეშინიათ?

— გააჩნია, რომელ არხზე ვიქნები. ტელეარხი უნდა იყოს კარგი. „მაესტროს“ კარგი რეიტინგი აქვს და შესაბამისად ყველა წამყვანი უკეთ საყურებელია, ვიდრე სხვა არხებზე. „რუსთავი 2“-ზე, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება მას ნაკლებად ენდობა, საშუალო დონის წამყვანები მშვენივრად გამოიყურებიან, რადგან ხარისხიანი ტელევიზიაა და ეს იმის გამო, რომ თავის დროზე ააწყვეს დავით დვალმა და ეროსი კიწმარიშვილმა. წარმოიდგინეთ დავით დვალი და ახალ მენეჯერებს შეხედეთ — ქვედა

> **„პირველი არხის“ შენობაში რომ შევედი, ვნახე ისევ ისეთი სიტუაცია, რაც 15 წლის წინ იყო — დამტვრეული იატაკი, იგივე ადამიანები, იგივე სიტუაცია. იქ დრო გაჩერებულია და მივხვდი, რომ ვერ ვიმუშავებდი“.**

საფეხურზე ვართ ჩასული. „რუსთავი 2“ დავით დვალმა ააწყო, თუმცა გარე თემებს საზოგადოებასთან თუ საზოგადოებრივ ჯგუფებთან, ეროსი აგვარებდა. სინერგიული დუეტი იყო.

„მაესტროშიც“ თავისი როლი შეასრულა კიწმარიშვილმა და კახა ბექაურმა ააწყო, რადგან ის იყო ტელემენეჯერი. თეთრი ზეწრიდან იქცა „მაესტრო“ ტელევიზიად და ხელისუფლების ცვლილების საფუძვლადაც იქცა. სამწუხაროდ, „მაესტრომ“ მეტი ვეღარ მოახერხა განვითარება. „მეცხრე არხიც“ სრული რეგრესის გზით წავიდა და შემდეგ დაიხურა. არადა, იქ იყო პოტენციალი, რომ „მერსედესად“ გარდაქმნილიყო, მაგრამ წავიდა „ზაპოროჟეცისკენ“.

— ახალ ხელისუფლებაზე ამბობთ, სუსტი-ა?. თქვენი იმედები არ გაამართლა ივანიშვილის მთავრობამ?

— სუსტი კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით ვუწოდე. ყოველ შემთხვევაში, იმ ტიპის მონოლითურ ხელისუფლებას, რომელსაც შეეძლო დაეთრგუნა საზოგადოება, ისეთი ხელისუფლება მირჩევნია, რომელსაც შეიძლება აქვს სუსტი რგოლები, მაგრამ სამოქალაქოსაზოგადოებას მასზე გავლენის მოხდენა შეუძლია. 1 წელი ცოტაა იმისთვის, რომ ინსტიტუციებს ჩაუყარო საფუძველი. თუ ამ ხელისუფლების წასვლის შემდეგ ჩემს ქვეყანას დარჩება სახელმწიფო მართვის ისეთი ბერკეტები, რაც პიროვნებებზე აღარ იქნება დამოკიდებული, ვიტყვი, რომ ამ ხელისუფლებამ თავისი მისია შეასრულა.

— ივანიშვილის შეხვედრას ჟურნალისტებთან როგორ აფასებთ?

— გემოვნების საკითხია. მე არ ვიყავი იმ შეხვედრაზე და ვერ განვსჯი. მე აქცენტს სხვა რამეზე გავაკეთებდი. მიხეილ სააკაშვილი ჩემი ხშირი რესპონდენტი იყო ხელისუფლებაში მოსვლამდე. მას შემდეგ, რაც ის პრეზიდენტი გახდა, თვალით აღარ მინახავს. ამიტომ მირჩევნია ნებისმიერ ტონალობაში მქონდეს ურთიერთობა ქვეყნის პირველ პირთან, მქონდეს საშუალება მისთვის პასუხის გაცემის და შეკამათების. ამ შეხვედრაზე დავინახე, რომ ჩვენი ჟურნალისტთა კორპუსი არც ისე სუსტია. პრემიერმინისტრს აქვს მედიასთან გულწრფელი ურთიერთობის სურვილი, რაც დადებითი ტენდენციაა.

— თქვენი ქმარი, კახა ბექაური, ახლა რას საქმიანობს?

— თავისი ბიზნესი აქვს. ასევე არის სროლის ფედერაციის პრეზიდენტი.

✓ **რუსუდან ადვაძე**

Cyan Magenta Yellow Black

დავით ბერძენიშვილი: „პოლიტიკიდან ივანიშვილის წასვლის შემდეგ კოალიცია კი არ დაიშლება, შედუღაბდება“

ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე სკანდალურ ინფორმაციას ასაჯაროებს. მისი თქმით, ვილნიუსის სამიტის წინ რუსეთმა უკვე გამოუცხადა სავაჭრო ომი უკრაინას და მოლდოვას და დაიყოლია სომხეთი საბაჟო კავშირში გაწევრებაზე. საქართველოს ჯერი კი 28 ოქტომბერს დადგება, როცა არჩევნების მეორე დღეს, გაყალბების საბაბით, ნინო ბურჯანაძის ხელით თბილისში არეულობა დაიწყება, რაც დაახლოებით 26 მაისის სცენარის განმეორება იქნება.

საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით ბერძენიშვილი მერაბიშვილის ინფორმაციას არასერიოზულს უწოდებს და თვლის, რომ ბურჯანაძის საფრთხობელის აქტუალიზებას ყოფილი მინისტრი და ნაცმოძრაობის გენმდივანი წინასაარჩევნოდ შეგნებულად ცდილობს. რესპუბლიკელი დეპუტატი „სარკეს“ სხვა არანაკლებ საინტერესო საკითხებზეც ესაუბრა. ინტერვიუ კი, რა თქმა უნდა, საარჩევნო კამპანიის შეფასებით დავიწყეთ.

— ბატონო დავით, როგორ შეაფასებთ წინასაარჩევნო კამპანიის დინამიკას?

— წინასაარჩევნო კამპანია ვითარების შესაბამისად მიმდინარეობს. გამოყოფილია ფავორიტი, „ქართული ოცნების“ კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი. ის თავის ფუნქციას ასრულებს პატიოსნად, აქვს სოლიდური შეხვედრები. რეალურად მას კონკურენტი არ ჰყავს.

— რა მოლოდინები გაქვთ?

— ველოდები, რომ მარგველაშვილი მიიღებს იმაზე მაღალ პროცენტს, ვიდრე 1 ოქტომბერს კოალიცია „ქართულ ოქნებას“ ჰქონდა ოფიციალურად, ანუ 55 პროცენტზე მეტს. სრულიად ნათელია, რომ ხალხის დამოკიდებულება კანდიდატის მიმართ არის მშვიდი და საუბრები, რომ ხელისუფლების მიმართ ნდობა შემცირდა, 27 ოქტომბერს არ დადასტურდება, პირიქით, ამ დღეს გამოიკვეთება ხელისუფლების სიმყარე.

— თქვენი ერთ-ერთი მესიჯია კოალიციის დასრულება, მაგრამ მერე რა იწყება?

— კოალიტაცია რომ დამთავრდება 27 ოქტომბერს, ეს ჩვეულებრივი ანაბანაა. მესმის, რომ ადამიანების ერთი ნაწილი ამას უკავშირებს სააკაშვილის და მისი პოლიტიკური ძალისადმი მკვეთრი დამოკიდებულების გამოხატვას. გასაგებია, რომ არის მოთხოვნა სამართლიანობის აღდგენის, მაგრამ ეს პროცესი უკვე მიმდინარეობს. საქართველოში სამართლიანობა უნდა აღდგეს უფლებაშელახული ათასობით ადამიანის მიმართ, მაგრამ სწორი იქნება, რომ ვთქვათ, დამკვიდრდეს, რადგან საქართველოში ეს არასოდეს ყოფილა. არ არის უმნიშვნელო ისიც, რომ წინა ხელისუფლების რამდენიმე პირი პატიმრობაშია და რამდენიმეზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, ანუ ეს ერთი წელიწადი პროცესი ნორმალურად მიდის და ამასთანავე, არც ვართ ისეთი რევანშისტები, რომ სასასამართლოს გარეშე, ლინჩის წესით გავასამართლოთ.

— მაგრამ ამ ერთ წელიწადში ანალიზის და მერაბიშვილის დაჭერა საკმარისია? თან ისე, რომ ბრალს ვერ უმტკიცებენ? ან როგორ აბარებთ წართმეული ქონების დაბრუნებას?

— ყველა საქმე ცალკ-ცალკე უნდა იქნეს შესწავლილი. არიან ადამიანები, რომელთაც უკანონოდ წაართვეს, არის კატეგორია, ვინც სხვებს წაართვა და მერე მათ წაართვეს, ანუ ბოლო დაზარალებული ზოგ შემთხვევაში თვითონ არ არის უმნიკვლო. ამიტომ ეს დეტალები სასამართლოს გასარკვევია. ძირის ძირამდე არის დასათვლელი, ვის რა წილი ეკუთვნის, რაც დროს მოითხოვს. სხვანაირად სამართლიანი გადაწყვეტილება ვერ იქნება გამოტანილი.

ერთ რამეს გეტყვით: საქართველოს ქონება გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში შეფასდა 150 მილიონ ლარად, რომელიც გაიყიდა ვაუჩერიზაციის გზით. 5 მილიონიან ქვეყანაში ერთი ვაუჩერის ფასი 30 ლარი იყო, რეალურად კი 7-8 ლარად იყიდებოდა. ანუ საქართველოს ქონება 30 მილიონად იყო შეფასებული. ამ ვითარებაში ვინც ჩალის ფასად ჩაიგდო ქონება, ვერ ვიტყვი, რომ სამართლიანი ნაბიჯი გადადგა, ან სახელმწიფომ სამართლიანად მიაკუთვნა მათ ქონება. მაგრამ ამ ადამიანების ერთმა ნაწილმა პატიოსნად იშრომა და შექმნა სტრუქტურები, მეორე ნაწილმა კი, რაც მიიღო, ვერ მოიხმარა და გაფლანგა. რა თქმა უნდა, ვერ დავიწყებთ ძირის ძირამდე ჩასვლას და ბანკის დღევანდელ მეპატრონეებს 1993 წლის პრივატიზაციის და ვაუჩერიზაციის გამო დავას ვერ დავუწყებთ. თუმცა ბევრი ადამიანი იყო სახელისუფლებო შეტევის ობიექტი და მათი უფლების დარღვევაა შესასწავლი. დაზარალებულთა შორის არიან დამზარალებელნიც. მაგალითად, ირაკლი ოქრუაშვილთან დაახლოებულ ხალხს ჰქონდა პრივილეგიები ბიზნესში. მისი წასვლის შემდეგ მათ წაართვეს ყველფერი, ანუ, ერთი მხრივ, არიან პოლიტიკური ნიშნით ქონების მიმღებ-დამკარგავი ადამიანები და, მეორე მხრივ, პატიოსანი მშრომელები.

— პატიოსანმა მყიდველმა რა უნდა ქნას?

— ისინი რომ არ დაიჩაგრონ, სწორედ ამიტომ უნდა დადგინდეს ყველაფერი.

— მოსახლეობას იყანიშვილის იმედი ჰქონდა, ეკონომიკას უშველისო. ამ დღეებში კი გაგვლენან უცხოურ გამოცემა „ეკონომისტში“ დაბეჭდა, რომ ქვეყანა უკან, შეკარდნაძის პერიოდისკენ მიდის.

— დარწმუნებული ვარ, რომ ქვეყანა წინ მიდის. არის სხვადასხვა შეფასებები, უმრავი გამოცემა აღნიშნავს წინსვლას, ზოგი — პირიქით, მაგრამ ეს არის შეფასების კატეგორიები. ჩვენ ამ ბოლო ერთ წელიწადში უმძიმეს სიტუაციაში დავიცავით ეროვნული ინტერესები და ჩვენი ევროატლანტიკური არჩევანი გავაღრმავეთ, ვილნიუსის სამიტს მივუახლოვდით. პრაქტიკული გადაწყვეტილება მიღებულია, განსხვავებით ჩვენი მეზობელი სომხეთისგან, რომელიც სულ ბოლო მომენტში რუსეთმა ჩამოაცილა ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას და თავი უკრა ევრაზიულ კავშირში. ჩვენზე ეს ზეწოლა არ გავიდა, ანუ დავიცავით ევროპული ვექტორი და ჩვენი ევროპული არჩევანი რეალობად ვაქციეთ. ტექნოლოგიურადაც კარგად ვიმუშავეთ. მიუხედავად რუსეთის წინააღმდეგობისა, ვილნიუსში მივდივართ წელგამართულები, იქ კი გვხვდებიან პარტნიორები და მხარდამჭერები. რამდენიმე დღის წინ საქართველოში იყო ლიტვის სეიმის თავმჯდომარე და დიდი დელეგაცია, რომლებმაც ღიად გამოხატეს მხარდაჭერა, ასევე — ესტონეთმა და პოლონეთმა. ანუ სააკაშვილის გეგმა, რომელიც ბალტიის ქვეყნებს და პოლონეთს საკუთარ პარტნიორებად მიიჩნევდა და ივანიშვილის წინააღმდეგ ცდილობდა მათ გამოყენებას, ჩაფლავდა.

რუსული მავთულხლართების პარალელურად, შევძელით ქართული პროდუქციისთვის რუსული ბაზრის გახსნა. ღვინო, მინერალური წყლები შესულია, ახლა შევა ვაშლი. ასე რომ, ორივე მიმართულებით არის წარმატება — ევროატლანტიკური სივრცე დღეს უფრო ახლოს არის ჩვენთან, ვიდრე ერთი წლის წინ იყო. რუსეთის მხრიდან საფრთხე არის შემცირებული და რუსეთის ბაზარი არის გახსნილი. ამას ემატება ისიც, რომ კახეთში რთველი უკვე დამთავრდა და გლეხებმა ერთ კილოგრამ ყურძენში მიიღეს ლარი და ლარზე მეტი. ასე რომ, არჩევნები დაადასტურებს კმაყოფილებას ხელისუფლების მიმართ.

— რუსული საფრთხის შემცირებაში რა იგულისხმეთ?

— არის მავთულხლართები, მაგრამ არის ბაზარიც. რუსეთი მოცემულობაა, მაგრამ არ არის 2008 წელი და საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გაუაზრებელი ემოციური წამოკიდება რუსეთის მიერ დაგებულ მახეებზე. რუსეთი კი არ გახდა უკეთესი, ის არის, რაც არის, ისევ პუტინის რუსეთია და მასთან ვახერხებთ ბაზრის გახსნას და ურთიერთობებს.

— გეთანხმებით, ისევ პუტინის რუსეთია, რომელიც ოლიმპიადასაც კი პოლიტიკად აქცევს. მეჩიროღდნის ამბავსა და ოლიმპიადაზე წასვლა-არწასვლაზე რას ფიქრობთ?

— 13.990 მეჩიროღდნეში ვიცით ორი — ერთი, რუსეთ-საქართველოს ომის მონაწილე და მეორე — მომღერალი დიანა ღურწკაია, რომელიც ნაცმოძრაობის ყრილობაზე სააკაშვილის ზურგს უკან იდგა. მაშინ, როცა რუსეთის პრეზიდენტი არის პუტინი, რომელიც მთავარი ფიგურაა აგრესიის, რამდენი მეჩიროღდნე იქნება ომის მონაწილე —1, 3 თუ 17, ეს არ შეიძლება იყოს გადამწყვეტი, ოლიმპიადაზე წავიდეთ თუ არა. წავალთ თუ არა, ეს უნდა გადავწყვიტოთ ოლიმპიადის წინ და თუ წასასვლელი ვიქნებით, პოლიტიკურად მოვიგოთ ევროპასთან და დასავლეთთან ერთად. და თუ არ წავალთ, ასევე მივიღოთ მათი მხარდაჭერა. რადგან რუსეთმა ოლიმპიადა აქცია პოლიტიკად, ჩვენც უნდა გამოვიჩინოთ ფხა. შეგვიძლია წასვლითაც და არწასვლითაც პოლიტიკურად მოვცხოთ.

→18

„13.990 მეჩიროღდნეში ვიცით ორი — ერთი, რუსეთ-საქართველოს ომის მონაწილე და მეორე — მომღერალი დიანა ღურწკაია, რომელიც ნაცმოძრაობის ყრილობაზე სააკაშვილის ზურგს უკან იდგა. მაშინ, როცა რუსეთის პრეზიდენტი არის პუტინი, რომელიც მთავარი ფიგურაა აგრესიის, რამდენი მეჩიროღდნე იქნება ომის მონაწილე — ერთი, სამი თუ 17, ეს არ შეიძლება იყოს გადამწყვეტი, ოლიმპიადაზე ნავიდეთ თუ არა".

Cyan Magenta Yellow Black

გაცნობის პირველივე ნიშნებისას

მიიღეთ ტაქოლი

კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

გადაწყვეტილება უნდა იყოს პრაგმატული და მომგებიანი, აბა, ისე, სპორტულ ვარსკვლავებს ვერ მოვწყვეტთ, ამ სახეობებში არ ვართ ძლიერები.

— ამას წინათ დავით უსუფაშვილმა თქვა, შეიძლება პრემიერობის კანდიდატს მხარი არ დავუჭიროთ. ეს როგორ?

— უსუფაშვილმა თქვა, განვიხილავ და თუ არ მომეწონება, ვიტყვიო. მაგრამ თუ პარლამენტში შევა, ესე იგი უსუფაშვილი ეთანხმება. კანონის მიხედვით, უმრავლესობა წარადგენს პრემიერობის კანდიდატს მას შემდეგ, რაც ლიდერი პოლიტსაბჭოსთან ერთად განიხილავს და უმრავლესობა დათანხმდება.

— პრემიერის წასვლა მართლა არეკვს სიტუაციას?

— პრემიერი იქცევა პატიოსნად, მას შეეძლო ხმა არ ამოეღო, ხალხს კი ხმა მარგველაშვილისთვის მიეცა, პრემიერთან იქნება და უფრო მშვიდად ვიქნებითო. 28 ოქტომბერს კი პრემიერს ეთქვა, წავედიო. მაგრამ მან ხალხს უთხრა, ეს არის ჩვენი კანდიდატი, მას ვეხმარები, მაგრამ იცოდეთ, რომ მისი პრეზიდენტობის პირველივე დღიდან პრემიერი აღარ ვიქნებიო. ეს პატიოსანი პოზიციაა. რაც შეეხება იმას, როგორ იმოქმედებს არჩევნებზე ეს განცხადება, ვხედავთ, რომ დიდად არ მოქმედებს. მისი კანდიდატის მიმართ ნდობა მაღალია, ამიტომ მარგველაშვილი არ ზარალდება.

— მაგრამ დაზარალდება თუ არა ქართული პოლიტიკა ივანიშვილის წასვლის მერე? ბევრი ქაოსს ელოდება.

— უკეთესი სიტუაცია იქნება. ივანიშვილს ახლა აქვს ქართული პოლიტიკის საკონტროლო პაკეტი. ეს არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო დიდხანს, რადგან პოლიტიკა არის პარტიების საქმიანობა. ივანიშვილმა ხელი შეუწყო პარტიების გაძლიერებას, ახლა პოლიტიკიდან მიდის და

„ახიან ადამიანები, ჰომეროსიც უკანონოდ წაახითვეს, ახის ჯატეგოხია, ვინც სხვებს წაახითვა და მეხე მათ წაახითვეს, ანუ ბოლო დაზახალებული ზოგ შემთხვევაში თვითონ ახ ახის უმნიკვლო. ძიხის ძიხამდე ახის დასათვლელი, ვის ხა ნიღი ეკუთვნის, ხაც დხოს მოითხოვს".

ათავისუფლებს ამ სივრცეს, პირველ რიგში, კოალიციაში შემავალი პარტიებისთვის. ამიტომ მისი წასვლის შემდეგ პასუხისმგებლობა კოალიციაში შემავალ პარტიებსა და ფიგურებზე გადანაწილდება. ეს კი პარტიების პასუხისმგებლობის საკითხს გაზრდის. პარტიებმა კარგად იციან, რომ კოალიციაში ყოფნით არის ის ხელისუფალი და არა — სხვა რამით. ამიტომ ხელისუფლებაში ყოფნის მოტივაცია სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ კოალიცია კი არ დაიშალოს, პირიქით, შედუღაბდეს. პოლიტიკიდან ივანიშვილის წასვლის შემდეგ პარტიებს ერთმანეთის მხარდაჭერა უფრო დასჭირდებათ.

— ივანიშვილმა ორი „ამომყირავებელი" ახსენა და მერე დაკონკრეტდა, მათში გუბაზ სანიკიძე და ირაკლი ალასანია იგულისხმა.

— ვერავინ ვერაფერს ამოაყირავებს და სანიკიძეც აქ არაფერ შუაშია. სანიკიძე და „ფორუმი" არის ფრაქცია, უმრავლესობის სოლიდური შემადგენელი ნაწილი. ის შესაძლოა, ვინმე სხვა, არაწამყვან ფიგურაზე ფიქრობდა და ამაზე ჩვენ ნუ ვიმარჩიელებთ.

— ივანიშვილის მიერ საკონტროლო პაკეტის დათმობა ზოგისთვის რესპუბლიკელების გამარჯვებად აღიქმება, რაც არ მოსწონთ.

— რესპუბლიკელებზე ვერ გადმოვა საკონტროლო პაკეტი, ისევე როგორც ერთ რომელიმე პარტიაზე. ის სხვა პარტიებზე გადანაწილდება. რესპუბლიკელები კი პატიოსნად ვშრომობთ ამ კოალიციაში და კომფორტულად ვგრძნობთ თავს ივანიშვილის ლიდერობითაც და მისი სამოქალაქო საზოგადოებაში გადასვლის შემდეგაც ასე იქნება.

— აქტიურად პროგნოზირებენ, რომ ალასანია და თქვენ ბოლოს ბაქრაძისკენ წასვალთ.

— რათა, კაცო, რათა? ვიცი, რომ ამბობენ, მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს. ცოტა ინტელექტის დეფიციტსაც განიცდის ეს ვერსია — რატომ უნდა ვეძებოთ სხვა კონფიგურაცია დამარცხებულ, არაპოპულარულ ნაციონალებთან, როცა კომფორტულად ვართ საპარლამენტო უმრავლესობაში და პარლამენტის თავმჯდომარე არის უსუფაშვილი?

— ალბათ იდეოლოგიურ თანხმობაზე აკეთებენ გათვლას.

— იდეოლოგიურ საკითხებს და საგარეო ვექტორს რაც შეეხება, ივანიშვილის მიერ შექმნილი კოალიციის დეკლარაციაში წერია ევროპა, ევროატლანტიკური სივრცე, ადამიანის უფლებები... ანუ ძალიან რესპუბლიკური ტექსტებია. ამ თვალსაზრისითაც მყარად ვართ.

— ვანო მერაბიშვილმა გააკეთა განცხადება, რომ ბურჯანაძის ხელით საქართველოში რუსეთი სიტუაციის არეკვას შეცდება. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ ამის თაობაზე?

— არ ვიცი, შერჩენილი ჰყავს თუ არა აგენტურა მერაბიშვილს, თან ისეთი, ციხემდე რომ აღწევს, მაგრამ რესურსი, საქართველოში ვინმემ, ბურჯანაძე იქნება თუ სხვა, რაიმე დაძაბულობა გამოიწვიოს, არ არსებობს. მეორე მხრივ, 2011 წლის 26 მაისს მერაბიშვილის და მისი ხელისუფლების ქმედებებზე საქმეა აღძრული და, როგორც ჩანს, სურს, ბურჯანაძის საფრთხობელად წარმოჩენა აქტუალური გახადოს. მე ასე უფრო ავხსნიდი მერაბიშვილის გაბაასებას საზოგადოებასთან. მაგრამ ხალხმა ვერ გაიგო მერაბიშვილის სიტყვები, რადგან არ არის აქტუალური ფიგურა, მეტიც, ის აქტუალური ფიგურა არ არის მისი პარტიისთვისაც კი. ახალაიას კი არც ახსენებენ, 69 კაციან პოლიტსაბჭოშიც არ შეუყვანიათ.

ზურაბ ბიგვავა:

„ხმის მიცემის ფასი გაიზარდა, ხმებს ბენზინსა და ფქვილზე აღარ ცვლიან"

არჩევნებამდე თითებზე დასათვლელი დღეები რჩება. ამ პერიოდში ყველაზე მეტად აქტუალურია სოციოლოგიური კვლევების წინასწარი მონაცემები. ბოლო კვლევებით, პირველ სამეულს გიორგი მარგველაშვილი, დავით ბაქრაძე და ნინო ბურჯანაძე იყოფენ. ფსიქოლოგი ზურაბ ბიგვავა თვლის, რომ რეიტინგზე მეტად ამ კვლევის შინაარსია საინტერესო, ანუ როგორ გადანაწილდა საზოგადოება. თუ რა შეიცვალა არჩევნებიდან არჩევნებამდე, როგორ მიმდინარეობს საარჩევნო კამპანია და ვის რა შანსები აქვს, ამის შესახებ „სარკეს" კვლევით ცენტრ „ფსიქო პროექტის" დამფუძნებელი ზურაბ ბიგვავა ესაუბრება.

ზურაბ ბიგვავა:

— წინა არჩევნებზე ხელისუფლება იყო ძლიერი და ის იღებდა კანონებს, რომლებიც იყო მისადაგებული ისევ მთავრობის გაძლიერებასთან. ბუნებრივია, ეს ჩვეულებრივ ადამიანებს არ ესმოდათ, მაგრამ განცდა ჰქონდათ, რომ არჩევნები სამართლიანად არ ტარდებოდა. განსხვავებით ყველა იმ არჩევნებისგან, რომლებიც აქამდე ჩატარდა, ხალხს აქვს მოლოდინი, რომ ეს არჩევნები სამართლიანად ჩატარდება.

— მაგრამ არის ხალხი, ვინც საწინააღმდეგოს ფიქრობს. მაგალითად, ნანო ბურჯანაძემ პირდაპირ თქვა, თუ ვერ გავიმარჯვე, ესე იგი გაყალბდა.

— ბურჯანაძის პარტიის წევრებიც კი ამბობენ, რომ ეს არჩევნები ალბათ პატიოსნად ჩატარდება. სულ 5 პროცენტი ფიქრობს, რომ არჩევნები შეიძლება არ ჩატარდეს სამართლიანად. სხვები ფიქრობენ, რომ ჩატარდება სრულიად სამართლიანად, სამართლიანად ან მეტნაკლებად სამართლიანად. ეს ფუნდამენტური განსხვავებაა. დემოკრატიული საზოგადოება ის კი არაა, რომ მიშა ან ცოცხების მთავრობა გაუშვა ხელისუფლებიდან, არამედ, როცა განცდა გაქვს, რომ ცხოვრობ დემოკრატიულ ქვეყანაში. შეიძლება დემოკრატიის ყველა ნიშანი არ იყოს დამახასიათებელი ჩვენი საზოგადოებისთვის, მაგრამ განცდაა, რომ ასეთ ქვეყანაში ცხოვრობს.

— იმედია, ეს განცდა მერე ილუზიაში არ გადაკვა.

— კი, ადამიანები ხანდახან ილუზიებში ცხოვრობენ, მაგრამ, როგორც წესი, ეს დიდხანს არ გრძელდება და მთავრდება იმით, რომ ობიექტური აღქმა ბრუნდება. უზნაძის ექსპერიმენტული ფსიქოლოგია ამაზეა აგებული. მთავარია, ჰალუცინაცია არ დაგემართოს, რადგან ეს შინაგანი მდგომარეობაა, რომელიც გარემოს გაუკუღმართებულს გაჩვენებს და რეალობის აღქმა დაკარგული გაქვს. რადგან ხალხის ასეთი მდგომარეობა ერთი წელი გაგრძელდა, ეს უკვე არ არის ილუზია, ეს არის რეალობა.

ამის დამადასტურებელი ნიშნებიც ჩანს. მაგალითად, პრესაზე ზეწოლა არ არის. ივანიშვილის ბოლო შეხვედრა პრესასთან, სადაც იყო საუბარი, მითხარით, რა პრეტენზია გაქვთო, უნიკალური შემთხვევა გახლდათ, ან ზეწოლა როგორ იქნებოდა, აქეთ ერთი კაცი იყო და იქით — თხუთმეტი.

— მაგრამ ამ ერთის სტატუსი არ დაიკარგოს. თქვენგან განსხვავებით, ეს შესხედრა ზოგმა თითის დაქნევად შეაფასა.

— ამათაც დაექნიათ თითი, მეორე დღეს ვინმე გაუუქმებდა სამსახურს? ხომ არც ერთს ჰქონდა იმის განცდა, რომ ამის გამო დაისჯებოდნენ? პირიქით, საზოგადოებაში გამოჩნდნენ, როგორც გმირები. მაგრამ პრესის თავისუფლება ის ხომ არ არის, რამდენად ძლიერად „მიაწვები" პრემიერს? დღეს მმართველ პარტიაზე უამრავი კრიტიკული სტატია იბეჭდება, ბიძინა ივანიშვილზეც, მათ შორის — პიროვნულიც, რაც ყოველთვის არ არის სწორი... არის სხვა მაჩვენებლებიც — არ გაათავისუფლეს ადამიანები სამსახურებიდან.

— ეს არგუმენტი სადავოა.

— კი, ვიღაცეები გაუშვეს, რომლებიც ნაციონალების აშკარა წარმომადგენლები იყვნენ და ისეთი თანამდებობები ეჭირათ, რითაც შეეძლოთ მთავრობის ძირითადი ხაზისთვის შეეშალათ ხელი. არავის უთქვამს, აბა, დაწერეთ განცხადებაო, როგორც ამას ნაცმოძრაობა აკეთებდა. არ გახსოვთ, ახალი მინისტრი რომ მოდიოდა და მთელი ვერტიკალი იცვლებოდა? ეს არ მომხდარა. ასევე, ადამიანებს არ იჭერენ. ამის გამო პროკურატურას „შემოიხედე გენაცვალე"-ს ეძახიან. ლაპარაკია, რატომ არ იჭერენო, ღმერთმა ნუ ქნას, წარმოსახული ბრალდებით დაიჭირონ ხალხი. ესენი ცდილობენ, დაუმტკიცონ, მაგრამ კარგა ხანია მტკიცებულების მოპოვებას გადაეჩვია პოლიცია, პროკურატურა და ამიტომ

Cyan Magenta Yellow Black

ჭიანურდება. აღიარებით ჩვენებაზე რომ დაიჭირონ ადამიანები, იცით, რა მოხდება? ნაციონალების ნახევარი ციხეში აღმოჩნდება.

— ამჟამინდელ საარჩევნო გარემოს როგორ აფასებთ?

— მე ბევრჯერ მიმიღია არჩევნებში მონაწილეობა, უფრო სწორად, გამიკეთებია — საარჩევნო სამზარეულოში ვაკეთებდი კერძს. ვინც ამ საარჩევნო კამპანიის ნაწილს წარმოადგენს, უკვე ისწავლა არჩევნების გაკეთება. ამერიკულმა და ევროპულმა ორგანიზაციებმა ამ მხრივ ბევრი რამ გვასწავლეს. ენდიაი რატომ არის პატივსაცემი ორგანიზაცია? იმიტომ, რომ ბევრ პარტიას დაეხმარა, წაიყვანა, სემინარები, ტრენინგები ჩაუტარა. ახლა კი უკვე ბევრი რამ არის დამოკიდებული გზავნილების სწორ მიწოდებაზე. ადამიანი რატომ უნდა გახდეს შენი მხარდამჭერი? იმიტომ, რომ შენთან იდენტიფიკაცია უნდა გააკეთოს რაღაცის გამო. ხელს რომ ჩამოართმევ, ეს არ არის იდენტიფიცირება. შენ რომ ბინა არ გაქვს და მე რომ გეტყვი: „მე აგიშენებ“, შენ ფიქრობ, ეს ის კაცია, მე რომ მჭირდებაო. ეს არის იდენტიფიცირება.

ადრე ხმებს ბენზინისა და პურის ფქვილზე ცვლიდნენ, ახლა არ არიგებენ, რადგან აზრი არ აქვს. ამომრჩეველი აიღებს და არ მოგცემს ხმას, რადგან ისე აღარ უჭირს. ქართველ საზოგადოებაში ხმის ფასი გაიზარდა. ახლა მას სჭირდება იმ ძირითადი მოთხოვნების და წუხილის დაკმაყოფილება, რაც მას აქვს საზოგადოებრივად, პიროვნულად და სოციალურად. ამიტომ ის უკვე არჩევს პროგრამას. ადრე კი მას არავინ კითხულობდა, ვინც „საქართველო“-ს უფრო კარგად იყვირებდა, მას უფრო აძლევდნენ ხმას, ანუ აქცენტები შეიცვალა. უკვე იმას უყურებენ, რამდენად რეალისტურად ჩანს ის პროგრამა და ის მესიჯები, რასაც კანდიდატი ავრცელებს. პიროვნულსაც მნიშვნელობა აქვს — უყურებენ, რამდენად გულწრფელია კანდიდატი.

— როშელი პარტიის საარჩევნო კამპანიას გამოყოფდით?

— საარჩევნო კამპანიის შეფასება რამდენიმენაირად შეიძლება — როგორ არის ორგანიზებული, როგორ ჩანს და როგორ არის წარმოდგენილი მასობრივ კომუნიკაციებში, სივრცეში. დიდი მნიშვნელობა აქვს, სად განალაგებ სიტყვებს, რა ფერს აირჩევ... მაგალითად, აღმოჩნდა, რომ ცისფერი საშუალო ფენის ადამიანებს ყველაზე მეტად მოსწონთ. ფერი, ფორმა და შინაარსი განსაზღვრავს საარჩევნო კამპანიის სწორ დაგეგმვას. ახლა აღქმის დონეზე გელაპარაკებით, მაგრამ ამის მერე არსებობს აზროვნების და სოციალური განწყობების დონე.

ავიღოთ ბურჯანაძის საარჩევნო კამპანია — „აღდგეს სამართლიანობა“. ერთისთვის სამართლიანობის აღდგენა ნიშნავს იმას, რომ ვინც სამართალი დაარღვია, ჩავსვათ ციხეში, მაგრამ სხვისთვის სხვა რამეს ნიშნავს. რომ ნახოთ, რა წერია სოციალურ ქსელებში: „მოდი, ჩამოვახრჩოთ“... ანუ ადამიანთა გარკვეული ჯგუფი ძალიან აგრესიულია, მაგრამ, რომ ვნახოთ, საზოგადოების რა ნაწილია ეს, აღმოჩნდება, რომ არც ისე დიდი — დაახლოებით 20 პროცენტი. ეს ის 20 პროცენტია, რომელმაც წინა ხელისუფლებისგან ზეწოლა იწვნია. ისინი მზად არიან შურისძიებისთვის, რაც ბევრ სიტუაციაში სამართლიანია, მაგრამ, მეორე მხრივ, ხომ არსებობს გარკვეული ცივილური ნორმები — უნდა გავარკვიოთ, რამდენად არის დამნაშავე ის ადამიანი და ჩართული იყო თუ არა იმ საშინელებაში. ასეთი რამისთვის კი ესენი მზად არ არიან, ანუ ეს არის პოლარული ჯგუფი, რომელსაც უნდა სამართლიანობის მყისიერად აღდგენა.

— სამართლიანობის აღდგენის დაბრუბით ბურჯანაძემ ხმები მარგველაშვილს რომ წაართვა, ამას აღიარებთ?

— გარკვეულწილად წაართვა, მაგრამ „ოცნებას“ ხმას ბურჯანაძის ხალხიც ხომ აძლევდა? ეს დაჩაგრული, მოტივირებული ხალხი იყო. მერე ნახეს, რომ მოვიდა ხელისუფლება, რომელმაც არ განახორციელა რეპრესია, მაგრამ ის ვერ დაინახეს, რომ პრეზიდენტს შეეძლო ნებისმიერი შეწყალებით გარეთ გამოეშვა დამნაშავე. როცა მარგველაშვილი ამბობს, 27 ოქტომბერს მთავრდება კოაბიტაციაო, ეს არ ნიშნავს, რომ დაიწყება მასობრივი დაჭერები, მაგრამ ნიშნავს იმას, რომ ბევრი რამ სწრაფი ნაბიჯებით წავა წინ. ბურჯანაძე რომ მოვა, რას იზამს? მივა, წაართმევს იმ პატიოსან მყიდველს ქონებას და ძველს მისცემს? მაგრამ იმას რას უშვრება, ახლა მას დატოვებს ხახამშრალს? და მაშინ იგივე არ მოხდება?

— ბურჯანაძისკენ წასული ხმები მის რეიტინგზე რატომ არ ასახა?

— გამოკითხვისას პირდაპირ ეწერა კითხვა, ვის აძლევდით ადრე ხმას და ახლა ვის აძლევთ. პასუხობდნენ, „ქართულ ოცნებას“ და ახლა აღარ ვაძლევთო. 20 პროცენტი განხიბლული ჯგუფი აღმოჩნდა. ეს ცოტა არ არის. სად წავიდა ის ხალხი? ნაციონალებში ხომ არ წავიდოდა? ბურჯანაძესთან წავიდა და მისი რეიტინგიც ნელ-ნელა იცვლებოდა. მინუსიდან ამოვიდა, მაგრამ დიდად არ ამოსულა პლუსში. 20 პროცენტი მთლიანად კი არა, ერთი ნაწილი წავიდა. მეორე გამოკვლევების დროს აღმოჩნდა, რომ განხიბლულმა 20-მა პროცენტმა დაიკლო, ანუ 5-7 პროცენტი ისევ დაუბრუნდა „ქართულ ოცნებას“. ადამიანები იცვლიან დამოკიდებულებას და ამისთვის არის ეს წინასაარჩევნო კამპანია. ბურჯანაძის რეიტინგმა პირველ და მეორე კვლევებს შორის 3 პროცენტით მოიმატა.

— ცოტა არ არის?

— არა, თუმცა მსჯელობას, რომ ყველა ბურჯანაძეს აძლევს ხმას და ერთი ადამიანიც არ უნახავთ, მარგველაშვილს უჭერდეს მხარს, ხშირად გაიგონებთ. ეს არის ეფექტის კანონი, ის წრეა, სადაც თვითონ ტრიალებს. ეროვნული მასშტაბის გამოკვლევა სწორედ რომ ზუსტად ადგენს დამოკიდებულებებს და განლაგებებს. თუ დააკვირდებით, ყველა კვლევაში — ჩვენი, ენდიაი-ს თუ ნაცმოძრაობის, ტენდენცია ერთია: პირველზეა მარგველაშვილი, მეორეზე — ბაქრაძე, ოლონდ ბაქრაძე მეტნაკლებად უსწრებს ბურჯანაძეს. ჩვენთან 2-3 პროცენტია განსხვავება, ენდიაი-ში — ცოტა მეტი, ნაციონალებში — უფრო მეტი. შეიძლება ტენდენციურობას აქვს ადგილი, მაგრამ დაყოფა ერთი და იგივეა.

— ნაციონალებს იმაზე მეტი რეიტინგი არ აქვთ, ვიდრე თითქოს უნდა ჰქონდეთ?

— სად აქვთ რეიტინგი — 13 პროცენტი? მათ ჰყავთ მყარი ელექტორატი, ვინც დაასაქმეს, ბანაკებში ჰყავდათ, ამუშავებდნენ. ეს ხალხი ცოტა არ არის, მაგრამ ბაქრაძე-ბურჯანაძეს შორის იმდენად ცოტაა განსხვავება, რომ იქ შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს თუნდაც ერთი დებატით. რაც შეეხება მარგველაშვილს, მას ვერ მოუგებენ. ეს რომ მოხდეს, მარგველაშვილმა, მინიმუმი, საზოგადოების წინაშე უნდა მოკლას კაცი, მერე ეს გადაიღონ და ტელევიზიითყოველდღე გაუშვან.

— მარგველაშვილის მიმართაც არის პრეტენზიები — რომ არ არის ცნობადი სახე, პოლიტიკოსი, გამოცდილი...

— მაგრამ აქ მთავარი სხვა რამეა — მას ხმას აძლევენ ბიძინა ივანიშვილის გამო და მას მაღალი რეიტინგი აქვს. ივანიშვილმა ისეთი ძლიერი იდენტიფიკაცია გააკეთა მარგველაშვილთან, რომ ეს გახდა განმსაზღვრელი. თუმცა მარგველაშვილის პიროვნული პროფილები რომ გავაკეთეთ, აღმოჩნდა ძალიან საინტერესო რამ — იმ თვისებებით, რითაც აფასებს საზოგადოება მისთვის მისაღებ პრეზიდენტობის კანდიდატს, მარგველაშვილი უგებს ყველას. მაგალითად, თუ ნათელაშვილი ქარიზმატულია, მარგველაშვილი უფრო გონიერი და გაწონასწორებულია. ჩვენს საზოგადოებას კი ყველაზე მნიშვნელოვნად გონიერება და პიროვნების გაწონასწორებული ბუნება მიაჩნია.

რაც შეეხება გამოცდილებას, მარგველაშვილი სულ იყო პოლიტიკაში — ხან ზურა ჟვანიას მრჩეველი იყო, ხან — ბურჯანაძის. ის იყო აქტიური პოლიტიკოსი, მაგრამ პოლიტიკურად აქტიური არ იყო. იღებდა გადაწყვეტილებებს და ამზადებდა მათ, მაგრამ სხვა ახმოვანებდა. თვითონ არ უნდოდა და იმიტომ. ბიძინა ივანიშვილს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ ის წინა მხარეს წამოსულიყო. დაარწმუნეს იმაში, რომ იქნება კარგი პრეზიდენტი იმ განლაგებაში და იმ პოლიტიკურ სიტუაციაში, რაც იქნება საქართველოში.

„ბაქრაძე-ბურჯანაძეს შორის იმდენად ცოტაა განსხვავება, რომ იქ შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს თუნდაც ერთი დებატით. რაც შეეხება მარგველაშვილს, მას ვერ მოუგებენ. ეს რომ მოხდეს, მარგველაშვილმა, მინიმუმი, საზოგადოების წინაშე უნდა მოკლას კაცი, მერე ეს გადაიღონ და ტელევიზიით ყოველდღე გაუშვან“.

ნათელმხილველი
სელინა
მკითხაობს ტაროს
კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისმებს
და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58

Cyan Magenta Yellow Black

ეკა ბესელია: „არ მაქვს საფუძველი, ვიფიქრო, რომ გოგი ძველაია ციხეში მოკლეს“

ქუთაისის მეორე საპყრობილეში არასრულწლოვანი გარდაიცვალა. სენაკელი გოგი ძველაია საკანში ჩამომხრჩვალი ნახეს. 16 წლის პატიმარი პრეზიდენტ სააკაშვილის შეწყალების საფუძველზე ციხიდან 28 აგვისტოს გამოვიდა, თუმცა ქურდობის ბრალდებით იგი 5 ოქტომბერს ისევ დააკავეს. საპყრობილეში გადაყვანის შემდეგ ძველაიამ განცხადება დაწერა და ცალკე საკანი მოითხოვა „გარკვეული კატეგორიის პატიმრებთან“ პრობლემების გამო. დღის განმავლობაში რამდენჯერმე ინახულეს, მათ შორის — სოციალური სამსახურის მუშაკებმა. ნახევარი საათის შემდეგ კი გარდაცვლილი იპოვეს...

გოგი ძველაიას ოჯახში ამბობენ, რომ პატიმარს პრობლემები ქურდული სამყაროს წარმომადგენლებთან, ქუთაისის მეორე საპყრობილის ე.წ. მაყურებლებთან ჰქონდა. გარდაცვლილის მამა თენგიზ ძველაია ამბობს, რომ მისი შვილი ჯერ მოკლულია და მერეა ჩამოკიდებული. ამის თქმის საფუძველს კი ის აძლევს, რომ ბიჭს მარჯვენა ხელი ტრავმირებული ჰქონდა. ძველაიების ოჯახმა მოითხოვა სენაკში სასჯელაღსრულების მინისტრის, სოზარ სუბარის ჩასვლაც, რომ მისთვის თავიანთი ვერსია ეთქვათ. მათთან მინისტრი — არა, მაგრამ ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია ჩავიდა.

ამ ტრაგიკული შემთხვევისა და ზოგადად ციხეებში არსებული მდგომარეობის შესახებ დეპუტატი „სარკეს“ ესაუბრება.

— ქალბატონო ეკა, რა საუბარი გქონდათ ვოგი ძველაიას ოჯახთან?

— ჩემთვის ეს ფაქტი არის ძალიან მძიმე, რადგან საქმე არასრულწლოვანს ეხება. ჩავთვალე, რომ აუცილებელი იყო, ოჯახის წევრები მენახა და პირადად მიმესამძიმრებინა მათთვის. სხვათა შორის, ჩვენ შორის გულღია საუბარი შედგა. ოჯახისთვის ჩემი იქ მისვლა და დალაპარაკება შვება იყო. მამას და ბებიას დიდხანს ვესაუბრე. მომიყვნენ გოგის ხასიათზე, მისი ამბავი, რა შემეთხვა ციხეში. ბევრი ისეთი დელიკატური საკითხია, რომელიც არ არის საჯარო და, თუ საჭიროდ ჩათვლიან, თავად გააჟღერებენ. მამა საუბრობდა იმ კითხვებზე, რაც გაუჩნდა და უნდათ, რომ ამ კითხვებს პასუხი გაეცეს ეჭვების გამოსარიცხად. პარალელურად ვრცელდება ვერსიები, რომ თითქოს საკანს ვიდეოთვალი იღებდა.

— თქვენ საკანიც დაათვალიერეთ. მართლა იყო ვიდეოთვალი დამონტაჟებული?

— დავათვალიერე საკანი, მაგრამ, სამწუხაროდ, იქ ვიდეოთვალი დამონტაჟებული არ იყო. დერეფანშია და ალბათ ის ინფორმაცია გახდება ოჯახის წევრებისთვის ხელმისაწვდომი, როცა გამოძიება მას ამოიღებს. მე ასევე ვნახე, რომ ოჯახს ძალიან უჭირს. ეს ახალგათავისუფლებული ბავშვიც დაკავებული იყო ქურდობის ბრალდებით. სასამართლომ მას 5 ათასლარიანი გირაო შეუფარდა, მაგრამ ეს თანხა მისთვის საკმაოდ მძიმე გადასახდელი იყო. მე ვესაუბრე ციხეში სოციალურ აგენტს, რომელიც, გოგის დავალებით, მის ოჯახს უკავშირდებოდა.

ჯერჯერობით ბევრი ინფორმაციაა ისეთი, რომელსაც გაანალიზება სჭირდება. პირადად მე, არ მაქვს საფუძველი, ვიფიქრო, რომ მკვლელობა მოხდა, არანაირი სამხილი არ მაქვს.

— მაგრამ თქვა, რომ თავს ვერ ჩამოიხრჩობდა, რადგან ხელი ტრავმირებული ჰქონდა.

— შეძლებდა თუ არა თავის ჩამოკიდებას, ეს არის ის დეტალები, რაზედაც ექსპერტებმა და სპეციალისტებმა უნდა ისაუბრონ. ეს გამოძიების საქმეა და მას უნდა დაველოდოთ, მაგრამ ოჯახს გამოძიებასთან კომუნიკაცია უნდა ჰქონდეს. ყველა კითხვაზე პასუხი უნდა მიაწოდონ. კარგია, რომ უკვე ჩავიდნენ იქ.

— დაზიანებული ხელის შესახებ ციხეში ცნობილი იყო?

— ადმინისტრაციამ იცოდა, რადგან წინა გათავისუფლებამდე პატარა კონფლიქტი მოხდა ციხეში და მაშინ დაუშავდა.

— ძველაიამდე იყო კორტაკას ამბავი და ორიოდე შემთხვევა ქუთაისში მოხდა.

— სხვადასხვა შემთხვევაა. ის იყო გეგუთის კოლონიაში და ეს არის ქუთაისის ციხე. შემთხვევაც სხვადასხვაა. აქ საუბარია თვითმკვლელობის ვერსიაზე, იქ კი — პატიმრების ჩხუბზე.

— ჯერ არ არის დადგენილი თვითმკვლელობა. ისე კი, პირველი ჯერზეთ, კორტაკაც თვითონ დაგორდა კიბეზე.

— გამოძიებას უნდა დაველოდით, მე საფუძველი არ მაქვს, სხვა რამ ვივარაუდო, მაგრამ ეჭვი ყველაფერზე შეიძლება გამოთქვა. ეს უნდა დაადასტუროს ექსპერტიზის დასკვნამ. ოჯახი ატარებს ექსპერტიზას და ვნახოთ.

— მაგრამ ორიოდე შემთხვევა ადასტურებს, რომ ციხეში პრობლემებია.

— მოდით, შევხედოთ, ვინ საუბრობს ამ თემაზე და ვინ ყვირის. ეს არიან ის ადამიანები, ვისაც არანაირი მორალური უფლება არ აქვთ, ამაზე ისაუბრონ. დღეს რომ ლაპარაკობენ, ციხეებში მაყურებლები არიანო, ასეთი ტენდენცია მანამდე არ იყო?! ეს ყოველთვის შეიმჩნეოდა, არ არის ახალი ფენომენი და ახალი აღმოცენებული ინსტიტუტი, მაგრამ, როცა კოლონიის უფროსი თავად სცემდა და აუპატიურებდა ყველას, მაყურებლის პრობლემა აღარ ჩანდა. დღეს კი გვაქვს ციხე, სადაც აბსოლუტურად სხვა პრობლემებია.

„ეკა კუკავას შეფასებით, კორტაკას საქმეზე სუბარიც ზუსტად ისე მოიქცა, როგორც მერაბიშვილი ვირგელიანის საქმეზე.

„შევხედოთ, ვინ საუბრობს ამ თემაზე და ვინ ყვირის. ეს არიან ის ადამიანები, ვისაც არანაირი მორალური უფლება არ აქვთ, ამაზე ისაუბრონ. დღეს რომ ლაპარაკობენ, ციხეებში მაყურებლები არიანო, ასეთი ტენდენცია მანამდე არ იყო?! ეს ყოველთვის შეიმჩნეოდა, არ არის ახალი ფენომენი და ახალი აღმოცენებული ინსტიტუტი, მაგრამ, როცა კოლონიის უფროსი თავად სცემდა და აუპატიურებდა ყველას, მაყურებლის პრობლემა აღარ ჩანდა. დღეს კი გვაქვს ციხე, სადაც აბსოლუტურად სხვა პრობლემებია.

„სუბარი მართლა ჯაჭვად მუშაობს და უმადურობა იქნება მის მიმართ ძვირის თქმა. პირველ წელს შეძლო მინიმუმამდე დაეყვანა პატიმრების სიკვდილიანობა. სუბარმა ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები გაატარა და სამართლიანობა მოითხოვს, ვთქვათ, რომ მისი გადადგომის არანაირი საფუძველი არ არსებობს.

ჩემთან შემოდის პატიმრების ათეულობით საჩივარი, რომლებიც ძირითადად ითხოვენ დროზე ადრე გამოსვლას, მკურნალობას... სოზარ სუბარმა უმძიმესი რეფორმის გატარება შეძლო და სიტუაცია კარდინალურად შეცვალა. პრობლემები იქნება ციხეში, უპრობლემო ოჯახი არ არის და, მით უმეტეს, ციხე ვერ იქნება, სადაც უამრავი ადამიანია, მაგრამ საგანგაშო სიტუაცია ნამდვილად არ არის. ყველაფერი კეთდება, რომ ცალკეული პრობლემები არ გაღრმავდეს და მათი გადაწყვეტის გზები მოიძებნოს.

„სუბარი მართლა ჯაჭვად მუშაობს და უმადურობა იქნება მის მიმართ ძვირის თქმა. პირველ წელს შეძლო მინიმუმამდე დაეყვანა პატიმრების სიკვდილიანობა. სუბარმა ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები გაატარა და სამართლიანობა მოითხოვს, ვთქვათ, რომ მისი გადადგომის არანაირი საფუძველი არ არსებობს.

— ეკა კუკავას შეფასებით, კორტაკას საქმეზე სუბარიც ზუსტად ისე მოიქცა, როგორც მერაბიშვილი ვირგელიანის საქმეზე.

— კორტაკას საქმეს დეტალებში ვიცნობ, სიცოცხლეშივე მომწერა ორი წერილი და ორივეზე მქონდა რეაგირება გაკეთებული. კორტაკას საქმეზე თავიდან ცრუ ვერსია გავრცელდა, ტექნიკურად დამალა ადმინისტრაციამ, რაც გამოიკვეთა და მტკიცებულებების ფალსიფიკაციისთვის რამდენიმე პირს ბრალდება წაუყენეს. ჩვენ ვაყენებდით საკითხს, რომ დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი დამდგარიყო, მინიმუმი, გულგრილობისთვის და ასეც მოხდა. კომიტეტმა დასკვნაც მიიღო და პროკურატურას შესაბამისი რეკომენდაციებიც გადაეგზავნა. რეაგირება მოჰყვა. სოზარ სუბარიც აქტიურად იყო ამაში ჩართული და, სხვათა შორის, ახლაც დანიშნულია ახალი ექსპერტიზა — ხომ არ შეიძლებოდა საავადმყოფოში მისი გადარჩენა. ანუ ახლაც არის გარკვეული კითხვები. რაც შეეხება დირექტორს, ის არამარტო გაათავისუფლეს, პასუხისგებაშიცაა მიცემული, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ ყველა ის პირი გირაოთი გაათავისუფლა. გამოძიება ახლაც მიმდინარეობს.

— თუ ციხეში არადგრია საგანგაში, არასამთავრობო ორგანიზაციები რატომ ითხოვენ იქ მონიტორინგს?

— თვითონ იდეას, არასამთავრობოებს ჰქონდეთ მონიტორინგის უფლება, ყოველთვის ვუჭერდი მხარს და მაშინ ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. დღეს ასე არ არის, მაგრამ იდეას ახლაც ვუჭერ მხარს. გადასაწყვეტია, ეს უნდა იყოს ერთიანი მონიტორინგი თუ პლუს სერვისი. შესაძლებელია სახალხო დამცველის აპარატის ჯგუფის გაფართოებაც ან დამატებითი მონიტორინგის გაკეთება, მაგრამ ეს უნდა მოხდეს კონსენსუსით და გააზრებულად, ვის უნდა მიეცეს ასეთი მანდატი. ამაზე მსჯელობა უნდა დაიწყოს.

— თქვენ სოზარ სუბარის მუშაობით კმაყოფილი ხართ, სხვები კი მის გადადგომას ითხოვენ.

— სუბარი მართლა კარგად მუშაობს და უმადურობა იქნება მის მიმართ ძვირის თქმა. ის მაქსიმუმს აკეთებს. პირველ წელს შეძლო მინიმუმამდე დაეყვანა პატიმრების სიკვდილიანობა. დაავადებული პატიმრებისთვის კეთდება ოპერაციები, ცე ჰეპატიტიან, ტუბერკულოზიან ავადმყოფებს უტარდებათ მკურნალობა. სუბარმა ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები გაატარა და სამართლიანობა მოითხოვს, ვთქვათ, რომ მისი გადადგომის არანაირი საფუძველი არ არსებობს.

— თურმე თვითონაც ნდომია წამოსვლა. მითხრეს, იმედი ჰქონდა, განათლების მინისტრად გადაიყვანდნენი.

— არა, არ ვიცი, ჩემთან არაფერი უთქვამს. მე კარგად ვიცნობ ამ სისტემას და სუბარს იქ კარგი გუნდი ჰყავს, ამდენს მარტო ვერ შეძლებდა. ისე კი, დღეს რომ ამხელა ამბავია ატეხილი, ცოტა მიკვირს იმ ცენტრალური ტელეარხებისგან, რომლებიც მაშინ, როცა ამის აუცილებლობა იყო, ხმას არ იღებდნენ. თავის დროზე რომ ასეთი აქტიურები ყოფილიყვნენ, იმ საშინელებებს თავიდან ავიცილებდით.

✓ **პოლიტიკის რუბრიკა მოამზადა მანანა გეგიამ**

Cyan Magenta Yellow Black

მარჯანიშვილის ქუჩაზე განსხვავებული „მაკდონალდსი“ გაიხსნა

მსოფლიოს 20 საუკეთესო „მაკდონალდსს“ შორის 2 ქართულია

აი, რა მიყვარს

მარჯანიშვილის მოედანზე ორთვიანი სარემონტო სამუშაოების შემდეგ „მაკდონალდსის“ სრულიად განსხვავებული დიზაინისა და ინტერიერის ფილიალი გაიხსნა. „მაკდონალდსის“ რესტორნების ქსელის ბოლო ტენდენცია თვალშისაცემია. თბილისის სხვადასხვა უბნებში მდებარე რესტორნების ინტერიერი მაქსიმალურად თანამედროვე, პრაქტიკული და შთამბეჭდავია.

როგორც კომპანია „მაკდონალდსის“ ქართული მენეჯმენტი აცხადებს, „მაკდონალდსის“ ქსელის რემოდელინგი გარდაუვალი პროცესია და ის წარმატებულად მიმდინარეობს. მთავარი ამოსავალი წერტილი მომხმარებელია და კომპანიას სურს, რომ მას მაქსიმალურად კომფორტული, საინტერესო და ორიგინალური გარემო შეუქმნას.

თენგიზ კაპანაძე — „მაკდონალდსის“ გენერალური დირექტორი:

— ჩვენ მაქსიმალურად ვზრუნავთ მომხმარებლის კმაყოფილებაზე და ვთვლით, რომ, ხარისხიანი პროდუქციის გარდა, მომხმარებელს კმაყოფილებისათვის კომფორტული გარემო, მაღალი ხარისხის ინვენტარი, დახვეწილი დიზაინი, სიმყუდროვე და სიახლე სჭირდება. ასევე არ გვავიწყდება სოციალური პასუხისმგებლობაც, ამიტომ, ტრადიციისამებრ, მარჯანიშვილის ფილიალის განახლებულ გახსნასთან დაკავშირებით სტუმრად მოვიყვანეთ გლდანის ბავშვთა სახლის აღსაზრდელები. ჩვენი განახლებული ინტერიერით და ტრადიციული მენიუთი, აბსოლუტურად ახლებური სათამაშო ოთახით მათ მაქსიმალურად ვასიამოვნეთ.

„მაკდონალდსის“ ქსელის გაფართოება მთელი საქართველოს მასშტაბით მზარდია და რამდენიმე წელიწადში რესტორნის ქსელი 15-ს მიაღწევს. ამ სიახლის შესახებ „მაკდონალდსის“ პრეზიდენტი თემურ ჭყონია გვიამბობს.

თემურ ჭყონია:

— „მაკდონალდსის“ რესტორნები მსოფლიოში 33 ათასზე მეტია, ყოველ მათგანს თავისი მიმართულება და კონცეფცია აქვს. თუმცა საქართველოში „მაკდონალდსების“ ქსელი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია, ის განსხვავდება თავისი ორიგინალური არქიტექტურით და საუკეთესო მდებარეობით. მაგალითად, წელს გამოქვეყნდა მსოფლიოს 20 საუკეთესო დიზაინის „მაკდონალდსის“ რესტორანი. ჩვენდა საამაყოდ, ამ ოცეულში ორი ქართული რესტორანი შევიდა, თბილისში, რუსთაველის გამზირზე მდებარე „მაკდონალდსი“ და ბათუმის „მაკდონალდსი“. პირველად რუსთაველის რესტორანი განვაახლეთ და სრულიად ახალი კონცეფცია შევთავაზეთ მომხმარებელს. ამან თვითონვე შექმნა კონკურენცია „მაკდონალდსის“ სხვა რესტორნებთან, ამიტომ ახლა იძულებულები ვართ, რომ ყოველი ახალი რესტორანი ან ახალაშენებული, ან გარემონტებული იყოს მასზე უკეთესი. ბათუმის ახალგახსნილი „მაკდონალდსის“ შემდეგ კი, უბრალოდ, აღარ ვიცით, როგორი უნდა იყოს ჩვენი შემდგომი ობიექტი. შეიძლება ეს ეკონომიურად ზედმეტი დანახარჯია, მაგრამ სულ იმას ვფიქრობთ, რომ რაც შეიძლება ლამაზი, თანამედროვე რესტორანი გავაკეთოთ, სადაც, რა თქმა უნდა, ტრადიციულად უმაღლესი ხარისხის სერვისი და ასორტიმენტი იქნება.

— ჩანს, რომ ძალიან ამაყობთ „მაკდონალდსების“ ახლებური ინტერიერით, განსაკუთრებით კი — ბათუმის „მაკდონალდსით“.

— ბათუმი მაინც ტურისტული ქალაქია და ამიტომ გვინდოდა, რომ განსაკუთრებული ყოფილიყო, რადგან ტურისტების აქტიურობაც ძალიან მაღალია. ბათუმში ტურისტები „მაკდონალდსში“ დადიან არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჭამონ თავიანთი საყვარელი პროდუქტები, არამედ იმიტომ, რომ დაათვალიერონ და ნახონ საკუთარი თვალით. ხანდახან გვიწევს გარკვეულ წრეებში იმის მტკიცება, თუ რა სარგებლობა მოაქვს „მაკდონალდსს“ საქართველოსთვის. თქვენ წარმოიდგინეთ, რაც საქართველოში „მაკდონალდსი“ არსებობს, 7 ათასმა ადამიანმა მოახერხა ამ კომპანიაში მუშაობა. დღეს თბილისის საუკეთესო რესტორნების მმართველები და მომსახურე პერსონალი ჩვენი კადრებით არის დაკომპლექტებული. „მაკდონალდსის“ ქსელს ბიუჯეტში შეტანილი აქვს 33 მილიონ 749 ათასი და 279 ლარი. საერთო ჯამში, ინვესტიციების რაოდენობა 19 მილიონ ლარამდე გვაქვს განხორციელებული. ეს ყველაფერი საქართველოს ეკონომიკაში სერიოზული აქტივობებია. გეგმაში გვაქვს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სულ ავაშენოთ 15 რესტორანი.

— მარჯანიშვილის ქუჩაზე განახლებული „მაკდონალდსის“ რემოდელინგი რა დაჯდა?

— მარჯანიშვილის ფილიალს ისეთი მდებარეობა აქვს, რომ დიდხანს ვფიქრობდით, როგორი კონცეფცია გაგვეკეთებინა, თანაც განახლებული მარჯანიშვილის მოედნის სივრცეში კარგად რომ ჩამჯდარიყო. ძალიან ბევრი სპეციალისტი მოვიწვიეთ, რომ საუკეთესო აგვერჩია, თავიდან ვფიქრობდით, რომ კოსმეტიკურ რემონტს ჩავატარებდით, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ ორ თვეში რესტორნის თავიდან აშენება მოგვიწია, რადგან დიზაინმა მეორე სართულზე ვერანდის გაკეთება მოითხოვა. საერთო ჯამში, მარჯანიშვილის რემოდელინგი ორ მილიონ ლარზე მეტი დაჯდა. სამუშაოები შეასრულა ქართულმა კომპანიამ „L&A“, რომელთანაც წლებია ვთანამშრომლობთ და მათი მუშაობის სტილით ძალიან კმაყოფილები ვართ. სამუშაო პროცესში ევროპული კომპანიები აქტიურად იყვნენ ჩართულები. პროექტი და ინტერიერის დიზაინი ფრანგულ კომპანიას ეკუთვნის. გარდა ამისა, რესტორანში მოხდა სამზარეულო დანადგარების განახლება და აღჭურვა გერმანული კომპანია „ფრანკეს“ ტექნიკით.

— „მაკდონალდსის“ გაფართოების უახლესი გეგმა როგორია?

— სულ მალე ჩვენი ფილიალები გაიხსნება გლდანში, სანზონაში, ნახალოვკაში, მარნეულში „სოკართან“ ერთად ვაპირებთ ერთობლივი პროექტის განხორციელებას. საბოლოოდ მივაღწევთ 15 რესტორანს, სადაც დასაქმდება 2000 ადამიანი.

Cyan Magenta Yellow Black

ირაკლი ჩოლოყაშვილის მეორე ცოლი მევიოლინე სალომე ბუკია

მსახიობი ირაკლი ჩოლოყაშვილი, მას შემდეგ, რაც პირველ ცოლს, ასევე მსახიობ ნინო იოსელიანს ოთხწლიანი ოჯახური ცხოვრების შემდეგ გაშორდა, გარკვეულ ხანს მარტოხელა იყო. ახლახან კი შევიტყვეთ, რომ მეორედ დაქორწინდა 15 წლით უმცროს გოგონაზე. მისი რჩეული მევიოლინე სალომე ბუკია გახლავთ. თავად ირაკლი 40 წლისაა. ერთმანეთს ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან იცნობენ, როცა სალომე სკოლის მოსწავლე იყო.

წყვილმა ხელი გასულ ზაფხულს მოაწერა, ჯვრისწერას კი უახლოეს მომავალში გეგმავენ. ირაკლის სურვილია, რომ მშობლიურ კუთხეში, კახეთში, ალავერდის ტაძარში დაიწეროს ჯვარი.

— ირაკლი, გილოცავთ დაოჯახებას! ასე ჩუმად როგორ მოახერხეთ დაქორწინება, არავის რომ არ გაუგია?

— ჰო, ამ ზაფხულს ასე მშვიდად დავქორწინდით. ამ ამბავს დიდი აჟიოტაჟი არ მოჰყოლია, ბევრმა არ იცის. ხელი მოვაწერეთ და ოჯახში აღვნიშნეთ. ალბათ ჯვრისწერას უფრო აღვნიშნავთ. შობის მარხვის დაწყებამდე დავიწერთ ჯვარს.

— გაგვაცანით თქვენი ცოლი.

— ჩემი მეუღლე სალომე ბუკიაა, პროფესიით მუსიკოსი, მევიოლინე. ერთმანეთს ძალიან ადრე, დაახლოებით 10-11 წლის წინ შევხვდით. მაშინ სალომე პატარა გახლდათ. ჩემზე 15 წლითაა უმცროსი და მაშინ სკოლის მოსწავლე იყო. ასე დამთავრდა ჩვენი ნაცნობობა.

„ეთმანეთს თითქოს შეჯვეთით შევხვდით"

— ეს შეხვედრა სად მოხდა?

— ბორჯომში. ლიანა ისაკაძის ფესტივალი ტარდებოდა, სადაც ვმონაწილეობდი. არ მახსოვს, სალომეც მონაწილეობდა თუ არა, მაგრამ იქ იყო. როცა თბილისში მოვდიოდით, ერთად ვიმგზავრეთ, გზაში გავიცანი. იმ ავტობუსში, სალომეს გარდა, ყველას ვიცნობდი. გასაცნობად დიდი დროც არ გვქონია, თბილისში მალე ჩამოვედით.

შემდეგ მან კონსერვატორიაში ჩააბარა და რამდენჯერმე შემთხვევით ვნახე. სალომე ჯანსუღ კახიძის სიმფონიურ ორკესტრში უკრავს, იქ კი ჩემი ძალიან ბევრი მეგობარია. კონცერტებზე რომ მივდიოდი, სალომეს ხშირად ვხედავდი. შემდეგ მე დავოჯახდი, თითქმის 4 წელში კი განვქორწინდი. წინა წლის დეკემბერში, თითქოს შეკვეთით, მე და სალომე ისევ ერთმანეთს შევხვდით. უკვე თავისუფალი ადამიანი რომ ვიყავი, შეიძლება იმ მომენტში ეს შეხვედრა სხვანაირად აღვიქვი.

— შემდეგ მოვლენები სწრაფად განვითარდა?

— სალომე სოლო კონცერტისთვის ემზადებოდა, ძალიან ვგულშემატკივრობდი. კონცერტზე მისვლა ძალიან მინდოდა, მაგრამ სტრასბურგში გასტროლზე წასვლა მომიხდა. თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების საშუალებით, გენერალურ რეპეტიციას სტრასბურგში ყურსასმენებით ვუსმენდი. იქ ისეთი სახით დავდიოდი, გეგონებოდა, სტრასბურგს ვათვალიერებდი, სინამდვილეში კი ჩემი გონება აღმაშენებლის პროსპექტზე, მუსიკალურ ცენტრში მქონდა. იმ პერიოდში თითქოს სალომეზე დამოკიდებული გავხდი... ადამიანს თვალებში რომ შეხედავ, მიხვდები, შუშის თვალებით გიყურებს თუ არა. მიუხედავად იმისა, რომ სალომე ლინზებს ხმარობს, მისი თვალებიდან მაინც რაღაც გამოსჭვიოდა.

„ბევრი მეოხედ დაქორწინებას ხო ჩქარობენ, მით უმეტეს, როცა პირველი ქორწინებიდან შვილი ჰყავთ. მე ეი ოჯახური ცხოვრებისკენ ხალაც მიზიდავს".

— ანუ სიმპათიები ორმხრივი იყო თუ სალომესთვის თავის მოსაწონებლად მაინც მეტი აქტიურობა დაგჭირდათ?

— ყველაფერი ბუნებრივად მოხდა. ვერ ვიტყვი, რომ რაღაც ტაქტიკა და სტრატეგია მქონდა, როგორ მოვქცეულიყავი. 40 წლის ასაკში ეგეთი რაღაცეები ცოტა ბავშვობას ჰგავს. დეკემბერში 41 წლის ვხდები.

— რითი მოიგეთ სალომეს გული?

— ყოველ შემთხვევაში, არც წამიგია. ბევრი საერთო რამ აღმოგვაჩნდა, მაგრამ ალბათ ძირითადი საერთო მაინც მუსიკაა. ჩემი მეორე პროფესია დირიჟორობაა და ჩვენ ბევრი საერთო გვაქვს.

— თქვენი პირველი მეუღლეც ხელოვანი იყო.

— კი და ის თეატრის სფეროშია. საერთოდ ერთი სფეროს წარმომადგენლები უფრო უგებენ ერთმანეთს. ამ დროს კონტაქტი უფრო ადვილია.

— დაქორწინების გადაწყვეტილებამდე როგორ მისვედით?

— ქორწინებამდე 8 თვე დაგვჭირდა. ვატყობდით, რომ სახლში მიცილება, შემდეგ კი ცალ-ცალკე ყოფნა გვთრგუნავდა, სადამდეც გვეყო ძალა, ვიარეთ, შემდეგ უკვე ზაფხული, შვებულების პერიოდი მოდიოდა, სამსახურიდან მეც და სალომეც თავისუფალი ვიყავით, ამ დროს უკვე შეიძლებოდა დაქორწინება.

— სალომემ რა პიროვნული თვისებებით მოგხიბლათ?

— საერთოდ, ასეთ თემებზე სერიოზული პასუხები არ მიყვარს. რითი მომხიბლა და, ხუჭუჭაა და მოვიხიბლე, შინაგანადაც ხუჭუჭაა... ასე ძნელია თქმა, ჯერ ბოლომდე არ ვიცი, რამ მომხიბლა, მაინც გაცნობის პერიოდი გვაქვს. როცა ჩამოვყალიბდები, შემდეგ ინტერვიუში აუცილებლად გეტყვით. სალომე ძალიან ხალისიანი ადამიანია, მასთან ურთიერთობა იოლია.

— თქვენთან ურთიერთობაც მარტივია?

— ეს სხვამ უნდა თქვას, მაგრამ მთლად იოლიც არ უნდა იყოს. ალბათ ცოტა კახური სიჯიუტე მაქვს, უსამართლობის დროს თითქოს ფეთქებადიც ვარ.

— პირველი ქორწინებიდან საკმაო გამოცდილება დაგროვებოდათ, ალბათ იმ შეცდომებს აღარ გაიმეორებთ.

— არ ვიცი, შეცდომებზე ფიქრი არ მიწევდა. არ მგონია, ამის განხილვა დამჭირდეს. ვფიქრობ, როცა ჭკუით აკეთებ, ეს უკვე მათემატიკაა, ოჯახური ცხოვრება კი მაინც უფრო ემოციურია და უფრო არამიწიერი შეგრძნებებით ხარ სავსე. ეს უფრო აღმატებულია, ვიდრე ჩამოწერილი პუნქტები. შეიძლება ამას უცხოეთში, ცივი ბუნების მქონე ადამიანები აკეთებდნენ, მაგრამ ჩვენ მაინც ემოციური ხალხი ვართ და ყველაფერს ემოციის დონეზე ვაკეთებთ და არა — პარაგრაფებით და ქვეპუნქტებით.

„სალომე ძალიან ხალისიანი ადამიანია, მასთან ურთიერთობა იოლია".

— შეიძლება ითქვას, რომ პირველად საკმაოდ გვიან დაქორწინდით, 40 წლის ასაკში კი უკვე მეორედ შექმენით ოჯახი. მეორედ უფრო ადვილად მიიღეთ გადაწყვეტილება?

— თურმე ბოლოს არის ადვილი, თავიდან ჭირს. სალომეს რომ ვუყურებ, ჩემი თავი ახალგაზრდა მგონია. არ ვიცი, იმას რა ჰგონია, მაგრამ მსიამოვნებს, ახალგაზრდებში რომ გავერიე. ჩვენ შორის ასაკობრივ სხვაობაზე მიფიქრია, ეს ყველაფერი ასე სპონტანურად არ მომხდარა. სად 25 წლის ადამიანის ენერგია და სად — შემდეგ ასაკში, თუმცა არც ახლა დავმძიმებულვარ, მაგრამ იმ ასაკში ბევრად უფრო გამოცოცხლებული ვიყავი, ფეხს დავკრავდი და სხვა ქვეყანაში, სხვა ქალაქში აღმოვჩნდებოდი. ახლა ვფიქრობ, სალომე რომ ასეთი იყოს, ნეტა, ფეხს თუ ავუწყობ-მეთქი ან თუ დავდინჯდი, იმას რამდენად აწყობს ჩემი სიდინჯე, მაგრამ, მგონი, ამ მხრივ ჯერჯერობით ბევრი საერთო გვაქვს.

— როგორც ვიცი, თქვენი პირველი მეუღლეც უმცროსი იყო თქვენზე.

— მთლად ასე — არა, მაგრამ 7 წლით უმცროსი იყო, ახლა სხვაობა ორჯერ გავზარდე.

— ოჯახის წევრები როგორ შეხვდნენ თქვენს გადაწყვეტილებას?

— გადასარევად. აღარ ეგონათ, რომ მეორედ შევქმნიდი ოჯახს. საერთოდ მამაკაცები მეორედ დაქორწინებას მაინცდამაინც არ ჩქარობენ, მით უმეტეს, როცა პირველი ქორწინებიდან შვილი ჰყავთ. ფიქრობენ, რომ მისაღწევს მიაღწიეს, შვილი ჰყავთ და თუ პირველ ცოლთან პრობლემები ჰქონდათ, მეორესთან რაღატომ გაიჩინონ პრობლემები. მე კი ოჯახური ცხოვრებისკენ რაღაც მიზიდავს.

— როცა სალომე გამოჩნდა თქვენს ცხოვრებაში, ნინო იოსელიანთან ქორწინება უკვე დამთავრებული იყო?

— დიახ. მე და ნინო შარშან, ზაფხულში გავშორდით, თებერვალში ოფიციალურად განვქორწინდით. ამ ორ მოვლენას შორის კი დიმიტრი დაიბადა. ის 31 ოქტომბერს ერთი წლის ხდება.

✓ ეკა ლემონჯავა

Cyan Magenta Yellow Black

„მეგონა, მეორე შვილი შეცვლიდა ჩვენს ურთიერთობას, მაგრამ მუცელი მომეშალა“

სოფო ბედია ქმართან გაყრის მიზეზებზე საუბრობს

ომღერალი სოფო ბედია პირად ცხოვრებაში ყოველთვის წარმატებული ჩანდა. პრესასთან ის სიყვარულით საუბრობდა თავის ქმარზე, მუსიკოს მიშა შაყულაშვილზე, ამბობდა, რომ ბედნიერი ოჯახი ჰქონდა. ერთად ზრდიდნენ შვილს, ნიკოლოზს და მომავლის გეგმებს აწყობდნენ... ახლახან კი ცნობილი გახდა, რომ მათი ოჯახი დაინგრა. როგორც ირკვევა, ბზარი დიდი ხნის წინ გაჩნდა, 3 თვის წინ კი სოფომ ყველაფერს წერტილი დაუსვა. გავრცელდა ხმები, რომ მათ შორის მესამე პირი ჩადგა, რასაც მომღერალი „სარკესთან“ კატეგორიულად უარყოფს და გაშორების რეალურ მიზეზებზე საუბრობს.

— სოფო თქვენი ოჯახი ისეთი ბედნიერი ჩანდა, ძნელი იყო წარმოდგენა, რომ მას იდუმალ დანგრევის საფრთხე დაემუქრებოდა.

— ყველა ადამიანის ცხოვრებაში რაღაც იწყება და რაღაც მთავრდება. სასურველია, როცა ადამიანი დიდი სიყვარულით შექმნის ოჯახს, ცხოვრების ბოლომდე შეინარჩუნოს იგი, მაგრამ ყველაფერი ხდება. თანაცხოვრება რთული საკითხია, სიყვარულს მოფრთხილება სჭირდება. მე ყოველთვის ვუფრთხილდებოდი ჩვენს გრძნობას, ვცდილობდი, ჩვენი ოჯახი ყველასთვის თითით საჩვენებელი, მისაბაძი ყოფილიყო. ხალხის თვალში ასეც იყო. ჩვენი ოჯახის რღვევამ ამატომაც გამოიწვია ამხელა აჟიოტაჟი. ყველა აღნიშნავდა, რომ გამორჩეული წყვილი ვიყავით, შეიძლება ასეც იყო, მაგრამ დადგა დრო, როცა ეს ყველაფერი დამთავრდა.

— საოცალურ ქსელში დაწერეს, რომ თქვენი ოჯახის დანგრევის მიზეზი ღალატი იყო. რას უპასუხებთ ამ ხმებს?

— გამორიცხულია, ეს ტყუილია! ჩვენ ერთმანეთს საოცრად დიდ პატივს ვცემდით. გვიყვარდა ერთმანეთი და ორივე ძალიან გულწრფელი და ერთგული ვიყავით ერთმანეთის მიმართ.

სასაცილოა ღალატის თემა. ვიღაცისთვის საინტერესო რომ ყოფილიყო ჩვენი ოჯახის დანგრევის მიზეზი, ამიტომ გაავრცელეს ეს ხმა.

— რიდის მსგავსი, რომ თქვენი ცოლქმრობა შეიძლებოდა დასრულებულიყო?

— დიდი ხნის წინ, მაგრამ ყველანაირად ვცდილობდი, ეს ურთიერთობა არ დამესრულებინა. რამდენიმე თვის წინ ორსულად დავრჩი, ვიფიქრე, მეორე შვილი შეცვლიდა ჩვენს ურთიერთობას, მაგრამ ისე მოხდა, რომ მუცელი მომეშალა. ალბათ ღვთის ნება იყო. ამის შემდეგ ჩემი გადაწყვეტილებით ყველაფერი დასრულდა. ეს მოხდა 3 თვის წინ.

„ძნელია ნაჩმატებული ქალის ქმრობა, მით უმეტეს, მაშინ, როცა შენც ხელოვანი ხარ და შენც გინდა, ნაჩმატებული იყო“.

ბზარი ბევრად ადრე გაჩნდა, ვცდილობდი, შემევსო, მაგრამ არაფერი გამოვიდა. როცა ორი ადამიანი ერთმანეთს ვეღარ უგებს, როცა სალაპარაკო თემა აღარ არსებობს, იქ უნდა დამთავრდეს ყველაფერი. იმას, რომ არაჩვეულებრივი მამაა, არავინ უკარგავს, დღემდე ნორმალური ურთიერთობა გვაქვს. ბავშვს ნახულობს, ერთმანეთს ხშირად ვხედავთ. ვუსურვებ ბედნიერებას სხვასთან. თუ ის უკეთესად იგრძნობს ვინმე სხვასთან თავს, რატომაც არა, ეს ჩემთვის მისაღები იქნება.

— ერთ-ერთ გასაუბრებაში თქვენ აბობთ, რომ ახალ სიყვარულს ელით.

— ჟურნალისტმა დაწერა ჩემი სიტყვები — ჩემს თავსაც და ყოფილ მეუღლესაც ვუსურვებ, ახალი სიყვარული გვეპოვოს-მეთქი. ეს ხალხმა ისე გაიგო, თითქოს ახალ სიყვარულს ვეძებდი. ეს არის მტკნარი სიცრუე! არაფერს ვეძებ, ჩემთვის ვარ მშვიდად, მინდა, დალაგდეს ჩემი ცხოვრება და მომავალში რა იქნება, ეს უფალმა იცის. ყველა ადამიანს ვურჩევდი, ადამიანობა გამოიჩინონ.

„ოცა ოხი ადამიანი ეთმანეთს ვეღარ უგებს, ოცა საღაპარაკო თემა აღარ არსებობს, იქ უნდა დამთავრდეს ყველაფერი... ვუსურვებ ბედნიერებას სხვასთან“.

ჩემს ამბავს ისეთი კომენტარები მოჰყვა ხალხის მხრიდან, რომ გული მეტკინა, შევშფოთდი. მათ აგრესიას მოუმზადებელი შევხვდი. ჩემი „ფეისბუქის“ გვერდზე მათ პასუხი გავეცი, რაც დღევანდელი გადასახედიდან არასწორი ნაბიჯი იყო. მათი იგნორირება ვერ შევძელი, რადგან სუფთა ვარ და გულწრფელად გავბრაზდი ხალხის დამოკიდებულების გამო: თავი შეიკავეთ თქვენი ზედმეტი დებილური აზრების გამოხატვისგან, ამის უფლება არ გაქვთ! ვისზე ლაპარაკობთ? მთელმა საქართველომ იცის, რითი ვსუნთქავ და როგორი ღირსეული ქალი ვიყავი, ვარ და ვიქნები. აი, ამაზე მწყდება გული. აღარ იცის ხალხმა, როგორი ბოროტი ჭორი დაგიყაროს. ასე გაბოროტება არ შეიძლება!

■ სოფო და მიშა

„ყოველთვის ვეფითხიდებოდი ჩვენს გრძნობას, ვცდილობდი, რომ ჩვენი ოჯახი ყველასთვის თითით საჩვენებელი, მისაბაძი ყოფილიყო...“

— ქმარი ხომ არ ეჭვიანობდა თქვენზე?

— არა, რადგან ამის საბაბი არ ჰქონია. როცა ლამაზი, წარმატებული ცოლი გყავს, მას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. მე ყოველ საღამოს რესტორანში ვმღერი, მიშა ყოველთვის ყურადღებიანი იყო, ჩვენ ყველგან ერთად დავდიოდით, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის ეჭვიანობდა.

— იმებ სწორედ წარმატებული, ლამაზი ქალის გვერდით ყოფნა იყო მისთვის რთული?

— მიშიკო უნიჭიერესი ადამიანია, ძლიერი მუსიკოსი, კომპოზიტორი, მომღერალი და ეს მთელმა ქვეყანამ იცის, თუმცა თავისი ნიჭის რეალიზება ვერ მოახერხა, საჭირო დროს საჭირო ადგილას ვერ მოხვდა. მოკლედ, არ გაუმართლა. იმაში, რომ მე წარმატებული ქალი ვარ, ორი აზრი არ არსებობს. პოპულარული მომღერალი ვარ, უამრავი შემოთავაზება მაქვს. არ ვიცი, ამ სიტუაციაზე ეჭვიანობდა თუ არა, მაგრამ ზოგადად ალბათ ძნელია წარმატებული ქალის ქმრობა, მით უმეტეს, მაშინ, როცა შენც ხელოვანი ხარ და შენც გინდა, წარმატებული იყო.

— მარტოსულა დედაბისთვის მზად ხართ?

— ახლა მთელი ჩემი ყურადღება შვილზე მაქვს გადატანილი. მე და მიშას ნიკოლოზი გვაკავშირებს ერთმანეთთან, რომელიც ჩვენი დიდი სიყვარულის ნაყოფია. ნიკოლოზს ჰყავს მამა, რომელიც თავის როლს კარგად ასრულებს. ზოგადად კი მოგახსენებთ ჩემს აზრს — მარტოობა არავისთვის არის კარგი, ყველა ადამიანს აქვს უფლება, იყოს ბედნიერი. გასაოცარს არაფერს ვამბობ, რომ ხალხმა გამლანძღოს. ჩემს ყოფილ მეუღლესაც ვუსურვებ, არ იყოს მარტო.

— მშვიდად დაშორდით ერთმანეთს თუ კონფლიქტურად?

— ჩვენი დაშორება ძალიან მშვიდად მოხდა. მე გადავწყვიტე, რომ ყველაფერი დასრულებულიყო. ერთი თვის წინ ოფიციალურად განვქორწინდით. რა თქმა უნდა, შემეწინააღმდეგა, მაგრამ... ყოველთვის ცდილობდა, რომ კიდევ ერთი შანსი მიმეცა და აღარ მთავრდებოდა ეს შანსები. ჩემი ბოლო გადაწყვეტილება მტკიცე იყო. რას იზამდა? გაგებით მოეკიდა ყველაფერს, ახლა ძალიან ადამიანური ურთიერთობა გვაქვს.

— შერიგება აღარ უცდია?

— ალბათ დღემდე სურს, რომ შევრიგდეთ, მაგრამ მე ამის სურვილი არ გამაჩნია.

— ახლა როგორ ცხოვრობთ, რთულმა განცდებმა გაიარა?

— ჩვეულებრივად ვცხოვრობ. დეპრესიული ადამიანი არ ვარ. ჩემთვის მტკივნეული იყო ოჯახის დანგრევა, ძალიან განვიცდიდი, ნერვიულობისგან წონაშიც საგრძნობლად დავიკელი.

— ბავშვმა როგორ აღიქვა მშობლების დაშორება?

— ნიკოლოზი ჯერ პატარაა, 4 წლის და 6 თვისაა. ჯერჯერობით კეთილ ტყუილს ვეუბნები. ვცდილობ, მისთვის ეს ყოველივე მძაფრი არ იყოს.

— მას შემდგ, რაც მარტო ხართ, ასპარეზზე თავგანსაცდელები ხომ არ გამოჩნდნენ?

— ეს მე არ შემიმჩნევია. რომც გამოიჩინოს ვინმემ ინიციატივა, კონტაქტის სურვილი არავისთან მაქვს. როცა ეს იარა მოშუშდება, მიშიკოც შეეგუება, რომ ყველაფერი დამთავრდა, მერე დრო გვიჩვენებს, რა და როგორ იქნება... რთულია ამაზე ლაპარაკი, თითქმის 6 წელი ვიცხოვრეთ ერთად და ძნელია უცებ აღიქვა, რომ ის აღარ გყავს გვერდით. ამას ნელ-ნელა ვეჩვევი.

— ახლა რას აკეთებთ?

— საქმეში თავიდან ბოლომდე ვარ ჩათული, სოლო ალბომზე ვმუშაობ, რომელშიც შევა სოლო სიმღერები, დუეტები, მათ შორის — ჩემს ყოფილ ქმართან დუეტი. ჩემს წლებია ამ ალბომისთვის ვემზადები, ვერა და ვერ დავაყენე საშველი და ახლა აღარ ვაპირებ, მოვეშვა. ნამდვილად არ მცალია პირადი ცხოვრებისთვის, არავინ მაინტერესებს.

ერთ რამეს ვთხოვ ყველა ჭეშმარიტ ქრისტიან ადამიანს — ნურავის ცხოვრებაში ჩაერევიან, ბოროტებისგან თავი შეიკავეთ!

✓ ლანა კიკნაძე

გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში
გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე, შეინარჩუნებთ სტაბილურად შედეგს და საბოლოოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:
სწრაფი და ეფექტიური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. შედეგები 100%-იანია.

ქ-ნი ქეთევანი

☎ 577-29-37-41, 247-58-83

Cyan Magenta Yellow Black

დალი ჩიტალაძე საფირმო „პეროგის“ საიდუმლო რეცეპტს ამხელს

ობილისური ბომონდის წარმომადგენლის, მოდის საკითხებში ექსპერტად ცნობილი დალი ჩიტალაძის სახლში სულ სტუმრობაა და ამის მიზეზი დიასახლისის გემრიელი ნახელავია. ქალბატონ დალის ძალიან ეხალისება ახლობლების გამასპინძლება. საკუთარი „საფირმო“ რეცეპტებიც აქვს, რომლებსაც არავის უმხელს. მათ შორისაა ცნობილი „დალის პეროგი“. თუმცა, როგორც ჩანს, „სარკის“ მკითხველები მისთვის ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ გამონაკლისი დაუშვა და სწორედ ამ განთქმული ნამცხვრის მომზადების წესი გაგვიმხილა.

— ქალბატონო დალი, გვაამბეთ, როგორ იქეცით კარგ კულინარად.

— სამზარეულოს სიყვარული ოჯახზეა დამოკიდებული. როცა დედა კარგი მზარეულია, არ არსებობს, შვილს ეს ნიჭი არ გამოაჩნდეს. ბავშვობიდან ჩემი ოცნება იყო, დედაჩემის მსგავსად, მეც გამომეცხო ნამცხვრები. მახსოვს, ძალიან პატარა ვიყავი, დედა ისე დაიღალა, რომ დაეძინა. ამასობაში მე და ჩემმა ძმამ ნამცხვარი გამოვაცხვეთ, მაგრამ მჭადს უფრო ჰგავდა.

ადამიანს კულინარობა ან ძალიან უყვარს, ან საერთოდ არა, შუალედი არ არსებობს. მე იმ ადამიანებს მივეკუთვნები, ვისაც ძალიან უყვართ. განსაკუთრებულად მომწონს, როცა მეგობრებისთვის, საყვარელი ადამიანებისთვის ვაკეთებ რაღაცეებს.

— ეტყობა, დედათქვენსაც უყვარდა კულინარობა.

— მასაც უყვარდა და მეც იმდენად მაინტერესებდა, სულ ვუყურებდი, რას როგორ ამზადებდა. ყველაფერს ვეკითხებოდი და დღემდე ასე გრძელდება. უგემრიელესი ხელი აქვს. მისი მომზადებული კერძები პიკანტურია. არ მახსოვს, ჩვენს ოჯახში ოდესმე ძალიან მარილიანი ან მწარე საჭმელი გაკეთებულიყო. დედა ცდილობდა, ჯანსაღი კვება გვქონოდა. გვეუბნებოდა, ბევრი პური, ძალიან მარილიანი საჭმელი არ ჭამოთო. სწორედ დედამ მიმაჩვია უშაქრო ჩაის და ყავას.

— დღეს თქვენი ქმარ-შვილიც ჯანსაღად იკვებება?

— აუცილებლად! ჩემთვის პირველ ადგილას დგას ქმრის, შვილის და ჩემი ჯანსაღი კვება.

— როგორია თქვენი მენიუ და რა პროდუქტები გაქვთ ამოღებული?

— არც ერთი პროდუქტი არ მაქვს ამოღებული. დიეტაზეც არასოდეს ვყოფილვარ, ჩემი დიეტა კვირაში ერთი დღე შიმშილია. ამასაც მაშინ ვაკეთებ, როცა ვახერხებ. ვცდილობ, ყოველკვირეულად თუ არა, თვეში ერთხელ მაინც მოვახერხო. ამ ერთ დღეს მხოლოდ გამოხდილ წყალს ვსვამ. ამის შემდეგ ძალიან კარგად ვგრძნობ თავს. მაქსიმუმი, 2-3 კილო მოვიმატო და ამასაც იოლად ვიკლებ. ტანსაცმლის ზომა არასოდეს შემიცვლია. ჩვენს მენიუში ყველაფერს თავისი ადგილი აქვს — ხილს, ბოსტნეულს, ხორცეულს, ტკბილეულს. ერთადერთი, რაზეც მეუღლესთან სულ ჩხუბი მაქვს, ისაა, რომ მწარე საჭმელები უყვარს. შეუძლია კიტრს წიწაკა მიატანოს. სულ ვეუბნები, კუჭი მოგძვრება-მეთქი. მე ოდნავ ზედმეტად მწარე რომ ვჭამო, ცუდად ვხდები. ჩვენი ოჯახის მენიუდან ასევე ამოღებულია ქათმის კანი და ზედმეტად ცხიმიანი საკვები.

— სამზარეულოში თავად ფუსფუსებთ?

— აუცილებლად! დღეს (ინტერვიუ ჩაწერილია 12 ოქტომბერს. ავტ.) ვაპირებთ, ჩვენი შვილიშვილი სტუმრად მოვიყვანოთ და მისთვის „ნაპოლეონი“ უნდა გამოვაცხო. არ არსებობს, კვირა ისე გავიდეს, 2-3-ჯერ რამე არ გამოვაცხო. დღემდე ვგიჟდები ცხობაზე, რეცეპტების მოგონებაზე. იმდენად მიყვარს პასკა, რომ ხშირად ფანტაზიას ვრთავ და სხვადასხვანაირად ვაკეთებ.

ჩვენ ბაჟეს და საცივს უძვლო ხორცისგან ვაკეთებთ. ასე პირველად დედამ გააკეთა და, რა თქმა უნდა, მეც ავიტაცე. როცა სამზარეულოში ვტრიალებ, მიყვარს, რომ მეხმარებიან. ინგრედიენტებს მისუფთავებენ, მიჭრიან... მოკლედ, სახლის შეფმზარეული ვარ! როცა მე არ მცალია, დამხმარეს ვეუბნები, რა უნდა მოამზადოს და ჩემი რეცეპტებით აკეთებს.

— ჩვენც გვასწავლეთ თქვენი რომელიმე რეცეპტი.

— გასწავლით ორაგულის ფილეს ჩემებური სოუსით. ავიღოთ ორაგულის ფილე და ძალიან ცხელ ტეფალის ტაფაზე დავდოთ. ორი წუთით ერთ მხარეს გავაჩერებთ, მერე ორი წუთით — მეორე მხარეს. თუ რამე ცხიმი აქვს, მთლიანად ტაფაზე გამოდის. ცალკე გავაკეთებთ სოუსს: ნახევარ ლიტრზე ცოტა მეტ წყალში ჩავყრით სამ კბილ გაჭყლეტილ ნიორს, ცოტა ზეითუნის ზეთს ჩავასხამთ, ცოტა მარილს ჩავაყრით, ყველაფერს კარგად ავურევთ და ტაფაზე დავასხამთ. მერე თავსახურს დავახურავთ. ამასობაში წვრილად დავჭრით დაახლოებით 4-5 თავ მწვანე პრასს და ჩავუმატებთ. ეს მასა 10-15 წუთის განმავლობაში უნდა ვშუშოთ და ბოლოს ზემოდან კამას მოვაყრით. შეიძლება შავი წიწაკის მარცვლებიც ჩავაყაროთ (საერთოდ, შავ წიწაკას სახლში თავად ვფქვავ. სულ სხვა, საოცარი არომატი აქვს. კარგ რესტორნებში ყველგან ცხელ საჭმელს ზემოდან აყრიან პილპილს, შიგნით არ უნდა ჩაიხარშოს). ამ კერძს გარნირად შეგვიძლია გავუკეთოთ კარტოფილის პიურე ან ბრინჯი.

— დესერტად რას შემოგთავაზებთ?

— ჩემი საფირმო ნამცხვრის გამოცხობას გასწავლით, რომლის რეცეპტს მხოლოდ ახლობლებისთვის ვიმეტებ, ახლა კი მთელი საქართველო წაიკითხავს. ჩემი მეგობრები „დალის პეროგს“ ეძახიან. ძალიან სწრაფად მზადდება. დიდი მნიშვნელობა აქვს ჰაერღუმელს. თუ კარგი საცხობი არ გაქვთ, ჯობს, საერთოდ არ გამოაცხოთ. უმჯობესია ელექტროღუმელი ან გაზის ისეთი ღუმელი, რომელზეც შეგვიძლია ტემპერატურა ვაკონტროლოთ.

ნამცხვრისთვის დაგჭირდება 3 ცალი კვერცხი, 150 გრამი შაქარი, 200 გრამი კარაქი, 200 გრამი მაწონი, 200 გრამი რძე, ცომის გამაფხვიერებელი, ნახევარი ჭიქა კარტოფილის ფქვილი, ვანილი, ლიმონის ცედრა. ნამცხვარს ყოველთვის სეზონური ხილით ვაკეთებ. რადგან ახლა უფრო ვაშლის დროა და ქლიავი კიდევ შემორჩენილი გვაქვს, შეგვიძლია ხილის ეს ორი სახეობა გამოვიყენოთ. ფორმა ტეფალის ან თუჯის უნდა იყოს. ცომი შემდეგნაირად კეთდება: გავთქვეფთ კარაქს, შიგნით ჩავახლით ორ კვერცხის გულს და ერთ მთლიან კვერცხს, მერე დავაყრით შაქარს და მიქსერით ყველაფერს ავთქვეფთ. მაწონსა და რძეში ჩავყრით ცომის გამაფხვიერებელს და კარგად ავურევთ. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ სოდას და ძმარს არ ვუშვრები. თვალის ზომით დავამატოთ პურის ფქვილი და ნახევარი ჭიქა კარტოფილის ფქვილი, რა თქმა უნდა, ვანილი და ლიმონის ცედრა.

თუ თუჯის ფორმაში გამოვაცხობთ, აუცილებლად სჭირდება ქაღალდი, რომ არ მიიწვას. ჯერ ვასხამთ ცომის ნახევარს, მერე შიგნით ვყრით კუბიკებად დაჭრილ ხილს. ვაშლი აუცილებლად რბილი და გათლილი უნდა იყოს. მერე ცომის მეორე ნახევარი უნდა დავასხათ და ჰაერღუმელში 180 გრადუს ტემპერატურაზე გამოვაცხოთ ერთი საათის განმავლობაში. შეიძლება ცოტა მეტი ხანიც დაჭირდეს, თუ შედარებით მეტ ხილს ვუშვრებით. ატამსაც გათლა სჭირდება, გარგარს — არა. გარგარი და ჟოლო ერთად ძალიან კარგია.

— სტუმარი ხშირად გყავთ?

— არ არსებობს, დღე ისე გავიდეს, სტუმარი არ მოვიდეს და ჩვენი სადილი მასაც არ ვუწილადოთ. ვფიქრობ, ქალმა მზარეულობა აუცილებლად უნდა იცოდეს. როცა სადმე სტუმრად მივდივარ, აუცილებლად ვაკვირდები სამზარეულოს და საძინებელს. ეს ქალის შინაგან ბუნებას ასახავს.

ჩემი ოცნებაა, პატარა საოჯახო რესტორანი მქონდეს, სადაც ჩემი რეცეპტებით დამზადდება კერძები. მხოლოდ ქართული ან მხოლოდ ევროპული კერძები არ მიყვარს. ძალიან დიდ პატივს ვცემ ევროპულთან შერწყმულ ქართულ კერძებს.

— ძვირფასი და ლამაზი ჭურჭელიც გიყვართ?

— ძალიან. რაც მაქვს, ყველაფერს ვხმარობ. ვერ ვიტან პატარა თეფშებს და ისტერიკაში მაგდებს, რესტორანში ერთმანეთზე დადებული ორი თეფში რომ მოაქვთ. მიყვარს დიდი თეფში, პატარაზე არც საჭმლის ჭამა შემიძლია და არც — დესერტის.

✓ ჭეთი დინოშვილი

„ოცა სადმე სტუმრად მივდივარ, აუცილებლად ვაკვირდები სამზარეულოს და საძინებელს. ეს ქალის შინაგან ბუნებას ასახავს“.

„ჩვენს მენიუში ყველაფერს თავისი ადგილი აქვს — ხილს, ბოსტნეულს, ხორცეულს, ტკბილეულს. ერთადერთი, რაზეც მეუღლესთან სულ ჩხუბი მაქვს, ისაა, რომ მწარე საჭმელები უყვარს“.

Cyan Magenta Yellow Black

ქართული მთის საგანძური — ლუდი „მთიელი“ და „შავფაროსნები“

ლუდი „მთიელი“ და საბრძოლო ხელოვნების ქომაგნი, „შავფაროსნები“ მთის ტრადიციებმა და ისტორიამ გააერთიანა. მთის ტრადიციებითა და ლუდის ხარშვის ტექნოლოგიით შექმნილ „მთიელს“ რეკლამას ისე კარგად ვერავინ გაუწევდა, როგორც ეს „შავფაროსნებმა“ მოახერხეს. ორი კომპანიის თანამშრომლობა წარმატებით შედგა და „მთიელის“ სარეკლამო რგოლი ისეთი ხარისხიანი და შთამბეჭდავი გამოვიდა, რომ მისი ყურებისას შეუძლებელია, წინაპრების და ქართველობის სიამაყე არ დაგეუფლოს.

კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორი თორნიკე ნიკოლაიშვილი ამბობს, რომ „შავფაროსნებისა“ და „მთიელის“ კონცეფცია ერთმანეთის თანხვედრაშია და სწორედ ამან გააერთიანა ეს ორი ბრენდი. ეს მათი თანამშრომლობის მხოლოდ დასაწყისია, მათ მომავალში ბევრი უფრო მასშტაბური პროექტი აქვთ დაგეგმილი.

თორნიკე ნიკოლაიშვილი, „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორი:

— ლუდი „მთიელი“ — ეს არის შენარჩუნებული და აღორძინებული მემკვიდრეობა. როცა ამ ბრენდის შექმნა გადავწყიტეთ, მოვიძიეთ მთაში ლუდის დამზადების ძველი რეცეპტები და მოვახდინეთ მათი ინდუსტრიალიზაცია. მთის ტრადიციების გათვალისწინებით მივიტანეთ ის მომხმარებლამდე. მეორე მხრივ, არიან „შავფაროსნები“, რომლებმაც ასევე მოიძიეს ძველი ქართული იარაღები, ილეთები და ააღორძინეს. მათი საქმიანობაც უკავშირდება ქართულ მთას. ამიტომაც გადაწყდა, რომ ლუდი „მთიელის“ კონცეფცია „შავფაროსნების“ სარეკლამო რგოლით წარმოგვედგინა, თუმცა ეს მხოლოდ სარეკლამო რგოლი არ არის, ეს არის პირველი თანამშრომლობა ლუდი „მთიელისა“ და შავფაროსნების. ჩვენი ურთიერთობა მომავალშიც გაგრძელდება, იმიტომ, რომ ლუდი „მთიელი“ არის მთის ლუდის ხარშვის ტრადიციული ტექნოლოგიით შექმნილი, ხოლო „შავფაროსნებმა“ მოიძიეს და აღადგინეს ბრძოლით ის ტრადიციები, რაც მთაში არსებობდა. წარმოუდგენელია, ამ სარეკლამო რგოლს შეხედო და სიამაყის გრძნობა არ დაგეუფლოს. ჩვენი ღირებულებებიდან გამომდინარე, შეუძლებელია, ლუდი „მთიელი“ და „შავფაროსნები“ ერთად არ იყვნენ, ამიტომ ბევრი პროექტი გვაქვს ჩაფიქრებული. ჩვენც, ჩვენი მხრივ, შევეცდებით, მათ ხელი შევუწყოთ, რომ უფრო მეტად განვითარდნენ და შეძლონ ქართული საბრძოლო ხელოვნების პოპულარიზაცია.

თორნიკე ნიკოლაიშვილი

ირაკლი ძოძოსაძე — „შავფაროსნების“ ხელმძღვანელი:

— აქამდე ვერასოდეს ვახერხებდი, რომ ჩვენი დიდი ხნის შრომა და წვალება ფირზე მაღალი ხარისხით გადმოგვეტანა. ლუდი „მთიელის“ დახმარებით პირველად შევძელით ასეთი მაღალი ხარისხით ჩვენი ორთაბრძოლის გადაღება. ფაქტობრივად პირველად გამოჩნდა ჩვენი საბრძოლო შესაძლებლობები რეალურად. ჩვენი და „მთიელის“ თანამშრომლობა არ მოიცავს მხოლოდ ერთ კლიპს, ჩვენ გვაქვს გრძელვადიანი პროექტი. ლუდი „მთიელისა“ და „სამოსელი პირველის“ დახმარებით გვექნება ახალი ტალავარები. ჩვენი მთავარი მიზანია, „შავფაროსნებმა“ მთელი საქართველო მოიცვას, რაც შეიძლება მეტი ჯანსაღი ახალგაზრდა გაიზარდოს საქართველოში, იცოდნენ თავიანთი წინაპრების საბრძოლო ხელოვნება, კულტურა და ისტორია. ლუდი „მთიელი“ გვეხმარება ამ ჩანაფიქრის პოპულარიზაციაში. ამ ეტაპზე „შავფაროსნებს“ ჰყავს 400 წევრი, ისინი არიან თბილისში, გორში, ქუთაისში, ბათუმში, ყაზბეგსა და საგარეჯოში. ამაყები ვართ, რომ ჩვენი მონდომებით და ინტერესით მთაში ბევრი საბრძოლო ილეთი მივიწყებას გადავარჩინეთ. 20 წელზე მეტია ვარსებობთ და ამ ხნის განმავლობაში სულ იმას ვფიქრობთ, რაც შეიძლება მეტი სასარგებლო საქმე გავაკეთოთ ჩვენი ქვეყნისათვის. დღეს რასაც ჩვენ წარმოვადგენთ, ეს ყველაფერი მოყოლილია და გადმოცემული უხუცესი ხალხის მიერ. ასეთი შემთხვევაც მოხდა: სვანეთში იყო უხუცესი ადამიანი, რომელიც თითქმის ვერ მოძრაობდა. როცა ავუხსენი, რომ ქართული საბრძოლო ხელოვნების საკითხები გვაინტერესებდა, კერძოდ კი, მისგან — ხანჯლაობის დეტალები, ეს ადამიანი ფეხზე წამოდგა და თვითონ გვაჩვენა ხანჯლის ხმარების წესები. ჩვენი პროგრამა ძირითადად არის ძველი ქართული საბრძოლო ხელოვნების აღდგენილი ვერსია.

Cyan Magenta Yellow Black

თამუნა კვარაცხელია: „სიტყვები — „რა კარგად გამოიყურები“ — ჩემთვის კომპლიმენტი აღარ არის“

ჯარგი განწყობა, სწორად შერჩეული სამოსი და მაკიაჟი — ტელეკომპანია „მაესტროს“ საინფორმაციო გამოშვების წამყვანი თამუნა კვარაცხელია ქალის სილამაზის საიდუმლოდ სწორედ ამ სამ კომპონენტს მიიჩნევს. თავისი საეკრანო ჩაცმულობა და მაკიაჟი პროფესიონალებისთვის აქვს მინდობილი, განწყობაზე კი თავად ზრუნავს. 24 წლის ტელეჟურნალისტს მთელი ყურადღება საქმეზე აქვს გადატანილი, რადგან თვლის, რომ ამ ეტაპზე გარეგნობაზე ზედმეტი ფიქრი არც სჭირდება.

— თამუნა, მოდით, ჯერ იმაზე ვისაუბროთ, როგორ დაიწყეთ ტელევიზიაში მუშაობა.

— თავიდან ვფიქრობდი, იურისტი გამოვსულიყავი, რადგან ჩემს ოჯახში თითქმის ყველა ამ პროფესიისა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ჟურნალისტიკა ვარჩიე. პირველი შეხება კამერასთან უნივერსიტეტში მქონდა. ბევრ ორგანიზაციაში გავიარე სტაჟირება ახალი ამბების ჟურნალისტის სტატუსით, მათ შორის — რადიოშიც და პრესაშიც. მერე მივედი ერთ-ერთ ინტერნეტტელევიზიაში, სადაც იქამდე ვმუშაობდი, სანამ მისი ხელმძღვანელობა არ შეიცვალა. ხელმძღვანელობის შეცვლის მერე, რადგან ჩვენი შეხედულებები განსხვავებული იყო, იქიდან წამოვედი. იმ პერიოდში მქონდა შანსი, საზღვარგარეთ, ტალინში წავსულიყავი და ერთ-ერთ ორგანიზაციასთან ერთად დოკუმენტური ფილმების მიმართულებით მემუშავა, მაგრამ ზუსტად მაშინ ძველმა თანამშრომელმა მითხრა, რომ ტელეკომპანია „მაესტროში“ ტელეწამყვანების შესარჩევი კონკურსი ტარდებოდა და მონაწილეობა მიმეღო. ასე დავიწყე „მაესტროსთან“ თანამშრომლობა. უკვე მეორე წელია ამ ტელეკომპანიაში ყოველდღიური საინფორმაციო გამოშვების წამყვანი ვარ.

— საინფორმაციოს წამყვანმა გარეგნობასთან დაკავშირებით რა კრიტერიუმები უნდა დაიცვას, რომ მაყურებლის გაღიზიანება არ გამოიწვიოს?

— მაყურებელმა ახალი ამბები უნდა მოისმინოს, ამიტომ საინფორმაციო გამოშვების წამყვანმა თავისი გარეგნობით ზედმეტი ყურადღება არ უნდა მიიქციოს. ამაში იგულისხმება გამოკვეთილი მაკიაჟი თუ შეუფერებელი ჩაცმულობა. ამავდროულად ახალი ამბები მოკლე და ლაკონური უნდა იყოს.

— წამყვანის ჩაცმულობაში ფერებს თუ ენიჭება მნიშვნელობა?

— არ არსებობს სტანდარტი, თუ რა უნდა ჩაიცვა და რა — არა. აუცილებელია, სადად გამოიყურებოდე. ძალიან გადატვირთული სამოსი საინფორმაციო გამოშვების წამყვანისთვის მიუღებელია. ყოველ შემთხვევაში, მე სადა სტილს ვანიჭებ უპირატესობას.

— მაკიაჟი სამსახურშიც გაქვთ და მის გარეთაც?

— თუ გადაღებაზე არ მივდივარ, ვცდილობ, მაკიაჟი არ გამოვიყენო. ბუნებრიობა მირჩევნია. სამსახურის გარეთ, ჟურნალისტიკის პარალელურად, პერიოდულად სხვადასხვა პროექტს ვაკეთებ. შესაბამისად, ეტიკეტიდან გამომდინარე, მიწევს დრესკოდის დაცვა და ხშირად სამსახურის მიღმაც მაკიაჟის გამოყენება. საკმაოდ დატვირთული გრაფიკი მაქვს. დილის 10 საათიდან საღამოს 7 საათამდე ტელევიზიაში ვარ. ნურავინ იტყვის, რომ საინფორმაციო გამოშვების წამყვანობა ადვილია.

> „პირველ რიგში, კონცენტრაციას იმ ამბავზე ვაკეთებ, რომელიც უნდა ნავიკითხო. ასეთ დროს გარეგნობა მეორეხარისხოვანი ხდება“.

— მოგისმენიათ ამგვარი შეფასება?

— ძალიან ხშირად. ბევრს ჰგონია, რომ მხოლოდ სხვისი დაწერილი ტექსტის წაკითხვა მიწევს. რეალურად საინფორმაციო გამოშვების წამყვანი ძალიან ბევრ ინფორმაციას იღებს. ეს ინფორმაცია თავად უნდა დაწეროს, პარალელურად მუდმივად ცვალოს, რადგან ახალი ამბები ხშირად იცვლება და საბოლოოდ შეიძლება სულ სხვა, ახალი ტექსტი წაიკითხოს და არა ის, რასაც მანამდე ამზადებდა. გაუთვალისწინებელი ჩართვებისთვის თუ ცვლილებებისთვის მუდამ მზად უნდა იყოს.

— გქონიათ პირდაპირ ეთერში გაუთვალისწინებელი სიტუაცია, რომელიც დღეს ღიმილით გახსენდებათ?

— არაერთი შემთხვევა მახსენდება. როცა ტელეკომპანია „მაესტრო“ ახალ შენობაში გადავიდა, მაუწყებლობის პარალელურად რემონტი მიმდინარეობდა. ერთ დღეს, მიუხედავად იმისა, რომ მუშები გაფრთხილებული იყვნენ, საინფორმაციოს დაწყებისას მუშაობა შეეწყვიტათ, პირდაპირ ეთერში განაახლეს სარემონტო საქმეები. იმდენად სახიფათო ხმაური ატყდა, რომ ოპერატორმა ოთახში მარტო დამტოვა. მიუხედავად ამისა, ლაპარაკი არ შემიწყვეტია და მაყურებელს ინფორმაცია მაინც მივაწოდე.

> „საინფორმაციო გამოშვების წამყვანმა თავისი გარეგნობით ზედმეტი ყურადღება არ უნდა მიიქციოს. ამაში იგულისხმება გამოკვეთილი მაკიაჟი თუ შეუფერებელი ჩაცმულობა“.

გარეგნობასთან დაკავშირებით უხერხული შემთხვევა პირდაპირ ეთერში არ მქონია. ჩვენს გარეგნობაზე პროფესიონალი ვიზაჟისტები ზრუნავენ, ხოლო კოსტიუმებს დიზაინერი თეონა თავართქილაძე გვიკერავს.

— თქვენთვის ალბათ ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ გამოიყურებით ეკრანზე, როგორი მაკიაჟი გაქვთ.

— ეთერში გასვლისას ყოველთვის ვიზაჟისტების მიერ შექმნილ იმიჯს ვანიჭებ უპირატესობას, რადგან ვთვლი, რომ პირდაპირი ეთერი ხარისხს მოითხოვს. პირველ რიგში კი, კონცენტრაციას იმ ამბავზე ვაკეთებ, რომელიც უნდა წავიკითხო. ასეთ დროს გარეგნობა მეორეხარისხოვანი ხდება. ყოფილა შემთხვევა, რომ ვერ მომისწრია პირდაპირი ეთერისთვის გარეგნულად ისე მომზადება, როგორც მინდოდა, მაგრამ ამისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიმინიჭებია, რადგან, გავიმეორებ, რომ წინ საქმეს ვაყენებ. ადრე ჩემთვის კომპლიმენტი თუ იყო სიტყვები — „რა კარგად გამოიყურები“, დღეს კომპლიმენტად ვთვლი, ჩემ მიერ წაყვანილ ეთერს დადებითად თუ შეაფასებენ. ისიც მსიამოვნებს, როცა მეუბნებიან, რომ კარგი მძღოლი ვარ.

— საჭესთან ქალური სისუსტე არასდროს გძლეულა, რომ თავის მოსაწესრიგებლად მანქანის სარკეები გამოიყენოთ?

— მსგავსი შემთხვევა არ მქონია. მიუხედავად იმისა, რომ სულ რაღაც 9 თვეა მანქანა მყავს, ვცდილობ, პროფესიონალურად ვატარო.

— პირადი ცხოვრებისთვის დრო თუ გრჩებათ?

— მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზიაშიც ვმუშაობ და ასევე პროექტებზეც, ოჯახისა და მეგობრებისთვისაც მრჩება დრო. პირადი ცხოვრების სამსახურთან შეთავსება თავისთავად ხდება. გათხოვილი არ ვარ. ოჯახი ჩემს პროფესიულ წინსვლაში ძალიან მეხმარება. მათგან ბევრ რჩევას ვისმენ, რომელთაც ვითვალისწინებ, თუმცა გადაწყვეტილებებს, ხშირ შემთხვევაში, დამოუკიდებლად ვიღებ.

— მართალია, ჯერ ამისთვის ძალიან ახალგაზრდა ხართ, მაგრამ მაინც რამდენად დაინტერესებული ხართ თანამედროვე ესთეტიკური მედიცინით და ამ დარგის სიახლეებს თუ ეცნობით?

— რა თქმა უნდა, ყველა სიახლეს, რომელიც მომწონს, მივყვები. თუნდაც პლასტიკურ ქირურგიას დადებითად ვუყურებ და ვთვლი, ვისაც სჭირდება, უნდა გამოიყენოს. მაგრამ თავად ამის სურვილი ჯერ არ გამჩენია. ჯერჯერობით ელემენტარულ კოსმეტოლოგიურ პროცედურებს ვჯერდები. კანს კოსმეტოლოგის მიერ დანიშნული საცხებით ვუვლი. სულ ეს არის.

— ჯანსაღი კვების პრინციპებს იცავთ?

— ვფიქრობ, ჯანსაღად კვება ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა ჩემი რეჟიმისთვის ეს ცოტა რთული შესასრულებელია. რამდენადაც ვახერხებ, ვცდილობ, სწორად ვიკვებო.

— თქვენი აზრით, რა არის ქალის სილამაზის ძირითადი განმსაზღვრელი?

— პირველ რიგში — განწყობა. შინაგანად უნდა მოდიოდეს დადებითი ემოცია, რაც ქალის გარეგნობაზე კარგად აისახება. ასე რომ, სილამაზეს მხოლოდ გარეგნობაზე ზრუნვა არ განსაზღვრავს.

✓ მანანა ნოდია

Cyan Magenta Yellow Black

გურამ ლომიძე: „ივანა მელაისთან თავს ძალიან კარგად ვგრძნობ“

„ქუჩის ბიჭი“ გრანდიოზული ქორწილის გადახდას კუნძულზე აპირებს

ჯგუფ „ქუჩის ბიჭების“ წევრი გურამ ლომიძე შეყვარებულია, თავის გრძნობებზე ღიად და საჯაროდ საუბრობს, მაგრამ საყვარელი ქალის ვინაობას არ ასახელებს. სამაგიეროდ სოციალურ ქსელებში გაცხოველებული ლაპარაკია მისი და უკრაინელი მომღერლის, ივანა მელაის სიყვარულზე. გურამი მართლაც ხშირად ჩნდება მასთან ერთად, მაგრამ ამ ურთიერთობის შესახებ კითხვებზე პირდაპირ პასუხებს თავს არიდებს. ორი უიღბლო ქორწინების შემდეგ მესამედ ოჯახის შექმნის არ ეშინია, უფრო მეტიც, უნდა დიდიხნის ოცნება აიხდინოს და გრანდიოზული ქორწილი გადაიხადოს.

— გურამ, კარგახანია, რაც ამერიკიდან ჩამოხვედით, ამერიკაში თქვენს საქმეს ახლა ვინ აკეთებს?

— ჩემი ბიძაშვილები. ჩემი ბიზნესი მათ აქვთ ჩაბარებული. იმხელა შემოსავალი აღარ არის, რაც ჩემი იქ ყოფნის პერიოდში იყო, მაგრამ მოგების დაახლოებით 30 პროცენტი მერიცხება, ასე რომ, მთლად გაჭირვებული არ ვარ.

— კიდევ რამდენი ხნით აპირებთ საქართველოში დარჩენას?

— 5 თვეა აქ ვარ და ამერიკაში წასვლა ჯერ არ მინდა. ახალ წელს ჩემს ქვეყანაში შევხვდები, თებერვალში კი ამერიკაში გავემგზავრები და ბიზნესს გადავახალისებ. საბოლოოდ საქართველოში გადმობარგებას არ ვაპირებ, ამერიკაშიც ვიქნები, ევროპაშიც და ჩემს ქვეყანაშიც.

სულიერად მშვიდად ვარ, რასაც ვერ ვიტყვი შემოსავალზე, თუმცა ეს უკანასკნელი არ მაღელვებს, იმდენად კარგად ვგრძნობ თავს. ჩემი ქვეყნის, მეგობრების მონატრებამ შემოსავლის ინტერესი გადაწონა. ფული ყველაფერი არ არის. ფული საჭიროა, მაგრამ მის გარეშეც ძალიან ბედნიერი ვარ.

— თუ საიდუმლო არ არის, რითი ხართ ბედნიერი?

— ყველაფრით. ერთი — იმიტომ, რომ ჩემს ქვეყანაში ვარ, მეორე — იმიტომ, რომ მეგობრებთან ერთად ვარ, მესამე — პირად ცხოვრებაში ყველაფერი კარგად არის.

— ვინ არის ის, ვის გვერდითაც ბედნიერი ხართ?

— ამ თემაზე არ ვსაუბრობ. ჩემ შესახებ ბევრი ჭორი გავრცელდა, მაგრამ ამასთან დაკავშირებით კომენტარს არ ვაკეთებ.

— სოციალურ ქსელებში წერენ, რომ თქვენ და ივანა მელაის რომანი გაქვთ, მართალია?

— იყო ასეთი ჭორები...

— მერე ტყუილია?

— არაფერს ვიტყვი...

— ანუ კვლავ საჭირბოროტ ხდით ამ თემას.

— ასე გამოდის.

— თქვენ და ივანა საერთოდ იცნობთ ერთმანეთს?

— ხშირად ვართ ერთად, ვმეგობრობთ, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში ხშირად ერთად დავდივართ.

— ანუ ივანა თქვენი ბედნიერების ნაწილია?

— ...(იცინის). ამ თემაზე ჯერჯერობით არ ვსაუბრობ, შეიძლება არსებობდეს სხვა ადამიანი, არ მინდა, ის გავაღიზიანო.

— მესამე პარს გულისხმობთ?

— ანუ საცოლეს?

— ეს თქვენ უკეთ უნდა იცოდეთ.

— არ მინდა, ივანა გავაღიზიანო, შეიძლება არ ესიამოვნოს... მას თავისი კარიერა, თავისი რეპუტაცია აქვს. კარგი მეგობრები ვართ, არაჩვეულებრივი გოგონაა, ლამაზი, მშვენიერი. ის კარგი მომღერალი, ნიჭიერი გოგოა. როცა ერთად ვართ, თავს კარგად ვგრძნობთ.

— ეს გატაცებაა?

— ვისთან ერთადაც სადმე გამოვჩნდები, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასთან ფლირტი მაქვს ან მიყვარს. ხომ შეიძლება, ის გოგონა ჩემი მეგობარი იყოს?!

— გვჯერათ ქალისა და მამაკაცის მეგობრობის?

— ... (იცინის). კი, რატომაც არა!

— ამბობენ, რომ მექალთანე ხართ.

— თქვენ პირველი არ ხართ, ვინც ამ კითხვას მისვამს, ესე იგი რა გამოდის, გოგოები არიან ბოზები და ბიჭები მექალთანეები? ეს ორი ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდება. გოგო თუ ბევრ კაცთან დადის, ბოზია, კაცი თუ ბევრ ქალთან დადის, ის „ბაბნიკია“.

„ახ მინდა, ივანა გავაღიზიანო, შეიძლება ახ ესიამოვნოს... მას თავისი ჯარიერა, თავისი რეპუტაცია აქვს. ჯარგი მეგობრები ვართ, არაჩვეულებრივი გოგონაა, ლამაზი, მშვენიერი“.

— საქართველოში ქართველი მამაკაცები ასე არ ფიქრობენ, ქალებს ამ საკითხში არ უთანაბრდებიან.

— მე არ ვთვლი ასე, ეს მცდარი შეხედულებაა. ჩვენს რეალობაში ქალსაც და კაცსაც თანაბარი უფლებები აქვთ.

— როგორ ფიქრობთ, ხშირად რატომ გისვამენ ამ კითხვას?

— იმიტომ, რომ მყავდა ორი ცოლი და რამდენიმე საყვარელი.

— ცოლების ერთგული იყავით?

— როცა ადამიანთან ურთიერთობას ვიწყებ, მასთან გულწრფელი ვარ, არასდროს ვიხედები სხვისკენ, არასდროს მიჩნდება სხვასთან ფლირტის სურვილი. როცა ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა ჩიხში შედის, ამ შემთხვევაში ვიწყებ ახლის ძებნას.

— იყო საუბარი, რომ პირველი ქორწინება თქვენმა ღალატმა შეაწირა.

— მე არავისთვის მიღალატია. ბრალდება და ჭორი ბევრი იყო, მაგრამ სიმართლე ერთია — არც ერთი ცოლისთვის მიღალატია.

— თქვენს ასაკში სიყვარული როგორია?

— სიყვარულმა ასაკი არ იცის. როცა სიყვარული გეწვევა, ბედნიერი ხარ. შეიძლება ასაკის მატებასთან ერთად უფრო რთულად უყურებდე ამას და მომავალზე ფიქრობდე, მაგრამ გრძნობა და შეხედულებები სიყვარულის მიმართ არ იცვლება.

— მაგრამ საპრეზიდენტო სქესის შეფასებისას პრიორიტეტები ნამდვილად იცვლება.

— ქალი საინტერესო უნდა იყოს, მასთან ურთიერთობა მოგინდეს. სექსი მთავარი კი არის, მაგრამ ჯერ მასთან ურთიერთობა უნდა მოგეწონოს, საერთო ღირებულებები და ფასეულობები უნდა გქონდეს.

— ოჯახის შექმნა თქვენი ახლო მომავლის გეგმებში შედის?

— პირველი ოჯახის დანგრევის შემდეგ შევეცადე, ნორმალური ოჯახი მქონოდა, რომელიც ცხოვრების ბოლომდე გაგრძელდებოდა, მაგრამ არ გამოვიდა. ამიტომ ბევრს ვფიქრობ, აღარ მინდა, მესამედაც შეცდომა დავუშვა. თუმცა არც ერთ ჩემს ნაბიჯს არ ვნანობ, პირველი და მეორე ქორწინებიდან ბევრი კარგი რამ დამრჩა, ორი შვილი მყავს — ნიკუშა და ლიამი-გიორგი. პირველ ცოლთან, ხატია შამუგიასთან ვმეგობრობ, მასთან გაყრის შემდეგ არასდროს მიჩხუბია. მეორე ცოლთან კი პრობლემები მაქვს, თუმცა ესეც მოგვარდება. ლიამი საბავშვო ბაღში დადის, როცა წამოიზრდება, აუცილებლად ჩამოვიყვან საქართველოში, მანამდე კი უფროს ვაჟს, ნიკუშას წავიყვან ამერიკაში.

მინდა, ორივე ყოფილ ცოლს ვუსურვო ბედნიერი მომავალი, არც ერთი ადამიანი უნდა იყოს მარტო. კაცსაც სჭირდება გვერდით მდგომი პიროვნება და ქალსაც. თუ ჩემი ყოფილი ცოლების გვერდით ღირსეული მამაკაცები გამოჩნდებიან, ჩემთვის ეს მისაღები იქნება. თუმცა ისინი ვერც ერთ ჩემს შვილს მამას ვერ შეუცვლიან.

ქორწილი არცერთხელ გადამიხდია, ამიტომ მინდა, მესამედ გრანდიოზული ცერემონიალი გავმართო. აუცილებლად ჩავიცვამ ჩოხას. დიდი სურვილი მაქვს, ქორწილი ერთ-ერთ კუნძულზე გადავიხადო. ჩოხა და ბლანჟე ძალიან მაგარი იქნება, თუმცა საამისოდ ჯერ ობიექტი არ არსებობს.

— რადგან ქორწილზე თქვენ თავითან ჩამოგდეთ ლაპარაკი, ესე იგი შეყვარებული ხართ.

— კი, შეყვარებული ვარ. ჩემ გვერდით ყოველთვის არის ადამიანი, რომელიც მიყვარს.

— წინა ინტერვიუშიც მითხარით, რომ შეყვარებული იყავით. ერთსა და იმავე ქალზეა საუბარი?

— დიახ. ამ სიყვარულს სიმღერაც მივუძღვენი, რომლის ტექსტიც მე მეკუთვნის. „ჩემთვის ერთადერთი ხარ“ — ეს სიმღერა „ქუჩის ბიჭების“ რეპერტუარში შევიდა.

— უმცროსი ვაჟი პატარაა, მაგრამ ნიკა უკვე დიდი ბიჭია. თქვენს პირად ცხოვრებაში ხასლიებს როგორ ეგუება?

— მან ყველაფერი იცის, ისევე, როგორც ხატიამაც, რომელიც რჩევებს მაძლევს, მაგრამ არასდროს ვითვალისწინებ. არა მგონია, ნიკუშამ მძაფრად აღიქვას, თუ ოდესმე ოჯახის შექმნას გადავწყვეტ.

✓ ლანა კიკნაძე

Cyan Magenta Yellow Black

„საკუთარმა ოჯახმა მოსამსახურედ მაქცია“

ჯედა სამ თვეში ერთხელ უცხოეთში მიდის სამუშაოდ, კერძოდ კი, თურქეთში. ბებიაჩემი ლოგინად არის ჩავარდნილი, მე კი მაიძულებენ, რომ მას მივხედო. ერთი უფროსი ძმა მყავს. მე 16 წლის გოგო ვარ, ამიტომ მეუბნებიან, ვალდებული ხარ, ოჯახს დაეხმარო და მოხუცს მიხედო. ბებიას ყველანაირად ვუვლი და არც არაფერს ვამადლი, მაგრამ არ მესმის, რატომ მავალდებულებენ, რომ მარტო მე მოვუარო.

ის ძალიან მძიმედ არის. პამპერსები სჭირდება, დაბანა, მოვლა, ნემსების გაკეთება, ღამეების თენება. ამ ყველაფერს მე ვაკეთებ, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ მითხრან, რა კარგი გოგო ხარო, ისე იქცევიან, თითქოს ასეც უნდა იყოს. მასწავლებლებს ძალიან ვეცოდები და ყველანაირ შეღავათს მიკეთებენ, კლასელებიც გვერდით მიდგანან, მაგრამ ოჯახის წევრებს ვერაფერი დავანახე. ბებიაც კი, რომელსაც ბავშვივით ვუვლი, სულ მსაყვედურობს, უგულოდ მივლიო. ზოგჯერ აკივლდება, შენი მოხედვა არ მინდაო. ამ დროს კი არაფერს ვუშავებ, თვითონ არის გაღიზიანებული. მამაჩემი მე მომმვარდება ხოლმე და მიყვირის, დედაჩემს ცუდად უვლიო.

თქვენ გგონიათ, დედას ესმის ჩემი? ისიც სულ მაყვედრის, თქვენ გამო ვარ სხვა ქვეყანაში გადახვეწილი, იმის ნაცვლად, რომ გვერდით დამიდგე, ცუდად იქცევიო. ცუდი საქციელი თურმე ის ყოფილა, რომ შევჩივლებ ხოლმე, ბებია და მამა ცუდად მექცევიან, ჩემი ძმა კი ზედ არ მიყურებს-მეთქი. ხომ შეუძლია, ბებიას აჭამოს მაინც და წამალი მიაწოდოს? მაგრამ ამასაც არ აკეთებს. დედას ამ ყველაფერზე რომ ველაპარაკები, ლამის კომპიუტერში გამოძვრეს, მიყვირის, ოჯახის დიასახლისი ახლა შენ ხარ და ყველაფერი უნდა გააკეთოო. მამაჩემი ირონიულად მეუბნება, ბებიაშენი შენზე პატარა იყო, რომ გათხოვდა და ოჯახს უვლიდაო.

ახლახან კი ისეთი რაღაც მოხდა, რომ სახლში გაჩერება საერთოდ აღარ მინდა. ცოტა ხნით მეზობელთან გავედი. სერიალის ყურებაში გავერთეთ, მერე ჩვენი საერთო მეგობრები მოვიდნენ და ცოტა იმათთანაც ვილაპარაკე. უცებ მამაჩემი შემოვარდა, თმაში წამავლო ხელი და მომქაჩა, შენ აქ ჭორაობ და ბებიაშენი მიტოვებული გყავსო. იქიდან სულ ჩხუბით წამომიყვანა. ბებია კი გაბრწყინებული თვალებით უყურებდა, როგორ მეჩხუბებოდა. მართალია, ძალიან ცუდად არის, ფეხზე ვერ დგება, მაგრამ საიმისოდ ყოფნის ძალა, რომ ნერვები მომიშალოს. ვიცი, მან წააქეზა მამაჩემი, მან კი მეგობრების წინაშე დამამცირა. ჩემი მეზობელი შეეკამათა, თქვენ მოსამსახურედ გჭირდებათო. მამამ ისიც გამოლანძღა, შენი საქმე არ არისო.

ოჯახში მართლა ბევრ რამეს ვაკეთებ. 6 საათზე ვიღვიძებ, რომ ყველაფერი მოვასწრო. ძმას შარვალიც კი მე უნდა გავუუთოვო. ხომ შეუძლია, საკუთარ თავს მაინც მიხედოს? მართლა აღარ ვიცი, მათი შვილი ვარ თუ მოსამსახურე. დედას მაინც რატომ არ ვეცოდები? წესით, მას ხომ უნდა ვუყვარდე?

მკითხველი

„დაქალმა ჩემი ჩახუტება ლესბოსელობად აღიქვა“

17 წლის გოგო ვარ. თავს არ ვიქებ, მაგრამ ძალიან თბილი ვარ. მიყვარს, როცა ადამიანებისადმი სიყვარულს გამოვხატავ. ამას გრძნობენ და მიფასებენ კიდეც, მაგრამ თურმე ეს ყველასთვის მოსაწონი არ ყოფილა. ჩემი დაქალი ორი კვირით ქალაქგარეთ იყო, ძალიან მომენატრა და რომ ვნახე, ჩავეხუტე. ვუთხარი, ჩემო საყვარელო მეგობარო, კიდევ უფრო გალამაზებულხარ-მეთქი. მან, იცით, რა მიპასუხა? თუ ჩემთან მეგობრობა გინდა, ასეთი სენტიმენტალური გამოხდომები არაა საჭირო, ხოლო თუ ლესბოსელი ხარ, მაპატიე, მაგრამ მშვიდობითო.

კინაღამ გავგიჟდი, გადავირიე! შენ ვინ ყოფილხარ-მეთქი, ვუთხარი და გავეცალე. მეორე დღეს მესიჯი გამომიგზავნა, მაპატიე, ჩახუტებებზე და ასეთ რაღაცეებზე გული მერევა, თავს ვერ ვიკავებო. ვუპასუხე, რომ ეს დედამიწა და ადამიანები უსიყვარულოდ არაფერი ვართ და, თუ მას მეგობრის ჩახუტებაზე გული ერევა, მგონი, ამ პლანეტაზე მისი ადგილი არაა. გული თუ აქვს, უკვე იმაშიც მეპარება ეჭვი.

გული მეტკინა, მაგრამ თან გამიხარდა, რომ თავისი ნამდვილი სახე დამანახა. მეცოდება. იმედია, ამ წერილს წაიკითხავს. მადლობა „სარკეს“!

თქვენი ერთგული მკითხველი

„მუსლიმი ბიჭი შემიყვარდა“

მე 17 წლის ვარ და შემიყვარდა ბიჭი, რომლის ლაპარაკიც კი არ მესმის კარგად. ის არაბია, მუსლიმი და ჩვენს მეზობლად დაიქირავა სახლი. ახლომახლო ინგლისური ყველაზე კარგად მე ვიცი. რამდენჯერმე მეზობლებთან კომუნიკაცია დასჭირდა რაღაცეების მოსაგვარებლად და დახმარება მე მთხოვა. ის არაჩვეულებრივი ადამიანია. ინგლისური ძალიან კარგად არც მან იცის, მაგრამ ერთმანეთს მაინც ვაგებინებთ. ტელეფონითაც ხშირად მეხმიანებოდა, როცა რამე სჭირდებოდა. რამდენჯერმე კაფეშიც დამპატიჟა და ასე ავაწყვეთ ურთიერთობა.

პირველად გავიცანი ასეთი ბიჭი, რომელსაც გოგოსი უთქმელად ესმის. კარგად ხომ ვერ ვაგებინებთ ერთმანეთს, მაგრამ სიტყვები საჭირო არც არის.

ცოტა ხნის წინ სიყვარულში გამომიტყდა. მეც ძალიან მიყვარს, მაგრამ კარგად ვიცი, ჩვენ შორის რამხელა ზღვარია. ჩემი ოჯახი არასოდეს დათანხმდება, რომ სხვა რელიგიის, ტრადიციის, ადათ-წესების მქონე ბიჭს გავყვე ცოლად. როგორც ის მეუბნება, თვითონაც ძალიან ტრადიციული ოჯახიდან არის და არც ისინი მიიღებენ დიდი სიხარულით სხვა რელიგიის და ჩვეულებების მქონე გოგოს.

ჩვენი სიყვარული აქედანვე განწირულია, მომავალი არ აქვს და ამაზე რომ ვფიქრობ, უფრო მეტად მიყვარდება. ბევრჯერ ვცადე მასთან კავშირის გაწყვეტა, მაგრამ ვერ შევძელი.

ვიცი, ჩემს დახმარებას ვერავინ შეძლებს, ეს პრობლემა თავად უნდა გადავწყვიტო, მაგრამ თქვენთან გულის გადაშლა მომინდა.

თქვენი მკითხველი

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე
ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:

1. **ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.**
2. **გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.**
   1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. **ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru**

ანონიმურობა დაცულია

Cyan Magenta Yellow Black

„პაემანზე შეყვარებულის ნაცვლად სხვა ბიჭი დამხვდა“

15 წლის გოგო ვარ. ერთი წელია ბიჭი მიყვარს და, მის გარდა, არავინ მაინტერესებს, სხვა ბიჭებს ვერც კი ვამჩნევ. სულ მასზე ვფიქრობ. სკოლაში ერთ ბიჭს ვუყვარვარ. კლასელები მეუბნებიან, შენს აჩრდილად იქცა, ყურადღება მიაქციეო, მაგრამ ის არ მაინტერესებს. ერთი სული მაქვს, გაკვეთილები როდის მორჩება, რომ სახლში წავიდე. ის ბიჭი, რომელიც მიყვარს, ჩემს უბანში ცხოვრობს და ხშირად ვხედავ ხოლმე. ვერ ვუბედავ იმის თქმას, რომ ძალიან მიყვარს. არადა მისგანაც სულ ვგრძნობ ყურადღებას.

ჩემმა დაქალმა იცის, რომ ის ძალიან მიყვარს. იმ ბიჭს შორიდან ისიც იცნობს, საერთო ნაცნობები ჰყავთ, ამიტომ მასთან გულგახსნილად ვლაპარაკობდი. მეგონა, მითანაგრძნობდა, მაგრამ შევცდი.

რამდენიმე ხნის წინ დაქალმა მითხრა, უნდა გაგახარო, ბიჭმა, რომელიც შენ ასე ძალიან გიყვარს, პაემანი დაგიგინიშნაო. ისტორია შეთხზა, რომ ვითომ მან პირდაპირ თქმა ვერ გამიბედა. მე იმდენად გამიხარდა, არც კი დავეჭვებულვარ, რომ მეგობარი სიმართლეს არ მეუბნებოდა. იმ დღეს გამოვიპრანჭე და დათქმულ ადგილას მივედი. პაემანზე მისულს კი ჩემი სკოლელი ბიჭი დამხვდა, რომელიც არ მიყვარს.

მისი ნახვა ძალიან გამიკვირდა, მაგრამ მაინც ვერ წარმოვიდგინე, რომ პაემანი სწორედ მან დამითქვა. ერთხანს ვიდექი და ჩემს საყვარელ ბიჭს ველოდი. მერე კი ის მოვიდა და მითხრა, პაემანი მე დაგითქვი, ამისთვის კი დახმარება შენს მეგობარს ვთხოვეო. ძალიან გავბრაზდი და ვეჩხუბე. მან კი თავი იმით იმართლა, რომ ძალიან ვუყვარვარ და სხვანაირად ჩემთან დალაპარაკება ვერ შეძლო. ავუხსენი, სხვა ბიჭის სახელი არ უნდა გამოგეყენებინა-მეთქი. ათასი ბოდიში მომიხადა, მითხრა, რომ ასეთი რამ სიყვარულმა ჩაადენინა.

ჩემი დაქალი გამოვლანძღე, ვუთხარი, რომ ამით მან მიღალატა. ის კი თვლის, რომ კარგი საქმე გამიკეთა. მითხრა, რაში გჭირდება ის ბიჭი, რომელიც ყურადღებას არ გაქცევს და არ უყვარხარ, ამ ადამიანს კი შენზე აბოდებს, ამიტომ ჯობია, მისი შეყვარებული გახდეო. თავისი ცუდი საქციელი იმით ახსნა, რომ კეთილი მიზნები ამოძრავებდა.

იმ ბიჭის სიყვარულს მართლა ვაფასებ, მაგრამ სხვისი შეყვარება არ შემიძლია. იმ ერთადერთს ვერაფრით ვივიწყებ. დაქალს კი იმ საქციელს ვერ ვპატიობ. მართალია, კარგად ამიხსნა, რომ ჩემთვის ცუდი არ სურდა, მაგრამ მას ვეღარ ვენდობი.

„სარკის“ ერთგული მკითხველი

„თურმე მეგობარს ჩემი წარმატება შურს“

ვირველი კლასიდან ერთ გოგოსთან ვდაქალობ. სულ ერთად გვხედავდნენ, ტყუპებივით დავდიოდით. ამიტომ ვერ წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე მას ჩემი შეშურდებოდა.

მეოთხე კლასამდე თითქმის ერთნაირი ნიშნები გვყავდა. მეხუთე კლასიდან კი სწავლაში ბევრად გავუსწარი. ეს მისი ჯიბრით კი არ გავაკეთე, ჩვეულებრივად ვმეცადინეობდი, მაგრამ მასწავლებლები მასზე მაღალ ქულებს მიწერდნენ. იმის შემდეგ რაღაცეები შევნიშნე, რაც არ მომეწონა, მაგრამ არ შევიმჩნიე.

ახლა მეშვიდეკლასელები ვართ. წელს ვატყობ, რომ სხვანაირად მიყურებს. მე ისევ ათიანებს ვიღებ, ის კი — დაბალ ქულებს და უკვე ჩემთან მეგობრობაც აღარ სურს. რა ჩემი ბრალია, თუ ასე ხდება? ახლახან საკონტროლო წერაში ათიანი მივიღე, მან კი — რვიანი და ტირილი დაიწყო. ვერ მოითმინა და მასწავლებელს უთხრა, ამას რატომ დაუწერე ათიანი, აბა, შევამოწმებ, ნუთუ ერთი შეცდომაც არ აქვსო. გაოცებისგან ყველამ პირი დააღო. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ჩემი წარმატება ასე თუ ეწყინებოდა.

მკითხველი

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

გამოხმაურება

„საკონტროლო თავად დაწერე და მეგობარს ნურაფერს დააბრალებ!“

ვეხმაურები ჟურნალ „სარკის“ 41-ე ნომერში დაბეჭდილ წერილს — „საუკეთესო დაქალმა საკონტროლო წერაში შეცდომები დამაშვებინა“. მინდა, ავტორს ვუთხრა, საკონტროლო წერები თავად დაწერე და მეგობარს ნურაფერს დააბრალებ! მეც მყავს ერთი კლასელი, რომელიც პირველი კლასიდან მავალდებულებს, რომ ყველაფერში დავეხმარო, საკონტროლოები ვაწერინო, გაკვეთილები ვუკარნახო. მე კი ვთვლი, რომ ვალდებული არ ვარ, ყოველთვის ასე მოვიქცე. დაჯდეს და იმეცადინოს!

რამდენჯერმე საკონტროლო წერაში მის გამო ცუდი ქულა მივიღე. ორივეს ნაცვლად ვერ ვფიქრობ, ამიტომ ჩემსას კარგად ველარ ვაკეთებ, ფიქრშიც ხელს მიშლის. მის გამო დაბალი ქულები რომ მივიღე, გამოვუცხადე, ველარ დაგეხმარები, ჯერ მე დავწერ და, თუ დრო დამრჩება, მერე შენც დაგეხმარები-მეთქი. ამაზე გაიბუსხა და აღარ მელაპარაკება. მთელ კლასს ეუბნება, რომ ბოროტი გოგო ვარ და სხვისი კარგი არ მიხარია. ამ დროს კი ასე არ არის. თვითონ ისწავლოს და რამდენი ქულის მიღების თავიც აქვს, იმდენი მიიღოს, მე რა შუაში ვარ?

მკითხველი, 12 წლის

„ძმაკაცს ნუ მიბაძავ!“

ჟურნალ „სარკის“ 41-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „ძმაკაცი მაიძულებს, მისნაირი გავხდე“. მე გოგო ვარ და პირდაპირ გეტყვი, რომ შენნაირი ბიჭები არ მომწონს. არ მიყვარს, როცა ვიღაცეებს ემორჩილებიან. გირჩევ, ძმაკაცს ნუ აჰყვები. ის თუ კლდეზე იჩეხება, შენ არ უნდა გადაჰყვე. თუ მაგარი ბიჭი ხარ, აიძულე, რომ შენ მოგბაძოს. მას რატომ უნდა დაემსგავსო?!

„სარკის“ მკითხველი

„ეგეთ მეგობარს ნუ ენდობი“

ჟურნალ „სარკის“ მე-40 ნომერში დაიბეჭდა წერილი — „დაქალი ჩემი სახელით ფეისბუქელ მეგობრებს უხამს წერილებს უგზავნიდა“. მეც შენი თანატოლი ვარ და გირჩევ, ეგეთ მეგობარს არ ენდო. თუ ახლა გაგიმეტა ასე, რა გარანტია გაქვს, რომ მომავალში ისევ არ გიღალატებს?

ადამიანი ერთხელ თუ მოიქცა ცუდად, მეორედაც არ გაუჭირდება ბოროტების ჩადენა, ამიტომ შენს ადგილზე ასეთ მეგობარს ნამდვილად არ ვენდობოდი. ჯობია, მისგან შორს დაიჭირო თავი.

კეთილი სურვილებით, „სარკის“ ერთგული მკითხველი

ნათელმხილველი ნელი ბიჩიკაშვილი

სამწუხაროდ, დღევანდელ ყოფაში პრობლემები ჩვენი ყოველდღიური თანამგზავრი გახდა. თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვ. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქ-ნი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქ-მა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება.

მერწმუნეთ, ქ-ნი ნელის წინასწარმეტყველება ბევრ სიურპრიზს გაპირდებათ...

ჩაწერა ხდება წინასწარ.

☎ 214-20-65 (ბინა), 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.

Cyan Magenta Yellow Black

გიგი გაჩეჩილაძეს სალომე ჭაჭუას დავიწყებაში ძმა დაეხმარა

ხატი: „ჩემი ძმის შეყვარებული ნინი ნიჟარაური ჩასახუტებელი გოგოა!"

■ რატი და გიგი

უმცროს გაჩეჩილაძეს გოჩა ჩერტკოევმა პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები" მონაწილეობის უფლება არ მისცა

ცეკვავენ გიგი გაჩეჩილაძის უმცროსი ძმა, რატი, ამერიკიდან იმის გამო დაბრუნდა, რომ უფროს ძმას რთულ პერიოდში გვერდით დასდგომოდა. გიგისთვის რვაწლიანი რომანის დასრულება და სალომე ჭაჭუასთან დაშორება იოლი გადასატანი ნამდვილად არ იყო. ამ სტრესის დაძლევაში კი ძმა დაეხმარა.

რატი გაჩეჩილაძეც ოჯახურ ტრადიციას აგრძელებს, ისიც შესანიშნავი სამეჯლისო მოცეკვავეა, თუმცა პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები" ვერ მოხვდა და ამას თავისი სუბიექტური მიზეზი ჰქონდა, რის შესახებაც ქვემოთ თავად ძმები გვიამბობენ.

— როგორი ბავშვობა გქონდათ ძმებს? აღიარეთ, რომელი რომელს ჩაგრავდით.

გიგი: ადრე მე ვჩაგრავდი, მაგრამ ახლა ეს მჩაგრავს. ჩვენ შორის 4 წელზე მეტია სხვაობა. რატი პატარა რომ იყო, სიგარეტზე გამოვიჭირე, ძალიან გავნერვიულდი და ისეთი სიძლიერით ამოვარტყი პანჩური, რომ კარგა ხანს ფეხი თაბაშირში მქონდა. ეს ამბავი დღესაც ძალიან ცუდად მახსოვს. არ მინდოდა, რა სისულელეებიც მე მქონდა გამოვლილი, ამასაც იგივე გაეკეთებინა. ჩემს დიდ ნაკლად მიმაჩნია, რომ ვეწევი. სამწუხაროდ, ჩემმა ფეხის მოტეხამაც ვერ უშველა და სიგარეტს თავი არ დაანება.

— ორივე სამეჯლისო მოცეკვავე ხართ და ერთმანეთს საქმეში ალბათ ყველაზე უკეთ უგებთ.

რატი: ახლა გიგი აღარ ვარჯიშობს, მაგრამ როცა მე ვვარჯიშობ, ძმა ჩემი მესამე თვალია. ყველაზე სამართლიანად სწორედ გიგი მაკრიტიკებს.

გიგი: ძმებს შეგვიძლია, ჩვენს პროფესიაში ერთობლივად წამოვიწყოთ სერიოზული საქმე. მიუხედავად იმისა, რომ რატი ჩემი ძმაა და ძალიან მიყვარს, არ მიჭირს, მის მიმართ ობიექტური ვიყო. ერთმანეთს დათვურ სამსახურს არ გავუწევთ.

რატი: პირიქით, ერთმანეთისგან ყოველთვის მეტს ვითხოვთ. იქამდე არ ვეშვებით ერთმანეთს, სანამ იმას არ მივიღებთ, რაც გვინდა.

— რატი, გიგის „სარკეში" მოყოლილი აქვს, როგორ ცხოვრობდა ამერიკაში რამდენიმე წელი. თქვენი ამერიკული ყოფა როგორი იყო?

რატი: ამერიკაში 4 წელი ვიცხოვრე. ჩემთვის იქ მხოლოდ მუშაობა და მუშაობა იყო.

გიგი: რომ ერთობოდი, მაგასაც ნუ მალავ!

რატი: რა თქმა უნდა, დასვენების დღეებში ვერთობოდი. ჩემი ყველაზე დიდი პრობლემა ის იყო, რომ ამერიკაში 4 წლის განმავლობაში მეწყვილე ვერ ვიპოვე. დალასში ბევრი ახალგაზრდა არ დადის სამეჯლისო ცეკვებზე. ჩემი მოსწავლეები სულ ხანშიშესულები იყვნენ. ყოველდღე ერთსა და იმავეს ვაკეთებდი: მივდიოდი კოლეჯში, მერე უკან ვბრუნდებოდი, მერე სავარჯიშოდ სპორტულ დარბაზში მივდიოდი.

— ანუ ამერიკაში პროფესიულად ვერ გაიზარდეთ?

რატი: ძალიან გავიზარდე, როგორც მასწავლებელი, მაგრამ არა, როგორც მოცეკვავე. და მაინც, ამერიკაში ყოფნის 4 წელს ძალიან კარგად ვიფასებ.

— საქართველოში რა გეგმებით ჩამოხვედით?

რატი: ჩემი მთავარი გეგმა ისაა, რომ ცეკვას „მივაწვე". მყავს მეწყვილე, მთელი დღე ვვარჯიშობთ, მოსწავლეებიც მყავს. ჯერჯერობით მხოლოდ ამით ვარ დაკავებული.

გიგი: რატის შეეძლო, ამერიკის მოქალაქეობა მიეღო და მერე ჩამოსულიყო, მაგრამ არ დამიჯერა. ახლა, როცა უკვე აქაა, მაქსიმალურად ვუდგგავართ გვერდში ერთმანეთს. რატი მხოლოდ საქმეებში კი არა, სტრესის დაძლევაშიც დამეხმარა. მისნაირად და რამდენიმე ძმაკაცისნაირად არავინ დამდგომია გვერდში.

რატი: მე და გიგი ერთად გაცილებით მეტს მივაღწევთ, ვიდრე მე ამერიკაში და გიგი — აქ.

— რატი, როცა გიგი პროექტის „ცეკვავენ ვარსკვლავებში" ორ სეზონში მონაწილეობდა, როგორ გულშემატკივრობდით?

გიგი: ამერიკიდან რატიმ და ჩემმა დამ (გაჩეჩილაძეების და გოჩა ჩერტკოევის ცოლია. ავტ.) ვიდეო გამოგზავნეს, სადაც ჩემს მხარდაჭერაზე იყო საუბარი, მაგრამ ვიდეო ეთერში არ გაუშვეს. ძალიან ცუდი ტენდენციაა, რომ პროექტში მხოლოდ ვარსკვლავი იმარჯვებს, რადგან ეს წყვილის ცეკვებია.

გიგი: „ყველაზე მეტად მისმა ადამიანურობამ მომხიბლა. ოცა გავიცანი და ვნახე, ოგორი სუფთა, გულწრფელია, ამან გამაგიჟა და შემშალა".

მხოლოდ ვარსკვლავში რომ იყოს საქმე, როსტო სალომე ჭაჭუას გარეშე ამდენს ვერ გაქაჩავდა, ვერც გიორგი ვარდოსანიძე გავიდოდა ფინალში სალომეს გარეშე. თქვენი აზრით, სალომესთან ჯაბა კილაძე რომ ყოფილიყო, უფრო წინ ვერ წავიდოდა? ვარსკვლავს რომ ძალიან ცუდი მოცეკვავე დავუყენოთ, გაქაჩავს? ვერა.

რატომღაც მსაჯებმა მოცეკვავის ფუნქცია მეორე სეზონში ძალიან დაამდაბლეს და ამბობდნენ, ჩვენ მოცეკვავეს არ ვაფასებთო. რატომ არ უნდა შეაფასონ? მაშინ მხოლოდ ვარსკვლავმა იცეკვოს და ჩვენ ტაშს დავუკრავთ.

— რატი, როგორც ვიცით, წლეულანდელ სეზონში თქვენც უნდა გეცეკვათ. რატომ არ ხართ პროექტში?

რატი: შემოთავაზება მივიღე, მეწყვილეც უკვე მყავდა და, წესით, უნდა ვყოფილიყავი პროექტში, მაგრამ ერთი ადამიანის გამო არ ვარ.

— ეს ადამიანი ჟიურის წევრია?

რატი: კი.

— ანუ მართალია გავრცელებული ხმა, რომ გოჩა ჩერტკოევმა არ მოინდომა პროექტში თქვენი მონაწილეობა?

გიგი: გოჩამ მითხრა, შენ დიდი ხნის ჩამოსული ხარ, რატი კი ახლა ჩამოვიდაო. ვიცი, რომ მისი საქციელი სხვა რამის ბრალია, მაგრამ ეს ჟურნალში დასაწერი არაა.

რატი: გოჩას მთავარი არგუმენტი ის იყო, ახალი ჩამოსული ხარ და ყველას ეგონება, რომ მე შეგიყვანე პროექტშიო.

გიგი: ვერც ჩვენ მივხვდით, ეს რა მიზეზი იყო. ყველა ცდილობდა, რომ რატი პროექტში ყოფილიყო, მაგრამ არ გამოვიდა. რადგან ჩემი ძმაა, ამიტომ არ ვამბობ, მაგრამ მართლა ძალიან კარგად ცეკვავს. თუ იქნება მეოთხე სეზონი, ალბათ მაშინ მაინც გამოჩნდება და ხალხი ნახავს, რომ კარგად ცეკვავს. სამაგიეროდ ყველა ჩვენს მოცეკვავეს ძალიან ვგულშემატკივრობთ. თუ ვინმე მე მგულშემატკივრობდა, შეუძლიათ ჩვენს მოცეკვავეებს დაუჭიროს მხარი.

— ხშირად მოცეკვავე წყვილს შორის სასიყვარულო ურთიერთობა იწყება. რატი, თქვენს მეწყვილესთან რომანი გქონიათ?

რატი: არ ვიცი, რატომ, მაგრამ არასოდეს მქონია.

— როცა წყვილს სიყვარული აკავშირებს, ეს მათ ცეკვაზე კარგად აისახება?

რატი: ამაზე ძალიან ბევრის თქმა შემიძლია. თუ შენს მეწყვილე-შეყვარებულს დაშორდები, მერე ერთად ცეკვაც აღარ გამოვა. ამ დროს პირადს სხვა რაღაცეებიც ეწირება.

გიგი: დადებითი ის არის, რომ უფრო გრძნობით ცეკვავ, ტვინს არავინ გიბურღავს, ჩემს შეყვარებულს ხელი როგორ დაადეო, რაც საქართველოში ხშირად ხდება. უარყოფითი კი ისაა, რომ ძალიან ძნელია, გაბუტულ შეყვარებულთან ერთად დადგე და ივარჯიშო. საბოლოოდ მაინც ჯობია, საქმე და პირადი ცხოვრება ერთმანეთისგან გაიმიჯნოს. ამის კარგი გამოცდილება მაქვს.

— გიგი, მას შემდეგ, რაც სალომე ჭაჭუას დაშორდით, თქვენს ცხოვრებაშიც გამოჩნდა ახალი სიყვარული — ნინი წიკლაური. გაგაცანით, ვინ არის ის.

გიგი: ჩვენ ურთიერთობის საწყის ეტაპზე ვართ, ამიტომ მოსაყოლი ბევრი არაფერია. დაახლოებით 4 თვეა, რაც ნინის ვიცნობ.

— რატი, თქვენ იცნობთ მას?

რატი: ხასიათით ძალიან მაგარი გოგოა, კარგი ადამიანია. როგორც ჩემი ძმის შეყვარებული, ჩასახუტებელი გოგოა. ნინი მაგრად მიყვარს.

გიგი: რადგან ჩვენი ურთიერთობა ახალი დაწყებულია, ამაზე ბევრი ლაპარაკი არ ღირს. იმას კი არ ვამბობ, რომ არასერიოზული ურთიერთობაა და მხოლოდ ფლირტი გვაკავშირებს, არ მინდა, ვთქვა, მიყვარს, ვგიჟდები, ხვალ ცოლად მომყავს-მეთქი და ბოლოს ისე მოხდეს, რომ დავშორდეთ. სანამ ყველაფერში დარწმუნებული არ ვიქნები, ამ თემაზე ზედმეტს არ ვილაპარაკებ. დასამალი არაფერი მაქვს და არც მას ვმალავ. რატომღაც ჩათვალეს, რომ ჩემი და სალომეს ურთიერთობის გამომზეურება შეცდომა იყო, მაგრამ მე ასე არ ვთვლი.

— თქვენგან განსხვავებით, სალომემ პირადი ცხოვრების თემას ტაბუ დაადო.

გიგი: ჰო, ვიცი. მე კი დასამალი არაფერი მაქვს. თუ ვინმე ჩემი პირადი ცხოვრებით დაინტერესდება, შეუძლია გაიგოს, ოღონდ

Cyan Magenta Yellow Black

გარკვეულ ზღვრამდე. ზედმეტად პირადში არასოდეს არავინ ჩამიხედებია. ნებისმიერ ადამიანთან ძალიან ლამაზად მიმყავს ურთიერთობა, ამიტომ არ ვიცი, რას უნდა ვმალავდე. არასოდეს ვაკეთებ ისეთ რაღაცას, რაც შეიძლება მერე წინ დამიდგეს.

— თქვენი შეყვარებული ნინი წიკლაური ყველას მომღერალი ნინი წიკლაური ეგონა.

გიგი: ჰო, მომღერალ ნინისთვის დაურეკავთ. მას უთქვამს, ვინ გიგი, რა გიგი, რა გამიწყალეთ გული, სულ არ ვიცნობო. არც მე ვიცი ეს მომღერალი.

— მეგობრობით დაიწყო თქვენი ურთიერთობა თუ თავიდანვე სიმპათიით განეწყვეთ?

გიგი: რომ დავინახე, მაშინვე სიმპათიით განვეწყვე. ყველაზე მეტად მისმა ადამიანურობამ მომხიბლა და გამაგიჟა. გარეგნულად ნამდვილად არაა ცუდი გოგო და ამას ყველა ნახავს. ზოგადად მხოლოდ გარეგნულად არ ვაფასებ ადამიანებს. როცა გავიცანი და ვნახე, როგორი სუფთა, როგორი გულწრფელია, ამან გამაგიჟა და შემშალა.

— გიგი, თქვენი ინტერვიუ ვნახე დაახლოებით ასეთი სათაურით, სალომეზე და გიორგიზე ჯერ კიდევ პროექტის მსვლელობის დროს ვეჭვიანობდიო. მართლა ეჭვიანობდით?

გიგი: არც ერთ ინტერვიუში ასეთი რაღაც არ მითქვამს. ზედმეტად ეჭვიანი ვარ, მაგრამ მხოლოდ მაშინ ვეჭვიანობ, როცა ყურადღებას მაკლებენ. თუ სალომეს ცხოვრებაში ვინმე გამოჩნდა, წარმატებებს ვუსურვებ. მე არანაირი პრობლემა არ მაქვს. თუ ჩემი საყვარელი ადამიანი სხვასთან უფრო ბედნიერი იქნება, ვიდრე ჩემთან, უფრო გამიხარდება. მე რომ მაშინ ეჭვიანობა დამეწყო, ეს ჩემი დიდი არაპროფესიონალიზმი იქნებოდა. გიორგის და სალომეს ურთიერთობის შესახებ რომ ხალხმა გაიგო, ჩემზე დაიწერა, თითქოს მე ეს ყველაფერი საკმაოდ კარგად მივიღე. ნამდვილად კარგად მივიღე, მაგრამ მათ საიდან იცოდნენ, როცა ჩემთვის არც კი დაურეკავთ?

— რატი, ვიგი ცდილობდა, არ შეეშინა, სალომესთან დაშორებას რომ განიცდიდა, მაგრამ ალბათ თქვენ ყველაზე კარგად ხედავდით, როგორ გადახატავა მ წლიანი საყვარულის დასასრული.

რატი: გიგი და სალომე რომ დაშორდნენ, ჩემი ძმა ისეთ ცუდ მდგომარეობაში იყო, ვერც კი მელაპარაკებოდა. „ფეისბუქზე“ ორი წუთი თუ დავილაპარაკებდით, დავურეკავდი და ორ სიტყვას თუ მეტყოდა. სწორედ ამის გამო ჩამოვედი, რომ გვერდით დავდგომოდი. ჩვენ საერთო საძმაკაცო გვყავს, მირეკავდნენ და მეუბნებოდნენ, გიგი ძალიან ცუდადააო. მე კი ამ დროს საზღვარგარეთ ვიყავი.

— რატი, ამერიკაში გატარებულმა წლებმა რა შეგმატათ, რა თვისებები ჩამოგიყალიბათ?

რატი: პირველ რიგში, ადამიანურად გავიზარდე. ამისთვის დიდი მადლობელი ვარ ჩემი დის, გოჩასი, ჩემი დისშვილის. ძალიან დამეხმარნენ.

ჰატი: „გიგი და სალომე ჰომ დაშოჰდენენ, ჩემი ძმა ისეთ ცუდ მდგომაჰეობაში იყო, ვეჰც ჯი მეელაპაჰაკებოდა. სნოჰედ ამის გამო ჩამოვედი, ჰომ გვეჰდით დავდგომოდი“.

✓ ქეთი დინოშვილი

შვეიცარიული F.Hoffmann-La Roche-ს და ქართული „ჯი-ემ-პი“-ს ურთიერთთანამშრომლობა, რომელიც C ჰეპატიტის მკურნალობის ღირებულებას მნიშვნელოვნად შეამცირებს

შვეიცარიული კომპანია F.Hoffmann-La Roche-სა და პსპ-ჯგუფის წევრ „ჯი-ემ-პი“-ს შორის პარტნიორობის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის თანახმადაც, F.Hoffmann-La Roche-ს მიერ შვეიცარიაში დამზადებული C ჰეპატიტის სამკურნალო საშუალება, პეგინტერფერონის აქტიური მოქმედი ნივთიერება, წარმოების ბოლო ეტაპს ქართულ ფარმაცევტულ საწარმო „ჯი-ემ-პი“-ში გაივლის.

შვეიცარიელებმა არჩევანი ქართულ საწარმო „ჯი-ემ-პი“-ზე ხარისხის არაერთი საკონტროლო აუდიტის შედეგად გააკეთეს. შვეიცარიელმა აუდიტორებმა საფუძვლიანად შეამოწმეს „ჯი-ემ-პი“-ში მიმდინარე წარმოების ყველა ეტაპი, ხარისხის კონტროლის მექანიზმები, რის საფუძველზეც გადაწყდა F.Hoffmann-La Roche-სა და პსპ-ჯგუფის წევრ „ჯი-ემ-პი“-ს შორის პარტნიორობის ხელშეკრულების გაფორმება. შედეგად, თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური პრეპარატი პეგინტერფერონი წარმოების ბოლო ეტაპს „ჯი-ემ-პი“-ში გაივლის და საბოლოო სახეს მიიღებს ადგილობრივი პროდუქტის სახით. C ჰეპატიტი სადღეისოდ მედიცინის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში C ჰეპატიტის ვირუსით 170 მლნ ადამიანია ინფიცირებული. C ჰეპატიტი საქართველოში ზრდასრული მოსახლეობის დაახლოებით 6,7%-შია გავრცელებული.

C ჰეპატიტის მართვის საერთაშორისო სტანდარტად აღიარებულია ე.წ. პეგილირებული ინტერფერონების და რიბავირინის კომბინაცია. C ჰეპატიტის მკურნალობა საკმაო ხარჯებთან არის დაკავშირებული და დღემდე ბევრისთვის ხელმისაწვდომი არ იყო. პრეპარატის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით გადაწყდა შვეიცარიული პეგილირებული ინტერფერონის წარმოების დასკვნითი ეტაპი საქართველოში გადმოტანილიყო, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს მკურნალობის ღირებულებას. შვეიცარიელი მწარმოებლების და ხარისხზე ორიენტირებული ქართული ფარმაცევტული წარმოების ფლაგმანის, „ჯი-ემ-პი“-ს პარტნიორობა იმის საწინდარია, რომ საქართველოში იწარმოება თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური მედიკამენტები, რაც უფრო ხელმისაწვდომს გახდის ქართველი მომხმარებლისთვის C ჰეპატიტის სამკურნალო თანამედროვე პრეპარატს და აუცილებლად აისახება ქართველი პაციენტების ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე.

გიორგი ანთაძე

გიორგი ანთაძე, „ჯი-ემ-პი“-ს გენერალური დირექტორი:

— ეს არის პირველი პრეცედენტი, როცა საერთაშორისო კომპანიამ ქართული საწარმო აირჩია პარტნიორად, რაც იმის დასტურია, რომ „ჯი-ემ-პი“-ს საწარმო სრულად აკმაყოფილებს წარმოების საერთაშორისო სტანდარტებს. ჩვენი კომპანიის განვითარების პრიორიტეტი ექსპორტის ზრდაა. 2018 წლისთვის ვგეგმავთ ეტაპობრივად გავზარდოთ ექსპორტის მოცულობა 100 მლნ დოლარამდე. ასევე იგეგმება „ჯი-ემ-პი“-სა და F.Hoffmann-La Roche-ს ერთობლივი პროდუქტის ექსპორტირებაც. „ჯი-ემ-პი“ პსპ-ჯგუფის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტია, ეს ახალი წამოწყება კი კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ადგილობრივი წარმოების გაფართოებას და ქართველი მომხმარებლისთვის თანამედროვე მედიკამენტების გაცილებით დაბალ ფასად მიწოდებას უზრუნველყოფს, ამასთან მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

Cyan Magenta Yellow Black

შოთა ადამაშვილი: „შესაძლოა მაია დარსმელიძესთან ურთიერთობაც გამიფუჭდეს, მაგრამ გარკვეულ ღირებულებებს ვერ გადავაბიჯებ“

ჯონჯუჰსანტი, ვის გამოც „ახალ ხმაში“ მწვრთნელები ეთმანეთს დაუპრიხისპრიდნენ

შოთა ადამაშვილი პროექტ „ახალ ხმის“ ის კონკურსანტია, ვის გამოც მაია დარსმელიძესა და დათო ფორჩხიძეს შორის ურთიერთობა დაიძაბა. ბრმა კასტინგზე შოთას ხმის გაგონებაზე ოთხივე მწვრთნელი შემობრუნდა, მაიასა და დათოს შორის კი ისეთი ბრძოლა გაჩაღდა, სტეფანესა და ლელა წურწუმიას სიტყვებისთვის აღარავის მოუსმენია. მაია დარსმელიძე პირდაპირ სცენაზე აიჭრა, ბიჭს ხელი მოჰკიდა და წაყვანა დაუპირა, მაგრამ შოთა ადამაშვილმა ფორჩხიძე აირჩია. ამ ამბავზე სოციალურ ქსელში ერთი ამბავი ატყდა. მაია დარსმელიძე გააკრიტიკეს, მან კი მკვეთრი და არაკორექტული გამოთქმებით უპასუხა, დათო ფორჩხიძე და შოთა ადამაშვილიც უსიამოვნო კონტექსტში ახსენა. საქმე იქამდე მივიდა, რომ კონკურსანტს თავისმართლება მოუწია. მის გამო ატეხილი სკანდალის გამო შოთა ადამაშვილი თავს უხერხულად გრძნობს და ის „სარკის“ ფურცლებიდანაც ბოდიშს უხდის საზოგადოებას.

— შოთა, სანამ თქვენ გარშემო ატეხილ ალიაქოთზე ვისაუბრებდეთ, გვიამბეთ, რა გზა გამოიარეთ ამ კონკურსამდე.

— მუსიკას ჩემს ცხოვრებაში პირველი ადგილი უჭირავს. პროფესიით ჟურნალისტი ვარ. სტუდენტობისას ერთ-ერთ საინფორმაციო სააგენტოსა და რადიოში სპორტის ჟურნალისტიც ვიყავი. სიმღერით 19 წლის ასაკში დავინტერესდი, გიტარის დაკვრაც ამ დროს დავიწყე. სიმართლე გითხრათ, ჩემს გატაცებას ზოგი ეჭვით უყურებდა, მაგრამ ფაქტია, რომ დღემდე მოვაღწიე. სიმღერა უკვე ჩემი მთავარი საქმეა. ქანთრის ჟანრში იმდენად ვიყავი ჩაფლული, სხვა მუსიკალურ სტანდარტებს კარგად არც ვიცნობდი. შემდეგ ვოკალის პედაგოგთან დავიწყე სიარული და მუსიკალური აზროვნება კიდევ უფრო გამეხსნა. ხათუნა ლეჟავასთან ერთი წელი ვიარე. 2012 წელს კი პოლონეთში წასასვლელად მზადება დავიწყე.

— იქ რა გინდოდათ?

— საბავშვო ბაღში მოხალისედ უნდა მემუშავა, ამავდროულად ეს იმის შანსიც იყო, რომ 9 თვე ევროპაში მეცხოვრა და გარკვეული გამოცდილებაც მიმეღო. იქ ბავშვებთან ერთად ვმღეროდი კიდეც. პოლონური ენაც ვისწავლე. ჯიბის და საკვების ფული გვქონდა. კრაკოვში დღეში 6 საათს ვმუშაობდი. ეს არის არტისტული ქალაქი, სადაც უამრავი მუსიკოსია.

— იქაურ მუსიკოსებთან გქონდათ ურთიერთობა?

— კი. ბლუზმენებთან და ანდერგრაუნდის წარმომადგენლებთან მქონდა ურთიერთობა. თავისუფალი მიკროფონის დღეები იმართებოდა, სადაც მოყვარულებსაც შეეძლოთ სიმღერა. იტალიელი მევიოლინე პაოლო გავიცანი, რომელთან ერთადაც დუეტი შევქმენი. კრაკოვში კონცერტებიც ჩავატარეთ და ქანთრის ერთად ვმღეროდით. ევროპაში ყოფნის დროს ერიკ კლეპტონის და პოლ მაკარტნის კონცერტზეც მოვასწარი დასწრება და ამით ძალიან ბედნიერი ვარ. კრაკოვიდან ამ ზაფხულს, 1 ივლისს დავბრუნდი, ვიზაც მეწურებოდა და პროექტი „ახალი ხმაც“ იწყებოდა.

— რატომ გადაწყვიტეთ კონკურსში მონაწილეობა?

— ჩემმა ერთ-ერთმა მეგობარმა მირჩია. სიმართლე გითხრათ, ჩემი მთავარი მიზანი იყო, ჩემი გამოსვლის პროფესიონალური ვიდეომასალა მქონოდა, რომელსაც შემდეგ მოვისმენდი და საკუთარ თავს დავაკვირდებოდი. 2009 წელს ჯგუფი „ისტერნ ვესტი“ მყავდა, ბარის პროგრამასაც ვამუშავებდით, მაგრამ ბარებსა და კლუბებში თავის დამკვიდრება ძალიან რთული იყო. იმ მიზნით, რომ ელემენტარული შემოსავალი მქონდეს, მიწისქვეშა გადასასვლელებში ვუკრავ.

— თავიდანვე დათო ფორჩხიძის გუნდში წასვლა გქონდათ გადაწყვეტილი?

— ბრმა კასტინგზე ოთხივე მწვრთნელი რომ შემომიბრუნდა, ყველა მაია დარსმელიძეთან წასვლას მირჩევდა. ფიქრობდნენ, რომ მისი სტილი უფრო ვიყავი, მაგრამ რეალურად მე სულ სხვა ჟანრში ვარ, ქალბატონი მაია კი როკერია. ჩემმა პედაგოგმა ბრმა კასტინგის წინა დღეს მნახა და გამაფრთხილა, რომ ცუდ ფორმაში ვიყავი. სხვათა შორის, კასტინგის შემდეგ მან მითხრა, ჩემთვის არაფერი გიკითხავს, თორემ მეც მეგონა, რომ მაია დარსმელიძესთან წახვიდოდიო. ალბათ ისიც ფიქრობდა, რომ მაიას სტილში უფრო ვჯდები. შეიძლება ამაში გარკვეული ლოგიკა არის, მაგრამ გულმა დათოსკენ გამიწია და დღემდე მგონია, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე. ნებისმიერ მწვრთნელთან საინტერესო იქნებოდა მუშაობა, მაგრამ უპირატესობა დათოს

„იმ მიზნით, რომ ელემენტარული შემოსავალი მქონდეს, მიწისქვეშა გადასასვლელებში ვუკრავ“.

მივანიჭე და ვფიქრობ, რომ საინტერესო ექსპერიმენტებს ჩავატარებთ. ყველა ნახავს, რომ უამრავი მაგარი მონაწილე გვყავს და კარგი იქნება, თუ ცოტა ხანში ხალხს აღარ გავახსენდები. ჩემზე რამდენიმე წლით უმცროსები სცენას ანგრევენ.

— სოციალურ ქსელში იმასაც წერენ, რომ დათო ფორჩხიძის გუნდში თქვენი მოხვედრა წინასწარ იყო გათვლილი.

— ამას იმიტომ ამბობენ, რომ ჩემი პედაგოგი, ხათუნა ლეჟავა, დათოსთან მეგობრობს. წინასწარ არაფერი ყოფილა გათვლილი, ეს აბსურდი და სისულელეა.

— ბრმა კასტინგზე სიმღერის დასრულების შემდეგ მაია დარსმელიძე თქვენთან სცენაზე ამოვიდა სიტყვებით — უნდა დამშებდე და ჩემთან წამოხვიდეო. მისმა საქციელმა ხომ არ გაგაღიზიანათ და ეს გადაწყვეტილებაც იმიტომ მიიღეთ?

— უფრო უხერხულობის მომენტი მქონდა, ვიდრე გაბრაზების ან გაღიზიანების. ის ემოციების ფონზე მოიქცა ასე და ამისთვის დიდი მადლობელი ვარ. ხალხი ამბობდა, რომ გამარჯვების შანსი მაიას გუნდში წასვლით უფრო მეტი მქონდა, მაგრამ ჩემი მიზანი გამარჯვება არ არის, პროექტში ამისთვის არ მოვსულვარ.

დათომ მითხრა, თუ ჩემთან წამოხვალ, რაც გინდა, იმას გამღერებო, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რაც გადაღეჭილი მაქვს, შემდეგ ეტაპებზე იმას შევასრულებ.

— და მაინც, მაიას ასეთი საქციელი რომ არა, ალბათ ასეთი პოპულარული ვერ გახდებოდით. ამგვარი აზრი მაია დარსმელიძემ „ფეისბუქშიც“ გამოაქვეყნა.

— შეიძლება მართლაც ასეა, მაგრამ ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ არ ვარ ადამიანი, რომელზეც აქცენტი უნდა გაკეთებულიყო. მაგარ მომღერალს პოპულარობისთვის არანაირი დამატებითი საშუალება არ სჭირდება, უბრალოდ მაგრად უნდა იმღეროს. ეს მარიამ აკობიას შემთხვევაშიც დამტკიცდა, მან მაგრად იმღერა.

— ბრმა კასტინგის შემდეგ შეხვდით მაია დარსმელიძეს?

— არა, მას შემდეგ არ მინახავს. მომიწევს მასთან შეხვედრა და იმედია, ყველაფერი ცივილიზებულ ფორმებში იქნება. შესაძლოა მასთან ურთიერთობაც გამიფუჭდეს, მაგრამ არსებობს რაღაც გარკვეული ღირებულებები, რომლებსაც ვერ გადააბიჯებ... შესაძლებელია მეც გადავაჭარბე, მაგრამ ფაქტია, რომ გულწრფელი ვიყავი და უსამართლოდ არაფერი მითქვამს.

მაიას და დათოს ჩემ გამო ურთიერთობა რომ დაეძაბათ, თავს უხერხულად ვგრძნობ. ნამდვილად არ ვღირვარ ამად. გამოჩნდებიან ძლიერი შემსრულებლები და საერთოდ აღარ მინდა, ვინმეს შოთა ადამაშვილი გაახსენდეს. თუ რამეში გადავაჭარბე, ბოდიშს ვიხდი, ადამიანები ვართ და შეიძლება შეგვეშალოს. ვფიქრობ, რომ ასეთი დაძაბული სიტუაცია პროექტის ღირებულებას აფუჭებს და შეიძლება ამაში მეც ვარ დამნაშავე.

— თქვენი ოჯახიც მუსიკალურია? ვინ არიან მისი წევრები?

— ერთი და სამი ძმა ვართ. მშობლები იტალიაში სამუშაოდ არიან წასული. ჩემი უმცროსი ძმაც იტალიაშია, ის ჩემზე ბევრად უკეთესი მუსიკოსია. თბილისში შუათანა ძმასთან ერთად ვცხოვრობ. ოჯახი ძალიან მიჭერს მხარს.

— თქვენი ჩაცმის სტილიც თქვენს მუსიკალურ მიმართულებას გამოსახატავს?

— სტუდენტობიდან ე.წ. კოვბოის ფეხსაცმელებით და ქუდით, ჯინსით და კუბოკრული პერანგებით დავდივარ. ხანდახან არც მე ვგრძნობ თავს კომფორტულად, მაგრამ ეს მუსიკაში შეტოპვის ნაწილია. ხალხისგან შეუსაბამო შეძახილებიც მსმენია. „ბანდერას!“ — ხშირად მოუძახებიათ, რაც აბსოლუტურად არაფერ შუაშია ჩემი ჩაცმის სტილთან.

— საყვარელი ვოკალი თუ გყავთ გვერდით?

— არა, მარტოხელა ვარ! ჩემთან ურთიერთობა ძნელია, დაულაგებელი ადამიანი ვარ. შეყვარებული ვყოფილვარ. რთული ადამიანი ვარ, ყოველთვის ჩემზე უფრო ჭკვიანი ქალები მიყვარდა, რის გამოც ჩვენი ურთიერთობა დიდხანს ვერ ძლებდა. როცა მიყვარს, ალბათ ზედმეტად ემოციური ვარ.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

Cyan Magenta Yellow Black

პირველად საქართველოში !
უპრეცენდენტო განვადების აქცია !

ყიდულობთ **SAMSUNG** - ის მაცივრებს და სხვა ნებისმიერ ტექნიკას ისე, რომ ზედმეტს არაფერს არ იხდით!



განვადება 0%

წინასწარი შენატანი 0

ბანკის საკომისიო 0

თბილისი : ყაზბეგის 24 / სავ.ცენტრი თბილისი მოლი / ვარკეთილი, ჯავახეთის 14
სავ.ცენტრი მეგალაინი პავილიონი 29 / პუშკინის 9 / გლდანი, ხევძმარის 7

რეგიონები : რუსთავი, მეგობრობის გამზ.23
ბათუმი, ჭავჭავაძის 31 / თელავი, ალაზნის გამზ. 23

(032) 2 555-655

www.fb.com/smiley.ge

Cyan Magenta Yellow Black

ალეკო ელისაშვილი ცოლს მესამე შვილის გაჩენას ეხვეწება

ირინა: „ჩემი ქმრის გადაცემის ყურება არ შემიძლია, ხმას ვუწევ ან სხვაგან გადავრთავ ხოლმე“

ჟურნალისტი ალეკო ელისაშვილი 9 წლის წინ, უმუშევრობის პერიოდში მოეკიდა ოჯახს. ისეთი შეყვარებული იყო, რომ ფინანსურმა სიდუხჭირემაც ვერ შეაჩერა. ის და მისი საყვარელი გოგონა, ირინა კილასონიძე, მაშინ „მეცხრე არხის“ დახურვის შედეგად დარჩნენ უსამსახუროდ. სანამ მდგომარეობა დასტაბილურდებოდა, ახალგაზრდა ოჯახმა საკმაოდ იწვნია გაჭირვება. წლების განმავლობაში საკუთარი ჭერიც არ ჰქონდათ, მაგრამ სიყვარული არ განელებიათ. ამასობაში ორი ბიჭიც წამოეზარდათ, ხელფასი გაუჩნდათ და 2 წლის წინ პატარა ბინაც შეიძინეს ასევე პატარა ეზოთი, სადაც ბევრი ყვავილია მოშენებული. თურმე მცენარეები ალეკოს სისუსტეა და მათ თავად უვლის. ირინა და ალექსანდრე — როგორც ცოლი უწოდებს — „სარკეს“ ოჯახური ცხოვრების ეტაპებზე ესაუბრებიან.

ალეკო: „იცით, ირინას ყველაზე დადებით თვისებად ხა მიმაჩნია? მას ძალიან ვუყვარვარ და ცხოვრებაში ყველაზე მეტად ეს მეხმარება“.

— ალეკო, მამაკაცებს ოჯახის შექმნაში სწორედ მატერიალური მდგომარეობა ამუხრუჭებს ხოლმე და თქვენ უმუშევრობის პერიოდში დაქორწინება როგორ გარისკეთ?

ალეკო: იმის შიში არ მქონდა, რომ მუშაობას ვერ დავიწყებდი. დაოჯახებიდან ორ თვეში სხვა სამსახური გამომიჩნდა. ირინა ძალიან მიყვარდა, მინდოდა, ცოლად მომეყვანა და ამიტომ თავზე ხელი ავიღე.

— ირინა, ჟურნალისტობაზე უარი რატომ თქვით?

ირინა: ყველაფერი თავისთავად მოხდა. ჩვენი პირველი შვილი 8 თვის იყო, როცა მეორეზე დავფეხმძიმდი. ბავშვებზე გადავერთე და ტელევიზიაში მუშაობის დაწყება არც მიცდია. მოგვიანებით კინოთეატრებში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში დავიწყე მუშაობა. დღემდე კინოსადისტრიბუციო კომპანიაში ვმუშაობ.

— თქვენი ოჯახური ცხოვრების 9 წლის მანძილზე ყველაზე მეტად როდის გიჭირდათ?

ირინა: 2 წელია, რაც ბინა შევიძინეთ, აქამდე სულ ნაქირავებში ვცხოვრობდით, რამდენიმე ბინა შევიცვალეთ. ჩვენთვის სამსახურის დაკარგვა ძალიან რთული იყო, ბინის ქირას ვიხდიდით. ერთ მშვენიერ დღეს კი ალექსანდრე უმუშევარი დარჩა.

ალეკო: ეს მაშინ, როცა „მაესტროს“ ლიცენზიას არ აძლევდნენ. სააკაშვილი რომ თავს იწონებს, ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში ამდენი ტელეკომპანია გაიხსნაო, პირიქით მოხდა, კი არ გაიხსნა, დაიხურა.

ირინა: ორი შვილის პატრონებს მშობლები და მეგობრები ძალიან გვეხმარებოდნენ და რთული პერიოდიც როგორღაც გადავლახეთ.

ალეკო: ჩემი პოლიტიკური შეხედულების გამო 7 თვე უმუშევარი დავრჩი. სააკაშვილი რომ დადგება და სიტყვით გამოდის, სულ ის პერიოდი მახსენდება. „მაესტროს“ ლიცენზია შეიძლება არ მისცა, მაგრამ ამ გადაწყვეტილების უკან ადამიანები რომ იდგნენ, ამაზე არ უფიქრია. ახლა რომ გაახსენდა ხალხი, ერთი ჩემთვის და დანარჩენი მაესტროელებისთვის ეკითხა, როგორ ვიყავით ან რითი ვარსებობდით. რომ არა დედაჩემი და ჩემი მეგობრები, ერთი თეთრი არ გვქონდა და ორი შვილით ნაქირავებში ვცხოვრობდით.

ის პოლიტიკური რეჟიმი მეც შემეხო. 3 საათის განმავლობაში სოდში ვიყავი, ხან ვინ გადატენინდა ჩემს თავზე იარაღს და ხან ვინ, ხან ვინ ყვიროდა და ხან ვინ. ეს მაშინ, როცა თბილისთან დაკავშირებით საპროტესტო აქციებს ვმართავდი. ნამდვილად მეგონა, რომ ჩემი პოლიტიკური შეხედულებების გამო რაღაცას დამმართებდნენ და შიშის ქვეშ ვცხოვრობდი.

მერე ერთხანს „მაესტროშიც“ ვმუშაობდი და „კავკასიაშიც“. როცა არჩევანის წინაშე აღმოვჩნდი, „კავკასია“ ვარჩიე.

— მოდით, აქვე გვითხარით, რატომ არჩიეთ „კავკასია“.

ალეკო: მამუკა ღლონტმა უფრო კატეგორიული არჩევანის წინაშე დამაყენა, გავბრაზდი და „კავკასიაში“ დავრჩი. ნინო ჯანგირაშვილი ასე კატეგორიულად არ მეუბნებოდა, მამუკამ კი გამომიცხადა, ან „მაესტრო“, ან „კავკასიაო“. ერთი გადაცემა ერთ არხზე მიმყავდა და მეორე გადაცემა — მეორეზე, მატერიალური თვალსაზრისით კი კარგი იყო, მაგრამ ვხვდებოდი, რომ ასე მუშაობა რთული იყო.

— ცოლ-ქმარს ერთმანეთის ყველაზე დადებით თვისებებად რა მიგაჩნიათ?

ირინა: ალექსანდრესთვის ყველაზე დიდი პლუსი ის გახლავთ, რომ პრობლემების შექმნა არ უყვარს. ყველაფერს ისე აუბრალოებს, ზოგჯერ ნერვებიც კი მეშლება. შეიძლება ასე განგებ იქცევა და მე არ მაჩვენებს. ცდილობს, ყველა სიტუაციიდან მარტივი გამოსავალი მოძებნოს და ისე მომაწოდოს, რომ მეც დავიჯერო.

ალეკო: იცით, ირინას ყველაზე დადებით თვისებად რა მიმაჩნია? მას ძალიან ვუყვარვარ და ცხოვრებაში ყველაზე მეტად ეს მეხმარება.

— დროთა განმავლობაში ერთმანეთი რა კუთხით შეცვალეთ?

ალეკო: შეცვლა სახეზე მაწერია. შეხედეთ, თმაში რამდენი ჭაღარა გამომერია, ცხვირიც გამეზარდა, არადა პატარა, „კურნოსა“ ცხვირი მქონდა! ახლა კი ჭაღარა და დიდცხვირა ვარ.

ძალიან მიყვარს ირინა, გადასარევი გოგოა. ამ ხნის განმავლობაში მასში რაც შეიცვალა, ის არის, რომ უკვე ორი შვილის დედაა.

ირინა: რეალურად, ადამიანი არ იცვლება. ალექსანდრე როგორიც იყო, დღესაც ისეთია...

ალეკო: ირინა, ჟურნალისტი ინტრიგას ეძებს და ფრთხილად იყავი!

ირინა: არ ვთვლი, რომ ჩემი ქმარი დიდად შეიცვალა, უბრალოდ ალბათ გაიზარდა. გარეგნობით ორივე შევიცვალეთ... ძალიან კარგი მეუღლეა. 9 წელიწადში ყველანაირი სირთულე გადავლახეთ და რადგან ისევ ერთად ვართ, ესე იგი კარგად ვართ. ბავშვების ცხოვრებაში ძალიან აქტიურად არის ჩართული. სანამ პატარები იყვნენ, მეტწილად მე ვიყავი მათზე გადართული, მაგრამ ახლა შვილებზე თანაბრად ვზრუნავთ.

ალეკო: ბავშვებზე ზრუნვა ახლა მეტწილად ჩემზეა. მაგალითად, გუშინდელით რომ ვიმსჯელოთ, მთელი დღე მე არ მყავდა, ძმაო?!

— ალეკო, ბიჭების აღზრდის თქვენი მეთოდები გაქვთ?

ალეკო: ჩემს ბიჭებს როგორც ვზრდი, ხანდახან ამის გამო ოჯახში წინააღმდეგობებსაც ვაწყდები. მილიტარისტი ვარ და ამ საკითხში არ მეთანხმებიან.

ირინა: ალექსანდრეს უნდა, რომ ბიჭები ოფიცრები იყვნენ.

ალეკო: ვცდილობ, შვილები თავისუფლად გავზარდო. მინდა, ყველაფერი ისე დარჩეს,როგორც ხედავენ, უბრალოდ პატარ-პატარა კორექტივები შემაქვს, ოღონდ პედაგოგიური დამოკიდებულებით. ერთხელ ირინამ მითხრა, ჯარისკაცობას თუ ძალიან მიაწვები, ბიჭებს ბალეტზე მივიყვანო. ირინას რომ ენდოს კაცი, ბავშვებს დამომობ ადამიანებად აღზრდის, მაგრამ ასე ხომ არ არის? მე არ მიმაჩნია, რომ ყველას ყველაფერი უნდა დაუთმონ. ჰუმანურები უნდა იყვნენ, მაგრამ კაცები იმისთვის არიან, რომ ვისაც ზედმეტი მოუვა, ყურისძირში ცოტა მოსდონ. ირინას კი ასე არ უნდა, რაზეც შინაურული საუბრები ხშირად გვაქვს.

— ალეკო, არ გინდათ გაიგოთ, ვიგოს მამობა როგორია?

ალეკო: ჩემს შვილებს ჰკითხეთ, ძალიან უნდათ, და ჰყავდეთ. სიმართლე გითხრათ, მეც ვოცნებობ გოგოს მამობაზე.

ირინა: შემჭამეს ამათ!

ალეკო: ვის არ უნდა გოგო?

ირინა: განა არ მინდა, ვიცი, რომ ისიც ბიჭი იქნება და ამიტომ თავს ვიკავებ.

ალეკო: არა უშავს, იყოს ბიჭი, გადავცვლით!

ირინა: ბევრი შვილი მეც ძალიან მინდა, მაგრამ ამ პატარა სახლში ამდენი ვერ დავეტევით.

ალეკო: მიზეზებს ნუ ეძებ, არ არის ასე!

— ალეკო, ახალ ხელისუფლებაზე დიდ იმედებს ამყარებდით, იმედგაცრუებული ხომ არ ხართ?

ალეკო: არა, ბიძინა ივანიშვილს საერთოდ არ გაუცრუებია ჩემთვის იმედი. სანამ ბიძინა მოვიდოდა ხელისუფლებაში, ეთერში ხშირად ვამბობდი, რომ გარკვეულწილად იმედგაცრუებაც იქნებოდა, მასზე მეტისმეტ იმედებს ამყარებდნენ. ხალხს ეგონა, რომ ეს ადამიანი ყველა ოჯახს 100-100 ათას დოლარს მისცემდა. ქართველები მიდრეკილები ვართ იმისკენ, კაკლის ჩრდილში წამოვწვეთ და მწვადი კი არ შევწვათ, შემწვარს დაველოდოთ. ბიძინამ ყველაზე მთავარი გააკეთა, ის ხელისუფლება არჩევნების გზით შეცვალა, სააკაშვილი თავისი რეჟიმით გაუშვა და თავისუფალი გარემო შექმნა. რეალურად დღეს თავისუფალ გარემოში ვცხოვრობთ.

მთავრობისგან ერთადერთს ვითხოვ, თავისუფალი გარემო და სასამართლო იყოს. რომელიღაც რგოლი კარგად მუშაობს, რომელიღაც — არა, ვიღაც შეგვიძლია გავაკრიტიკოთ და ვიღაც — არა. მაგალითად, ვიღაცეების ჯიპები ძალიან მიშლის ნერვებს.

მინისტრები საკუთარ თავს პრემიებს რომ უწერდნენ, საშინლად არ მომწონდა. ერთ-ერთი პირველი ვიყავი, ვინც ამაზე ბურღავდა ტვინს. ხომ მოხდა ამის რეგლამენტაცია? არც

Cyan Magenta Yellow Black

■ ოჯახი

ალეკო: „ეროხეი ირინამ მითხრა, ჯარისკაცობას თუ ძალიან მიანვები, ბიჭებს ბაღეტზე მივიყვანო. ირინას ჰომ ენდოს ჯაცი, ბავშვებს დამთმობ ადამიანებად აღზრდის. მე არ მიმაჩნია, ჰომ ყველას ყველაფერი უნდა დაუთმონ. ჰუმანურები უნდა იყვნენ, მაგრამ ჯაცები იმისთვის არიან, ჰომ ვისაც ზედმეტი მოუვა, ყურისძირში ცოტა მოსდონ".

ერთი მინისტრი აღარ იღებს პრემიებს. ახლა ნახეთ, ჯიპებიდანაც თუ არ ჩამოვლენ! მაქვს ინფორმაცია, რომ კანცელარიის და ივანიშვილის სახელით ყველა სამინისტროს მიუვიდა წერილი, მოგვწერეთ, თქვენს ბალანსზე რამდენი მანქანაა და რამდენს ხარჯავთო. ეს არასდროს მომხდარა.

— გამოდის, ოცნებები თანდათან ვისრულდებათ.

ალეკო: ივანიშვილმა გააკეთა ის, რაზეც ვოცნებობდი. როგორ ქვეყანაზეც ვოცნებობდი, ისეთი გვაქვს. თავისუფალი სივრცე მიშას გარეშე, სადაც არ გეშინია, რომ ჯიბეში რაღაცას ჩაგიდებენ, ქეჩოში ჩაგაკვლევენ ხელს, ციხეში წაგათრევენ და სულს ამოგხდიან. დაწანწალებდნენ კოორდინატორები, თუ გინდა, შენი შვილი ციხიდან გამოუშვან, ხმა ამას მიეციო. ახლა აღარავინ დარბის, მარგველაშვილს თუ ხმას მისცემ, ამასა და ამას გაგიკეთებთო. ეს რომ დავინახო, არ ვიცი, რას ვიზამ! არ ივარგებს ის მარგველაშვილი? ვიღაც სხვას ავირჩევთ.

აფხაზეთს და ცხინვალს რომ ასე უცებ ვერ დავიბრუნებთ, ესეც ვიცი და ისიც, რომ ვერც უცებ გამდიდრდები, თუ გამგებელი არ გახდი და ჯიპს არ შემოახტი... თანდათან ყველაფერი იქნება, ერთ დღეში არაფერი შენდება.

— ჟურნალისტებთან შეხვედრაზე კი მწარედ გაგაკრიტიკათ პრემიერმა და...

ალეკო: მთლად ვერ გავიჯირყვნეთ, ეგრეც არ არის! აბა, ბიძინა მარტო მოვიდეს ჩემს გადაცემაში ერთი ერთზე და ვნახავ, როგორ მივიჯირყვნები. პრემიერს ერთ რამეში ვეთანხმები, თავის სიტყვებზე ყველა უნდა იყოს პასუხისმგებელი. მასთან შეხვედრის საშუალება კიდევ მოგვეცემა, მიჯირყვნის მეორე სერია ხომ გვინდა?

— ირინა, როცა თქვენს ქმარს აკრიტიკებენ, იცავთ?

ალეკო: არ მიცავს!

ირინა: ალექსანდრეს ჩემი თანდასწრებით არავინ აკრიტიკებს. ტელევიზიით თუ რამეს მოვკრავ ყურს, ამ კრიტიკას ზოგჯერ ვეთანხმები კიდეც. არ მომწონს, როცა თავის აზრებს მოულოდნელად და ემოციურად გამოთქვამს. თავს ვერ იკავებს, თუ სათქმელი არ თქვა. როცა თვითონაა ვიღაცასთან გადაცემაში სტუმრად, კი, ბატონო, იყოს ემოციური, მაგრამ შენს გადაცემაში თავი ცოტა უნდა მოთოკო. როცა მის გადაცემას ვუყურებ, ზოგჯერ ხმას ჩავუწევ ან სხვაგან გადავრთავ ხოლმე, ყურება არ შემიძლია.

ალეკო: სულ ვცდილობ, ირინას აზრები გავითვალისწინო, მაგრამ, როცა ემოციები მომაწვება, ყველაფერი მავიწყდება.

ირინა: ვიცი, რომ სისულელეებს გულგრილად ვერ მოისმენს, მაგრამ... განსაკუთრებით მასზე უაზრო ჭორების მოსმენა არ მსიამოვნებს.

— მაგალითად, რომელმა ჭორმა გაგაბრაზათ?

ირინა: ვითომ პაპაშვილმა და ზურა ნოღაიდელმა ჯიპი აჩუქეს, რომ იმდენი ჯიპი გვყავს, აღარ ვიცით, სად წავიღოთ. ზოგი არ იჯერებს, ზოგი კი ამბობს, აი, ხომ ხედავ, სხვა რაღაცას ლაპარაკობს და ამ დროს საჩუქრად ჯიპებს იღებსო.

ალეკო: საჩუქრად მხოლოდ ჯიპებს ვიღებ!

— ალეკო, ტელეკომპანია „კავკასიის" ერთგული ხართ, სხვა არხებიდან არ გქონიათ შემოთავაზებები?

ალეკო: რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთი ტელევიზიიდან იყო წინადადება, რამდენჯერმე მაღალი ხელფასიც შემომთავაზეს... სადაც ვარ, იქ მშვენივრად ვგრძნობ თავს, არსად ვაპირებ გადასვლას. „კავკასია" ბევრ რამეში დამიდგა მხარში, თუნდაც იმაში, რომ დღეს სახლი მაქვს. უმადურობა სხვისი არ მომწონს დაჩემსას საერთოდ ვერ ავიტანდი. „სიენენ"-ში არავინ წამიყვანს და სხვა არხებზე გადასვლას არ ვაპირებ.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

მეორე ნახევარი

რასთან შეგუება უნდა ვანიკო თარხნიშვილის ცოლს

სოფო გელავა: „მხოლოდ ის მაძლევინებს, რომ ძალიან მიყვარს"

ესახიობისა და შოუმენის ვანიკო თარხნიშვილისგან ძნელი წარმოსადგენია, რომ ის აზიატი, მაგიდაზე მუშტის დამრტყმელი ქმარია, რომელსაც ცოლი სამზარეულოში ჰყავს გამოკეტილი. ის დემოკრატი მამაკაცის შთაბეჭდილებას ტოვებს და სინამდვილეში ასეც არის. როგორც მისი მეორე ნახევარი სოფო გელავა ახასიათებს, ვანო ძალიან თბილი, ყურადღებიანი ქმარია და ცოლისგანაც მხოლოდ ამასვე ითხოვს — მოფერებას და სიყვარულს. საყვარელ ქალს არათუ არ ზღუდავს, პირიქით, სრულ თავისუფლებას ანიჭებს, სურს, რომ ის საქმეში რეალიზებული იყოს.

მათი ქორწინება უკვე სამ წელს ითვლის, გაიარეს ურთიერთშეგუების, აღმოჩენების ეტაპები და ახლა შეუძლიათ თქვან, რომ მათი ოჯახი ნამდვილად შედგა.

სოფო გელავას 9 ოქტომბერს, ვანიკოს დაბადების დღეზე შევხვდით და სიამოვნებით მივეცით საშუალება, ქმრისთვის „სარკის" ფურცლებიდან კიდევ ერთხელ მიელოცა ეს დღე.

— სოფო, უკვე მესამე წელია თქვენ და ვანიკო ცოლ-ქმარი ხართ. თქვენმა ურთიერთობამ რაიმე ცვლილება განიცადა? ოჯახური ცხოვრება დიდად განსხვავდება შეყვარებულობის პერიოდისგან?

— ოჯახურ ცხოვრებას სხვანაირი სიღრმეები ახასიათებს. შეყვარებულობის დროს კი ყველაფერი ზედაპირულია, აღფრთოვანებული ხარ და მხოლოდ იმაზე ფიქრობ, რომ გიყვარს. გვქონია პრობლემებიც, მაგრამ ერთობლივად ყველაფერი გადაგვიწყვეტია.

„ისეთ ოჯახში ვარ გაზრდილი, ჰომ ვიცი, ქმარს აუცილებლად საქმეები უნდა დავახვედრო, სახლის საქმეები გავაკეთო. ვანიკო არაფერს ითხოვს, შეუძლია დილით ადრე ადგეს და თავად მოიმზადოს ჰამე".

— თქვენ უფრო დამთმობი ხასიათი გაქვთ თუ ვანიკოს?

— მე ძალიან ჯიუტი ვარ. შეყვარებულობის დროს ვანიკო უფრო დამთმობი იყო, ვიდრე ახლაა. რაღაცნაირად ყოველთვის ჩემს ხასიათს მოჰყვება, მე თუ გავჯიუტდი, ისიც ჯიუტდება. თუ ხედავს, რომ დათმობაზე მივდივარ, თავადაც ლებება.

— დაოჯახების შემდეგ ვანიკოში რაიმე ახალი თვისება აღმოაჩინეთ?

— მეგონა, მასთან ყველაფერი თავისით, უშრომელად მივიდა, მაგრამ თანაცხოვრებაში მივხვდი, რომ ყველაფერს →36 მხოლოდ და მხოლოდ თავდაუზოგავი შრომის წყალობით მიაღწია.

— ქართველი კაცები ოჯახში დომინანტობის მოყვარულები არიან. ვანიკო რა პოზიციას იკავებს?

— ვერ ვიტყვი, რომ ჩემთან ამ თვისებას ამჟღავნებს. ვანიკოსგან აბსოლუტური თავისუფლება მაქვს, მაძლევს საშუალებას, თავად ავირჩევ

მამაკაცებისთვის!

სქესობრივი სისუსტის, პროსტატის დაავადებების: პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (ხშირი შარდვა, შეკავება,შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი), ვირუსული და მიკრობული დაინფიცირების მკურნალობა. ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, დეპრესიის, შიშების, უძილობის მკურნალობა; ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების გარეშე. შედეგი და ანონიმურობა 100%-იანია. ყველა საჭირო გამოკვლევით.

ექიმი — ქალბატონი მზია

☎ 514-246-446, 218-48-99

Cyan Magenta Yellow Black

ჩიო, ქართველი სტანდარტული ცოლი ვიყო თუ ისეთი, როგორიც რეალურად ვარ.

— წელან აღნიშნეთ, თავდაუზოგავად შრომობსო. შესაბამისად ალბათ ცოტა თავისუფალი დრო რჩება, მათ შორის თქვენთვისაც. ამას შეგუებული ხართ?

— არ ვიცი, თავის გრაფიკს ასე როგორ ალაგებს, რომ ყველაფერს ასწრებს, თუმცა ჩემთან ხშირად ვერ არის სამსახურის გამო. ზოგჯერ ერთ დღეს აქვს სპექტაკლის რეპეტიცია, „იღბლიანი ბორბლის“ ჩაწერა და სერიალის რეპეტიციაც. დღის განმავლობაში სულ გადარბენა და სხვადასხვა როლების მორგება უწევს. ძალიან მინდა, მისი ბოლომდე მესმოდეს და მის უდროობას შევეგუო, მაგრამ მიჭირს. მხოლოდ ის მაძლებინებს, რომ ძალიან მიყვარს და მისგანაც დიდ სიყვარულს ვგრძნობ. ის ჩემი მეორე ნახევარია და ამიტომ მიწევს, მის განრიგს შევეგუო, ხელი არაფერში შევუშალო. ჩემგან ხელშეწყობა ნამდვილად აქვს, მაგრამ ზოგჯერ ძალიან „ვახურებ“.

— როცა საყვედურობთ, მისი პასუხი როგორია?

— მეუბნება, აბა, რა ვქნაო, მაგრამ ჩემთვის რომ ძალიან რთულია, მე რაღა ვქნა?!

— რატომღაც ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებში“ ვანიკო თითქმის თავის თავს თამაშობს. მართლაც ჰგავს თავის გმირს თუ ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი პროფესიული ოსტატობაა?

— რაღაც საერთო აქვს თავის გმირთან, მაგრამ ვერ გეტყვით, რომ პარალელების გავლება შემიძლია. მე და ვანიკო სულ სხვა ვართ და სერიალში სულ სხვა ოჯახური სიტუაცია აქვს. თავისი ბენდის რეპეტიციებს სახლში არასოდეს გადის.

სანამ ვანიკოს ცოლი გავხდებოდი, მის ოჯახში ვიყავი მისული. მაშინ ვნახე ვანიკო გიტარით ხელში და შეზარხოშებული. გამიკვირდა და ვკითხე, შენ დაკვრაც იცი მეთქი. არა, ისე, ჩემთვის რაღაცეებს ვახურებო, მითხრა. ამ „გახურებაში“ აღმოვაჩინე, რომ აქვს ხმა, სმენა, შეუძლია დაკვრა. ვანიკო დროდადრო საკუთარ თავში სხვადასხვა ნიჭს აღმოაჩენს ხოლმე.

სერიალში ყველაზე მეტად ვანიკოს გმირი მომწონს. ზოგჯერ მიფიქრია, რადგან ვანიკო ჩემია, ასე ძალიან ამიტომ ხომ არ მომწონს-მეთქი, მაგრამ ვხვდები, რომ მართლა კარგი პერსონაჟია. მომწონს ისეთი ტიპები, რომლებიც არც სხვებს აწუხებენ და არც თავს იწუხებენ. ასევე მომწონს ვანოს თამაშის მანერა.

— რატომღაც ისე ხდება, რომ ვინც ეკრანზე ძალიან მხიარულია, რეალურ ცხოვრებაში მძიმეა. ეს თქვენს ქმარზეც ითქმის?

— მე ვიტყოდი, რომ ვანიკო უბრალოდ ყოველთვის დაღლილია. სწორედ ისეთი მხიარულია, როგორიც ეკრანზე ჩანს, მაგრამ მხიარულებისთვისაც კი აღარ სცალია. თავის კარგ განწყობას ძირითადად სამსახურში ტოვებს.

— როცა ასეთი დაღლილი ბრუნდება, თქვენგან რა სჭირდება?

— სახლში შემოვა თუ არა, პირველ რიგში, უნდა ვაკოცო. მერე მაკვირდება, როგორ ხასიათზე ვარ და თავადაც ზუსტად ისეთ ხასიათზე დგება, როგორზეც მე ვხვდები. ამიტომ, თუ ცუდ ხასიათზე ვარ, ვცდილობ, ეს არ დავანახო. სახლში მოსულს აუცილებლად უნდა ვუთხრა, რომ იმ დღეს ძალიან კარგი იყო. შექება, მოფერება და ალერსი სჭირდება.

— მის მიმართ გიჭირთ ობიექტურობის გამოჩენა?

— ობიექტურობის ზღვარს გადავდივარ და ზოგჯერ ძალიან მკაცრიც კი ვარ, მაგრამ ამ ყველაფერს უფრო სხვებთან ვლაპარაკობ, ვიდრე ვანოსთან. ყოფილა შემთხვევა, როცა გაუგია, სხვას რომ ველაპარაკები და უთქვამს, ჩემთან რატომ არ ამბობო. არ მიყვარს ზედმეტი კომენტარები, ჩემი განწყობით ისედაც ყოველთვის ყველაფერს ხვდება. შენიშვნებს მუდამ ვაძლევ და სულ ითვალისწინებს, მაგრამ ზოგჯერ არგუმენტირებულად მიხსნის, თუ რატომ აკეთებს ისე, როგორც მე არასწორად მიმაჩნია და დასაბუთების შემდეგ ვხვდები, რომ მართალია.

„სახლში შემოვა თუ არა, პირველ რიგში, უნდა ვაკოცო. მერე მაკვირდება, როგორ ხასიათზე ვარ და თავადაც ზუსტად ისეთ ხასიათზე დგება, როგორზეც მე ვხვდები“.

ვანიკო ძალიან კარგი მსმენელია, მით უმეტეს, მაშინ, როცა თავის საქმეზე ელაპარაკები. თითოეულ სიტყვას დიდი ყურადღებით ეკიდება. ყოველდღიურად ცდილობს, განვითარდეს. ახლა სიმღერაზე მუშაობს და ცდილობს, გაიზარდოს. როცა ჯგუფი „გამოუვალი მდგომარეობა“ იქმნებოდა, სულ ამბობდა, ნეტა, თუ გამოვაო და მე ვეუბნებოდი, რომ აუცილებლად გამოვიდოდა.

— როცა გათხოვდით, დიასახლისის როლში თავიდანვე ადვილად შეხვედით?

— ძალიან მიყვარს სამზარეულო და ჩემზე არანაკლებად უყვარს ვანოსაც. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ კულინარიაშიც ძალიან ნიჭიერია. თითოეული კერძის გაკეთებას შემოქმედებითად უდგება. რომ გააკეთებს, მერე ელოდება, როგორ შეაფასებ... ახლა გამახსენდა მაგისი გაკეთებული საჭმელების გემო და ძალიან მომინდა. ძირითადად ხორცეულს ამზადებს. ჩემი მამამთილიც ძალიან კარგი მზარეულია და ვანიკოს მისგან ერგო კულინარიის ნიჭი.

— თვითონ თუ გამოახატავს აღფრთოვანებას, როცა თქვენ ამზადებთ?

— ჩემი ნახელავი მოსწონს. ზოგჯერ რჩევებსაც მაძლევს, რა როგორ მოვამზადო. როცა კერძს სინჯავს, თუ არ მითხრა, კარგიაო, ეს იმას ნიშნავს, რომ არ მოეწონა. ამის შემდეგ ვიწყებ თავის მართლებას და ვეუბნები, რომ რომელიღაც ინგრედიენტი არ იყო ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო ან სუნელი არ იყო სწორად შერჩეული და ამიტომ არ გამოვიდა გემრიელი.

— ქორწინების პირველი წელი ურთიერთშეჩვევის რთულ ეტაპად ითვლება. თქვენც გადალახეთ ამ მხრივ დაბრკოლებები თუ ყველაფერმა უპრობლემოდ ჩაიარა?

— ახლა გადავხედე ჩვენი შეუღლების პირველ წელს და ვხვდები, რომ ის რთული იყო. სირთულე კი იმაში მდგომარეობს, რომ არ იცი, ის ადამიანი სახლში როგორია, რა მოსწონს, რა — არა. მე, მაგალითად, არ მიყვარს, როცა პირსახოცი სველი კიდია... ყველას თავისებური „ტიკი“ აქვს, ამიტომ რთულია იმ ყველაფრის გარკვევა და დალაგება, თუ რა მოგვწონს და რაზე გვაქვს გართულება.

ამას გარდა, ვანო სტანდარტული ქართველი კაცი არ არის. ბევრ ქმარს ქართული ტრადიციული მოთხოვნები აქვს, ვანო კი ასეთი არაა. როცა დავქორწინდით, ველოდი, რომ შეიძლებოდა ვანოც მათნაირი ყოფილიყო, ამიტომ რაღაცნაირად დაძაბული ვიყავი. ადვილად არ შემიძლია ადამიანებთან, გარემოსთან ადაპტაცია, ამიტომ ჩემთვის ორმაგად რთული იყო.

— თავიდანვე ცალკე ცხოვრობდით?

— კი, ნაქირავებ ბინაში. იქ 10 თვე ვიცხოვრეთ და მერე ჩვენი სახლი შევიძინეთ. ჩვენს გემოზე მოვაწყვეთ, ყველა დეტალზე ერთად ვზრუნავდით და, როცა გადავბარგდით, მაშინ ვიფიქრე, ახლა კი ნამდვილად შედგა ჩვენი ოჯახი-მეთქი.

— დროთა განმავლობაში ცოლ-ქმარი ერთმანეთს ემსგავსებიან ბოროტული თვისებებით. თქვენს შემთხვევაშიც ასე მოხდა?

— მე და ვანიკო ისედაც ვგავდით ერთმანეთს, მაგრამ ამავდროულად ძალიან სხვადასხვანაირებიც ვართ... სხვათა შორის, დღეს ვანოს დაბადების დღეა. ამ ინტერვიუს შემდეგ მისი საჩუქრის საყიდლად უნდა წავიდე.

— რა უნდა უყიდოთ?

— ჯერ არ ვიცი, ძალიან ბევრი იდეა მაქვს და რამეს ავარჩევ. როცა 9 ოქტომბერი დადგა, მესიჯით მივულოცე. რაც ვანოს ეხება, სულ მინდა, იმაში პირველობა არავის დავუთმო. თქვენი ჟურნალიდანაც მივულოცავ:

ვანო, მე შემიძლია სულ გითხრა, რომ მიყვარხარ. ვიცი, შენც გიყვარვარ. მინდა, ძალიან ბედნიერი და წარმატებული იყო. მინდა, სულ გაღიმებულს გხედავდე და ყოველ ღამე სახლში ბედნიერი ბრუნდებოდე!

— თქვენც მუშაობთ?

— არა, სამსახური არ მაქვს. დიასახლისი ვარ.

— ვანიკოს როგორ ურჩევნია, მუშაობდეთ თუ სახლში იყოთ და მხოლოდ მასზე ზრუნავდეთ?

— სულ უნდა, რომ რაღაც ვაკეთო და დაკავებული ვიყო. არ უნდა, სახლში ვიჯდე და მის ლოდინში ვატარებდე დროს. ისეთ ოჯახში ვარ გაზრდილი, რომ ვიცი, ქმარს აუცილებლად საჭმელი უნდა დავახვედრო, სახლის საქმეები გავაკეთო. ვანიკო არაფერს ითხოვს, შეუძლია დილით ადრე ადგეს და თავად მოიმზადოს რამე.

— რაზე შეიძლება, რომ კამათი მოგვიდეთ?

— ვანიკო არ არის მოკამათე და მოჩხუბარი. თუ იქით არ „გავუხურე“, აქეთ არასოდეს მეკამათება. თუ არ ვუსაყვედურებ, ყველაფერი რიგზე იქნება. სულ მეუბნება, ოღონდ არ მისაყვედურო, დანარჩენზე არაფერზე ვკამათობთ.

✓ ქეთი დინოშვილი

Cyan Magenta Yellow Black

დიმა ტატიშვილი ანნა იმედაშვილის გამო ულვაშების გაპარსვას აპირებს

გამოცდილ მსახიობს, დიმიტრი ტატიშვილს, ტელეშოუ „ახალი ხმა“ რომ წაეყვანა, სრულიად არამსახიობის, ანნა იმედაშვილის დახმარება დასჭირდა. ამ უკანასკნელმა გამოცდილება პროექტის პირველ სეზონში მიიღო და ახლა უკვე შეუძლია პროფესიონალ მსახიობს კარგი პარტნიორობა გაუწიოს. ანნამ და დიმიტრიმ ერთმანეთი ამ პროექტში გაიცნეს და დამეგობრდნენ კიდეც, თუმცა წინ ჯერ ბევრი რამ აქვთ ერთმანეთის შესახებ გასაგები, მაგალითად, როგორ მჭადებს აცხობს ანნა ან როგორ სიმღერებს წერს დიმიტრი. სამაგიეროდ დიმიტრიმ უკვე გაიცნო ანნას და პროდიუსერ დათო იმედაშვილის შვილი, პატარა პეტრე, რომელიც დედას გადაღებებზე დაჰყავს.

ანნა: „დიმა პირველად ჩემ დავინახე, ახალი ნამშობიარევი ვიყავი და ფოიმაში ჩამდგარი არ გახდით. ვამბობდი, დიმა ასეთი გამხდარია და მის გვერდით ძალიან მსუქანი გამოვჩნდები-მეთქი“.

„ბებერულად თუ არ გამოვიყურები, მგონი, მე და ანნა ნორმალური წყვილი ვართ“

თავიდან კი წამყვანებს შორის გარკვეული უხერხულობა და „შიშები“ იყო, ერთს თავისი „ეჭვები“ ჰქონდა, მეორეს — თავისი... კონკრეტულად რა და როგორ იყო, ამის შესახებ ქვემოთ შეიტყობთ.

— დიმიტრი, შოუს წაყვანა თქვენთვის სულ ახალი ამბავია. როგორ გრძნობთ თავს ამ როლში?

დიმიტრი: ასეთი შოუს წამყვანი ნამდვილად პირველად ვარ, ანნა მეხმარება. მას რომ ვუყურებ და მისი ხმა მესმის, ეს უკვე მეხმარება. მისი მადლობელი ვარ. სეზონი რომ დამთავრდება, ტორტს ვუყიდი.

ანნა: მადლობა! ერთმანეთს კარგად შევეწყვეთ. გარდა იმისა, რომ დიმა პროფესიონალია და მასთან მუშაობა სასიამოვნოა, დადებითი პიროვნებაა. პირადად არ ვიცნობდი, ტელევიზორიდან მესმოდა მისი ხმა. დიმა ეკრანიდან დადებით შთაბეჭდილებას ტოვებდა. როცა გავიცანი, თავიდან უხერხულად ვგრძნობდი თავს, თან უფროსი კაცია, ვფიქრობდი, როგორ მიმემართა. მერე მივხვდი, რომ ურთიერთობაში ძალიან მარტივია, ამიტომ კარგად ავეწყვეთ.

დიმიტრი: ცოტა დაძაბული მეც ვიყავი. ვფიქრობდი, მაინც პროდიუსერის ცოლია, რამე არ შემეშალოს და აქედან არ გამაბუნძულონ-მეთქი. რა თქმა, უნდა, ვხუმრობ.

ანნა ძალიან კარგი, თბილი, კეთილი ადამიანია. როგორი უტვინო უნდა იყო ადამიანი, რომ მისგან რამე გეწყინოს. ისეთს არაფერს გააკეთებს, რომ რამე გაწყენინოს.

ანნა: შენ მაინც ჯერ კარგად არ მიცნობ.

დიმიტრი: მე რასაც ვხედავ შენში, იმას ვამბობ. ანნასთან ურთიერთობა ძალიან ადვილია, თუ ძალიან ბებრულად არ გამოვიყურები, მგონი, როგორც წამყვანების წყვილი, ნორმალურები ვართ, ვიზუალურად მაინც.

— ერთმანეთის ახლოს ვაცნობა თუ მოასწარით?

დიმიტრი: არა, ანნა მჭადებს როგორ აკეთებს, არ ვიცი, ერბოკვერცხს როგორ წვავს — არც ეს ვიცი, დათოსაც ვერ ვეკითხები, ვფიქრობ, უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავაგდო, მაგრამ ბავშვი რომ კარგი გამოსდის, ვხედავ.

ანნა: დიმა, დაგპატიჟებ!

— ანუ პატარა პეტრეც ვაცანით.

ანნა: ბავშვს ყველგან თან დავაპროწიალებ და, რა თქმა უნდა, დიმამაც გაიცნო. ჩანერაზე პეტრეს გარეშე რომ მივალ, სად არისო, მეკითხება.

დიმიტრი: პეტრეს მძინარესაც ვიცნობ და მღვიძარესაც.

— დიმიტრი, ნერვიულობთ პირდაპირ

→39

Rennie®

BAYER

150 Years
Science For A Better Life

ცწრვთვლ მოგიხსნით გულძვრვს!

- უზრუნველყოფს კუჭში ჭარბი მარილმჟავას ნეიტრალიზაციას;
- მოქმედებს სწრაფად – ეფექტი მიიღწევა მიღებიდან 1-6 წუთში;
- გააჩნია დამცავი მოქმედება კუჭის ლორწოვან გარსზე;
- ნებადართულია ორსულობის და ლაქტაციის პერიოდში.



შემადგენლობა: კალციუმის კარბონატი – 680 მგ ($CaCO_3$), მაგნიუმის კარბონატი – 80 მგ ($MgCO_3$);
მიღების წესი და დოზირება: მოზრდილები და 12 წელზე უფროსი ასაკის ბავშვები 1–2 ტაბლეტი დაიღეჭოს (ან გაჩერდეს პირის ღრუში ტაბლეტის სრულ გაწოვამდე)
გამოშვების ფორმა: რენი №12, № 24 მენთოლის არომატით, **რენი № 24** ფორთოხლის გემოთი

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

სავაჭრო ლიცენზიის მფლობელი: Bayer Consumer Care AG (Switzerland)

მოწევა კლავს
მოწევა იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას

ეთერში გასვლაზე?

დიმიტრი: კი, ვნერვიულობ, რადგან, ამდენი წელია იმას ვაკეთებ, რაც ვიცი, ეს კი არ ვიცი. პირდაპირი ეთერი რომ დაიწყება, მერე იქნება ჩემი გამოცდა. რეპეტიცია რომ გვექნება, მერე მივხვდები, პრაქტიკულად რა უნდა ვაკეთო, თორემ თეორიულად ვიცი. ანნას იმედიც მაქვს და დათოსიც, სხვათა შორის, საკუთარი თავისაც, მთლად ეგრეც არ არის საქმე. მთავარია, მაყურებელს ახალგაზრდა კონკურსანტების მოსმენაში ხელი არ შეეშალო. ჩემი ამოცანაა, მაყურებელს საჭირო ინფორმაცია საჭირო დროს მივაწოდო და გადაპრანჭული საუბარი არ გამომივიდეს, მოქნეული ფრაზები არ ვთქვა და საკუთარი „ვოისის“ წარმოჩენა არ გამომივიდეს.

ერთი რაღაც ვიცი, პირდაპირი ეთერი რომ დაიწყება და სცენაზე გავალთ, უკან გზა აღარ არსებობს, იქ გინდ ანნას შეეშალოს, გინდ — მე, გინდ — ორივეს ერთად, რაღაც უნდა გავაკეთოთ და სიტუაციიდან გამოვძვრეთ. იმედია, აქამდე არ მივალთ.

— დიმიტრი, უყურებდით ანნას წინა სეზონში?

დიმიტრი: უნდა გავამხილო, რომ — არა და ძალიან ვცდებოდი. მართლა კარგი ბავშვები არიან. არ ვიცი, ამ მწვრთნელებმა რა უნდა ასწავლონ, ჩამოყალიბებული მომღერლები არიან. მერე რა, რომ 19 ან 20 წლისანი არიან, მაგრად მღერიან. დათო ფორჩხიძეს ვუთხარი კიდეც, ამათ რა უნდა ასწავლო-მეთქი.

— ახალი სეზონი საკმაოდ ხმაურიანად დაიწყო. კონკურსანტებსა და მწვრთნელებს შორის დაძაბულობა შეინიშნება ხოლმე, თქვენ რამდენად ხართ ამ ყველაფერში ჩართული?

ანნა: ჩვენ გვერდიდან ვაკვირდებით ყველაფერს.

დიმიტრი: ჩვენ ყველას გულშემატკივრები ვართ. ვინც განსაკუთრებულად კარგად იმღერებს, რა თქმა უნდა, იმის უფრო მეტად, რადგან ეს სიმღერის კონკურსია. მართალია, ისეთი კომპეტენტური, როგორებიც მწვრთნელები არიან, მე არ ვარ, მაგრამ რაღაც მეც მესმის.

— ანუ მღერით?

დიმიტრი: მე სულ ვმღერი.

ანნა: წერს კიდეც სიმღერებს, საკუთარი კომპოზიციებიც აქვს, არ მომისმენია და ძალიან მაინტერესებს.

— ანნა, პირველ და მეორე სეზონებს შორის ბევრი რამ შეიცვალა თქვენ გარშემოც და თქვენს ცხოვრებაშიც, ახლა როგორ გრძნობთ თავს შოუში, საკუთარ თავს რა ცვლილებებს ამჩნევთ?

ანნა: ახლა სიტუაცია ყველანაირად განსხვავებულია. მეორე სეზონია, ახალი წამყვანები ვართ. უკვე დედა ვარ, ჩემი დამოკიდებულება ყველაფრის მიმართ შეიცვალა, აქედან გამომდინარე, განსხვავებაც არის. პირველ სეზონში პროექტის მიმართ სხვანაირი დამოკიდებულება, ნაკლები გამოცდილება მქონდა, უფრო მეტად ვნერვიულობდი, თუმცა არც ახლა მაკლია ნერვიულობა.

— თვითონ თუ ყოფილხართ კონკურსანტის ამბლუაში ოდესმე?

დიმიტრი: როცა თეატრალურ უნივერსიტეტში ვაბარებდი, მაშინ ვიყავი კონკურსანტი, მიყურებდნენ, როგორ ვმღეროდი, როგორ ვცეკვავდი და ა.შ.

ანნა: რა იცეკვე?

დიმიტრი: „ჩაჩაჩა“, „ჩუჩუჩუ“, „ჩიჩიჩი“... სხვა კონკურსზე არ მიმიღია მონაწილეობა, საერთოდ, ძალიან მოკრძალებული, მოსაწყენი ადამიანი ვარ.

ანნა: იტყუება! ისეთი საინტერესო ანეკდოტები აქვს ხოლმე... მახსოვს, დიმამ პირველ ჩაწერაზე კომპლიმენტი მითხრა და ეს ქალისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. შენ შეიძლება იცოდე, რომ კარგად გამოიყურები, მაგრამ როცა გეუბნებიან, უფრო თავდაჯერებული ხდები.

რაც შეეხება კონკურსანტობას, კონკურსანტი ხშირად ვყოფილვარ, რადგან ადრე ვცეკვავდი.

— დიმიტრი, თქვენ რიგორ ცეკვავთ?

დიმიტრი: მე რომ ვცეკვავ, გარშემო ყველა იცინის, ზუსტად იმიტომაც ვცეკვავ, რომ მეც გამეცინოს და მათაც. სერიოზული მოცეკვავე არასდროს ვყოფილვარ და არც ვიქნები. „ცეკვავენ ვარსკვლავები“ ჩემთვის საინტერესო მხოლოდ იმიტომ არის, რომ ვნახო, ჩემი ნაცნობი ადამიანები როგორ იცეკვებენ. რომც შემომთავაზონ, იქ არ წავალ, ყველას დასაცინი გავხდები.

— დიმიტრი, იმიჯი გაქვთ შეცვლილი, ულვაშებით ხართ, რიღისთვის დაგჭირდათ ეს თუ შოუსთვის?

დიმიტრი: კიდევ 10 დღე ასე ვიქნები და მერე მოვიპარსავ. ეს ყველაფერი შემთხვევით მოხდა. „ღამის შოუს სტუდიიდან“ დამირეკეს, ახალ სერიალს ვიღებთ და გვინდა, შენც ჩვენთან იყოო. სინჯებზე დამიძახეს. წვერი გავიპარსე. ულვაში იყო ერთადერთი ადგილი, სადაც ჭაღარა არ მქონდა და დავიტოვე. იქ რომ მივედი, აღმოჩნდა, რომ სამხედროს როლი უნდა მეთამაშა, კარგია, დაიტოვე ულვაშებიო, მითხრეს და მეც ჭკუაში დამიჯდა. 10 დღე „გავქაჩავ“ და მერე გავიპარსავ. რამდენიმემ მითხრა, გაბერებსო, ზოგიერთი მეუბნება, გიხდებაო. ვაიმე, რას ჰგავხარო, არავის უთქვამს. ქართველ კაცებს ულვაში უხდებათ. მსახიობი რომ არ ვყოფილიყავი, დიდი წვერით და დიდი ულვაშით ვივლიდი — მიყვარს.

ანნა: გიყვარს თუ გაპარსვა გეზარება?

დიმიტრი: იმდენად მეზარება, რომ მიყვარს. თან ანნას გვერდით, ცოტა ისე უნდა გამოვიყურებოდე, ახალგაზრდულად, ამიტომ პირდაპირი ეთერი რომ დაიწყება, ულვაში გაპარსული მექნება.

ანნა: მახსოვს, დიმა პირველად რომ დავინახე, ახალი ნამშობიარევი ვიყავი და ფორმაში ჩამდგარი არ გახლდით. ვამბობდი, დიმა ასეთი გამხდარია და მის გვერდით ძალიან მსუქანი გამოვჩნდები-მეთქი.

— ანნა, როცა ეს პროექტი დასრულდება, ტელევიზიაში დარჩებით და რომელიმე გადაცემაში ვისხლაავთ?

ანნა: არ ვიცი, არ მიფიქრია. ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი სპონტანურად ხდება. საიდან სად აღმოვჩნდები ხოლმე, მე თვითონ არ ვიცი. ამ პროექტშიც სრულიად შემთხვევით მოვხვდი, გამიმართლა. წინა სეზონზე დუტას ჩაწერები ჰქონდა, ორი დღე ქვეყნიდან წასვლა მოუწია და ამ პროექტში მე შემაგდეს.

დიმიტრი: სატელევიზიო შოუს წაყვანა რომ შემოგთავაზონ, არ დათანხმდები?

ანნა: არ ვიცი, არასდროს მიფიქრია.

— ჯატყობ, ამ პროექტმა დაგამეგობრათ.

ანნა: ერთმანეთი ისედაც რომ გაგვეცნო, დავმეგობრდებოდით.

დიმიტრი: საქმიანი ურთიერთობები დასაფასებელია. თანამშრომლები მართლა ძალიან ახლობლები არიან. მათთან უფრო მეტ დროს ატარებ, ვიდრე ოჯახის წევრებთან.

ანნა: დიმას ძალიან დადებითი აურა აქვს და თან სულ ხუმრობს, მე კიდევ სიცილი ძალიან მიყვარს.

დიმიტრი: სხვა ეროვნების წარმომადგენლებს არ ეწყინოთ, მაგრამ იუმორი ქართველი ადამიანის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა. შეიძლება კარგად ვერ ხუმრობდე, მაგრამ როცა ადეკვატური რეაქცია გაქვს, კარგია. როცა ადამიანს იუმორის ნასახი არ აქვს და არც ესმის, უკვე მის გენეალოგიურ ღერძში მეპარება ეჭვი. ქართველი ომის, ლხინისა თუ მუშაობის დროს სულ მღეროდა. ერთი სექსის დროს არ ვიცი, ალბათ ამ დროს ამისთვის არ სცალიათ.

დიმიტრი: „ცოტა დაძაბული მეს ვიყავი. ვფიქრობდი, მაინც ჰოდიუსეიის ცოლია, ჰამე ახ შემეშაროს და აქედან ახ გამაბუნძეონ-მეთქი“.

✓ ეკა ლემონჯავა

მაია მიქაშავიძის ევროპული მუზები

„ჩემს სამკაულთან განშორება ძალიან მიჭირს. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს თოთო ბავშვს ვატან სხვას. წარმოუდგენლად მიმაჩნია, სადმე დავტოვო და უჩემოდ გაყიდოს ვინმემ“, — გვითხრა სამკაულების დიზაინერმა მაია მიქაშავიძემ, რომელიც ვენიდან სულ ცოტა ხნის წინ დაბრუნდა. მან იქ ქართული სათვისტომოსთვის თავისი სამკაულების პრეზენტაცია მოაწყო. მალე კი ამერიკაში წასვლას და იქ გამოფენის მოწყობას გეგმავს. მაია მიქაშავიძისთვის საზღვარგარეთ ყოველი მოგზაურობა ახალი სამკაულების შესაქმნელად შთაგონების წყარო ხდება. დიზაინერი მასალასაც უცხოეთში პოულობს და მის ყოველ კოლექციას იმ ქვეყნის სული ეტყობა, სადაც სტუმრად მიდის.

„ჩემი სამკაული საშუალებას მაძლევს, რომ ცხოვრება მრავალფეროვანი იყოს. ხშირად ვმოგზაურობ. ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მიწვევები მაქვს ქართველებისგან. ისინი მონატრებულნი არიან საქართველოს, ქართულ ხელნაკეთ ნივთებს. არსად გავწბილებულვარ — სადაც ჩავედი, ქართველი ემიგრანტები ყველგან არაჩვეულებრივად მხვდებიან. გამოფენები მქონდა საფრანგეთში, უკრაინაში, ჰოლანდიაში, იტალიაში და ვენაში“, — გვიამბობს დიზაინერი.

— ქალბატონო მაია, მოგვიყევით თქვენი ბოლო მოგზაურობის, ჯუნური შთაბეჭდილებების შესახებ.

— ვენაში არასაქმიანი ვიზიტით პირველად მარტში ვიყავი. ყველგან მიმაქვს ჩემი სამკაული საჩუქრებისთვის. სრულიად შემთხვევით შემხვდა ჩემი ახლობელი, ნანა ჯაჭვაძე, რომელმაც არაჩვეულებრივი მასპინძლობა გამიწია. ის 19 წელია ვენაში ცხოვრობს. იმდენი სამკაული აქვს ჩემი, რომ ვფიქრობ, მასაც შეუძლია, პატარა პრეზენტაცია გააკეთოს. პირველ შეხვედრაზე მითხრა, ქართველ სათვისტომოს უნდა შენი სამკაულების ხილვა და ისევ მოგიწვევთო. ერთი თვის წინ მომივიდა გზავნილი, ვენაში ქართულ რესტორან „სულიკოს“ გახსნაზე მიმიწვიეს. რესტორნის გახსნასთან ერთად ჩემი სამკაულების ახალი კოლექციის პრეზენტაცია მოვაწყვე. ამ კოლექციის მასალა ვენეციაში შევიძინე.

ვიცოდი, რომ გაშლილი ხელით დამხვდებოდნენ, მაგრამ თუ ასეთ კარგ მასპინძლობას გამიწევდნენ, ვერ წარმოვიდგენდი. რესტორნის მფლობელი, ბატონი გია გოგუაძე და ყველა ქართველი, ვინც იქ ცხოვრობს, რომლებიც „ფეისბუქზე“ გაკეთებული მოსაწვევით მოვიდნენ, ტკბილეულით ხელდამშვენებულები შემხვდნენ. ყველა მიცნობდა, რამდენიმეს ჩემი სამკაულიც ჰქონდა შეძენილი. ისეთი ბედნიერი ვიყავი, რომ სიტყვებით ამის გადმოცემა ძალიან მიჭირს.

— ქართველი ემიგრანტებისგან ალბათ დიდი მონატრება იგრძენით.

— მათ ძალიან უყვართ თავიანთი სამშობლო. იქ გავიცანი ახალგაზრდა ყმაწვილი, 27 წლის გიგი ქათამაძე, რომელიც 10 წელზე მეტია ვენაში ცხოვრობს და ქართველებს იქიდან ეხმარება. თუკი თბილისში ვინმეს გაუჭირდება, არ ვიცი, ამას როგორ ახერხებს, მაგრამ ორგანიზებას უწევს ყველაფერს და ვისაც ჯანმრთელობის პრობლემები აქვს, მატერიალურად ეხმარება. ახლაც გამომატანა თანხა ერთ-ერთი მონაზვნისთვის.

— ჯუნდან თბილისში მუზები „გამოგყვნენ“?

— ნამდვილად ასეა. მაგალითად, საფრანგეთში ჩემი სამკაული სრულიად განსხვავებული გახდა. იქაურმა შთაბეჭდილებებმა შეცვალა მათი ფორმა. ასევე განსხვავებული კოლექცია გავაკეთე ჰოლანდიაში მოგზაურობის შემდეგ. ჩემს სამკაულებში იმ ქვეყნის ხასიათი იგრძნობა, სადაც მასალას ვიძენ. ვენაშიც ვიყიდე მასალა. მოვამზადებ კოლექციას და თბილისელებს წარვუდგენ.

— განწყობა გჭირდებათ სამკაულზე მუშაობისას?

— ყოველთვის მაქვს სამკაულის შექმნის განწყობა. ადრე ძალიან მიყვარდა სტუმრად წასვლა. ახლა ყველას ვეხვეწები, ჩემთან მოდით-მეთქი. სახლში ჩავიკეტე. ჩემი მძივების და სამკაულების გარდა არავინ მინდა.

✓ მანანა ნოდია

გვანცა დარასელია პოეტი დედის გვერდით ამღერდა

10 ოქტომბერს სამედიცინო უნივერსიტეტის წითელ დარბაზში ექიმის და პოეტის, ნატა ღეჩუაშვილის ლექსების მესამე კრებულის პრეზენტაცია შედგა. წიგნს „ფოთლის აღსარება“ ჰქვია. ქალბატონი ნატა ბევრისთვის ტატიშვილის კლინიკის ცნობილი ექიმი-რადიოლოგია, ზოგისთვის — სტუდენტობის წლებიდან კარგად ნაცნობი პოეტი და საკუთარი სიმღერების შემსრულებელი, ხოლო ზოგისთვის — ტელეწამყვან გვანცა დარასელიას დედა.

■ ნანა ღეჩუაშვილი

— ჩემს ახალი წიგნში 20 წლის მასალა შევიდა. 15 წელია მედიცინაში ვარ, მაგრამ პარალელურად ლექსების წერა არ მიმიტოვებია. მქონდა შემოქმედებითი პაუზა, რამდენიმე წელი საერთოდ არ ვწერდი და ის პერიოდი მთლიანად შვილებს დავუთმე. რაც ჩემი შვილები წარმოიზარდნენ და ცხოვრების გზა იპოვეს, ლექსებს უფრო მეტ დროს ვუთმობ. როგორც მითხრეს, ჩემს ბოლოდროინდელ ლექსებში სულ სხვანაირი ქალია, ცხოვრების გამოცდილება უფრო მეტი დევს. სულ სხვანაირ ლექსებს ვწერ, ვიდრე ადრე, — გვითხრა ნატა ღეჩუაშვილმა.

ლექსების კრებულის პრეზენტაცია მუსიკალურ საღამოდ გადაიქცა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ქალბატონი ნატას ლექსები ხშირად ამღერებულა. მის ლექსებზე სიმღერები აქვთ დაწერილი ისეთ კომპოზიტორებს, როგორებიც არიან — გიორგი ცაბაძე, გია მაჭარაშვილი, ჯემალ სეფიაშვილი, ზურა მანაგაძე, მაია გოგსაძე, ოთარ ტატიშვილი და მიშა გელაშვილი. სცენაზე ბევრმა ცნობილმა მომღერალმა შეასრულა ნატა ღეჩუაშვილის ამღერებული ლექსები, მათ შორის იყვნენ ნუკრი კაპანაძე, ცისანა სეფიაშვილი, ნოდიკო ტატიშვილი, თიკა მახალდიანი, ია ჩანტლაძე, სალომე ბაკურაძე და სხვები. ამ საღამოს ოჯახური ტრიოც ვიხილეთ სცენაზე. დედის გვერდით გვანცა და მისი ძმა ვანიკო მღეროდნენ. ვანიკო დარასელია ანსამბლ „მთიების“ წევრია.

„გვირილა“ 20 წლის გახდა

8 ოქტომბერს კლუბ „მოსკოვში“ საბავშვო მუსიკალურმა სტუდია „გვირილამ“ დაარსებიდან 20 წლის იუბილე ახლო მეგობრების და აღსაზრდელების წრეში აღნიშნა. საზეიმო წვეულებაზე ანსამბლის მორიგი წარმატებაც გაიხსენეს — ამ ზაფხულს „გვირილამ“ ბულგარეთში ჩატარებულ საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე გრან პრი მოიპოვა.

მუსიკალურ სტუდიას მრგვალი თარიღი საზოგადოებისთვის ცნობილმა სახეებმაც მიულოცეს. უფროსი თაობის რამდენიმე მომღერალმა „გვირილას“ აღსაზრდელებთან ერთად იმღერა. მსახიობმა გივი სიხარულიძემ და დიზაინერმა თამარ ნადირაძემ ანსამბლს ერთობლივი სიმღერა მიუღღვნეს. მე-20 დაბადების დღეზე ბულგარეთში გადაღებული ფილმის პრეზენტაციაც შედგა.

■ ნინო ჩიხრაძე და ერნა წიფურია

— „გვირილა“ რომ 20 წელი არსებობს, ეს ალბათ იმის მანიშნებელია, რომ წარმატებულია. ჩვენი სტუდიის ორი მოსწავლე უკვე ლა სკალას თეატრში მღერის, — აღნიშნა „სარკესთან“ „გვირილას“ შემქმნელმა და ხელმძღვანელმა ერნა წიფურიამ. „მარიგოლდის“ პრეზიდენტმა თამარ ნადირაძემ კი გაგვიმხილა, რომ იმ დღეს მისი ოცნება ახდა და სცენაზე ამღერდა: „ბატონი გივი სიხარულიძე ამბობდა, სიმღერა ჩვენი საქმე არ არისო, მაგრამ ბავშვების გამო ესეც გავაკეთეთ. ეს სასიამოვნო იყო და გარკვეულწილად, ამით ოცნებაც ამისრულდა“.

პატარა მომღერლები საღამოზე ძალიან ბედნიერები ჩანდნენ. ისინი მორიგი წარმატებებისთვის ემზადებიან.

✓ მანანა ნოდია

ვარსკვლავური ამბები

ვიქტორია ბექჰემი დღეში 160 ათას დოლარს შოულობს



■ დევიდი და ვიქტორია

ცნობილი გახდა, რომ მოდურ ბრენდ „ვიქტორია ბექჰემს“ ვიქტორიას ოჯახისათვის დღეღამეში 160 ათასი დოლარი შემოსავალი მოაქვს.

39 წლის ვიქტორია ახლა კარიერის პიკზეა. მისი მოდური ბრენდის ჩვენება ერთ-ერთი მთავარი მოვლენაა მოდის კვირეულზე. მისი კოლექციების მოყვარულებს შორის არიან გვინეტ პელტროუ, ჯულია რობერტსი და ბიონსე. სანამ ვიქტორია მოდის ინდუსტრიაში სახელს დაიმკვიდრებდა, ოჯახში მთავარი შემომტანი მისი ქმარი, ფეხბურთის ვარსკვლავი დევიდ ბექჰემი იყო, თუმცა ახლა ცოლი მას შემოსავლებით გაუტოლდა და მალე გაუსწრებს კიდეც.

— ქალისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ფინანსური სიძლიერე. ახლა ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ წარმატებული ქალი ვარ. საკუთარი ხელით ნაშოვნი ფულის ხარჯვის სიამოვნებას არაფერი სჯობია. მოდის ბიზნესში კიდევ ბევრი იდეა მაქვს. სხვათა შორის, რაც დევიდი ფეხბურთს ჩამოშორდა, ის უფრო მეტად დაინტერესდა მოდის სფეროთი და სულ უფრო სერიოზულ კონტრაქტებს აფორმებს. ჩვენ 10 წელიწადში ფეშენ ინდუსტრიაში ყველაზე გავლენიანი წყვილი ვიქნებით, — ამბობს ვიქტორია ბექჰემი.

კეიტ უინსლეტი წონასთან ბრძოლას აღარ აპირებს

კეიტ უინსლეტი სულ მალე მესამე შვილის დედა გახდება. მსახიობმა პირობა დადო, რომ მშობიარობის შემდეგ ჰოლივუდის ვარსკვლავების მანიას არ აჰყვება და სასწრაფოდ გახდომას არ დააპირებს. როგორც კეიტმა განაცხადა, მისი ფეხმძიმობა ყოველგვარი გართულებების გარეშე მიმდინარეობს. თავს შესანიშნავად გრძნობს და სულაც არ ადარდებს, როგორი იქნება მშობიარობის შემდეგ.

— მე უკვე 37 წლის ვარ. ერთი ცხოვრება მაქვს და არ მინდა, რომ ის ჩემი უკანალის ზომების კონტროლში გავატარო. მინდა, ვიყო ჯანმრთელი და ცხოვრებისაგან სიამოვნება მივიღო. მინდა, შვილების გვერდით ვიყო. ეს არის ჩემი პრიორიტეტები და არა — ბრტყელი მუცელი, — აცხადებს მსახიობი.

კეიტი აღნიშნავს, რომ საკუთარ გარეგნობასთან ბრძოლაში არასოდეს გაუმარჯვია. ამის შემდეგ ის აღარ აპირებს, დრო წონასთან ბრძოლას დაუთმოს.

— იყო დრო, როდესაც წონასთან ბრძოლა ჩემი მთავარი ამოცანა იყო, მაგრამ ამან მხოლოდ ნერვები შეიწირა და ცუდი ხასიათი გამომიმუშავა. როგორც კი ჩემს სხეულთან მშვიდად დავიწყე ცხოვრება, მაშინვე მოვიდა ჩემთან საუკეთესო როლები

შეგრძენი
სუპერ უიმედოობა
Vernel
ვერნელი
Супер Комфорт
Vernel
Свежий Бриз
Perfume Pearls
СУПЕР концентрат 1Л
Супер Комфорт
Vernel
Свежесть Летнего Утра
Perfume Pearls
СУПЕР концентрат 1Л
Henkel
ჰენკელი
ქსოვილის დამარბილებელი თქვენი თეთრეულის
სირბილისა და სასიამოვნო სურნელისათვის

ვარსკვლავური ამბები

მადონა ბრედ პიტისგან შვილის გაჩენაზე ოცნებობდა

ექომღერალმა მადონამ ცოტა ხნის წინ აღიარა, რომ ის ერთი პერიოდი ჭკუას კარგავდა ბრედ პიტზე და მისგან შვილის გაჩენაზეც ოცნებობდა. ეს განცხადება მომღერალმა ბრედ პიტის ახალი ფილმის „მონობის 12 წელი“ პრემიერაზე გააკეთა. როგორც აღმოჩნდა, ბრედი მადონას ცხოვრებაში ერთადერთი მამაკაცი იყო, რომელიც ვერ მოინადირა.

— ბრედ პიტი და მე ერთად ვწევართ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა სიამოვნება მეუფლება, როდესაც გვერდით ქერა ბიჭუნას ვხედავ!.. მაპატიე, ანჯელინა, ამას რომ ვამბობ, მაგრამ ეს ჩემი ოცნებებია. იმდენად მიყვარდა ის, რომ მისგან ბავშვის გაჩენაზეც ვოცნებობდი, მაგრამ ჩვენი გზები არ გადაიკვეთა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მე კაცებზე მონადირე არ ვარ, — განაცხადა მადონამ.

ტომ ჰენქსი დიაბეტს ებრძვის

დევიდ ლეტერმანის შოუში ცნობილმა ჰოლივუდელმა მსახიობმა ტომ ჰენქსმა განაცხადა, რომ მას ექიმებმა შაქრიანი დიაბეტის მეორე ტიპი დაუდგინეს. მსახიობმა აღნიშნა, რომ ექიმებმა დაავადების დამარცხებისათვის მას წონის სერიოზულად დაკლება მოსთხოვეს. ტომის წონა დაახლოებით ისეთი უნდა გახდეს, როგორიც სტუდენტობის წლებში იყო.

— როგორც უნდა მოვინდომო, 44 კილო ვერაფრით გავხდები. უნდა შევეგუო, რომ შაქრიანი დიაბეტი მაქვს. საბედნიეროდ ტიპი 1 — არა. ახლა ჩემი ცხოვრება რადიკალურად უნდა შევცვალო, რომ ამ დაავადებამ ბოლო არ მომიღოს. ერთი კი ზუსტად ვიცი, რომ როლების გამო წონაში აღარ მოვიმატებ. დაკლებით კი — სიამოვნებით, — განაცხადა მსახიობმა.

შეგახსენებთ, რომ ტომ ჰენქსმა ფილმისათვის „გარიყული“ 25 კილო დაიკლო, ხოლო ფილმისთვის „საკუთარი ლიგა“ 14 კილო მოიმატა.

კიმ კარდაშიანის დედამ ბრიტნი სპირსის ბოიფრენდთან რომანი გააჩაღა

57 წლის ტელევარსკვლავი, სკანდალური კიმ კარდაშიანის დედა, კრის ჯენერი, საბოლოოდ გაშორდა ქმარს, ბიზნესმენ ბრიუს ჯენერს. როგორც კი განქორწინების საბუთებს ხელი მოაწერა, კრისმა ბრიუსის შემცვლელი იპოვა — რომანი გააჩაღა მომღერალ ბრიტნი სპირსის ყოფილ საქმროსთან, 42 წლის ჯეისონ ტრავიკთან. კრისი ამბობს, რომ მისი 22 წლიანი ქორწინება დასრულდა, მაგრამ ყოფილ ქმართან მეგობრობა გრძელდება.

ჯეისონ ტრავიკი და კრის ჯენერი

— დიახ, ჩვენი ქორწინება დასრულდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენი მეგობრობაც დასრულდა. კრისი ყოველთვის მეყვარება, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახური წყვილი აღარ ვართ. იმედი მაქვს, ცალ-ცალკე უფრო ბედნიერები ვიქნებით. ვიცი, რომ ახლა ყველა ჩემს ახალ გატაცებაზე საუბრობს. ამაზე კომენტარს არ გავაკეთებ. თავისუფალი ქალი ვარ და აუცილებლად ვიპოვი ისეთ მამაკაცს, რომელიც ღირსეული პარტნიორი იქნება.

მერაია ქერიმ ქმარს დაბადების დღე ორიგინალურად მიულოცა

ვოპვარსკვლავმა მერაია ქერიმ თავის ბლოგზე ფოტო დადო, სადაც მისი სექსუალურობის მთავარი ატრიბუტი, მკერდი იყო გამოსახული. ამ ჟესტით მან საყვარელ ქმარს, რეპერ ნიკ კენონს, დაბადების დღე მიულოცა. უცნობია, რა რეაქცია ჰქონდა ამ სახის მილოცვაზე ნიკს, მაგრამ სოციალურ ქსელში მერაიას მაქმანებიანმა ბიუსტჰალტერმა საკმაო აჟიოტაჟი გამოიწვია. მადისალმძვრელ სურათს წარწერაც ამშვენებდა: „დაბადების დღეს გილოცავ, ქმარუკა! ჩემო პატარავ, გელოდები! ჰა, ჰა, ჰა. მერაია ქერი“.

ბოლო დროს მომღერალი სულ უფრო მეტად უსვამს ხაზს საკუთარ სექსუალურობას. სცენაზე მისი ყოველი გამოსვლა განხილვის თემა ხდება. ცოტა ხნის წინ მერაია სცენაზე მხრის სპეციალური ბანდაჟით გამოჩნდა, რისი მიზეზით ტრავმა იყო.

— დღემდე მაქვს აუტანელი ტკივილები, მაგრამ ნიუ იორკის ფილარმონიაში გამოსვლაზე უარს ვერ ვიტყოდი. საკმაოდ ძლიერი ვარ იმისათვის, რომ სცენაზე ტკივილი არ შევიმჩნიო, — განაცხადა მომღერალმა.

პარა პლუსი

უფრო ძლიერი ვიდრე ტილები

განთავისუფლდით ტილებისგან სულ რაღაც 10 წუთში

- ეფექტურია ერთჯერადი გამოყენებისას
- შეიცავს ორ აქტიურ ნივთიერებას
- 1 აეროზოლი – სრული მკურნალობა მთელი ოჯახისათვის

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

მწარმოებელი: ლაბორატორია " OMEGA PHARMA" (საფრანგეთი)

წარმომადგენლობა საქართველოში: ფიკ მედიკალი. ტელ/ფაქსი: 255-20-59. ელ-ფოსტა: ficmedical_georgia@yahoo.com

ქოდა

ნინა რიჩის პრიმაბალერინების გარდერობი

2013-2014 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექცია ნინა რიჩის სახლმა თემით „პრიმაბალერინების გარდერობი“ წარმოადგინა. პოდიუმზე ნაჩვენები იყო მოცეკვავეების სცენური აქსესუარები — კორსეტები, გოფრირებული ქვედატანები, აბრეშუმის კაბები, რომლებიც ბალერინებისთვის განკუთვნილ სარეპეტიციო უნიფორმას უფრო ჰგავდა. საერთო ჯამში, კოლექცია ერთდროულად ელეგანტურიც იყო და ქალურიც. ფერებიდან აქცენტი ნაზ, პასტელურ ტონებზე გაკეთდა.

სიახლე!!! ვცვლით! ძველ აპარატებს ახალ აპარატებზე

შვეიცარიული გლუკომეტრები 25 ლარად!

დიდი ფასდაკლება ქოლესტერინის აპარატზე.

აკონტროლეთ თქვენი ჯამრთელობა!

ყარი ყოხარით მიოკარდიუმის ინფარქტს და ათეროსკლეროზს!

მის: ბორჯომის ქ. №4 (გერმანიის საელჩოს პირდაპირ)

ტელ: 235 44 05; 599 19 60 55. www.glucometer.ge

57%-მდე ფასდაკლება კლინიკა „ესთეტიკ ქორნერი“-სგან!

მეორე პროცედურა იმავე ზონაზე 50%-იანი ფასდაკლებით!

Esthetic CorneR

ესთეტიკ ქორნერი

მეხუთე თაობის დიოდური ლაზერული ეპილაცია 2013 წლის ლაზერითSOPRANO ICE (ALMA lasers – ისრაელი)

სამუდამოდ განთავისუფლდით არასასურველი თმისაგან!

მოწინავე სამედიცინო ლაზერული ტექნოლოგიების შემქმნელებისაგან SOPRANO ICE (ALMA lasers– ისრაელი) რევოლუცია დიოდური ლაზერების ისტორიაში! გაუგე გემო სრულიად უმტკივნეულო, სწრაფ და ეფექტურ ლაზერულ ეპილაციას. ეს წარმოუდგენელი რეალობაა – დიოდური ლაზერული ეპილაცია გადაიქცა სასიამოვნო, სარელაქსაციო მასაჟის პროცედურად, რომელიც ტარდება დინამიკაში (in motion), სწრაფად და, რაც მთავარია, სრულიად უმტკივნეულოდ!!!

უნიკალური „ცივი“ დიოდის მახასიათებლებია:

- ეფექტურია 1-6 ტიპის ფერის კანისათვის, აქედან გამომდინარე, მუშაობს გარუჯულ და მუქ კანზეც;
- აქვს დია ფერის თმაზე ზემოქმედების მეტი შესაძლებლობა;
- სრულიად უმტკივნეულია;
- უსაფრთხოება გარანტირებულია;
- აუმჯობესებს კანის სტრუქტურულ და ვიზუალურ სახეს;

შედეგად ვიღებთ გლუვ, ხავერდოვან, თმიანობისაგან თავისუფალ კანს.

მოგვმართეთ მისამართზე: ქ. თბილისი, აბაშიძის 76, კლინიკა „ესთეტიკ ქორნერი“. ☎ 229-56-61

ნინო თარხან-მოურავი: „ძალიან მინდა, მონაკოში დავბრუნდე“

რუსთაველის თეატრის მსახიობი ნინო თარხან-მოურავი მოგზაურობით ბავშვობიდანაა განებივრებული. ჯერ დედასთან ერთად დადიოდა, 1989 წლიდან მოყოლებული კი თეატრის დასთან ერთად სად აღარ იყო. შვილთან ერთად მოგზაურობა განსაკუთრებულ სიამოვნებას ანიჭებს. კლუბების დიდი მოყვარული არ გახლავთ, მაგრამ 21 წლის ლიზასთან ერთად საზღვარგარეთ კლუბშიც დადის და დისკოთეკაზეც. უცხო ქვეყანაში ორიენტაციას არ უჩივის, მით უმეტეს, როცა ქმართან, მსახიობ თემიკო ჭიჭინაძესთან ერთადაა. ამ დროს სრულიად მასზეა მინდობილი და იცის, რომ არსად დაიკარგება.

მას შემდეგ, რაც მონაკო მოინახულა, ნინოს ერთი ოცნება გაუჩნდა, თუ რა, ამაზე თავად გვიყვება.

— ქალბატონო ნინო, თეატრის წყალობით, ალბათ ბევრს მოგზაურობთ.

— საკმაოდ, თუმცა ჩემი მოგზაურობა თეატრში მოსვლამდე დაიწყო. დედაჩემს დასასვენებლად ბევრგან დავყავდით, უკრაინასა და პოლონეთშიც ვიყავით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბავშვობიდან ვმოგზაურობ. მერე უკვე თეატრთან ერთად მოგზაურობა დაიწყო. ბევრ საინტერესო ქვეყანაში ვარ ნამყოფი. თეატრიდან გასტროლებზე პირველად კიევში ვიყავი. მახსოვს, ინგლისთან მსახიობების გაცვლა მოხდა. იქაური მსახიობები აქ ჩამოვიდნენ და ჩვენ, მაშინდელი მცირე სცენის კოლექტივი, ინგლისში წავედით.

— საბჭოთა პერიოდში ინგლისში ჩასვლა რა შთაბეჭდილებებს უკავშირდება?

— საბჭოთა კავშირის დახურული სივრციდან პირველად მოვხვდით კაპიტალისტურ ქვეყანაში, რაც ნამდვილად დიდი შოკი იყო ჩვენთვის. ინგლისი ჟურნალებშიც მქონდა ნანახი და ტელევიზორშიც, მაგრამ, რაც მე განვიცადე, სრული შოკი იყო, სულ სხვა სამყაროში აღმოვჩნდი. სილაღემ, სიჭრელემ, მაღაზიების რაოდენობამ და გაღიმებულმა ხალხმა რაღაცნაირი ემოცია შემძინა. სახეზე ყველას ბედნიერი ღიმილი ჰქონდა, არავინ დადიოდა დაბღვერილი. რა თქმა უნდა, პატარ-პატარა საგრაფოების, მუზეუმებისა და თეატრების მონახულება მოვასწარით, რადგან ჩვენი გასტროლი სამკვირიანი იყო. დეტალებს ვერ გავიხსენებ. ეს ყველაფერი 1989 წელს ხდებოდა, თუმცა მახსოვს, რომ საერთო შთაბეჭდილება წარუშლელი იყო.

— გასტროლების დროს უცხო ქალაქის დათვალიერებას ყოველთვის ახერხებთ?

— გასტროლის ხანგრძლივობას გააჩნია. მრავალი წლის წინ ჩვენი გასტროლი უფრო ხანგრძლივი იყო, რადგან მაშინ არსებობდა „გოსკონცერტი“, რომელიც აფინანსებდა თეატრის გასვლებს სხვა ქვეყნებში. ახლა კი უფრო კომერციული გასტროლები გვაქვს. ყველაფერი ფინანსებზეა დამოკიდებული. ხშირ შემთხვევაში ძალიან მოკლე ვადით მივემგზავრებით. მაგალითად, წინა წელს ნიცაში ფესტივალზე სულ სამი დღით ვიყავით ჩასული. პირველი დღე რეპეტიციისთვის და სასტუმროში დაბინავებისთვის გვქონდა, მეორე დღეს წარმოდგენა გავმართეთ, მესამეს დღეს ვიყავით თავისუფალი და მეოთხე დღეს გამოვფრინდით, მაგრამ არ დავიზარეთ, მესამე დღეს მონაკომდე 1 ევროდ ვიყიდეთ ბილეთები და წავედით. მოვირბინეთ ქუჩები და ღირსშესანიშნაობები გარედან დავათვალიერეთ, მუზეუმებში შესვლისთვის დრო არ გვქონდა.

„ჰამდენი ადგილია საქართველოში, ჰასაც ვეჰ ვაფასებთ, გგონია, ჰომ აქვე გაქვს და �sაე გაღის ცხოვჰება, მისი ნახვა ახც მოგაფიქჩება“.

ძალიან მინდა, მონაკოში დავბრუნდე, იქაურობა საოცრად მახსენდება. წინასაშობაო პერიოდი იყო, მანდარინის ხეებს მანდარინები ესხა... თან ციოდა, თან მზე ანათებდა. თემიკო მაშინ ჩემთან ერთად არ იყო და იქიდან დავურეკე, ვუთხარი, შენ ეს უნდა ნახო, აქ აუცილებლად უნდა ჩამოვიდეთ-მეთქი. იმედია, ეს სურვილი აგვისრულდება.

— რით არის გამორჩეული თეატრთან ერთად მოგზაურობა?

— თეატრთან ერთად მოგზაურობა ვიღაცისთვის შეიძლება გამორჩეული იყოს, მაგრამ ჩემთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია. კარგია, როცა საქმეზე მიდიხარ, შენი სიტყვა, ენა, ხელოვნება უცხოელ მაყურებლამდე მიგაქვს, მერე კი დატკბები იმ ქვეყნის ღირსშესანიშნაობებით. შემიძლია ქმართან ერთად წავიდე, შემიძლია — მეგობრებთან ერთად. ჩვენ უკვე შეკრული კოლექტივი ვართ, წლებით გამოცდილი და თავგადასავლებით აღსავსე. მოგზაურობის დროს იმდენად მობილიზებული ვარ, არც არასდროს დავკარგულვარ და ერთმანეთსაც ვუფრთხილდებით, არავინ დაგვიკარგავს. ყველას ერთმანეთის იმედი გვაქვს და ერთმანეთზე ვზრუნავთ. თუ მარტო ვარ და გვერდით არავინ მყავს, არაჩვეულებრივად ვაგნებ სასურველ ადგილს. თუ გვერდით მეუღლე მყავს, არაფერს ვიმახსოვრებ, ყველანაირად მასზე ვარ მინდობილი. ასე ვარ თბილისშიც.

■ ბეირუთში

— გახსენდებათ ქვეყანა, სადაც მაყურებელი განსხვავებული ტაშით შეგხვდათ?

— რთულია ამაზე საუბარი. ყველაზე მეტად ქართველი მაყურებელი მიყვარს, რომელიც განსაკუთრებულად პრეტენზიულია. თეატრის მოყვარული ხალხი ყველა ქვეყანაში ერთნაირია. ვისაც თეატრი უყვარს, ბოლომდე მოგყვება და ტაშს გიკრავს. სადაც ჩავდივართ, თუკი ვინმე ქართველი ცხოვრობს, ჩვენს სპექტაკლზე აუცილებლად მოდის. გვიხარია ერთმანეთის დანახვა. მათ შემხედვარეს რაღაც გრძნობა მეუფლება, ვგრძნობ, რომ დარბაზში მონათესავე სული ზის და ჩვენი ენა ესმის.

— კიდევ რომელ მოგზაურობას გაიხსენებთ?

— ესპანეთზე გიამბობთ. ეს 1989 წელს მოხდა. მაღაზიებში სიარული ძალიან მიყვარს, მაგრამ ეს მოგზაურობა იმით გამორჩეოდა, რომ მადრიდში მაღაზია არც კი დამინახავს, იმდენად შთამბეჭდავი იყო არქიტექტურა, შენობებს პირღია ვათვალიერებდი და რომ წამოვედით, ვიკითხე, აქ მაღაზიები თუ იყო-მეთქი.

— საყიდლებისთვის თუ გრჩებათ დრო?

— გასტროლზე ამისთვის დრო არ არის, მაგრამ ხანდახან მაინც ვახერხებ. მე და ჩემს ქმარს რაც ყველა ქვეყნიდან ჩამოგვაქვს, მაცივარზე მისაკრავი მაგნიტებია. თემიკოს

„ხომ ახაჩვეულებჰივია დაღაგებული, დავახცხნილი, მომღიმახი და ჯეთილი დასავლეთი, მაგჩამ აზია ისეთი ეგზოტიკუჩი და ჯეთილია, ჰომ შემეკითხონ, ჰომელი გიჩევნიაო, ჰასუხის გაცემა გამიჭიჩება“.

როცა ვთხოვ, საყიდლებზე მომყვება. არაჩვეულებრივი ქმარი მყავს, არ ჯუჯღუნებს. შეიძლება დაიღალოს, მაგრამ სანამ თვითონ დაიღლება, მეც ვიღლები ხოლმე.

— უცხო ქვეყნის სამზარეულოს ადვილად ეგუებით?

— რისკიანი ადამიანი ვარ და ახლის გასინჯვაც ძალიან მაინტერესებს. ყველაფერი გემრიელი მიყვარს, რომელი ქვეყნისაც უნდა იყოს. მექსიკური სამზარეულო გამორჩეულად მომწონს.

— ოკეანის გაღმა თუ ხართ ნამყოფი?

— ამერიკაში 2000 წელს შვილ-

→46

Cyan Magenta Yellow Black

თან ერთად ვიყავი. მაშინ ლიზა პატარა იყო, მთელი მანჰეტენი ფეხით გვაქვს მოვლილი. იქ დეიდაჩემი ცხოვრობს და მასთან ჩავედით სტუმრად. მახსოვს, თვითმფრინავის ტრაპიდან რომ ჩამოვედი და გავიხედე, სივრცეში ქალაქი რატომღაც შავ-თეთრ გრაფიკაში დავინახე, ალბათ იმიტომ, რომ ცოტა მოღრუბლული დღე იყო. არ ვიცი — რატომ, მაგრამ უზარმაზარი სივრცე და შენობები პირველ დღეს საერთოდ არ მომეწონა.

„ქვინსის ნაცრისფერი, მშვიდი ქუჩები რატომღაც არ მომეწონა და გავიფიქრე, რატომ გიჟდებიან ნიუ იორკზე-მეთქი. მერე უკვე მანჰეტენზე, თაიმ სკვერსა და ჰაიდ პარკში აღმოვჩნდი. ყველაფერი მოვიარე, დავათვალიერე და მივხვდი, რომ მართლა შთამბეჭდავია ნიუ იორკი. ამ ქალაქს ჩემი დასაწუნი არაფერი სჭირს. საზღვარგარეთ ყველა გიღიმის, მაგრამ ნიუ იორკში თავიდან რამაც შემაწუხა, ის იყო, რომ ყველა მეკითხებოდა: „ჰაუ არ იუ?“ („როგორ ხართ?“. ავტ.), რაც იქ მისალმებასავითაა, შენ კი გულწრფელად სცემ პასუხს. თავიდან ცოტა გამაღიზიანებელი იყო, მერე უკვე მივხვდი, რომ ეს კარგიცაა, რადგან, თუ არ ხარ ხასიათზე, იმ ვიღაცის ღიმილს მდგომარეობიდან გამოჰყავხარ, დადებით ემოციას იწვევს.

— შვილთან ერთად კიდევ სად ყოფილხართ?

— ლიზასთან ერთად თურქეთში დასასვენებლად ვყოფილვარ, მაგრამ საკურორტო ზონაში ვიყავი და არაფერი დაგვითვალიერებია. ჩემს შვილთან ერთად მოგზაურობა არაჩვეულებრივია. ლიზა უკვე ზრდასრული ადამიანია და ერთმანეთს ყველაფერში ანგარიშს ვუწევთ. ისე არ ხდება, რომ მე ბრძანება გავცე და მან დამიჯეროს. ერთად გადასარევად ვერთობით. მგონი, მას ჩემთან ერთად მოგზაურობა უყვარს.

— სად ერთობით ხოლმე?

— მე შემიძლია დისკოთეკაზეც წავყვე, მას შეუძლია ჩემთან და ჩემს მეგობრებთან ერთად დაჯდეს და ისაუბროს. კლუბების დიდი მოყვარული არ ვარ, ხმამაღალი მუსიკა მსპობს, მაგრამ მოგზაურობის დროს ლიზასთან ერთად კლუბშიც დავდივარ. მახსოვს, ბოდრუმში გამგზავრება ავტობუსით გადავწყვიტეთ. 36 საათი მგზავრობაში გავატარეთ. ამაზე ჩემი ყველა მეგობარი გიჟდება, როგორ შეგიძლიაო, მაგრამ ასე მგზავრობასაც დიდი ხიბლი აქვს, ავტობანებზე გაჩერებებით და რიტუალებით. გზაში ძალიან ვერთობოდით. ჩემს შვილს მეგობარი ახლდა და ჩვენთან ერთად კიდევ ჩემი მეგობრის ვაჟიშვილიც იყო. როგორც იქნა, ჩავაღწიეთ და ახალგაზრდებს კლუბში წასვლა მოუნდათ. სასტუმროში დავბინავდით, გამოვიცვალეთ და კლუბში წავედით, მთელი ღამე ვცეკვავდით.

— სრულიად განსხვავებული სამყარო სად აღმოაჩინეთ?

— ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ლიბანის დედაქალაქმა ბეირუთმა, სადაც 3-4 წლის წინ გახლდით. ულამაზესი ქალაქია და უთბილესი ხალხი ცხოვრობს. პაკისტანშიც ვარ ნამყოფი, სადაც კულტურის ცენტრში, ქალაქ ლაჰორში, თეატრალური ფესტივალი ჩატარდა. გასტროლით ვიყავით ჩასული. ხომ არაჩვეულებრივია დალაგებული, დავარცხნილი, მომღიმარი და კეთილი დასავლეთი, მაგრამ აზია ისეთი ეგზოტიკური და კეთილია, რომ შემეკითხონ, რომელი გირჩევნიაო, პასუხის გაცემა გამიჭირდება.

■ მარინა კახიანი და ნინო თარხან-მოურავი თურქეთში

რეიკიავიკზეც შემიძლია გითხრათ. თვითმფრინავი რომ ჯდებოდა და ძირს დავიხედე, იმდენად განსხვავებული გრუნტია, მეგონა, მთვარის ზედაპირზე ვჯდებოდი. საოცარი ქვეყანაა, სადაც თითოეულ ხეს ნიშანი აქვს, რომ გაუფრთხილდნენ. მოვინახულეთ ადგილი, სადაც ერთ-ერთი მიწისძვრის დროს მიწა ორად გაიყო. ბუნებაში გაგვიყვანეს და, იცით, რა ვნახე? ჩიტს ადამიანის არ ეშინია,

„ჰეიკიავიკში, იცით, ჰა ვნახე? ჩიტს ადამიანის ჰა ეშინია, ჰა გაგიფრინდებათ. მათ იქ ჰავინ ეჩრის... ეს ჰის ქალაქი, სადაც ჰავინ ჰაფეს იპჰავს და ჰც ციხე ჰსებობს“.

არ გაგიფრინდებათ. მათ იქ არავინ ერჩის. წარმოგიდგენიათ, როგორი დამოკიდებულებაა? ეს არის ქალაქი, სადაც არავინ არაფერს იპარავს და არც ციხე არსებობს. ისლანდია ცნობილია თავისი ბუნებრივი გეიზერებით. ცხელი წყალი მოდის და 10 გრადუსიან თბილ წყალში შეგიძლია იცურაო, რომელიც რძესავით თუხთუხებს.

— არსებობს ქვეყანა, სადაც ტრადიციებმა გაგაკვირვათ?

— თითქმის ყველა ქვეყნის ტრადიციები ვიცი. მაგალითად, ვიცოდი, რომ ლაჰორში მსოფლიოში სიდიდით მეორე მეჩეთია. იქ ჩასვლისთანავე მეჩეთის დათვალიერება მოვინდომეთ. არ ვიცოდი, ტურისტსაც თუ ფეხზე უნდა გაეხადა და სარი შემოეხვია,

„მაღიიდში მაღაზია ჰჩც ჯი დამინახავს, იმდენად შთამბეჭდავი იყო ჰჩქიტექტუჩა, შენობებს ჰიჩლია ვათვალიეჩებდი და ჩომ ნამოვედით, ვიჯითხე, აქ მაღაზიები თუ იყო-მეთქი“.

მაგრამ არც ეს იყო პრობლემა, ფეხზეც გავიხადე, სარიც შემოვიხვიე და ულამაზესი ძველი ნაგებობაც დავათვალიერეთ.

— საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წასვლაც მოგზაურობაა თქვენთვის?

— რა თქმა უნდა, ესეც ჩვეულებრივი მოგზაურობაა. იმდენი რამ არ გვაქვს ჩვენს ქვეყანაში ნანახი, ვინ მოთვლის? ჩვენმა მეგობარმა სვანეთში დაგვპატიჟა, სოფელ-სოფელ ვიარეთ. მესტიაში ტაძრების სიუხვეა, თითქმის ყველა ტაძარი მოვილოცეთ. ხალხზე რომ აღარაფერი გითხრათ, არაჩვეულებრივი ბუნებაა. რამდენი ადგილია საქართველოში, რასაც ვერ ვაფასებთ. გგონია, რომ აქვე გაქვს და ისე გადის ცხოვრება, მისი ნახვა არც მოგაფიქრდება. თუკი საინტერესო ადგილების დათვალიერებას შევძლებ, კარვითაც სიამოვნებით ვიმოგზაურებდი.

— სამოგზაუროდ ბევრი ბარგით დადიხართ?

— სადაც უნდა გავემგზავრო, ცოტა ტანსაცმელი მიმაქვს, მირჩევნია დამაკლდეს, ვიდრე დამამძიმოს. რამე თუ დამაკლდება, სადაც ჩავალ, იქ ვიყიდი. არ ვარ ადამიანი, რომელიც რამდენიმე დღით ადრე ემზადება გასამგზავრებლად. წინა დღეს ვალაგებ ჩემოდანს. უბრალოდ რამდენიმე დღე შეიძლება ვიფიქრო, რა წავიღო, ჩალაგებას დიდი არაფერი სჭირდება. თემიკო ხომ საერთოდ ჩემზე უარესია, გასვლის წინ ალაგებს ჩემოდანს.

— ბევრს თვითმფრინავით მოგზაურობა საამოვნებას ანიჭებს, ბევრისთვის კი ეს სტრესია. თქვენს შემთხვევაში როგორაა საქმე?

— თვითმფრინავის მიმართ ძალიან მშვიდი დამოკიდებულება მაქვს. ბოლო პერიოდში ტელევიზიით ავიაკატასტროფების შესახებ რომ მესმის, ცოტას კი განვიცდი, მაგრამ შიში ნაკლებად მაქვს. ფრანკფურტიდან ნიუ იორკამდე 9 საათი ვიფრინე და პრობლემა არ მქონია. ნახევარ საათში ერთხელ რაღაც მოაქვთ, ხან გაჭმევენ, ხან გასმევენ, თუ გინდა, ფილმს უყურებ, თუ გინდა — ფრენის რუკას. ერთხელ რუკას დავხედე და ოკეანე არ მთავრდებოდა, კი გამიელვა, ღმერთო ჩემო, აქ რა მინდამეთქი... არც აბებს ვიღებ და არც ალკოჰოლს ვსვამ. ამ დროს დალევა აუტანელია.

✓ სოფიო ბოჭორიძე

Cyan Magenta Yellow Black

ასტანა — 21-ე საუკუნეში აშენებული ერთადერთი დედაქალაქი

ასტანა ცენტრალურ აზიაში მდებარე ყაზახეთის რესპუბლიკის დედაქალაქია. სხვადასხვა დროს ამ ქალაქს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებდნენ — აკმოლინსკი (1830-1961 წ.წ.); ცელინოგრადი (1961-1992 წ.წ.); აკმოლა (1992-1998 წ.წ.). ქალაქი მდინარე იშიმის სანაპიროზეა აგებული. ასტანა პირველი დედაქალაქია, რომელიც 21-ე საუკუნეში ააშენეს და ბრწყინვალედ გამოხატავს ახალი მსოფლიოს სახეს.

წლების წინ ასტანა ტურისტების ნაკლებობას განიცდიდა, რასაც დღეს ვეღარ ვიტყვით — თანამედროვე თუ ძველი არქიტექტურული ძეგლების მოსანახულებლად დედაქალაქს ყოველწლიურად მილიონობით ტურისტი სტუმრობს.

ჯიმატი

ასტანა მონღოლეთის დედაქალაქის შემდეგ მეორე ყველაზე ცივი დედაქალაქია მსოფლიოში. მისთვის კონტინენტური კლიმატია დამახასიათებელი ხანმოკლე, თბილი ზაფხულით და ხანგრძლივი, ძალიან ცივი ზამთრით.

ასტანაში ჩასასვლელად საუკეთესო პერიოდი გაზაფხულია, აპრილის ბოლოდან ივნისამდე. ამ დროს სასიამოვნო სითბოა და ბუნებაც საოცრად ლამაზია. ზაფხულის თვეებში სიცხე 35 გრადუსამდეც აღწევს, მაგრამ ამან არ უნდა მოგატყუოთ — მეორე დღეს ტემპერატურა შესაძლებელია ძალიან დაეცეს. ერთი სიტყვით, ასტანაში ყველანაირი ამინდისთვის მზად უნდა იყოთ. როგორც აღვნიშნეთ, ზამთარი ძალიან ცივი და თოვლიანია. ხშირ შემთხვევაში თოვლი გაზაფხულამდეც არ დნება.

ჩეღიგია

ყაზახი ხალხის ცხოვრებაში რელიგიას უმთავრესი ადგილი უკავია. სახელმწიფო რელიგიად ისლამია გამოცხადებული და მას მოსახლეობის 57% მისდევს. 40%-ს ქრისტიანები შეადგენენ, ხოლო დარჩენილი 3% მსოფლიოში გავრცელებული სხვადასხვა რელიგიური მრწამსის აღმსარებელია.

ფული

ყაზახეთის ოფიციალური ვალუტა ტენგეა. 100 ტენგე 1,09 დოლარის ტოლფასია. მეზობელი ქვეყნების დედაქალაქებთან შედარებით ასტანა შედარებით იაფი ქალაქია. გახსოვდეთ, სამშობლოში დაბრუნებულს ტენგეს ნებისმიერ ვალუტაზე გადაცვლა გაგიჭირდებათ (გამონაკლისს წარმოადგენს ყაზახეთის მეზობელი ქვეყნები).

რაც შეეხება საკრედიტო ბარათებს, მათი გამოყენება თანამედროვე ასტანაში უკვე თავისუფლადაა შესაძლებელი. უცხოური ვალუტიდან კი მხოლოდ ამერიკული დოლარით თუ ისარგებლეთ.

ენა

ყაზახეთი ორენოვანი ქვეყანაა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში ორი სახელმწიფო ენაა — ყაზახური და რუსული. დედაქალაქის მოსახლეობის 64% ყაზახურ ენაზე საუბრობს, ხოლო დარჩენილი პროცენტი რუსულზე.

აღსანიშნავია, რომ ყაზახური ენა საკმაოდ ძნელია როგორც დასამახსოვრებლად, ისე წარმოსათქმელადაც. ინგლისურად მოსაუბრეს ასტანაში ცოტას თუ შეხვდებით, ისიც მხოლოდ 25 წლამდე ახალგაზრდებში. ტურისტულ ადგილებში თავს რუსულით გაიტანთ.

გადაადგილება

ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ასტანაში მოხვედრა ადვილი საქმეა. საერთაშორისო აეროპორტი დედაქალაქიდან 15 კილომეტრში მდებარეობს. ასტანაში თვითმფრინავით ჩასვლა ყველაზე ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ სხვა კონტინენტებიდან და ევროპიდან მომავალ ტურისტებს სხვა გზა არ აქვთ. ახლოს მდებარე ქვეყნებიდან იქ ჩასვლას კომფორტული და თანაც ძალიან იაფი ავტობუსებით ან მატარებლით ახერხებენ.

რაც შეეხება ქალაქის შიგნით გადაადგილებას, ამისათვის უამრავი საშუალება არსებობს. ასტანაში გზები საუკეთესო მდგომარეობაშია, ამიტომ მანქანის დაქირავების არ უნდა შეგეშინდეთ. ყველაზე პოპულარულ და იაფ ტრანსპორტს ავტობუსი წარმოადგენს. ერჯერადი მგზავრობის ღირებულება 60 ტენგეა, საფასური კი კონდუქტორს უნდა გადაუხადოთ. საკმაოდ იაფია ტაქსიც.

ასტანადან ყაზახეთის სხვა ქალაქებში გადასაადგილებლად მატარებელი ყველაზე ოპტიმალური გამოსავალია, თანაც ძალიან მოწესრიგებული გრაფიკით მოძრაობს.

სამზახეული

ყაზახური სამზარეულო, როგორც ამბობენ, კარგად ასახავს იქაური ხალხის ბუნებასა და წეს-ჩვეულებებს. ეროვნული კერძები ხორცითა და რძის ნაწარმით მზადდება. რელიგიიდან გამომდინარე, ყაზახები ღორის ხორცს არ ეკარებიან.

ტრადიციული კერძებიდან აღსანიშნავია ცხენის ხორცითა და ბოსტნეულით მომზადებული ბეშმარმაკი, რომელიც სიტყვასიტყვით ხუთ თითს ნიშნავს, რადგან ამ კერძს ხელით ჭამენ. ასევე ძალიან პოპულარულია ცხენის ხორცით მომზადებული სოსისი ჩუზჰუკი.

ხორცისა და რძის ნაწარმის შემდეგ ყველაზე მოთხოვნადი ზღვის პროდუქტებია. ასტანა ვეგეტარიანელებისათვის შეუფერებელი ადგილია. ადგილობრივები დღის ნებისმიერ მონაკვეთში მიირთმევენ ცხენისა და ცხვრის რძეს. რაც შეეხება ალკოჰოლს, არაყი უკონკურენტოა, შემდეგ კი ადგილობრივი ღუდი მოდის.

ღირსშესანიშნაობები

ასტანა კულტურული თვალსაზრისით ძალიან მდიდარი ქალაქია. დარწმუნებული იყავით, რომ ერთი ჩასვლით ყველაფრის დათვალიერებას ვერ მოასწრებთ. დედაქალაქი ცნობილია მუზეუმების სიმრავლით, მათგან კი ხელოვნების უნიკალური ნიმუშებით უდიდეს ყურადღებას იპყრობს რესპუბლიკის მოედანზე მდებარე ხელოვნების მუზეუმი. შენობის გვერდით აღმართულია თავისუფლების მონუმენტი, აგრეთვე პრეზიდენტის რეზიდენცია, რომელიც თეთრი სახლის სახელითაა ცნობილი. უძველესი არქიტექტურული ძეგლებიდან აღსანიშნავია ხოჯა აჰმედ იოსაფას მავზოლეუმი.

მდინარე იშიმის მარცხენა სანაპიროზე გაშენებულია ეროვნული ბულვარი. აქ არის ქალაქის ახალი ბიზნეს და ადმინისტრაციული ცენტრი. ბულვარი პრეზიდენტის სასახლით მთავრდება. ამავე ტერიტორიაზეა აღმართული ბაიტერეკის კოშკი. ეს მონუმენტი ბრიტანელი არქიტექტორის, სერ ნორმან ფოსტერის მიერაა დაპროექტებული, როგორც მითოლოგიური სიცოცხლის ხისა და ჯადოსნური ჩიტის სიმბოლო. მნახველებს შეუძლიათ კოშკის წვერზე ასვლა და ქალაქის ხედით დატკბობა. აქვეა უცნაური საგნები, რომელთა დათვალიერება ნამდვილად ღირს. ბაიტერეკის კოშკამდე აღმართულია ორი ოქროს სვეტი.

თანამედროვე არქიტექტურული ძეგლებიდან „მშვიდობის პირამიდა“ პირველ ადგილზეა. შენობა ძალადობის უარყოფას და მსოფლიო რელიგიათა გაერთიანებას ეძღვნება. პირამიდაში შესული ადამიანი ხვდება სარდაფში, რომელიც გამოქვაბულის სტილშია. ამავე სართულზეა ქალაქის ოპერა. ოპერის თეატრის ზემოთ მდებარეობს კონფერენციებისათვის განკუთვნილი დარბაზი. აქ განთავსებულ უზარმაზარ მაგიდას მზის ფორმა აქვს. პირამიდის მწვერვალი მრგვალი და მთლიანად შუშისაა, ფანჯრებში ჩამონტაჟებულია თეთრი მტრედების გამოსახულებები, რომლებიც მშვიდობას განასახიერებენ.

არ შეიძლება ასტანის დატოვება ხან შატირის უნახავად. ეს გახლავთ უზარმაზარი გამჭვირვალე კარავი, ე.წ. გადახურული ქალაქი. პროექტის პრეზენტაცია ჯერ კიდევ 2006 წელს შედგა, 150 მ სიმაღლის თაღი კი ბრიტანელ არქიტექტორ ნორმან ფოსტერს ეკუთვნის. კარავი დაახლოებით 10 საფეხბურთო სტადიონის ფართობს აჭარბებს და სპეციალური გამჭვირვალე მასალისგანაა შექმნილი, რომელიც მზის შუქს ისრუტავს და კარვის შიგნით ზაფხულის ეფექტს ქმნის. გამჭირვალე კარავი ყველაზე დიდი მასშტაბური პროექტია პირამიდის შემდეგ.

უსაფრთხოების წესები

ასტანაში მოგზაურობა ადვილი არ გეგონოთ. ყოველ ნაბიჯზე სიფრთხილის გამოჩენა გმართებთ, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. ძირითად საშიშროებას ჯიბის ქურდები წარმოადგენენ, რომელთა წყალობითაც შეიძლება საერთოდ უფულოდ დარჩეთ. ისინი საკმაოდ გონივრულად და შეუმჩნევლად მუშაობენ.

რესტორნებსა და კაფეებში ხურდის შემოწმება არ დაგავიწყდეთ, რადგან მომსახურე პერსონალი ყოველთვის შეეცდება თქვენს მოტყუებას. კარი, განსაკუთრებით კი დაბნელების შემდეგ, არავის გაუღოთ, თუნდაც პოლიციის ფორმაში გამოწყობილი ადამიანი დაინახოთ.

უბის წიგნაჯი

სახელმწიფო — ყაზახეთის რესპუბლიკა;
დედაქალაქი — ასტანა;
ოფიციალური ენები — ყაზახური და რუსული;
ოფიციალური ვალუტა — ტენგე;
ფართობი — 710,1 კვ.კმ;
მოსახლეობა — 600.200.

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ

Cyan Magenta Yellow Black

ვინ რჩება მოგებული – მეამბოხე თუ მორჩილი ცოლები?

„არის ნიუანსები, რომელიც ქალმა ქმართან ურთიერთობაში აუცილებლად უნდა გაითვალისწინო“, — ასე დაიწყო საუბარი ჩვენმა რესპონდენტმა, ქალბატონმა ელენემ. ის იმ ბედნიერი გამონაკლისების რიცხვშია, ვინც საკუთარ და სხვის შეცდომებზეც ისწავლა ჭკუა და ახლა უკვე პირადი გამოცდილებით იცის, რომ მხოლოდ სიყვარული ოჯახის შესანარჩუნებლად საკმარისი არ არის. ამ ყველაფრის გათვალისწინებით დღეს მყარი ოჯახი აქვს. მის მეგობრებს კი, სამწუხაროდ, სიყვარულით შექმნილი ოჯახები დაენგრათ.

„არც ჩემი ქმარია კანფეტი, მაგრამ...“

ელენე:

— მე და ჩემი დაქალები, ანჩო და სოფო, სკოლის მერხიდან ერთად მოვდივართ. ერთმანეთს სწავლაში ვეხმარებოდით, ყველაფერში მხარში ვედექით, ვიცავდით, ვპატრონობდით. თუ რომელიმე ჩვენგანს საფრთხე ემუქრებოდა, დანარჩენი ორი წინ ვეფარებოდით. ჩვენი მეგობრობა გაუტეხელი იყო, ჩვენს „ციხესიმაგრეს“ ვერავინ იღებდა. ზოგიერთი ბიჭი ხუმრობით „სამ მუშკეტერს“ გვეძახდა, ზოგიც — „შესანიშნავ სამეულს“. ეს ერთობა სტუდენტობის წლებშიც გაგრძელდა.

— ქორწინება და ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლა ზოგჯერ ადამიანს ძველ მეგობრებს აშორებს. თქვენ ეს არ შეგეხოთ?

— ქორწინებამ ჩვენი მეგობრობა კიდევ უფრო გაამყარა, ერთმანეთს ოჯახების შექმნასა და ბინის მოწყობაშიც ხელს ვუმართავდით. ერთად პირადულ თემებსაც განვიხილავდით, რჩევებს ვაძლევდით. სხვა სხვის ომში ბრძენიაო, ნათქვამია. შენი პრობლემა სხვისი თვალით სხვაგვარად აღიქმება და შეიძლება ეს ხედვა მეტად ობიექტური იყოს, ვიდრე საკუთარი... მე და ჩემი დაქალები ერთმანეთს ყოველთვის მივუთითებდით შეცდომებზე. მე ყოველთვის ვითვალისწინებდი დაქალების რჩევებს, შეცდომებს საკუთარ თავში ვეძებდი და მათ გამოსწორებაზე ვზრუნავდი. დაქალები კი უფრო ჯიუტები აღმოჩნდნენ ქმართან ურთიერთობაში. საბოლოოდ ოჯახურ ურთიერთობაში მე ნაკლებად წაგებული დავრჩი...

პირველად მე გავთხოვდი, ცოტა ხანში ანჩო და სოფოც მომყვნენ. ერთმანეთის მეჯვარეობა ვიტვირთეთ. შვიდი წლის შემდეგ ანჩო ქმარს გაეყარა, მალევე — სოფოც. მე, ღვთის მადლით, მყარი ოჯახი მაქვს, თუმცა არავინ იცის, ვის რას უმზადებს ცხოვრება.

— ანჩოს როგორი ბედი შეხვდა?

— ანჩოს ოჯახი თბილისურ ბომონდურ წრეს ეკუთვნის. შესაბამისად, მასაც გარკვეული მოთხოვნები და პრეტენზიები აქვს. მისი ქმარი გიო კი თავისუფალი, ვერელი ბიჭი იყო. თავიდანვე ბევრს ეცადა გიო ანჩოს გულის მოგებას, რა აღარ აკეთა: ღამღამობით მის აივანზე ძვრებოდა და ღამაზ თაიგულებს ალაგებდა (ანჩო მესამე სართულზე ცხოვრობს). ჩრდილივით დაჰყვებოდა, ანჩოს მოძრაობის ტრაექტორია იცოდა. გოგოს თუ სადმე დააღამდებოდა, შინ დასაბრუნებლად ტაქსს ახვედრებდა (რადგან მას მანქანაში არ უჯდებოდა). თეატრისა და კონცერტების ბილეთებს უგზავნიდა. არ იფიქროთ, რომ თავს აბეზრებდა. თვითონ არსად ჩანდა, ინკოგნიტოდ მოქმედებდა. ანჩოს ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა და ვერ ხვდებოდა, ასეთი სიურპრიზებით ვინ ანებივრებდა. ბოლოს უნახავად შეუყვარდა.

ანჩო ელოდა, რომ ეს რომანტიკული თაყვანისმცემელი ერთ მშვენიერ დღეს ასევე რომანტიკულად გამოეცხადებოდა და თავს წარუდგენდა, მაგრამ მათი გაცნობა სრულიად პროზაულ ვითარებაში მოხდა. მეგობრის დაბადების დღეზე გახლდით და ერთმა ნაცნობმა სტუმარმა, რომელიც თავის შვილთან, პატარა გოგონასთან ერთად იყო მოსული, გიო გაგვაცნო, ჩემი ბიძაშვილიაო. იმ

„მე ყოველთვის ვითვალისწინებდი დაქალების რჩევებს, შეცდომებს საკუთარ თავში ვეძებდი და მათ გამოსწორებაზე ვზრუნავდი. დაქალები კი უფრო ჯიუტები აღმოჩნდნენ ქმართან ურთიერთობაში. აღმოჩნდა, რომ საბოლოოდ ოჯახურ ურთიერთობაში მე ნაკლებად წაგებული დავრჩი“.

ბავშვმა კი მაშინვე გაზუთხული ლექსივით ჩამოარაკრაკა, რაც გიოს შესახებ იცოდა (ეტყობა, ჩუმჩუმად უსმენდა უფროსების საუბრებს). უხერხული სიტუაცია უფროსებმა სიცილით განმუხტეს. გიო აიწურა, ბიძაშვილს თვალით ანიშნა, ეგ ბავშვი გააქრეო.

ანჩოს ერთი კი მოხვდა გულზე, რომ მისი ფარული თაყვანისმცემელი არც ალენ დელონივით ლამაზი იყო და არც ბრიუს ლივით ძლიერი და დაკუნთული, მაგრამ ამ „ნაკლზე“ მალე დახუჭა თვალი, რადგანაც უკვე გულში ჰყავდა. მერე ისიც კი თქვა, გიო ალენ დელონს კი არა, მთელ ქვეყნიერებას მირჩევნიაო.

— ასეთი სიყვარულით შექმნილი ოჯახი რამ დაანგრია?

— ქორწინების შემდეგ ცხოვრება გაუფერულდა. გიოს თითქოს ფანტაზია ამოეწურა და ცოლს ველარაფრით აცვიფრებდა, ანჩო კი მისგან გამუდმებით ითხოვდა სიურპრიზებს. თავი იჩინა მენტალურმა სხვაობამაც. კამათი და დაპირისპირება სერიოზულ ჩხუბში გადადიოდა. ანჩო თავის პოზიციებს ჯიუტად არ თმობდა. „ადრე თუ ყველაფერს ჩემი სიამოვნებისთვის აკეთებდა, ახლა რა სჭირს? ნამდვილად აღარ ვუყვარვარ“, — შემოგვჩივლებდა და ძველ დროს მისტიროდა. გიო ცოლის ჭირვეულობას ვერ იტანდა და გარე-გარე დარბოდა.

„ნუთუ არ შეგიძლია შენს სიჯიუტეს უღალატო?! კაცს რომ კერკეტი კაკალივით დაუდგები, აბა, რას მოიგებ? ცოტა სირბილე და დათმობის უნარი გამოიმუშავე“, — ჩავაგონებდი ანჩოს. მას კი არ ესმოდა, რატომ უნდა დაეთმო, როცა თავის სიმართლეში ასეთი დარწმუნებული იყო... ერთ მშვენიერ დღეს კი ანჩო ორ ბავშვთან ერთად მარტო დარჩა. ქმარი სრულიად უბრალოდ, ყველაფრის აუხსნელად სხვა ქალთან წავიდა.

— თქვენს მეორე დაქალს, სოფოს რატომ დაენგრა ოჯახი?

— სოფო, ერთი შეხედვით, ნაზი და ქალურია, მაგრამ მამაკაცური ბუნება აქვს. შეიძლება ითქვას, ზედმეტად აქტიური და ძლიერი ქალია. ქმარი კი მისი ანტიპოდი შეხვდა. ავთოს ვაჟკაცური გარეგნობის მიღმა ნაზი და ფაქიზი სული იმალება. ამასთან, ძალიან დამყოლი და თვინიერია. შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ადამიანები ამგვარი განსხვავებული ხასიათით ერთმანეთს ავსებენ, მაგრამ არც მთლად ასეა საქმე. სოფომ თავისი ძლიერი ხასიათით ქმარი ღამის შეჭამა. ავთოს პიროვნება დომინანტი ცოლის გვერდით საერთოდ ჩაკვდა, ჩაიკარგა. სოფო ბიზნესლედია, მანქანით დაქრის და დილიდან საღამომდე თავის საქმეშია ჩართული. სულ ახალ-ახალ წამოწყებებს ეპოტინება. რა თქმა უნდა, ყველაფერში არ უმართლებს, მაგრამ რისკიანია. საქმეების გარჩევაც შეუძლია, კაცებს ტოლს არ უდებს. საუბრის მანერა და მეტყველებაც კი მამაკაცური გაუხდა.

ავთო ბიზნესლედის გვერდით დიასახლისის ამპლუაში აღმოჩნდა, ეს მთასავით კაცი ბავშვებსაც უვლიდა, სახლსაც მტვერსასრუტით წმენდდა და კულინარიულ საქმეებსაც მშვენივრად ართმევდა თავს. საღამოობით ქოთქოთით დაბრუნებულ ცოლს, რომელიც კომპანიონებთან სახლშიც აგრძელებდა საქმიან საუბრებს, ცხელ სადილს ახვედრებდა.

შემდეგ ისე მოხდა, რომ მეგობარმა ავთოს რაღაც საქმე შესთავაზა. სოფომ მასხრად აიგდო, ეგ შენი ხელფასი სიგარეტისთვისაც არ გეყოფა, ჯობია, სახლში დარჩე და შვილებს მიხედო. ავთოს ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა, მისი ოჯახისთვის როგორ იქნებოდა უკეთესი, მაგრამ მეგობარმა შეაგულიანა, ანაზღაურებას მოგიმატებენ, პერსპექტიული საქმეა, როგორ არ მოგბეზრდა ცოლის ხელებში ყურებაო. ბავშვები ძიძას ჩააბარეს და ავთოც სამსახურს შეუდგა. თავის მდგომარეობას უკვე სხვაგვარად შეხედა, ძველი ამპლუა იუკად-

Cyan Magenta Yellow Black

რისა და ამ თვითგამორკვევის და თვითდამკვიდრების პროცესში ცოლს აუჯანყდა.

— სოფო კი ჯელარ შეეგუა ქმრის დაწინაურებულ პოზიციას?

— სოფო პირველობას არ თმობდა, ქმარს ზემოდან უყურებდა, თავის აზრებს ახვევდა, გემოვნებას უწუნებდა, მასხრადაც იგდებდა.

ერთხელაც ავთოში კაცურმა ბუნებამ გაიღვიძა და ცოლს შემოსწყრა. მერე პროტესტის ნიშნად შინიდან წავიდა და ღამეებს ძმაკაცთან ათენებდა. სოფომ ქმრის დასაბრუნებლად არაფერი იღონა, შინიდან არავის გაუგდია და როგორც წავიდა, ისევე მობრძანდესო. ვურჩიე, მასთან მართალი არ ხარ, იმ დამოკიდებულებას, რასაც ქმრის მიმართ ამჟღავნებ, ვერც ერთი კაცი მოითმენს-მეთქი.

— მას შემდეგ ავთო უკან აღარ დაბრუნებულა?

— დაბრუნდა, მაგრამ შემდეგ საბოლოოდ წავიდა. მათი გაყრის მიზეზი ის გახდა, რომ ავთომ სხვა ქალთან გააბა რომანი, რომლის გვერდითაც თავი სრულფასოვან მამაკაცად იგრძნო. ფულიც იშოვა და დამოუკიდებელ გზას დაადგა. მის ცხოვრებაში წინ-

„ურთიერთობის დალაგება ქალზეა დამოკიდებული. მშიერ კაცს საყვედური არ უნდა უთხრა, ჭამა აცალო და ოჯახურ პრობლემებზე მერე ელაპარაკო. თუ იეჭვიანებ, შენი ეჭვი ყელში არ უნდა ამოუყვანო, ჯობია, აგრძნობინო, რომ ის შენთვის ძვირფასია. თუ რამეს უკეთებ, არ უნდა დაამადლო... უნდა ეცადო, ქმრის წინაშე შენი ღირსებები წარმოაჩინო და მისი პატივისცემა არ დაკარგო".

საფრების დრო დამთავრდა. ოჯახის დანგრევა არ უნდოდა, მაგრამ ცოლისგან მიღებულ ხიშტებს სხვა ქალის სითბო და ალერსი ამჯობინა. შვილებს პატრონობს, სოფოსთან კონტაქტს კი ერიდება.

ამას წინათ შევხვდი, ახალ ცოლთან ერთად რესტორანში იჯდა. საუცხოოდ გამოიყურებოდა, მაშინვე ვერც ვიცანი. ნამდვილი ჯენტლმენი იყო. ის ქალი ისეთი მოწიწებით და პატივისცემით ექცეოდა, ნებისმიერ კაცს მონუსხავდა.

— სოფომ ასეთი ქმრის დაკარგვა არ ისანა?

— გულის სიღრმეში ინანა, მაგრამ არ აღიარა. ყველაფრის მიუხედავად, ავთო უყვარდა.

მე და ჩემი დაქალები ხშირად ვიკრიბებით და განტვირთვის დღეებს ვიწყობთ. კარგია, რომ ერთმანეთი გვყავს.

— თქვენზეც გვიამბეთ, როგორ შეძელით ქმართან ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნება? ცხოვრება გვიჩვენებს და თქვენი მონათხრობიც ადასტურებს, რომ ძლიერი და მყარი ოჯახისთვის სიყვარული აუცილებელია, მაგრამ საკმარისი არ არის.

— ცხოვრება რთულია, ათასნაირ განსაცდელს მოგივლენს, მაგრამ სიყვარულმა, პატივისცემამ და ოჯახის შენარჩუნების დიდმა სურვილმა ყველა გაჭირვება, სირთულე უნდა დაგაძლევინოს. არც ჩემი ქმარია „კანფეტი", ხასიათი მუდმივად უნდა შეუწყო. ზოგჯერ გამოწვევას იწყებს და, თუ ავყვები, აუცილებლად ვიჩხუბებთ. როცა მოთმინება არ მყოფნის და წონასწორობას ვკარგავ, საქმე ცუდად მიდის.

ურთიერთობის დალაგება მაინც ქალზეა დამოკიდებული, ლავირება უნდა შეძლო. მშიერ კაცს საყვედური არ უნდა უთხრა, ჭამა აცალო და ოჯახურ პრობლემებზე მერე ელაპარაკო. თუ იეჭვიანებ, შენი ეჭვი ყელში არ უნდა ამოუყვანო, ჯობია, აგრძნობინო, რომ ის შენთვის ძალიან ძვირფასია. თუ რამეს უკეთებ, არ უნდა დაამადლო... ერთი სიტყვით, არის ნიუანსები, რაც ქალმა ქმართან ურთიერთობაში უნდა გაითვალისწინო. რაც მთავარია, უნდა ეცადო, ქმრის წინაშე შენი ღირსებები წარმოაჩინო და მისი პატივისცემა არ დაკარგო.

✓ ნანა ჯობახიძე

წარმატებული სწავლისთვის

სამეცადინო ზონა ოთახში — ეს არის ადგილი, სადაც კითხვა, კომპიუტერთან მუშაობა, გაკვეთილების მომზადება, თვითგანათლებაზე მუშაობა კომფორტულია.

ცოდნის ზონაში უნდა იყოს სივრცე და სინათლე, არავითარი ხარახურა და მტვერი. ბინა ხშირად გაანიავეთ, მაგიდიდან ყველაფერი ზედმეტი აიღეთ, სანაგვე ყუთი ცარიელი გქონდეთ. მაშინ დადებითი ენერგია — ცი — თქვენი ცოდნის ზონაში თავისუფლად იმოძრავებს და წაკითხულს ადვილად შეითვისებთ, ინფორმაციას სწრაფად დაიმახსოვრებთ და გააანალიზებთ, თქვენს შეცდომებს გააცნობიერებთ, მათგან სასარგებლო გაკვეთილებს მიიღებთ და სწორ დასკვნებს გააკეთებთ.

ოჯახის კეთილდღეობისთვის

თუ ოთახში კიბე გაქვთ, გახსოვდეთ: მის ქვეშ არ უნდა იყოს წყლის ობიექტები ან სიმბოლოები. წყლის სტიქია თქვენი სახლის საძირკველს „გამორეცხავს" და მთელ ოჯახზე დამანგრევლად იმოქმედებს. მოცემულ შემთხვევაში არა დიზაინერებს, არამედ აღმოსავლურ სიბრძნეს ენდეთ: კიბის ქვეშ პატარა საკუჭნაო გქონდეთ. ის თავისებური საყრდენი იქნება კიბის, რომელიც განვითარება-აღმვლობის სიმბოლოა. მაშინ უბედურება გვერდზე ჩაგივლით. თქვენი ოჯახის კეთილდღეობა დაცული იქნება.

ოჯახის ბარაქისთვის

სახლში სიუხვე რომ იყოს, ცოტა სამზარეულოს დიზაინზე იზრუნეთ. ამისთვის საჭიროა მაცივარზე მიაკრათ მაგნიტი ხილის (მარწყვი, ფორთოხალი, ვაშლი) გამოსახულებებით, რომლებიც სიძლიერისა და აყვავების სიმბოლოა. გარდა ამისა, კედელზე დაკიდეთ სურათი ზევით „მაცქერალი" მზესუმზირის გამოსახულებით. ეს კი შემოსავლის ზრდის, განვითარებისა და მაღალი მიზნების მიღწევის სიმბოლოდ ითვლება. ხოლო წითელი ფერის ყვავილები თქვენს ფინანსებს დაიცავს.

სუფთა სახლი

როგორ გავასუფთაოთ სახლი უარყოფითი ენერგიისგან? ამისთვის აუცილებელია კვირაში ერთხელ მაინც, იატაკი მარილიანი წყლით გარეცხოთ. წყალში ერთი ჩაის კოვზი მარილი და 2-3 წვეთი ლავანდის ზეთი დაუმატეთ. ამ სითხით ბინის ყოველი კუნჭული გაასუფთავეთ, უყურადღებოდ არ დატოვოთ ყველაზე ბნელი და ძნელადმისაწვდომი ადგილები. მიჩნეულია, რომ ეს რიტუალი ცუდ ენერგიას დევნის და ფინანსური რესურსების მოდენას ზრდის.

კარგი გუნება საწოლიდანვე გამოიყოლეთ

ღილით ადვილად რომ გამოფხიზლდეთ და მთელი დღის განმავლობაში თავი მხნედ იგრძნოთ, ამისთვის სწორად გაღვიძება-წამოდგომა ისწავლეთ.

თვალები გაახილეთ, ახალი დღით გაიხარეთ. ახლობლებსა და საყვარელ ადამიანებზე იფიქრეთ, შემდეგ — იმაზე, ეს დღე როგორი გსურთ, ისილოთ.

დაფიქრდით, ამ დღეს რას გააკეთებთ. ყველა საქმეში პლუსები, დადებითი მხარეები ეძებეთ.

გაიზმორეთ, ეს ორგანიზმს ძილისგან სწრაფად გამოფხიზლებაში ეხმარება.

დამთქნარება ორგანიზმს ჟანგბადით გაჯერებაში ხელს უწყობს. შემდეგ რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქეთ და ამოისუნთქეთ.

თავზე, კეფაზე, საფეთქლებზე, ყურის ნიჟარებზე მასაჟი გაიკეთეთ. ეს თავისკენ სისხლის დინებას უზრუნველყოფს.

შემდეგ საწოლში მსუბუქი ვარჯიში შეასრულეთ. თითები მუჭად შეკარით და გაშალეთ. იდაყვებში, თითებში, მხრებში ბრუნვითი მოძრაობები გააკეთეთ. ასევე დაისრისეთ ფეხის სახსრები — მუხლებზე, ფეხის თითებში, ბარძაყებზე.

ხელისგულები ერთმანეთს გაუსვით და შემდეგ მთელ სხეულზე მასაჟი გაიკეთეთ ზევიდან ქვევით. ეს საჭიროა სისხლის მიმოქცევის აღსადგენად.

შეგიძლიათ საწოლიდან წამოდგეთ. ეს აუჩქარებლად გააკეთეთ. ჯერ საწოლში წამოჯექით, ცოტა ხნის შემდეგ ფეხები ძირს ჩამოუშვით და მხოლოდ ამის შემდეგ ადექით. გახსოვდეთ: მდგომარეობის მკვეთრად ცვლა ორგანიზმისთვის სტრესია.

სარკესთან მიდით და თავს გაუღიმეთ. საკუთარ გამოსახულებას სიყვარულით შეავლეთ თვალი. ეს სეროტონინის — სიხარულის ჰორმონების — გამომუშავებას ასტიმულირებს.

დაბოლოს, სანამ ისაუზმებთ, ერთი ჭიქა წყალი დალიეთ. მაშინ საუზმე ცარიელ კუჭში არ მოხვდება. ეს ამ მნიშვნელოვან ორგანოს დაეხმარება, მუშაობას მწყობრად შეუდგეს.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

როგორ დავალაგოთ ურთიერთობები განქორწინების შემდეგ

ქალი ოჯახის მფარველი, დამცველია, მაგრამ გაყრის შემდეგ სწორედ ის ხდება მიზეზი, რომ ბავშვი უმამოდ რჩება.

სამწუხაროდ, „ინტელექტუალური“ განქორწინების შედეგადაც კი ყოფილ მეუღლეებს საერთო ენის გამოძებნა უჭირთ. ურთიერთპრეტენზიები დიდხანს გრძელდება, განსაკუთრებით ქალების მხრიდან. არადა არსებობს ბევრი მიზეზი იმისთვის, რომ ოჯახის დანგრევის შემდეგ კარგი ურთიერთობა შენარჩუნდეს.

ქალური შეცდომები

1. გაყრის შემდეგ ქალი დიდხანს რჩება სტრესულ მდგომარეობაში. ყოველდღე აანალიზებს თავის შეცდომებს, თავში ატრიალებს ქმრის დაუდევრობისა და წინდაუხედაობის მაგალითებს და ცდილობს, გაიგოს, რის გამო დაინგრა ოჯახი. ამ აზრებს მალე სხვა ფიქრები ენაცვლება. იმედი აქვს, რომ „ის მიხვდება, რა დაკარგა, დაიტანჯება, დაბრუნდება“. ქმარი კი ამ დროს ახალ ურთიერთობებს აგებს, ბედნიერებას ეძებს, ცხოვრებით ტკბება. ყველაფერი ეს, საბოლოო ჯამში, ქალის თავმოყვარეობას მტკივნეულად ურტყამს.

2. როდესაც სიტყვები არ ჰყოფნის, ქალი საქმეზე გადადის და ყოფილი ქმრის დაშანტაჟებას ბავშვით იწყებს, მისით მანიპულირებს. სამწუხაროდ, მშობლების დაცილების შემთხვევაში, ყველაზე მეტ ნეგატივს სწორედ ბავშვები იღებენ. მათზე ვლინდება დედობრივი ეჭვი („რადგან ასეთი კარგი მამიკო გყავს, მაშინ მან გიყიდოს ტელეფონი“), მოჩვენებითი ზრუნვა („არ შეიძლება კომპიუტერში 20 წუთზე მეტხანს თამაში, მაშინაც კი, თუ ეს მამის საჩუქარია“), შეგულიანება („მამაშენი უპასუხისმგებლო და ცუდი ადამიანია, მისგან კარგს არაფერს ისწავლი“)... სწორედ ბავშვზე იფრქვევა ორივე მშობლის აგრესია, დედის მხრიდან — ღიად, მამის მხრიდან — ფარულად.

3. ქმართან გაყრის შემდეგ ქალი დროთა განმავლობაში ყოფილი ქმრის ყველა ახლობელს — ნათესავებს, მეგობრებს შორდება. ამავდროულად ივიწყებს როგორც საკუთარ ინტერესებს (უარს ამბობს ურთიერთობაზე კარგ მეგობართან მხოლოდ იმიტომ, რომ ის ქმრის დაა), ასევე შვილისას (ყოფილი დედამთილ-მამამთილი ბავშვის ბებია და ბაბუა არიან).

ქცევის წესები

ანალიზზე დროს ნუ დახარჯავთ: გატეხილი ფინჯანი არ გამთელდება. გააგრძელეთ ცხოვრება, ეძებეთ ახალი ურთიერთობები და მონაწილეობას ნუ მიიღებთ წამგებიან რბოლაში — თქვენ შორის ვინ უფრო მალე ააწყობს ახალ ცხოვრებას.

ნუ გამოიყენებთ ბავშვს იარაღად — ის ამას მომავალში არაფრით გაპატიებთ. მამისგან ჩამოშორებით მას არ-თმევთ იმას, რაც არ გეკუთვნით: მამაკაცთან ურთიერთობის გამოცდილებას. თავში ძალა იპოვეთ და ბავშვებს, მათ მამასა და მისი მხრიდან ბებია-ბაბუას შორის ურთიერთობა დაალაგეთ.

შესაძლებლობის მიხედვით, ურთიერთობა ააწყვეთ ყოფილი ქმრის ახალ ოჯახთან (თუ მისი ახალი ცოლი თქვენი დაშორების მიზეზი არ იყო). ახალი ქორწინებიდან ამქვეყნად მოვლენილი ბავშვები შეიძლება მომავალში თქვენი შვილისთვის საყრდენი გახდნენ. ქმრის ახალ ოჯახს ჯანსაღი პრაგმატიზმით მიუდექით.

თქვენი ინტერესები ბოლომდე დაიცავით, მაგრამ დიპლომატიური იყავით. გაყრის შემდეგ ქალები ხშირად ცდილობენ, თავიანთი სიამაყე და დამოუკიდებლობა აჩვენონ და უარს ამბობენ ქონებაზე, რომელზეც კანონიერი უფლება აქვთ. ასეთი ქცევით სურთ, ყოფილ ქმარში დანაშაულის გრძნობა აღძრან, მაგრამ ქალის უარს მამაკაცი ისე იგებს, რომ მისი დახმარების აუცილებლობის საჭიროება არ არსებობს. განაცხადეთ პრეტენზიები ბინაზე, ალიმენტზე, ბავშვის ხარჯები გაიყავით, მაგრამ გამოძალვას ნუ შეეცდებით. მოითხოვეთ მხოლოდ ის, რაც კანონით გეკუთვნით.

საერთოდ მზად იყავით იმისთვის, რომ ეს მამაკაცი, განსაკუთრებით, თუ საერთო შვილი გყავთ, ასე თუ ისე, ყოველთვის თქვენს ცხოვრებაში დარჩება.

შინაური დეპილაცია

თანამედროვე კოსმეტოლოგია სხეულზე თმის დეპილაციის საშუალებებისა და მეთოდების დიდ არჩევანს გვთავაზობს, მაგრამ ხალხურ საშუალებებს ადრინდელი აქტუალობა არ დაუკარგავთ და დღესაც უცვლელი პოპულარობით გამოიყენება.

მწვანე ყურძენი

ყურძნის წვენი (უმჯობესია ველური ვაზის) დეპილაციის რთულ საქმეში დაგეხმარებათ. ეს საშუალება განსაკუთრებით კარგია თმის მოსაცილებლად სხეულის მგრძნობიარე კანზე, სახეზეც კი. უმწიფარი ყურძნის წვენი გამოწურეთ და პრობლემურ ადგილებზე წაისვით. პროცედურა ყოველდღიურად გაიმეორეთ.

ჯედრის თხილი

მას ხშირად იყენებენ არასაჭირო თმასთან საბრძოლველად. კედრის თხილის ნაჭუჭი დაფქვით, ცოტა ცხელი წყალი დაუმატეთ და მიღებული მასა კანის პრობლემურ ადგილებზე დღის განმავლობაში რამდენჯერმე შეიზილეთ. თმა სამუდამოდ უნდა გაქრეს.

ლიმონის საშუალება

1 ჩაის კოვზი ლიმონმჟავა და 1 ჭიქა შაქარი, რომელშიც დამატებული იქნება 3 სუფრის კოვზი ადუღებული წყალი, გულმოდგინედ აურიეთ. ამის შემდეგ მასა დაბალ ცეცხლზე, პატარა ჭურჭელში გაადნეთ მაზისმაგვარ მდგომარეობამდე. როდესაც მასა ასატან ცხელ ტემპერატურამდე გაგრილდება, თმის საფარზე დაიდეთ, რათა კანზე დაეფინოს და დაელოდეთ, სანამ გახმება. შემდეგ ხელის ძლიერი გაკვრით წარმოქმნილი ქერქი მოიშორეთ. ეს მეთოდი ბევრს არ მოსწონს, ვინაიდან მტკივნეულია.

ჭინჭარი

მისი თესლები თმის ბოლქვზე დამანგრევლად მოქმედებს. ჭინჭრის თესლების ზეთი რეგულარულად გამოყენებისას სხეულზე თმას აცლის. 40 გრამი თესლი დაფქვით. დაახლოებით 100 მლ მცენარეული ზეთი დაასხით. ნარევი ბნელ ადგილას 2 თვე დადგით. მზა ნაყენი გაწურეთ და კანზე იმ ადგილებში წაისვით, სადაც თმის მოცილება გსურთ.

ჯაჯი

ეს საშუალება მეტად პოპულარულია. მწვანე, უმწიფარი კაკალი შუაზე გაჭერით და გამოყოფილი წვენი პრობლემურ ადგილებზე წაისვით. შეგიძლიათ წვენისგან დეპილაციისთვის ლოსიონი მოამზადოთ (წვენში ცოტა არაყი დაუმატეთ კონსერვაციისთვის). 2-3 ასეთი პროცედურის შემდეგ თმა გაღიავდება და დასუსტდება. ხოლო თუ კურსს ხანგრძლივად გააგრძელებთ (4 კვირა და მეტი), თმა სამუდამოდ გაქრება.

ასევე სასარგებლოა მწვანე ნიგვზის ლებნებს შორის არსებული ტიხარი, ე.წ. ჟღელი. 50 გრამი კაკალი დაამტვრიეთ და ჟღელი შეაგროვეთ. შემდეგ 150 მლ სპირტთან ერთად მუქი ფერის მინის ჭურჭელში გადაიტანეთ და ერთი კვირა ბნელ და გრილ ადგილას დადგით. როდესაც ნაყენი მზად იქნება, თმიან ადგილზე წაისვით. ეს უნდა გააკეთოთ ძილის წინ, ყოველდღიურად 2-3 კვირის განმავლობაში, მაგრამ ამ პერიოდში სხვა საშუალებები არ გამოიყენოთ.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

ცივი და ცხელი კომპრესები — როდის და როგორ გამოვიყენოთ

ცივი და ცხელი კომპრესების დადებით პირდაპირი ზემოქმედება ხდება მტკივნეულ ორგანოებზე, იხსნება სპაზმი, ცხრება ანთებითი პროცესი და ტკივილი მსუბუქდება. აქვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ თითოეულ მეთოდს აქვს თავისი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, რომელთა ცოდნაც სავალდებულოა ყველასათვის, განსაკუთრებით დედიკოებისთვის, რომლებიც შვილებისთვის კომპრესების გამოყენებას აპირებენ.

მართალია, დღეს სამკურნალო პრეპარატების ფართო არჩევანია, მაგრამ პარალელურად ამ მეთოდის გამოყენება, რა თქმა უნდა, პრობლემას არ წარმოადგენს, პირიქით, ეფექტი საკმაოდ მოკლე დროშია თვალშისაცემი.

თბილი ჰოცედეჩები

სითბო ანთებითი პროცესის დროს ტკივილის და სპაზმის მოხსნას ეხმარება, აფართოებს სისხლძარღვებს. თბილი საფენის გამოყენება უკუნაჩვენებია ტრავმის დროს, აპენდიციტის, ცისტიტის, პანკრეატიტის შემთხვევებში, ასევე გაურკვეველი ხასიათის მუცლის ტკივილების დროს, კანის დაავადებების, დერმატიტის, ფურუნკულოზის შემთხვევებში.

სათბუა

ეს სახლის პირობებში ყველაზე მარტივი საშუალებაა, მაგრამ, როცა ბავშვისთვის ვიყენებთ, ყურადღებით უნდა შეარჩიოთ სათბურაში ჩასასხმელი წყლის ტემპერატურა. ის არ უნდა აღემატებოდეს 40 გრადუსს, რადგან ბავშვის კანი ნაზი და მგრძნობიარეა და სავსებით შესაძლებელია, დამწვრობა გამოიწვიოს. უსაფრთხოებისათვის კარგი იქნება, თუ სათბურას პირსახოცში გაახვევთ და ისე დაადებთ ბავშვს. თბილი სათბურას გამოყენება კარგია მუცლის ჭვალის დროს. შეახვიეთ ის პირსახოცში და ისე დაადეთ რამდენიმე წუთით პატარას მუცელზე.

შაჯიის ღრუ

ამ ტიპის თავის ტკივილების არსებობისას საჭირო ერთდროულად როგორც თბილი, ისე ცივი საფენების გამოყენება. თავზე ცივი საფენი უნდა იყოს, ფეხებთან კი — თბილი.

სპირიტიანი კომპრესები

მისი მოქმედების ვადა რამდენიმე საათია და ეფექტურია სიცხის დაწევის მიზნით. აიღეთ არაყი ან სპირტი და იმავე რაოდენობის წყალში გააზავეთ. ამ ხსნარში პირსახოცი დასველეთ, კარგად გაწურეთ და საგულდაგულოდ დაუზილეთ პატარას მთელი სხეული.

აუცილებელია იმის ცოდნა, როგორ გამოიყენოთ კომპრესები. ბინტი ან მარლა უნდა დასველოთ სპირტში, კარგად გაწუროთ, დააფინოთ საჭირო ადგილზე, ზემოდან დააფაროთ პატარა ზომის პოლიეთილენი, მის ზემოდან კი უფრო თბილი ნაჭერი, მაგალითად, ფლანელი, მიტკალი. შეგიძლიათ ამის შემდეგ კომპრესი ელასტიკური ბინტით გადაახვიოთ. რამდენიმე საათის შემდეგ მოხსენით ბავშვს კომპრესი და მიეცით მის კანს ნორმალურად სუნთქვის საშუალება. ბრონქიტის დროს ხშირად იყენებენ, მაგალითად, თხის ქონის კომპრესებს, რომელსაც ღამით დაძინებამდე აფენენ პატარას მკერდზე, უხვევენ და დილამდე აჩერებენ.

კომპრესი ხშირად გამოიყენება ყურის ტკივილის (ოტიტის) დროსაც, რომელიც საკმაოდ ხშირი ჩივილია პატარებში. თუ ბავშვი უკვე მეორე დღეა უჩივის ყურის ტკივილს, მხოლოდ სათბურა და თვითმკურნალობა კატეგორიულად დაუშვებელია. შვილი აუცილებლად მიიყვანეთ ოტოლარინგოლოგთან. თუ ექიმი ნებას დაგრთავთ, შეგიძლიათ შემთბარ სპირტში დასველებული მარლა ბავშვს გარედან ყურზე ისე დაადოთ, რომ ნიჟარა არ დაფაროთ. ზემოდან დააფინეთ ცელოფანი და შემდეგ ბინტით, შარფით გადაუხვიეთ ან ქუდით დააფარეთ. ასეთი კომპრესის გაჩერება დასაშვებია მთელი ღამით.

ნანემსარის ტკივილის შემთხვევაში 3-4 საათის განმავლობაში, დღეში ერთხელ ან მაქსიმუმ ორჯერ შეგიძლიათ დააფინოთ თბილი სპირტიანი კომპრესი.

ცივი ჰოცედეჩები

რაც შეეხება ცივ კომპრესს, ის ნერვული სისტემის საშუალებით კანის პერიფერიულ რეცეპტორებზე ანუ მთელ ორგანიზმზე ზემოქმედებს. იწვევს სისხლძარღვების შევიწროებას — სპაზმს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტრავმისა და დაზიანების დროს.

ცივი პროცედურები აყუჩებს ტკივილს, მაქსიმალურად ამცირებს დალურჯების ალბათობას.

რაც შეეხება უკუჩვენებას, ცივი კომპრესის ხანგრძლივად გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს ბავშვის გაცივება. ასევე არსებობს ალბათობა, რომ ძლიერი გადაცივების შემთხვევაში ანთებითი პროცესები განვითარდეს.

ცივი კომპრესის გამოყენება კარგია ცხვირიდან სისხლდენის დროს. ამ შემთხვევაში რაც უფრო ცივია კომპრესი, მით უკეთესი. კარგი იქნება, ყინულის ნატეხი პატარა პირსახოცში გაახვიოთ და ასე დააოდოთ რამდენიმე წუთით ბავშვს ცხვირზე, წამოაწვინოთ და თავი უკან გადააწევინოთ.

წაქცევის, სილურჯეების და კოპების დროს კარგია როგორც ცივი, ისე ყინულიანი კომპრესის გაკეთება. პატარას გაციება თავიდან რომ აიცილოთ, ასეთი კომპრესი 20 წუთზე დიდხანს არ გააჩეროთ 10-10 წუთიანი ინტერვალებით.

მაღალი სიცხის დროს ასევე გამოიყენება ცივი კომპრესი: ცივ წყალში თანაბარი რაოდენობით უნდა ჩაასხათ ძმარი, დაასველოთ მასში პირსახოცი, ბავშვი დააწვინოთ და პირსახოცი დააფინოთ მუხლების მოსახარში, ხელებსა და შუბლზე. ამ დროს პატარას აუცილებლად დააფარეთ თბილი პლედი ან საბანი.

ზრდილობიანი შვილი გეზრდებათ?!

ზრდილობასთან დაკავშირებული თემა საკმაოდ აქტუალური და პრობლემურიცაა მშობლებისათვის. ზრდილობის ფორმულირება, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო მარტივია იმ ბავშვისათვის, ვისთვისაც ურთიერთობა და კომუნიკაცია პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ ხშირად პატარა ასაკის ბავშვების ნაწილს არ აქვთ გამართულად, გარკვევით საუბრის უნარი, ამიტომ ისინი სათქმელს ჟესტებით გამოხატავენ. ეს ეხებათ 2-3 წლის პატარებს, რაც იდეალური ასაკია იმისათვის, რომ ბავშვს ზრდილობიანი ქცევა ვასწავლოთ. მაგალითად, ის, რომ საჭიროა ყოველ დილით გამარჯობის თქმა, ასევე დამშვიდობება, მადლობის გადახდა, უფროსებისადმი თქვენობით მიმართვა და სხვა.

სამწუხაროდ, დღეს ბავშვების საკმაოდ დიდი ნაწილი, მოზრდილ ასაკშიც კი, არ გამოირჩევა დიდი ზრდილობითა და კულტურით. ამ ყველაფერზე ყურადღების გამახვილება საჭიროა სწორედ პატარაობიდანვე დავიწყოთ და შემდგომშიც ვადევნოთ თვალი, თუ რამდენად ზრდილობიანი შვილი გვეზრდება.

საჭიროა, ბავშვს პატარაობიდანვე ვასწავლოთ, რომ ის ვალდებულია, უფროსის მიერ დასმულ ყველა შეკითხვას პასუხი გასცეს, თანატოლებსა და უფროსებს მიმართოს თხოვნით და არა — მოთხოვნით.

აუცილებელია, შვილს ვასწავლოთ თანატოლებთან თამაშის კულტურა და ასევე წესებისა და სიმშვიდის დაცვა როგორც მოგების, ისე წაგების შემთხვევაში. დაე, ათხოვოს თავისი სათამაშოები თანატოლებს. ასევე აუცილებლად უნდა მივცეთ უფლება, თავადაც ითხოვოს სხვისი ნივთები, ოღონდ მოუფრთხილდეს და შემდეგ პატრონს დაუბრუნოს.

შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ეს არ მოითხოვს განსაკუთრებულ სწავლებასა და ხაზგასმას, მაგრამ, გვერწმუნეთ, ცდებით. ბავშვმა თანატოლებთან და უფროსებთან ნორმალური კომუნიკაცია რომ შეძლოს, იყოს ზრდილობიანი და კულტურული, აუცილებელია მშობლების ყურადღება და გვერდში დგომა.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა

Cyan Magenta Yellow Black

პაციენტის ნაკბენი, სექსოპათოლოგისგან გაბედნიერებული ქალი და პროფესიული ანეკდოტები ექიმ ენდოკრინოლოგისგან

ექიმ ენდოკრინოლოგ კობა ბურნაძის კლინიკა „ენმედიცის“ პაციენტთა უმრავლესობას „გაქანებული“ ნევროზი აქვს. ზოგი, თქვენ წარმოიდგინეთ, იკბინება კიდეც, ზოგი დანით უვარდება ექიმს კაბინეტში. ასეთ პირობებში იუმორის გრძნობის გარეშე, მედიკოსები, რა თქმა უნდა, ვერ იმუშავებდნენ. თავად კობა ექიმიც დიდი იუმორისტია. თავის პრაქტიკაში იმდენი კურიოზი დაუგროვდა, ერთი ტომის დაწერა შეუძლია. მათი მცირე ნაწილი „სარკესაც“ უამბო და ფეშქაშად სამედიცინო ანეკდოტებიც მოაყოლა.

კობა ბურნაძე:

— ექიმის პროფესია საკმაოდ მძიმეა — ყოველდღიურად დაავადებულ ადამიანებთან გვიწევს ურთიერთობა, მაგრამ თუ მუდმივად მიდარაჯებული იქნები, პაციენტები რას იტყვიან და გააკეთებენ სასაცილოს, იმდენი რამე შეიძლება აკრიფო, რომ კურიოზების ერთი ტომი დაწერო. ყოველთვის არ ვაქცევ ყურადღებას, მაგრამ ზოგჯერ ისეთი რამ ხდება, შეუძლებელია, არ დაიმახსოვრო.

ჩვენს კლინიკაში რამდენიმე ნევროლოგია, რადგან ენდოკრინული დაავადებების და განსაკუთრებით ჩიყვის დროს ნევროზი იჩენს ხოლმე თავს. ჩიყვი ძალიან ამწვავებს ნევროზულ ფონს და ზოგ ნევროლოგთან მუდმივი რიგია. მიღება ჩაწერითაა. ხანდახან ერთი თვით ადრეც კი უნდა ჩაეწეროს პაციენტი, რომ მათთან მოხვდეს. ზოგს ვერ გააგებინებ, რომ რიგი უნდა დაიცვას და პაციენტებს შორის დიდი კონკურენციაა ხოლმე. საერთოდ ქართველებს ხომ ძალიან უჭირთ რიგში დგომა და, მით უმეტეს, თუ ნევროზი აქვთ. ყველა თავისებურად გამოხატავს — ზოგი იგინება, ზოგი იწყევლება, ზოგი ილანძღება და, თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგი იკბინება კიდეც.

— ვის კბენენ, სხვა პაციენტებს?

— არა, ჩვენს თანამშრომლებს. ზოგ ექიმს რეგლამენტივით აქვს დაწესებული, რომ დღეში 25 კაცზე მეტი არ მიიღოს. ხანდახან, როცა ვერ გააგებინებ, რომ ექიმიც ადამიანია და მეტი არ შეუძლია, უცნაურ გზებს მიმართავენ. ჩვენს რეგისტრატურაში მომუშავე გოგონას ერთმა უთხრა, რაიონიდან ვარ ჩამოსული და დღეს უნდა მიმიღოსო. არადა ჩვენი პაციენტია და ვიცით, რომ თბილისში ცხოვრობს. ეს გოგონა უხსნიდა, რომ ექიმს მეტი პაციენტის მიღება არაფრით შეეძლო, მაგრამ ვერ გააგებინა. უფრო მეტიც, მივარდა იმ გოგოს, დაიჭირა მისი ხელი და უკბინა. გოგომ ისე დაიწივლა, მთელი კლინიკა ფეხზე დადგა.

— როგორც ვიცი, კბენით ისეთი დაავადებები გადადის, როგორიცაა ცე ჰეპატიტი, შიდსი და ა.შ.

— ცოფიც გადადის. ვფიქრობდით, რომ თანამშრომელი გოგონა აგვეცრა, მაგრამ ისეთი ღრმა ნაკბენიც არ იყო, რომ ეს ზომები მიგვეღო.

იყო ერთი შემთხვევა, როცა პაციენტს რიგში დგომა არ უნდოდა და ექიმს დანით შეუვარდა. საოცრება გააკეთა — სხვა ექიმის ზურგს უკან დაიმალა და ისე შეიპარა კაბინეტში. ექიმმა მოუწოდა, რიგი დაიცავითო, მან კი უცებ დანა დააძრო, მაგიდას ჩაარტყა, ახლავე მომიღე, თორემ შენც დაგარტყამო. ეს ამბები სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

— ასეთ დროს პოლიციას არ მიმართავთ?

— კი შევაშინეთ, პოლიციას გამოვუძახებთ, თუ არ დაწყნარდები-თქო, მაგრამ ასეთს კიდევ პოლიცია უნდა?! ნევროზი აქვს და მკურნალობა სჭირდება. ახალგაზრდა, 32 თუ 33 წლის იყო, მაგრამ საშინლად აგრესიული.

„35 ნლამდე მამაკაცს შარდის ანალიზის ჩაბარება სთხოვა ექიმმა. ჭურჭელი რომ მიუცია, უთქვამთ, აი, ამ ნიშნულამდე აავსეო. იმ კაცს თურმე იქვე დაუწყია მოსაქმება — მითხარით, სადამდე ავავსოო“.

კლინიკაში საკმაოდ ჭკვიანი და განათლებული სექსოპათოლოგი გვყავს, აკადემიკოსი ზურაბ მარშანია. საქართველოს ყოფილი ელჩია ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში. საკმაოდ სერიოზული კაცია. ქალებს ხშირად აქვთ აორგაზმია, ანუ როცა ორგაზმს ვერ განიცდიან. ასეთი ქალები საქართველოში ბევრნი არიან, რადგან სექსის კულტურა ჩვენთან საკმაოდ დაბალ დონეზე დგას. ბატონ ზურაბთან ხვდებიან ასეთი პაციენტები და მერე ერთმანეთს გადასცემენ, რომ ამა და ამ სექსოპათოლოგმა უშველა და შესანიშნავად გრძნობენ თავს.

ერთი ახალგაზრდა ქალი, დაახლოებით 27-28 წლის იქნებოდა, გამოვარდა ზურაბ მარშანიას კაბინეტიდან ყვირილით, თქვენ არ იცით, რა ბედნიერი ვარ, ზურა ექიმი რა ყოფილა, დიდი მადლობა, ეს რა მაგრძნობინა, რა მეღირსა, ნამდვილი ექიმიაო! რომ არ გვცოდნოდა, როგორი პიროვნებაა ეს ბატონი, სულ სხვა რამეს ვიფიქრებდით. გამოვიდა ბატონი ზურა და ამ მადლობების ფონზე სერიოზული სახით თქვა, თქვენ კიდევ ჩემი და ჩემი პროფესიის არ გჯერათო. ასეთი საოცრებებიც ხდება.

„ჰეგისტრატორმა თურმე ჰკითხა, თქვენი ტელეფონიო და ის ცოტა ხანს დადუმდა. კითხვა ხომ გაუმეორა, სვანმა ამოიღო მობილური და მაგიდაზე დაუდო — აჰაო!“.

ერთი ქალი შემომივარდა კაბინეტში და მითხრა, თქვენ ქურდი თანამშრომლები გყავთო. რა ხდება-მეთქი, ვკითხე. 100 ლარიანი მივაწოდე, 80 ლარი უნდა დაებრუნებინა და მხოლოდ 10 ლარიღა მაქვსო. გავედი და ვკითხულობ, რა მოხდა, ამ ქალს ფული რატომ არ დაუბრუნეთ-მეთქი. ამიხსნეს, ალბათ არ ახსოვს, თორემ 100 ლარიანი რომ მოგვაწოდა, 50, 20 და 10 ლარიანი დავუბრუნეთო. კი, ასე იყო, დამიბრუნეს, მაგრამ 50 ლარიანი იმას მივეცი, ჩემ გვერდით რომ კაცი იდგა, 20 ლარი — ჩემს შვილს და 10 ლარის მეტი არ დამრჩაო.

35 წლამდე მამაკაცს შარდის ანალიზის ჩაბარება სთხოვა ექიმმა. შემოვიდა ჩემთან, შარდის ანალიზი სად ჩავბაროო. ვუთხარი, აქა და აქ ლაბორატორიაა, იქ ჭურჭელს მოგცემენ და ჩააბარეთ-მეთქი. ცოტა ხნის შემდეგ ლაბორატორიიდან გამოცვივდნენ გოგოები გაოგნებული სახით. ჭურჭელი რომ მიუციათ, უთქვამთ, აი, ამ ნიშნულამდე აავსე, მეტი არაო. იმ კაცს თურმე იქვე დაუწყია მოსაქმება — მითხარით, სადამდე ავავსოო. გოგონები დამფრთხალან, მიუტოვებიათ ლაბორატორია და გამოქცეულან.

ერთი სვანი პაციენტი გვყავდა. რეგისტრატურაში ანკეტას ავსებდა და სტანდარტულ კითხვებს პასუხობდა — გვარი, სახელი და ა.შ. რეგისტრატორმა თურმე ჰკითხა, თქვენი ტელეფონიო და ის ცოტა ხანს დადუმდა. კითხვა რომ გაუმეორა, სვანმა ამოიღო მობილური და მაგიდაზე დაუდო — აჰაო! წამოხტა ის გოგო, ვინც ანკეტას ავსებდა, დარბოდა და იცინოდა. ძლივს გაგვაგებინა, რა მოხდა. დავიხოცეთ სიცილით!

ერთი სვანი პაციენტი მყავდა და სიმპტომები ვკითხე. თავის ტკივილები თუ გაქვთ-მეთქი და მიპასუხა: „აი!“. ფრჩხილები თუ გექერცლებათ-მეთქი და კვლავ — „აი!“. წელის ტკივილი თუ გაქვთ და ისევ — „აი!“. თმის ცვენა თუ გაქვთ-მეთქი, ვკითხე და, ეეეო, აღმოხდა. თურმე თმა არ სცვიოდა და მე ვერ გავარტყი! არადა თავიდან ალბათ ფიქრობდა, ეს რა მაგარ ექიმთან მოვხვდიო, ამ კითხვით კი მის თვალში ავტორიტეტი დავკარგე.

— ცნობილია, რომ ჩიყვი საქართველოში ძალიან გავრცელებულია. მისი პირველი სიმპტომი რა არის?

— ხშირად გამომეტყველებით ვხვდები, რომ ჩიყვი აქვთ. უხასიათობა, პესიმიზმი ჩანს ხოლმე თვალებში. ძირითადი ნიშანი კი იდაყვების ფერის შეცვლა, გამუქება და ამ მიდამოებში კანის აქერცვლაა. ასეთ დროს თითქმის 99%-ს ჩიყვი აქვს. ხშირად, როცა ვეკითხები, იდაყვები ხომ არ გაგიშავდათ-მეთქი, უხერხულ სიტუაციაში ვარდებიან. ვიბაან, მაგრამ მაინც შავი მაქვსო, ამბობენ.

— ბატონო კობა, ალბათ მხიარული თამადა ხართ.

— თამადობა არ მიყვარს, მაგრამ ხშირად მიწევს. ერთხელ კახეთში ვიყავი და შიფერით ღვინის მაგივრად ლიმონათი დავლიე. კახელები ყანწებით, შიფერით სვამდნენ ღვინოს, მე კი ახალდაქორწინებული ვიყავი და ცოლისთვის ხომ უნდა მიმეხედა?! ერთმა

Cyan Magenta Yellow Black

ახლობელმა გამაფრთხილა, შიფერით დალევა არ აგცდებაო. ვთხოვე, იქნებ მიშველო-მეთქი და დოქში ღვინის მაგივრად ლიმონათი ჩამისხა. კახელები გავაგიჟე, ისე დავლიე!

— ბევრი ანეკდოტი გეცოდინებათ.

— ვიცი, მაგრამ ანეკდოტების დამახსოვრების განსაკუთრებული ნიჭით არ გამოვირჩევი. რამდენიმეს მოგიყვებით.

ერთი პაციენტი მიდის ექიმთან და ეუბნება, ექიმო, ერთი თვეა არც მიჭამია, არც დამილევია, არც მიძინია და რა მჭირსო. გშია, გწყურია და გეძინება, შე საცოდავო, უპასუხა ექიმმა.

ექიმი ეუბნება პაციენტს, თავიდან უნდა გაგჭრა, შენს მუცელში ცალი ხელთათმანი დამრჩაო. მაგისთვის ნუ გამჭრი, ექიმო, დავდგები ფეხზე და ახალ ხელთათმანებს გიყიდიო.

გურულს ეკითხებიან, ფრანგული თუ გესმისო. მესმის, მარა ვერ ვგებულობო, პასუხობს გურული.

გურული ავა ავტობუსში, სადაც სამი ზანგი ზის და დაიყვირებს: „დედა, რაია აქანა, დეინვა რამე?!“

გურულის საფლავის ქვაზე წარწერაა: „შენ უნდა კითხულობდე ახლა ამას და მე უნდა ვიწვე მიწაში?!“

მსუქანი კაცი მივიდა ექიმ-დიეტოლოგთან და ეუბნება, ექიმო, მინდა, სწრაფი მეთოდით დავიკლო წონაში და იქნებ დამეხმაროთო. ექიმმა მეორე დღეს პაციენტს გოგო გაუგზავნა, რომელსაც ხელში ეჭირა წარწერა: „დამიჭირე და შენი ვარ“. გოგოს მსუქანმა 5 დღე სდია და 10 კილო დაიკლო. გახარებული მივიდა ექიმთან და ეუბნება, ექიმო, ეს მეთოდი ძალიან მომეწონა, მაგრამ ახლა ისეთი ვინმე გამომიგზავნე, 5 დღეში 20 კილო რომ დავიკლოო. მეორე დღეს ექიმმა პაციენტს ათლეტური აღნაგობის, ვეებერთელა მამაკაცი გაუგზავნა, რომელსაც ხელში ეჭირა წარწერა: „დაგიჭერ და ჩემი ხარ!“

✓ **რუსუდან ადვაძე**

ოლიმპიური ჩემპიონი ქალი დისკვალიფიკაციას გადაურჩა

■ ვერონიკა კემპბელ-ბრაუნი

ძლეულსნობაში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვერონიკა კემპბელ-ბრაუნი დოპინგის მოხმარებისთვის დისკვალიფიკაციას გადაურჩა. ამ ინფორმაციას იამაიკის მძლეულსნობის ფედერაციაზე (JAAA) დაყრდნობით „როიტერი“ ავრცელებს.

JAAA-მ აღიარა, რომ კემპბელ-ბრაუნმა ანტიდოპინგური კანონმდებლობა დაარღვია, მაგრამ ფედერაციამ გადაწყვიტა, მხოლოდ სპორტსმენის გაფრთხილებით შემოფარგლულიყო.

იამაიკელი მორბენალი ქალის დოპინგ-ტესტის დადებითი შედეგის შესახებ მიმდინარე წლის ივნისში გახდა ცნობილი. მაშინ კემპბელ-ბრაუნის ორგანიზმში „დიურეტიკის“ კვალი აღმოჩნდა, რომელიც იმის გამოა აკრძალული, რომ იგი სხვა, ასევე აკრძალული პრეპარატების მიღების ფაქტს ფარავს. თავად სპორტსმენმა მაშინ განაცხადა, რომ აკრძალული ნივთიერება მის ორგანიზმში სიცხის დამწევი საშუალებით მოხვდა, რომელსაც იგი ფეხის ტრავმის დროს სვამდა.

დოპინგ-ტესტის დადებითი შედეგის გამო სპორტსმენი იძულებული გახდა, უარი ეთქვა მიმდინარე წლის აგვისტოში მოსკოვში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობაზე.

კემპბელ-ბრაუნმა 2004 და 2008 წლების ოლიმპიურ თამაშებზე ორჯერ მოიგო ოქროს მედალი 200 მეტრ დისტანციაზე სირბილში. ასევე მან უმაღლესი სინჯის მედალი ათენის ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვა გუნდურ ესტაფეტაში 4X100. მის აქტივშია აგრეთვე მსოფლიოს ჩემპიონატების ორი ოქროს და შვიდი ვერცხლის მედალი.

■ დევიდ ჰეი

დევიდ ჰეი ბრუნდება

ოფიციალური ვებგვერდი Boxrec.com ავრცელებს ინფორმაციას, რომ ბრიტანელ მძიმეწონოსან მოკრივეებს დევიდ ჰეისა და ტაისონ ფიურის შორის ორთაბრძოლა 2014 წლის 8 თებერვალს მანჩესტერში გაიმართება.

ეს ორთაბრძოლა ჯერ კიდევ 28 სექტემბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ 8 დღით ადრე ცნობილი გახდა, რომ სპარინგის დროს ჰეის მარცხენა წარბი გაუსკდა და სწორედ ამის გამო გადაწყდა ფიურისთან ორთაბრძოლის მომავალი წლისთვის გადადება.

ორთაბრძოლის გადადების გამო ფიური უკმაყოფილოა და ჰეი დაადანაშაულა, რომ მის მეტოქეს რინგზე გასვლა არ სურს. კერძოდ, ფიურის გაუჩნდა კითხვა, თუ რა საჭირო იყო სპარინგის გამართვა უშუალოდ საპასუხისმგებლო ორთაბრძოლის წინ. თავის მხრივ, ჰეიმ მეტოქეს უპასუხა, რომ ორთაბრძოლამდე რამდენიმე დღით ადრე სპარინგის გამართვაში უჩვეულო არაფერია.

დევიდ ჰეიმ ერთი წლის განმავლობაში უკვე მეორედ თქვა უარი ორთაბრძოლის გამართვაზე და ორივეჯერ მიზეზად ტრავმა დასახელდა. მიმდინარე წლის ივნისის ბოლოს ბრიტანელი პროფესიონალი მოკრივე გერმანელ მანუელ ჩარის უნდა შერკინებოდა, მაგრამ ორთაბრძოლა ჰეის ხელის ტრავმის გამო გადაიდო, რომელიც მან ვარჯიშის დროს მიიღო.

თუ ფიურისთან მატჩი შედგება, ჰეისთვის მისი რინგზე დაბრუნების შემდეგ პირველი ორთაბრძოლა იქნება. 2013 წლის გაზაფხულზე მან მოკრივის ლიცენზია დაიბრუნა, რომელიც 2011 წლის ოქტომბერში ჩამოართვეს, მას შემდეგ, რაც კარიერის დასრულების თაობაზე გააკეთა განცხადება. 2012 წლის ივლისში ჰეიმ ორთაბრძოლა გამართა თანამემამულე დერეკ ჩისორისთან. რინგზე ორივე მოკრივე დროებითი ლიცენზიით გავიდა, რომელიც ლუქსემბურგის კრივის ფედერაციამ გასცა.

სულ პროფესიონალურ რინგზე 32 წლის დევიდ ჰეიმ 28 ორთაბრძოლა გამართა, 26 მოიგო (24 — ნოკაუტით), ორ ორთაბრძოლაში კი დამარცხდა. 25 წლის ფიურიმ კი 21 ორთაბრძოლიდან ყველა მოიგო, აქედან 15 ნოკაუტით.

გიგზმა ჩემპიონთა ლიგის რეკორდი დაამყარა

■ რაიან გიგზი

ინგლისური კლუბის „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველმა რაიან გიგზმა ჩემპიონთა ლიგაში ჩატარებული მატჩების რაოდენობის რეკორდი დაამყარა (საკვალიფიკაციო მატჩების გათვალისწინებით). ასე იუწყება უეფა-ს ოფიციალური ვებგვერდი.

ჯგუფური ეტაპის მეორე ტურის მატჩი „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „შახტარს“ შორის (1:1) უელსელი ფეხბურთელისთვის 145-ე გამოდგა ევროთასების კარიერაში. მან ამ მაჩვენებლით გადაასწრო მადრიდის „რეალის“ ყოფილ თავდამსხმელ რაულს (144).

— საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს, რომ შთამბეჭდავი შედეგების მისაღწევად ბევრი და თავდაუზოგავი შრომაა საჭირო. მე გამიმართლა, რომ ვთამაშობ დიდ კლუბში, რომელიც კარგი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული და ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავს. ევროთასებზე ჩატარებული მატჩების რაოდენობით გაასწრო ისეთ ლეგენდარულ მოთამაშეს, როგორიც რაულია, ძალიან რთულია. ამ რეკორდის დამყარებამ ძალიან გამახარა, — განაცხადა საკუთარ მიღწევასთან დაკავშირებით რაიან გიგზმა.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩემპიონთა ლიგის ძირითად ბადეში გამართული მატჩების რაოდენობით უელსელი ფეხბურთელი ჯერ კიდევ ჩამორჩება ესპანელ ფორვარდს. მას 139 მატჩი აქვს გამართული მაშინ, როდესაც რაულის ანგარიშზე 142 მატჩია.

✓ **მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

Cyan Magenta Yellow Black

კაცი თვალებით ხატავს

27 წლის არგენტინელ გრანატო ლეანდროს 0,85 ლიტრ წყალში გახსნილი საღებავის ცხვირით შესუნთქვა და შემდეგ თვალიდან გადმოსხმა შეუძლია. სწორედ ამ მეთოდით ხატავს ის სურათებს. უცნაურ მხატვარს თავისი შედევრის შესაქმნელად 10 წუთიდან რამდენიმე თვემდე სჭირდება, ხოლო მისი ნამუშევრების ფასი 2 000 ამერიკული დოლარიდან იწყება.

გრანატომ თავისი უჩვეულო შესაძლებლობა ჯერ კიდევ ბავშვობაში აღმოაჩინა. დღეს ის თვლის, რომ ერთადერთი ადამიანია დედამიწაზე, რომელსაც თვალით ხატვა შეუძლია. აღსანიშნავია, რომ გრანატო ლეანდრო უამრავი საქველმოქმედო აქციის ორგანიზატორია.

6 წლის გოგო 95 კილოგრამს იწონის

ინდოეთში მცხოვრები 6 წლის გოგონა, სუმან ხათუნი, 95 კილოგრამს იწონის. სპეციალისტების თქმით, მისი ასაკის ბავშვის წონა 5-ჯერ ნაკლები მაინც უნდა იყოს. სუმანის მშობლები საკმაოდ ღარიბები არიან და მთელი მათი შემოსავალი გოგონას გამოკვებას ხმარდება.

კვირის განმავლობაში სუმანი 8 კილოგრამ კარტოფილს, 14 კილოგრამ ბრინჯს, 8 კილოგრამ თევზსა და 200 ცალ ბანანს მიირთმევს. მშობლები მისი მადის გაკონტროლებას ვერ ახერხებენ, რასაც ძალიან განიცდიან. საკმარისია, დიეტაზე გადაყვანა დააპირონ, რომ გოგონა ისტერიკაში ვარდება, უარესიც — ჭუჭყიანი ნივთების ღეჭვას იწყებს.

ექიმები დასკვნით, გოგონას წონა და განსაკუთრებით მომატებული მადა ჰორმონალური დისბალანსის ბრალია, რაც სუმანისთვის შეიძლება დამღუპველიც კი აღმოჩნდეს.

ფერმერმა ფერადი სიმინდი შექმნა

ოკლაჰომაში მცხოვრებმა, წარმოშობით ინდოელმა ფერმერმა, კარლ ბარნსმა, ფერადი სიმინდის ჯიში გამოიყვანა. სხვადასხვა ფერის სიმინდი ფერმერმა ხანგრძლივი პროცესის შემდეგ მიიღო. გარდაცვალებამდე მის მიერ შეგროვებული კოლექცია და ფერადი სიმინდის გამოყვანის საიდუმლო მეგობარ გრეგ შოენს გადასცა და სთხოვა, მისი საქმე გაეგრძელებინა.

ფერადი სიმინდის შეძენა ინტერნეტით უკვე შესაძლებელია. გრეგ შოენი ამ უნიკალური მცენარის თესლს საკუთარ საიტზე 7,95 დოლარად ყიდის. ექსპერტების განმარტებით, ასეთი სიმინდის მოხარშული მარცვლების ჭამა სასურველი არ არის, სიმინდის ფქვილის სახით მისი გამოყენება კი დასაშვებია.

118 კარატიანი ბრილიანტი 30,7 მილიონად გაიყიდა

ჰონგ კონგში ჩატარებულ ძვირადღირებული ქვების აუქციონზე ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარდა — თეთრი ოვალური ბრილიანტი 30,7 მილიონ დოლარად გაიყიდა. მის შესაძენად ბრძოლა 6 წუთი გაგრძელდა. ძვირფასი ქვა 118 კარატიანია და ყველაზე დიდია მსოფლიოში „თეთრი ბრილიანტის“ კატეგორიაში. ცნობილია, რომ ეს ბრილიანტი სამხრეთ აფრიკის ერთ-ერთ ქვეყანაში 2011 წელს იპოვეს.

ბრილიანტის ახალი მფლობელის ვინაობა არ სახელდება. აქამდე ყველაზე დიდ თეთრ ბრილიანტად მიიჩნეოდა 101 კარატიანი ქვა, რომელიც 2012 წელს კრისტის აუქციონზე 26,7 მილიონ დოლარად გაიყიდა.

კონცერტი წყალქვეშ

ჩინეთის ქალაქ ტიანძანში ჩინურმა ჯგუფმა „ოკეანის ბენდმა“ წყალქვეშა კონცერტი გამართა. კონცერტს ოკეანარიუმმა „ფოლარ ოუშენ ვორლდმა“ უმასპინძლა. რა თქმა უნდა, მომღერლები ფონოგრამით გამოდიოდნენ, მიუხედავად ამისა, ჯგუფის წევრების გასაკვირად, უჩვეულო სანახაობაზე საკმაოდ ბევრი მაყურებელი შეიკრიბა.

წყალქვეშა კონცერტი ტრადიციული ჩინური დღესასწაულის „შუა შემოდგომის“ დღეს ჩატარდა.

Cyan Magenta Yellow Black

მსოფლიოში ყველაზე პატარა ძაღლის სიმაღლე 9,65 სანტიმეტრია

მსოფლიოში ყველაზე პატარა ძაღლი, სახელად მილი, ჩიხუახუას ჯიშისაა. 2 წლის მილი პუერტო რიკოდანაა და მხრებიდან ტერფამდე, სულ რაღაც, 9,65 სანტიმეტრია, წონა კი ზუსტად ნახევარ კილოგრამს შეადგენს.

ამ პარამეტრების გამო პატარა მილი გინესის რეკორდების წიგნში უკვე შეიყვანეს. წინა რეკორდსმენი ჩიხუახუას ჯიშის მდედრი ძაღლი, სახელად ბუბუ, გახლდათ, რომელიც სიმაღლეში 12,5 სმ-ია, წონა კი 635 გრამს შეადგენს.

ბიჭუნა თვითმფრინავში ჰიპნოზის დახმარებით ჩასვეს

12 წლის ბრიტანელი მოსწავლის, ჯოი ტომპსონის სამშობლოში დაბრუნებას ოჯახი ბოლო 18 თვე უშედეგოდ ცდილობდა. ჯოი ოჯახთან ერთად ბოლო რამდენიმე წელი არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, კერძოდ კი, აბუ დაბიში ცხოვრობდა. მამას 18 თვის წინ ქვეყანაში მუშაობის კონტრაქტი შეუწყდა და ოჯახმა მშობლიურ სომერსეტში დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ, ყველასთვის მოულოდნელად, ბავშვს ფრენის შიში გაუჩნდა და თვითმფრინავში ასვლისთანავე საშინელი პანიკა დაეწყო. ჯოის დედა და და ბრიტანეთში დაბრუნდნენ, ბავშვთან კი მამა დარჩა.

საბოლოოდ მამამ გამოსავალი მოძებნა და, მისი გადაწყვეტილებით, ჯოი თვითმფრინავში ჰიპნოზის ქვეშ მყოფი აიყვანეს.

იმუნიტეტის გასაძლიერებლად კაცი გველებს თავს აკბენინებს

რაც არ გკლავს, გაძლიერებს — ამ გამონათქვამის ყველაზე მეტად დროებით უმუშევარ ტიმ ფრიდის სჯერა, რომელიც იმუნიტეტის გასაძლიერებლად შხამიან გველებს აკბენინებს თავს. ამ გზით იმუნიტეტი ტიმს უკვე ასამდე გველმა „გაუძლიერა“. კბენის შემდეგ ფრიდი მხოლოდ რამდენიმე წუთით ხდება შეუძლოდ, თავბრუსხვევის შეგრძნება აქვს და ზოგჯერ გონებასაც კარგავს, მაგრამ მოგვიანებით ენერგიის მომატებას გრძნობს.

როგორც ტიმი ამბობს, იყო შემთხვევები, როდესაც ქვეწარმავლის შხამმა კინაღამ მოკლა. მაგალითად, 2001 წელს მან ორ კობრას აკბენინა და ექიმების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ნახეს, რომ კაცი მხოლოდ რამდენიმე საათი იყო პარალიზებული. ცნობისთვის, კობრის ნაკბენით ადამიანი 15 წუთში კვდება.

ძაღლმა მარათონში სპორტსმენებს აჯობა

ინდიანაში, კერძოდ კი ევანსვილში ჩატარებულ მორბენალთა მარათონში ყველა გააოცა შოკოლადისფერი ლაბრადორის გამოჩენამ. ძაღლმა, სახელად ბუგიმ, 13,1 მილი დაფარა და ფინიშის ხაზს პირველმა მიაღწია. ამ შედეგისათვის მას მარათონის ორგანიზატორებისაგან მედალი ერგო. ძაღლმა აღნიშნული მანძილი 2 საათსა და 15 წუთში დაფარა.

ბუგის პატრონი კიმ ერნი მარათონის საყურებლად გახლდათ მისული. შეჯიბრის მსვლელობისას მას ძაღლი გაექცა და მორბენლებს შეუერთდა. აი, ასე გახდა ბუგი მარათონის ფავორიტი.

ქალი 13 ტყუპს ეთიოპიელად გააჩენს

ერაყში, სალაჰუდინის პროვინციაში მცხოვრები 40 წლის ქალი მალე 13 შვილის დედა გახდება. ქალი აპირებს, ამერიკელი ნადი სულემანის რეკორდი მოხსნას, რომელმაც 2009 წელს ერთდროულად 8 ბავშვი გააჩინა.

ერაყელ ქალს 7 ბავშვი უკვე ჰყავს, მათ შორის არიან ტყუპებიც. ბოლო 5 წლის განმავლობაში მან დაორსულება ვეღარ შეძლო, ამიტომ მისმა ფერმერმა ქმარმა 2012 წელს გადაწყვიტა, მეორე ცოლიც მოეყვანა. ცოტა ხანში კი შეიტყო, რომ მისი პირველი მეუღლე კვლავ ფეხმძიმედ იყო, ამჯერად 13 ბავშვზე ერთდროულად.

ექიმებს ეჭვი ეპარებათ, რომ 13-ვე ბავშვი ცოცხალი და ჯანმრთელი დაიბადება. როგორც ტესტებმა აჩვენა, 4 ნაყოფს უკვე პულსი არ აღენიშნება.

ეს იცოდით?

❖ მსოფლიოს ყველა ანბანის მიხედვით უძველეს ასოდ „ო“ მიიჩნევა. ეს ასო გამოიყენებოდა ანბანში, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1300 წლით თარიღდება.

❖ ჩინური იეროგლიფური დამწერლობა სათავეს ჩვენს ერამდე მეორე ათასწლეულში იღებს. იგი მოიცავდა 2500 იეროგლიფს. დღევანდელი სახე მან III საუკუნის ბოლოს მიიღო და იეროგლიფთა რაოდენობა 50 000-მდე გაიზარდა, რომელთა შორის ყველაზე ხშირად დღეს 7000 იეროგლიფი გამოიყენება.

❖ მსოფლიოში ყველაზე ვრცელი უინსტონ ჩერჩილის ბიოგრაფია გახლავთ. ბიოგრაფია ჩერჩილის ვაჟმა, რენდოლფმა და მარტინ ჰილბერტმა დაწერეს. ის 22 ტომად გამოიცა.

Cyan Magenta Yellow Black

ვნებიანი ქალი ხართ?

1. ბავშვობაში უფროსები რომ გეფერებოდნენ, მოგწონდათ?
ა) დიახ.
ბ) არა.

2. მშობლები ხშირად გეფერებოდნენ?
ა) დიახ.
ბ) არა.

3. ბავშვობაში ბევრი თოჯინა გქონდათ?
ა) დიახ.
ბ) არა.

4. როგორ ფიქრობთ, ქალური ხართ?
ა) დიახ.
ბ) არა.

5. ცეკვა გიყვართ?
ა) დიახ.
ბ) არა.

6. უპირატესობას ნელ ცეკვებს ანიჭებთ?
ა) დიახ.
ბ) არა.

7. ჩვევად გაქვთ ფანქრის თავის ღრღნა?
ა) დიახ.
ბ) არა.

8. დასახულ მიზანს უმრავლეს შემთხვევაში აღწევთ?
ა) დიახ.
ბ) არა.

9. მოგწონთ საკუთარი შიშველი სხეულის სარკეში თვალიერება?
ა) დიახ.
ბ) არა.

10. როცა მამაკაცი თქვენ მაგივრად იხდის ფულს, პროტესტის გრძნობა გიჩნდებათ?
ა) დიახ.
ბ) არა.

11. სწრაფი ჭამა გჩვევიათ?
ა) დიახ.
ბ) არა.

12. გინდათ, სამი და მეტი შვილი გყავდეთ?
ა) დიახ.
ბ) არა.

13. ხმაურის მიმართ მგრძნობიარე ხართ?
ა) დიახ.
ბ) არა.

14. შეგიძლიათ მორიდების გარეშე აღფრთოვანდეთ ლამაზი საგნებით, ბავშვით, ქცევით?
ა) დიახ.
ბ) არა.

15. ხშირად იძლევით შენიშვნებს და გჩვევიათ სხვებისთვის დავალებების მიცემა?
ა) დიახ.
ბ) არა.

16. იოლად ელევით საგნებს, რომლებიც აღარ გჭირდებათ?
ა) დიახ.
ბ) არა.

17. მიგაჩნიათ, რომ სინაზე ეროტიკული მიზნების გარეშეც შეიძლება გამოიჩინოთ?
ა) დიახ.
ბ) არა.

18. როგორ აფასებთ სხვების მხრიდან თქვენ მიმართ სინაზის გამოხატვას?
ა) ვიმორცხვებ.
ბ) ეს ძალიან მსიამოვნებს.
გ) ამას მოკრძალებით ვეკიდები.

19. ყველაზე მეტად რომელი ჯიშის ძაღლი მოგწონთ?
ა) მეძებარი.
ბ) პუდელი.
გ) სპანიელი.
დ) ტაქსა.

20. სასიყვარულო წერილი მიიღეთ, რას უზამთ?
ა) სამახსოვროდ შევინახავ.
ბ) დავხევ და გადავყრი.
გ) თუ ჩემი შეყვარებულისგანაა, შევინახავ, სანამ ერთად ვართ.

პასუხებზე 1. ა, 2. ა, 3. ა, 5. ა, 6. ა, 9. ა, 10. ა, 12. ა, 17. ა, 18. ბ, 19. დ 3 ქულა დაიწერეთ. პასუხებზე 4. ა, 7. ა, 13. ბ, 19. გ, 20. ა — 2 ქულა, ხოლო პასუხებზე 8. ბ 11. ა, 14. ა, 15. ბ, 16. ბ, 8. გ, 20. გ — 1 ქულა.

შედეგები:

20 ქულაზე ნაკლები — სინაზის გამოვლენა თქვენთვის პრობლემაა, თუმცა გსიამოვნებთ, როცა გარშემომყოფები იჩენენ მას თქვენ მიმართ. დაფიქრდით, იქნებ არ იცით, როგორ გამოამჟღავნოთ საკუთარი სინაზე? ეცადეთ, უფრო თავისუფლად გამოამჟღავნოთ საკუთარი გრძნობები და ახლობლებსა და გარშემომყოფებს გაუფანტოთ აზრი, რომ თქვენ ცივი ქალი ხართ.

20-35 ქულა — თუ შეძლებთ შიშისა და საკუთარი სიმორცხვის დამარცხებას, მართლაც ნაზი ქალი იქნებით. ალბათ კარგი მასწავლებელი გჭირდებათ, რომ ერთი-ორი გაკვეთილი ჩაგიტაროთ, თუ როგორი უნდა იყოს ვნებიანი ქალი. გირჩევთ, კომპლექსებისაგან გათავისუფლდეთ და მეტი თავისუფლება გამოიჩინოთ.

35-45 ქულა — ნაზი და ვნებიანი ქალი ხართ, რომელიც ვერ მალავს თავის გრძნობებს. ადამიანებთან ურთიერთობა არ გიჭირთ, რადგან ყველას უყვარხართ და მოსწონხართ.

45 ქულაზე მეტი — იდეალური, ვნებიანი და უნაზესი ქალი ხართ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მამაკაცებს ჭკუას აკარგვინებთ და მათთვის ნამდვილი საგანძური ბრძანდებით.

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

სუდოკუ

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

№ 1

		1	9					5
	8	5		2			3	
6						2	7	
	7				1	4		
		3	2	8		6		
9					3			
	1	4		6			8	
2						5		
		6		7				9

№ 2

			3			7		
7	9	6						
					5			8
4				8		2	3	6
	2	3		7		5		
9						1	4	
			9			6		
			2	1	4			
8	5	1						4

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.

ანიმაციული ლიცენზია

ბ ამოკვლევებით დამტკიცდა, რომ გარკვეული არომატის შესუნთქვით შესაძლოა შიმშილის გრძნობა დათრგუნოთ.

აიღეთ ბანანის, ვაშლის ნაჭერი, ცოტა პიტნა და ვანილი, ყველაფერი მცენარეულ ზეთში მოშუშეთ და შიმშილის შეგრძნებისას ან ჭამამდე 5 წუთით ადრე ორთქლი შეისუნთქეთ. გვერწმუნეთ, ასე მადას დათრგუნავთ და ნაკლებს შეჭამთ.

ასეთი მეთოდით წელიწადში დაახლოებით 12 კგ-ის ან თვეში 2 კგ-ის დაკლება შეიძლება.

Cyan Magenta Yellow Black

როგორ აფასებთ საკუთარ თავს?

1. შეგიძლიათ, საკუთარ თავზე თქვათ, რომ პროფესიონალი ხართ?

ა) არა — 1

ბ) დარწმუნებული არა ვარ — 3

გ) რა თქმა უნდა — 7

2. როგორ მოიქცევით, თუ რთული, მაგრამ მაღალანაზღაურებადი სამუშაო შემოგთავაზეს?

ა) დავთანხმდები — 7

ბ) უარს ვიტყვი — 1

გ) გააჩნია, რამდენია ანაზღაურება — 5

3. რა რეაქცია გექნებათ, თუ თქვენთვის სასურველი ადამიანი ყურადღებას არ გაქცევთ?

ა) არ ვიცი — 1

ბ) შევეცდები, მისი ყურადღება მივიქციო — 7

გ) შევეცდები, რომ დავივიწყო — 4

4. როგორ მოიქცევით, თუ სამსახურში საქმიანი პარტნიორები მოვიდნენ, უფროსი კი ადგილზე არაა?

ა) შევთავაზებ, უფროსს დაელოდონ — 1

ბ) რაიმე საინტერესო თემაზე დავიწყებ საუბარს — 3

გ) საქმიან საუბარს გავუბამ — 7

5. გაიგეთ, რომ მეუღლე გღალატობთ, აპატიებთ?

ა) არა — 7

ბ) დიახ — 1

გ) გააჩნია სიტუაციას — 3

6. მაღაზიაში საყიდლების დროს შეფი დაინახეთ, როგორ მოიქცევით?

ა) გავესაუბრები — 7

ბ) შევეცდები, არ შემნიშნოს — 1

გ) ჩვეულებრივად მივესალმები — 5

7. რას მოიმოქმედებთ, თუ სამსახურში თათბირის დროს კოლეგამ შენიშვნა მოგცათ?

ა) მკაცრად მოვითხოვ, თავი დამანებოს — 7

ბ) იმავეთი ვუპასუხებ — 3

გ) გავჩუმდები — 1

8. როგორი სამოსი მოგწონთ?

ა) ჩვეულებრივი, არავისგან გამორჩეული — 2

ბ) რომელშიც თავს კომფორტულად ვგრძნობ — 1

გ) ძვირფასი და მოდური — 7

9. ჯანმრთელობას ყურადღებას აქცევთ?

ა) გამუდმებით — 7

ბ) დროდადრო — 4

გ) მხოლოდ მაშინ, თუ რამე შემაწუხებს — 1

10. რა რეაქცია გექნებათ, თუ კარგად შესრულებული სამუშაოსთვის უფროსმა არ შეგაქოთ?

ა) ყურადღებას არ მივაქცევ — 1

ბ) შევეცდები, დაველაპარაკო და გავარკვიო, რა არ მოეწონა — 7

გ) სამსახურს გამოვიცვლი, შექება ჩემთვის აუცილებელია — 3

შედეგები:

10-28 ქულა — თავს აბსოლუტურად არ აფასებთ. გაცილებით გეადვილებათ, სხვის აზრს დათანხმდეთ, ვიდრე საკუთარი დაიცვათ. გირჩევთ, დაიცვათ საკუთარი ღირსებები. ნუ გრცხვენიათ ნაკლოვანებების.

29-55 ქულა — საკუთარ ძალებში დარწმუნებული ხართ. რეალურ შეფასებებს აკეთებთ, ადამიანები ძლიერ პიროვნებად გთვლიან. პრობლემებიდან თავის დაღწევის უნარი ოპტიმიზმსა და ძალებს გმატებთ.

56-70 ქულა — ზედმეტად თავდაჯერებული ხართ, რაც ხშირად ამპარტავნებაში გადადის. ეს კი არასასურველ იმიჯს გიქმნით გარშემომყოფთა თვალში.

როგორი ინტუიცია გაქვთ?

ყოველ დადებით პასუხში 1 ქულა დაიწერეთ, უარყოფითში — 0.

1. კროსვორდების შევსებისას ადვილად პოულობთ სწორ პასუხებს?

2. გქონიათ შემთხვევა, როცა აზარტული თამაშისას ბედმა ზედიზედ გაგიღიმათ და საკმაო თანხაც მოიგეთ?

3. საკუთარ ბინას მყუდროდ და ბედნიერად მიიჩნევთ?

4. გაგჩენიათ თუ არა სურვილი, რომ ერთხელ ნანახი ადამიანი უფრო ახლოს გაგეცნოთ?

5. ყოფილა შემთხვევა, რომ ტელეფონს დაურეკავს, თქვენ კი, სანამ ყურმილს აიღებდით, უკვე ინტუიციურად იცოდით, ვინ გირეკავდათ?

6. იდუმალ ხმას თუ უკარნახია ოდესმე, როგორ მოქცეულიყავით გარკვეულ სიტუაციაში?

7. ბედისწერის გჯერათ?

8. ხანდახან წინასწარ თუ ხვდებით, რა უნდა გითხრათ კონკრეტულმა ადამიანმა?

9. ოდესმე ცუდი სიზმარი აგხდენიათ?

10. წერილის გახსნამდე შეგიძლიათ გამოიცნოთ, რა შინაარსისაა?

11. ისეც მომხდარა, რომ მოსაუბრეს წინადადებაში სიტყვა გამოუტოვებია, თქვენ კი მიმხვდარხართ, რისი თქმა სურდა?

12. ყოფილა შემთხვევა, რომ დიდი ხნის უნახავ ადამიანზე გიფიქრიათ, მას კი რამდენიმე საათში ან დაურეკავს, ან შეხვედრიხართ?

13. ყოფილა თქვენს ცხოვრებაში შემთხვევა, რომ ყოველგვარი მიზეზის გარეშე ვიღაცას არ ენდეთ და მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ სწორად მოიქეცით?

14. შეგიძლიათ ერთი ნახვით ადამიანის ხასიათის ამოცნობა?

15. გქონიათ ოდესმე განცდა, რომ მოვლენა, რომელიც ახლა ხდება, ოდესღაც უკვე იყო თქვენს ცხოვრებაში?

16. თვითმფრინავით მგზავრობაზე უარი თუ გითქვამთ იმ მიზეზით, რომ ის შეიძლება ჩამოვარდეს?

17. გამოგღვიძებიათ ღამე აფორიაქებულს იმ შეგრძნებით, რომ თქვენს ახლობელს რაღაც უჭირს?

18. უმიზეზოდ რომელიმე ადამიანი აგითვალწუნებიათ?

19. ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიღაც ნივთი ან ტანსაცმელი ძალიან მოგწონებიათ, ვერ გიყიდიათ, შემდეგ კი სხვას საჩუქრად მოურთმევია?

20. ერთი ნახვით შეყვარების გჯერათ?

შედეგები:

10-20 ქულა — ინტუიცია შესანიშნავად გაქვთ განვითარებული. თამამად შეგიძლიათ, საკუთარ ინტუიციას ენდოთ, ის ნამდვილად არ გიღალატებთ.

1-9 ქულა — ინტუიცია განვითარებული გაქვთ, მაგრამ ხშირად მას არ ენდობით. ეცადეთ, უფრო ხშირად დაეყრდნოთ მას. თქვენი ნიჭის პატრონს თამამად შეგიძლიათ, რთულ სიტუაციაში თავში მოსულ პირველივე აზრს ენდოთ. როცა უმნიშვნელოვანესი პრობლემა გაქვთ გადასაჭრელი, მოდუნდით, გაისეირნეთ სუფთა ჰაერზე, მიიღეთ აბაზანა. ასე თავს საშუალებას მისცემთ, აზრები მოიკრიბოთ და თამამი გადაწყვეტილებები მიიღოთ.

0 ქულა — ინტუიცია ნამდვილად გღალატობთ. შეეცადეთ, განავითაროთ და გამოიყენოთ ეს გრძნობა. მიხვდებით, რა დიდი ძალაა ინტუიცია.

Cyan Magenta Yellow Black

როგორ ავიცილოთ თრომბი



თუ ადამიანი ჯანმრთელია, მის სისხლძარღვებში არავითარი შედედებული სისხლი არ არის. ორი ურთიერთსაწინააღმდეგო სისტემა — სისხლის შემადედებელი და მისი გამათხელებელი — დინამიკურ წონასწორობაშია.

როდესაც ეს წონასწორობა ირღვევა, თრომბი წარმოიქმნება. მიზეზებია: სისხლის მომატებული შედედება (მაგალითად, გარკვეული წამლების მიღების შედეგად), სისხლის დინების შენელება ვარიკოზის, გულის უკმარისობის ან ქირურგიული ჩარევის გამო. ასევე სისხლში შენადედის წარმოქმნის პროვოცირებას ახდენს სისხლძარღვების ანთებითი და სიმსივნური დაავადებები.

ეს ჰოგორ ხდება?

დასაწყისში შენადედი პატარაა, მაგრამ თანდათან იზრდება, სისხლძარღვის სანათურს ამცირებს და სისხლის დინებას აუარესებს. სისხლძარღვების კედლებზე სუსტად მიმაგრებული „ფოლაქი“ ნებისმიერ მომენტში შეიძლება ადგილს მოწყდეს და საერთო სისხლდინებაში შეაღწიოს.

ფეხის ღრმა ვენებში ასეთი „საცობი“ შეიძლება განგრენის ან კიდურის დაკარგვის მიზეზი გახდეს. თუ თრომბი თავის ტვინის სისხლძარღვში გაიჭედა, იშემიური ინსულტი (სისხლნაკლულობით გამოწვეული სისხლის მიმოქცევის მკვეთრი დარღვევა) ვითარდება, რასაც თან ახლავს ტვინის ქსოვილების დაზიანება და მისი ფუნქციის მოშლა. თრომბი გულის არტერიებში მიოკარდის ინფარქტს (გულის კუნთის კვდომა) იწვევს. დაავადების ყველაზე მძიმე ფორმაა ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია. ამ შემთხვევაში ადამიანში გულის მწვავე უკმარისობა და სულის ხუთვა ვითარდება.

საშიში სიმპტომები

თრომბოემბოლიის სიმპტომები იმის მიხედვით იცვლება, თრომბი სად გაიჭედა.

ფეხებში სიმძიმე, ტკივილი, სიმხურვალის შეგრძნება, შეშუპება, კანის საფარველის სილურჯე — ვენოზური თრომბოზის ნიშანია.

თავის ტვინის არტერიების თრომბოზის სიმპტომებია: საერთო დისკომფორტი, თავის ტკივილი, თავში სიმძიმის შეგრძნება, თავბრუ, თვალებში დაბნელება, გულის წასვლა.

თუ თრომბი კორონარულ (გვირგვინოვან) ან ფილტვების არტერიებშია, ადამიანს ეწყება ძლიერი ტკივილი მკერდის მიდამოში, ქოშინი, გულის რიტმის დარღვევა.

მუცლის ღრუს არტერიებში თრომბის არსებობისას აღინიშნება ძლიერი ტკივილი მუცელში, პირღებინება, დიარეა.

მითითებული სიმპტომების გამოვლენისას რაც შეიძლება სწრაფად მიმართეთ ექიმს (სასწრაფო დახმარება გამოიძახეთ) და გამოკვლევა ჩაიტარეთ.

თრომბის „დანახვის“ საშუალებას იძლევა ულტრაბგერითი გამოკვლევა, ანგიოგრაფია (არტერიების გამოკვლევა), ფლებოგრაფია (ვენების გამოკვლევა), ასევე სისხლის ანალიზი ქოლესტერინზე, სისხლის შედედებაზე, ბიოქიმიურ შემადგენლობაზე. მთავარი სწრაფად რეაგირებაა.

თავიდან აცილება უფრო ადვილია, ვიდრე განკურნება

სისხლძარღვების მდგომარეობაზე გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრების წესი. რა იწვევს თრომბის წარმოქმნას?

1. სიმსუქნე. მსუქანი ადამიანები ხშირად ავადმყოფობენ თრომბოემბოლიით. დროთა განმავლობაში არასწორი კვება ჰიპერტონიას, შაქრიან დიაბეტს, ათეროსკლეროზს და მასთან ერთად სისხლძარღვების დახშობადაცობას იწვევს. ახლავე დაიწყეთ ბალანსირებული კვება. მეტი მცენარეული საკვები მიირთვით, რომელიც მავნე ქოლესტერინს არ შეიცავს.

2. მავნე ჩვევები. თრომბის წარმოქმნის მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან მწეველები. ნიკოტინი სისხლძარღვებს ავიწროებს და სისხლის სიბლანტეს ზრდის. რისკის ჯგუფში ასევე შედიან ნარკომანები და ალკოჰოლის მოყვარულები.

3. ნაკლებმოძრავი ცხოვრების წესი. მეტი იმოძრავეთ, რათა გულმა და სისხლძარღვებმა მეტი დატვირთვით იმუშაონ.

4. გაუწყლოება. ორგანიზმში სითხის ნაკლებობა სისხლის სიბლანტეს ზრდის. დღე-ღამეში არანაკლებ 2 ლიტრისა სუფთა წყალი დალიეთ.

ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს მემკვიდრეობას. თუ რისკის ჯგუფში ხართ, წნევა აკონტროლეთ, კვებას ყურადღება დაუთმეთ, აქტიური ცხოვრების წესით იცხოვრეთ.

დაბოლოს, „თრომბის გამწოვი“ ან „სისხლძარღვების გამწმენდი“ წამლების (როგორც რეკლამა გვპირდება) დამოუკიდებლად შერჩევა არ შეიძლება. ნებისმიერი პრეპარატი, მათ შორის საკვები დანამატები, ექიმმა უნდა დანიშნოს.

მუურნალი არომაფი

უკვე 5 ათას წელზე მეტია, ეთერზეთები მედიცინასა და კოსმეტოლოგიაში გამოიყენება. ბევრი რეცეპტი თაობიდან თაობას გადაეცემა და დღესაც აქტუალურია.

სუნი ჩვენს მდგომარეობაზე შეუმჩნევლად ზემოქმედებს. არომატების დახმარებით შეიძლება განწყობისა და შემოქმედებითი აქტივობის ამაღლება, დაღლის მოხსნა და მეხსიერების გაუმჯობესება, ასევე მრავალი დაავადებისგან განკურნება. ყველაფერი ეს მიიღწევა იმის წყალობით, რომ არომატულ ზეთებს ანტიტოქსიკური, ანტივირუსული, ანტიბაქტერიული, სოკოს საწინააღმდეგო და დამამშვიდებელი თვისებები აქვთ. შეიცავენ ანტიმჟანგავებსა და პროვიტამინებს, რომლებიც უჯრედების კედლების გავლით შიგნით ადვილად აღწევენ, უჯრედებს საკვებითა და ჟანგბადით ამარაგებენ.

ეთერზეთების გამოყენების სხვადასხვა მეთოდი არსებობს. შეგიძლიათ არომამედალიონი ატაროთ (მინის ან კერამიკის ფლაკონში 2-3 წვეთს აწვეთებენ), რომლის არომატს მუდამ შეისუნთქავთ. ეს რესპირატორული ინფექციების პროფილაქტიკის შესანიშნავი საშუალებაა, რაც მეტად საჭიროა შემოდგომა-ზამთრის პერიოდში. ამავე მიზნით შეგიძლიათ ინფექციების საწინააღმდეგო ბუნებრივი საშუალებები — სოჭის, ლიმონის, ევკალიპტის, ლავანდის, ფიჭვის 1-2 წვეთი არომატული ზეთი ყელზე, შუბლზე, ყურის უკან, ცხვირთან წაისვათ. ამ შემთხვევაში თქვენ ირგვლივ უხილავი დამცავი ფენა წარმოიქმნება. სახლის პირობებში მოსახერხებელია, კერამიკის არომასაკმევლე გამოიყენოთ.

სასარგებლო არომატები

სტრესის მოსახსნელად გამოიყენეთ ლავანდის, სალბის, ჟასმინის, მელისას, ილანგ-ილანგის, კვიპაროსის, გვირილის, თავშავას არომატები. განწყობის ამაღლებას ეხმარება ბერგამოტის, ფორთოხლის, მანდარინის, გრეიპფრუტის ზეთები.

ევკალიპტი სუნთქვას აუმჯობესებს, ცხვირხახის ორგანოებს ასუფთავებს.

ლავანდის ზეთი დამწვრობას კარგად აშუშებს,

კედრის — კანზე ანთებით პროცესებს კურნავს.

შემოქმედებით განწყობას ამაღლებს **ლიმონის, სანდალოზის ხის, ბერგამოტის** არომატი, ხოლო ძალის გამოლევისას ფიჭვის არომატი ეხმარება.

უძილობას ამარცხებს **თავშავა, ლავანდა, გვირილა და ნეროლი**. ილანგ-ილანგი გაწონასწორებულობას ეხმარება, თავის ტკივილს ხსნის, არტერიულ წნევას დაბლა სწევს.

როზმარინი და რეჰანი მეხსიერებას აუმჯობესებს, გონებრივ გადაღლას აქრობს.

ნეგოს ზეთი ასთმისა და ყივანახველას შეტევის დროს ეხმარება, ასევე ანთების საწინააღმდეგო მოქმედება აქვს ართრიტისა და რევმატიზმის დროს.

ჯანმრთელობისთვის ზიანის მიუყენებლად

რაც უნდა სასიამოვნო და სასარგებლო იყოს არომათერაპია, მას შეზღუდვები და უკუჩვენებებიც აქვს. ეთერზეთების გამოყენება არ შეიძლება დაუფიქრებლად, სპეციალური მეთოდიკის გაცნობის გარეშე. გაზავების გარეშე მათი კანზე წასმა, დოზის გადაჭარბება ან წამლის მსგავსად დალევა დაუშვებელია.

ორსულებისთვის უკუნაჩვენებია ბეგქონდარა, როზმარინი, დიდი კამა, რეჰანი, მიხაკი, სალბი, კვლიავი, მირა. ხოლო მწარე ნუშის, მდოგვის, აბზინდას, კოთხუჯის, პირშუშუხას ზეთები, საერთოდ არარეკომენდებულია, არომათერაპიაში ჯანმრთელმა ადამიანებმაც კი გამოიყენონ. ამიტომ სწორი არჩევანის გასაკეთებლად ექიმ-არომათერაპევტს მიმართეთ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

გვპასუხობს ექიმი



— ვარ 32 წლის. მაქვს მიომა (3 სმ). შეიძლება ეს უშვილობის მიზეზი გახდეს?

— მიომა კუნთოვანი ქსოვილისგან წარმოქმნილი სიმსივნეა. ყველაზე ხშირად საშვილოსნოს მიომა ვითარდება. მიომა ძირითადად 30-40 წლის ასაკში ჩნდება. იშვიათად უფრო ახალგაზრდა ასაკში. მიომის დროს პათოლოგიური ცვლილებები, საშვილოსნოს გარდა, ჰიპოთალამურ-ჰიპოფიზ-საკვერცხე-თირკმელზედა ჯირკვლის ქერქოვან შრეებშიც მიმდინარეობს. ამ დროს შეიძლება ჰიპოფიზის გონადოტროპული ფუნქცია მოიშალოს. უმრავლეს შემთხვევაში, არასრულფასოვანი ყვითელი სხეული წარმოიქმნება, რაც, ბუნებრივია, დაფეხმძიმებას ხელს უშლის. საშვილოსნოს მიომა დასაწყისში მხოლოდ კუნთოვანი ბოჭკოების ნაკრებია. შემდეგ ეს კვანძები შეიძლება გაიზარდოს და გიგანტურ ზომასაც მიაღწიოს. თქვენი მიომა კატასტროფული ზომის არ არის, მაგრამ მთავარია, რა ტიპისაა და სად მდებარეობს. დღეისთვის უსისხლო (ლაპარასკოპიული) ოპერაციით მიომის მოცილება პრობლემას არ წარმოადგენს. ამ დროს საშვილოსნოს ღრუ არ იხსნება და შვილოსნობის უნარს ქალი არ კარგავს. მიმართეთ ენდოკრინოლოგ-გინეკოლოგს და, შესაბამისად, დაგეგმეთ ფეხმძიმობა.

— აღმოჩნდა ციტომეგალოვირუსი. საშიშია?

— ციტომეგალოვირუსი აუცილებლად საჭიროებს მკურნალობას, რაც ძირითადად ორგანიზმის იმუნური სისტემის გაძლიერებით გამოიხატება. მკურნალობას ვიტამინებით ნუ დაიწყებთ. მიმართეთ ექიმს, რომელიც როგორც ანტივირუსული, ასევე იმუნური სისტემის გამაძლიერებელ საშუალებებს დაგინიშნავთ. გათხოვილ ქალებში ციტომეგალოვირუსი ხშირად ნაადრევი მშობიარობის მიზეზი ხდება.

— ბავშვი დაიბადა დღენაკლული — 7 თვის. ახლა არის 3 თვის. შეიძლება დამატებითი საკვების მიცემა და რისი?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ მის პედიატრს შეუძლია. ბავშვის კუჭში ყველანაირი საკვების გადამუშავებაში ხელშემწყობი ფერმენტები არ არსებობს. ისინი დროთა განმავლობაში გამომუშავდება. თვითნებურად არანაირი საკვები არ მისცეთ, ვინც უნდა გირჩიოთ, რადგან შეიძლება ბავშვს კუჭ-ნაწლავის ტრაქტი სერიოზულად დაუზიანოთ.

— მაქვს ცხიმიანი კანი. მასწავლეს ყურძნის ნილაბი. მოუხდება თუ არა ჩემს კანს. ვარ 18 წლის.

— ყურძენი კანს ტენს მატებს და შესაბამისად, უფრო ელასტიკურს ხდის. ყურძნის წვენი უხდება თითქმის ყველა ტიპის სახის კანს, მაგრამ მაინც გამომშრალი კანისთვის არის ეფექტური.

— რამდენიმე წელია კანზე გამჩენდა იარა, რომელიც პერიოდულად შემახსენებს თავს, მექაკუნება, მოფხანის შემდეგ კანი მიღიზიანდება. იარა მხოლოდ ერთ ადგილას მაქვს. მითხრეს, სოკოვანი დაავადებაო, ვიმკურნალე. მაწუხებს ერთი კონკრეტული უბანი.

— უმჯობესია მიმართოთ დერმატოლოგს. შეიძლება თქვენ ნეიროდერმატიტი გჭირთ. ნეიროდერმატიტს ახლავს ქავილი, განაკაწრები, კანის გასქელება, ფერის შეცვლა. იგი ძირითადად ნერვული სისტემის, ენდოკრინოლოგიური დაავადებებისას, განსაკუთრებით ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის მოშლისას ვითარდება. დიდი მნიშვნელობა აქვს ალერგიულ მდგომარეობას. ნეიროდერმატიტი ძირითადად მუხლქვეშ და იდაყვის ფოსოებში, კისერზე ვითარდება. ქავილი ღამით ძლიერდება. ექიმი-დერმატოლოგი მედიკამენტოზურ მკურნალობასთან ერთად შესაბამის დიეტასაც დაგინიშნავთ.

კომში – ჯადოსნური ნაყოფი

ყველა დროში ადამიანები ცდილობდნენ, ისეთი ჯადოსნური აბები შეექმნათ, რომლებიც ნებისმიერი დაავადებისგან განკურნავდათ. ბუნებამ ამაზე თავად იზრუნა და ჩვენთვის კომში შექმნა. მასში არის A, C, B ჯგუფის ვიტამინები, კალიუმი, ნატრიუმი, მიკრო და მაკროელემენტები, რკინა, თუთია, ამინომჟავები, დუბილური და პექტინური ნივთიერებები, ფრუქტოზა, ეთერზეთები, ღვინისა და ლიმონის მჟავა. ცოტა ხილი თუ მოიწონებს თავს ამგვარი მდიდარი შემადგენლობით.

კომში დეპრესიას აძევებს, ანთების, კუჭის, თირკმლების დაავადებების დროს ეხმარება. ეს ჯადოსნური ნაყოფი ორგანიზმის დამცავ ძალებს ამაღლებს, ღვიძლის მუშაობას აღადგენს, ანემიას კურნავს. უბრალოდ წარმოიდგინეთ: ერთ კომშში რკინის ორი დღის ნორმაა. გარდა ამისა, შარდმდენი თვისება გააჩნია, ბრონქიტის, კუჭის აშლის, დამწვრობისა და ანგინის დროს ეხმარება. გამოიყენება კოსმეტოლოგიაშიც. ჯანმრთელობის გამაგრება გსურთ? ყოველდღიურად ერთი ცალი კომში ჭამეთ.

მის კანში არის ეთერზეთი, რომელიც მას არაჩვეულებრივ მიმზიდველ სუნს აძლევს. ამიტომ კულინარიაში კომშის გამოყენებისას მისი კანი არასდროს გადააგდოთ. კანის ნახარში სხვადასხვა კერძში დაუმატეთ — ნატიფ გემოსა და არომატს მისცემს.

თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო S და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.

რით არის სასარგებლო გარგარის ჩირი

ის მდიდარია ვიტამინებით, მიკროელემენტებით. ჩირი მეტად კალორიულია — 100 გრამი 275 კკალორიაა, ხოლო 100 გრამი ქორფა ნაყოფი — 45 კკალორია.

გულის რიტმის დარღვევის, ასევე გულის კუნთის ინფარქტის, მიასთენიის (კუნთების სისუსტე) დროს რეკომენდებულია შემდეგი ნაყენი: 50 გრამ გარგარის ჩირს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით, ორი საათი დადგით. ნაყენი 2 მიღებაზე დალიეთ.

ათეროსკლეროზის დროს. 1 სუფრის კოვზი გარგარის ჩირი ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ, დღეში 2-3-ჯერ ჭამეთ.

გარგარის ჩირი მეტად სასარგებლოა ყაბზობის დროს შავი ქლიავისა და ლეღვის ჩირთან ერთად. 250 გრამი გარგარის, ამდენივე შავი ქლიავის და ლეღვის ჩირი ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ, დაუმატეთ 200 გრამი თაფლი და 50 გრამი ალოეს დაქუცმაცებული ფოთოლი. 1 სუფრის კოვზი ნარევი დღეში 2-3-ჯერ მიიღეთ.

ასევე სასარგებლოა ქორფა გარგარი. მხედველობის გაუარესების დროს რეკომენდებულია ახალგამოწურული გარგარის წვენი 0,4 ჭიქა დღეში 2-3-ჯერ დალიოთ სეზონის განმავლობაში.

სიოამაზის სალათა

საჭიროა: 2 სუფრის კოვზი ჰერკულესი, 6 სუფრის კოვზი ანადუღარი ცივი წყალი, 3 სუფრის კოვზი ანადუღარი ცივი რძე, 1 ჩაის კოზი შაქარი, 1 მოზრდილი ვაშლი, 1 ლიმონის წვენი. სალათა მზადდება ასე: ჰერკულესს წყალი დაასხით და 1 საათი დადგით. შემდეგ დაუმატეთ რძე, შაქარი, კანიანად გახეხილი ვაშლი, ლიმონის წვენი და სალათა მზადაა. ეს სალათა სასარგებლოა კანისთვის, აგრეთვე თმას ელასტიკურს ხდის. ერთ თვეში ეფექტი გაგაოცებთ.

Cyan Magenta Yellow Black

1. აშშ-ის სატელევიზიო პრემია; 2. ქიმიური ელემენტი; 3. პატარა საწნახელი; 4. ... ლესკო; 5. ღრეობა; 6. ღვინის შესანახი ადგილი; 7. ველოსიპედზე დამაგრებული ტყავის დასაჯდომი; 8. ინგლისური მაგარი ლუდი; 9. ტყის გრძელნისკარტა ფრინველი; 10. ხუთსანტიმიანი მონეტა საფრანგეთში; 11. წლოვანება; 12. მზესუმზირის გამხმარი ღერო; 13. ჭადრაკის ფიგურა; 14. სიგარეტი, ..., პაპიროსი; 15. მდინარე იტალიაში; 16. თეატრის კოლექტივი; 17. უკრაინის დედაქალაქი; 18. ასო ტ-ს სახელწოდება; 19. ამერიკელი ზანგების სასულიერო სიმღერები; 20. მადის დაკარგვა; 21. გასეირნების მოთხოვნა ჩვილის ენაზე; 22. ხის სატანვარჯიშო იარაღი; 23. შენობის შიგნითა პატარა ეზო საფრანგეთში; 24. მდინარე შვეიცარიაში; 25. ნახშირბადის ნაერთი ზოგიერთ ლითონთან; 26. ერთგვარი ტკბილეული; 27. ქალიშვილი ინგლისურად; 28. ... ფოიტტვანგერი; 29. საფუტკრე; 30. ფინური აბანო; 31. გაორმაგების აღმნიშვნელი წინსართი; 32. დასასჯელად სახმარი წკეპლა მეფის რუსეთში; 33. საცეკვაო საღამოების მონაწილე პიანისტი; 34. მოკლე ორლესური მახვილი; 35. ნიავი; 36. კეთილთვისებიანი სიმსივნე; 37. სასვენი ნიშანი; 38. უმაღლესი რანგის ექვსფრთიანი ანგელოზი ქრისტიანულ რელიგიაში; 39. მადის მოსაყვანი სუსტი სპირტიანი სასმელი; 40. ტკბილი კარტოფილი; 41. კათოლიკეთა მღვდელი; 42. იაპონური თეატრი; 43. ტყის მსხალი; 44. რაიონული ცენტრი დასავლეთ საქართველოში; 45. პირისახე წინიდან; 46. სადილის, ჩაის ან ყავის ჭურჭლის კომპლექტი; 47. დღე-ღამის საზღვარი პლანეტის ზედაპირზე; 48. ფერადი სამოზაიკო მინა ფირფიტების სახით; 49. პარლამენტის ზედა პალატა აშშ-ში; 50. პროფესიონალ მფრინავზე იტყვიან; 51. თავაზიანი მიმართვა იაპონიაში; 52. მუშაობის და ენერგიის საზომი ერთეული; 53. იქსი, ..., ზეტი; 54. შინაური ცხოველი; 55. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 56. უმსხვილესი სამხედრო შენაერთი ომიანობის დროს; 57. ბგერის გრაფიკული ნიშანი; 58. იგივეა, რაც მომზადებულად; 59. მაუგლის მეგობარი პითონი; 60. იტალიელი პოეტი; 61. სახელმწიფოს ფულადი შემწეობა შრომისუუნარო მოქალაქეს; 62. ზომიერი ტემპი მუსიკაში.



სიტყვა-კოდი

1	2	3	4	5	6

ბეღურისნაირთა რიგის ჩიტი

წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები

1. რიქშა; 2. იდო; 3. მის; 4. ალიონი; 5. შულერი; 6. ტაო; 7. დუ; 8. ედა; 9. ტირადა; 10. ამალა; 11. ადესა; 12. კარბიდი; 13. იპრიტი; 14. ლევრეტი; 15. „აიდა“; 16. ანონა; 17. მო; 18. ატრია; 19. ტენერიფე; 20. ტაფობი; 21. კატმანდუ; 22. სუმო; 23. ერბო; 24. ზრო; 25. ალი; 26. ლატარია; 27. ასაწონი; 28. ორი; 29. პიონერი; 30. ფრიკასე; 31. ლაფაჩი; 32. კონტრა; 33. სია; 34. ბრანი; 35. ბაია; 36. არბო; 37. ალქიმია; 38. კაპრონი; 39. კოკა; 40. ბოინგი; 41. აფრა; 42. ლეი; 43. ფორსაჟი; 44. ტარო; 45. პლანქტონი; 46. ღაჟო; 47. იონი; 48. ოიამა; 49. აბატი; 50. იარაღი; 51. აგნოსტიციზმი; 52. თრომბი; 53. მორალი; 54. ბაო; 55. მაჯა; 56. რომი; 57. სორო; 58. იტალია; 59. ფხა; 60. კრივი; 61. ფრაუ; 62. რა; 63. ენა; 64. ნარიტა; 65. კარავაჯო; 66. არხარი. **სურათებზე:** ფრანჩესკა პიჩინინი; ჰილარი დაფი; რიტა ორა; ჯესიკა ენისი.

ჯოდი: ნინიაპი

Cyan Magenta Yellow Black

მწვანე სკანვორდი

1. დედანი
2. პატარა სარწყავი არხი
3. შაშის სახეობა
4. ინდონეზიის კუნძული
5. მცირეალკოჰოლიანი სასმელი
6. ... მონტანი
7. წერის უნარის მოშლა
8. გომბეშო
9. ებრაელთა მოძღვარი
10. ... ვან ბეთჰოვენი
11. ბერძნული ანბანის ასო
12. ქართული გაზეთი
13. ბიბლიური ავაზაკი
14. ... ბრეგვაძე
15. ივლინ ...
16. მდინარე აშშ-ში
17. ფოსფორის ორგანული ნაერთი
18. ზღვის ნაპირის ნგრევა
19. კურორტი თურქეთში
20. შეძახილი ცეკვისას
21. სანელებელი
22. პარაგვაის ჩაი
23. კურკოვანი ხილი
24. ალგორითმული ენა

წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

1. ლი; 2. კუ; 3. სარე; 4. ასკილი; 5. სარკმელი; 6. ანტი; 7. ოლიმპი; 8. კინო; 9. ოპიუმი; 10. რტო; 11. პატრიოტი; 12. არენა; 13. რახტი; 14. ზებუ; 15. პიკოლო; 16. ტუხტი; 17. ოდრი; 18. სიფილისი; 19. კი; 20. ილი; 21. ილია; 22. იარა; 23. იფ; 24. ფისტონი; 25. ლა; 26. სე.
სურათებზე: ბრილიანტი; ლალი; ზურმუხტი; ფირუზი.

Cyan Magenta Yellow Black

როგორ მოვათვინიეროთ „მგლები“ სამსახურში

თუ ოფისში კოლეგებმა აგითვალწუნეს, მათგან ღია აგრესიას ან ხელმძღვანელობის მხრიდან ფსიქოლოგიურ ზეგავლენას გრძნობთ, დანებებას და გათავისუფლებაზე განცხადების დაწერას ნუ იჩქარებთ. კარის გაჯახუნება სიტყვებით „ღმერთმა დაგწყევლოთ!“ შეიძლება სანანებელი გაგიხდეთ. ეცადეთ, ნაკლებად რადიკალური მეთოდები გამოიყენოთ.

ჰისჯის ჯგუფი

რისკის ჯგუფში ითვლებით, თუ:

კომპანიაში ახალგაზრდა ხართ.

სხვა კოლეგებისგან ასაკით, ეროვნებით, განათლების დონით, სოციალური და ოჯახური სტატუსით მკვეთრად განსხვავდებით. ან, ვთქვათ, პროვინციიდან ჩამოხვედით და თქვენი საუბრის კილოს, ლექსიკის გამო დაგცინიან.

კომპანიაში პროტექციით მოხვდით და ეს ყველასთვის ცნობილი გახდა.

ერთ-ერთ თანამშრომელთან წარსულში პირადი ურთიერთობა გაკავშირებდათ, რომელიც მხიარულ ნოტზე არ დამთავრდა.

კომპანიაში არაჯანსაღი კონკურენციის ატმოსფეროა.

ეს ჰოგოს ვლინდება?

თქვენ კოლექტივის გეგმაზომიერი აგრესიის მსხვერპლი გახდით, თუ:

ხანგრძლივი დროის განმავლობაში კოლეგები ნებისმიერ საბაბს იყენებენ, რომ დაგცინონ და ცუდად დაფარული შეურაცხყოფებით აგავსონ.

მუდამ გაკრიტიკებენ, თანაც სერიოზული საბაბის გარეშე.

კონსტრუქციული კრიტიკა წვრილმანებზე შარის მოდებაში გადადის. კოლეგები მთელი ძალით ცდილობენ, თქვენი შესაძლებლობები დააკნინონ, სხვების საქმეებით დაგტვირთონ, რომელთაც თქვენს პირდაპირ მოვალეობასთან კავშირი არ აქვს. შეიძლება იზოლაციაში აღმოჩნდეთ.

ვერ გამჩნევენ, თქვენი რეპლიკები და წინადადებები უყურადღებოდ რჩება, ხელმძღვანელობის განკარგულება თქვენამდე არ მოდის, მნიშვნელოვან ინფორმაციას გიმალავენ.

ჰოგოს ვებრძოლოთ ამას?

ეცადეთ, ასეთი საყოველთაო „სიყვარულის“ მიზეზი იპოვოთ.

იქნებ მუშაობა დაიწყეთ იმ ადგილზე, რომელსაც ერთ-ერთი თანამშრომელი უმიზნებდა?

უნებლიეთ ან განზრახ შეურაცხყოფა მიაყენეთ მთავარ ხელმძღვანელს?

მეტად მკაცრად გამოთქვით აზრი ოფისში არსებული წესრიგის შესახებ და ხმამაღლა განაცხადეთ, რომ წინა სამუშაოზე ყველაფერი უკეთესად ორგანიზებული იყო?

ერთი სიტყვით, პრობლემის საფუძველზე დაფიქრდით. პირისპირ ესაუბრეთ აგრესიის მოთავეს და ეცადეთ, თქვენი უთანხმოება გადაჭრათ.

თავი დაიცავით და სიმშვიდე შეინარჩუნეთ. ნებისმიერი ემოციური რეაქცია: ცრემლები, რისხვა, ღანძღვა, საპასუხო შეურაცხყოფა ტკბილი მუსიკაა იმ ადამიანის ყურისთვის, ვინც ეს „ომი“ წამოიწყო.

დაძაბულობის მოსახსნელად, სახლში შეგიძლიათ იტიროთ, ჭურჭელი დაამსხვრიოთ, მაგრამ ოფისში რკინის ნიღაბი უნდა ატაროთ.

მოკავშირე იპოვეთ. მაშინაც კი, თუ ოფისში ისეთი უშიშარი ადამიანი არ მოიძებნება, რომელიც აშკრად თქვენს მხარეზე დადგება, ყურადღება მიაქციეთ მას, ვინც ამ აგრესიაში აქტიურ მონაწილეობას არ იღებს. ურთიერთობა გქონდეთ მასთან და ეცადეთ, დაუმეგობრდეთ. ის მაინც გეცოდინებათ, რომ კორპორაციულ ახალ ამბებს შეიტყობთ.

შეფთან საუბრისას ფრთხილად იყავით. თქვენს ჩივილს — „არავის ვუყვარვარ, ყველა ჩემ წყენინებას ცდილობს“ — შეიძლება უკუეფექტი მოჰყვეს. ხელმძღვანელი გადაწყვეტს, რომ არ ღირს, კომპანიაში ჰყავდეს თანამშრომელი, რომელიც კოლექტივს ვერ ეწყობა.

ეცადეთ, თავიდან აიცილოთ ნებისმიერი დივერსია. თქვენს კომპიუტერზე რთულად ამოსაცნობი პაროლი გქონდეთ, თქვენი ნებისმიერი ნივთი უმეთვალყურეოდ არ დატოვოთ.

ყველაზე მთავარი იარაღი, რომელიც გულღვარძლიან კოლეგაზე გამარჯვებაში დაგეხმარებათ, ეს თქვენი უნაკლო მუშაობაა. თუ კოლეგები დაინახავენ, რომ ყველა პროვოკაციის მიუხედავად, მუშაობას შესაშური პროფესიონალიზმითა და საქმის უზადო ცოდნით აგრძელებთ, ამასთან, ხელმძღვანელობაც გაფასებთ, დარწმუნებული იყავით, ადრე თუ გვიან თქვენი „მტრები“ თეთრ დროშას გამოფენენ.

სულიერი სიმშვიდის დაბრუნების ეფექტური საშუალებები

სტრესისგან რომ გათავისუფლდეთ, ტირილს იწყებთ, ჭურჭელს ამტვრევთ? არ ღირს. უფრო სასიამოვნო და ქმედითი ანტისტრესული მეთოდებიც არსებობს.

ბევრ ადამიანში სიტყვა „სტრესი“ უსიამოვნო ასოციაციებს — დაძაბულობას, გულდამძიმებულობას, დეპრესიას — იწვევს. სინამდვილეში სტრესი ბუნების ერთ-ერთი შესანიშნავი გამოგონებაა. სწორედ მისი წყალობით შეძლო ადამიანმა ევოლუციის პროცესში თავის გადარჩენა. სტრესის დროს ორგანიზმში საბრძოლო მზადება მიმდინარეობს, რაც საშიში მდგომარეობის დაძლევაში გვეხმარება. ჩვენთვის ზიანის მომტანია არა სტრესი, არამედ მისგან არასწორი გამოსვლა, რაც ნერვული მოშლილობებით, ასევე დაავადებებით იმუქრება.

რა თქმა უნდა, სტრესს ვერ გაექცევით, მაგრამ არსებობს მეთოდები, რომლებიც სულიერი სიმშვიდის აღდგენას ეხმარება.

იმოძრავეთ და გაიღიმეთ!

ფიზიკური დატვირთვა მეტაბოლიზმს აჩქარებს და სტრესის შედეგად წარმოქმნილი ქიმიური ნივთიერებების ორგანიზმიდან გამოდევნას ხელს უწყობს, დაძაბულობას ხსნის და ძილს აუმჯობესებს. გარდა ამისა, სპორტული მეცადინეობების დროს ორგანიზმში ბედნიერების ჰორმონები — ენდორფინები გამოიყოფა.

სიცილი საუკეთესო წამალია. ნაღვლიან ფიქრებს დევნის, იმუნურ სისტემას ასტიმულირებს, ადუნებს და ამშვიდებს.

სწორად ისუნთქეთ

ნერვების დაწყნარებას სუნთქვითი ვარჯიში ეხმარება. ღრმად ჩასუნთქვა და ნელა ამოსუნთქვა სისხლს ჟანგბადით ავსებს და მის ტვინისკენ

მიდენას ხელს უწყობს. დიაფრაგმით ე.ი. თანაბრად და ღრმად სუნთქვის ცოდნა სტრესიდან გამოსვლას აადვილებს.

ანტისტრესული დიეტა

ნერვიულობის დროსB ჯგუფის ვიტამინები იხარჯება და მაგნიუმის შემცველობა მკვეთრად მცირდება. ემოციებს რომ მოერიოთ, მაგნიუმითა და B ჯგუფის ვიტამინებით მდიდარ პროდუქტებს მიეძალეთ. მაგნიუმის მარილებს უხვად შეიცავს ქატო, შოკოლადი, თხილეული, ჭარხალი, ციტრუსები და სალათა. B ჯგუფის ვიტამინებით მდიდარია ღვიძლი, კვერცხი, ყველა მცენარეული ზეთი.

მგზნებარება რომ გაანელოთ და სწრაფად დამშვიდდეთ, ნელი ყლუპებით ერთი ჭიქა ცივი წყალი დალიეთ.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

ქართული ანეკდოტები



აფთიაქში:

— გოგონა, ჰიგიენური გაქვენ?

— ხატომ ასე ფოიოჩკიდან? შემობიძანდით და მოგაზომებთ.

— რაც ცოლი მოვიყვანე, მას შემდეგ აღარც ჭამა შემიძლია, აღარც სმა, აღარც მოწევა!

— რატომ?

— გამატყავა ცოლმა, კაპიკი აღარ დამიტოვა ჯიბეში!

❖ ❖ ❖

გურულმა ჭიშკარზე აბრა გამოაკრა: „ფრთხილად, ეზოში ავი ძაღლია ორი დღით“.

— ორი დღით რას ნიშნავს? — ჰკითხა მეზობელმა.

— ორი დღითაა ჩამოსული. მოესიყვარულება თავის შვილს და წავა, აბა, რას იზამს?

❖ ❖ ❖

ქმარი: ახლა კი გაები... ჩემი თვალით დაგინახე, „მერსედესში“ ვიღაც კაცს რომ ეხვეოდი და ესიყვარულებოდი. ვინ იყო ის კაცი?

ცოლი: რა ფერის იყო „მერსედესი“?

❖ ❖ ❖

ამინდის პროგნოზი კახურად:

— ხვალ მთელ კახეთში ამინდი ამძ...დება, ვირი შარდივით წამოვა წვიმაი, ალაგ-ალაგ შაიძლება ცხვარი კურკლი ტოლა სეტყვაც გამაერიოი.

❖ ❖ ❖

— ჩემს ქმარს საყვარელი ჰყავს. არ ვიცი, რა ვიღონო.

— შე ქალო, ეგ როგორ არ იცი. არ გაგიგონია, კაცის გულისკენ გზა კუჭზე გადისო?!

— მეიცა ახლა. შენ გინდა, დამაჯერო, რომ ჩემი ქმარი ნატაშასთან ჩაშუშულის საჭმელად დეიძურწება?

❖ ❖ ❖

— ბავშვებო, როგორ მრავლდებიან ჭიაყელები?

— გაყოფით, მასწ.

— ეს როგორ ხდება?

— თოხით — ჭახ-ჭახ და სამია!

❖ ❖ ❖

პენსიონერი ძმაკაცები პლაჟზე:

— უმზირე, ერთი, ქიშვარდია, ი გოგოს ტრუსიკი არ აცვია?

— აცვია, მარა შენ ვერ ხედავ.

❖ ❖ ❖

ნოდიკომ ცოლი მოიყვანა და ძმაკაცები ესტუმრნენ მისალოცად.

— ნოდიკო, გილოცავთ გაბედნიერებას, — ჩამოართვეს ხელი სათითაოდ და პატარძლისკენ გადაინაცვლეს, — მონაწილე ვართ, ქალბატონო, თქვენი მწუხარების!

❖ ❖ ❖

— ბატონო პროფესორო, დღეს თქვენს ლექციას ვერ დავესწრები.

— კარგი.

— და... ჟურნალში არ აღნიშნავთ?

— არა, სახლში რომ მივალ, იქ აღვნიშნავ სუფრით.

❖ ❖ ❖

რესტორნის დირექტორმა ახალ ოფიციანტს წელს ქვემოთ მოუფათურა ხელი. გოგონამ სილა გაანნა.

— შე კაი ქალო, გეთქვა, მუშაობის გამოცდილება თუ არ გქონდა! — დაუბრიალა თვალები დირექტორმა.

❖ ❖ ❖

გურული მეზობელს უყვება:

— პლაჟზე ქალებს შევხედე და ცოლმა ორივე თვალში მატაკა თითები. არ ჯობდა, სვარკიზა მეყურებია? ცოტას წევიტირებდი და გამივლიდა.

❖ ❖ ❖

— რაია, ბუჯო, შვიდი წელია, რაც ცოლი გყავს და ერთი ბაღანა ვერ გააკეთე. არადა ხომ ვიცი, ერთი ათ ქალს მაინც ყავს შენგან ბაღანა.

— რაია, იცი, სიმონ? მე ძაან იშვიათი ეგზემპლარი ვარ, მხოლოდ და მხოლოდ თავისუფლებაში ვმრავლდები.

სტრესის სამი მიზეზი:

1. უმაჯობო ცოლის შეხედვა.

2. სიდედრის ჰიტველი სტუმრობა.

3. შემდეგი სტუმრობები.

ახალ შებინდებულზე მიხომ მაყვალა მოიხელთა ღობის ძირას და ებღღვნა.

— ხას მიპრეხებ, ჯოვ? — გაინაზა მაყვალა.

— ხას გიპრეხებ და ნაიჯუზე!

— ხათა, ჯოვ? — სულ დადნა ქალი.

— ზეიგზე დაგაბიჯებ და ზაბოხ გადავახტები. იცი, ხა მაგაში საზამთრო აქ ზაქრესა?!

— იმიზა, რომე დაუმსახურებლად მაწყენინეს.

— მერე დეგემსახურებია, შე ჩემა!

❖ ❖ ❖

— სად იყავი, ქალო, მთელი დღე გეძებდი, მოვკვდი ძებნით!

— სად ვიყავი და ექიმთან.

— რაო ექიმმა?

— რაო და ოთხი დღის სიცოცხლე დაგრჩაო.

— აუუუ... ახლა კუბო ეძიე!

❖ ❖ ❖

— ჩემი ბიჭი უნდა დავსაჯო.

— რატომ?

— ძალიან გავაბლატავე ამ ბოლო დროს.

— და მაინც იმას სჯი შენ, კაცო?!

❖ ❖ ❖

— რომელი საათია ახლა, რომელი? — ანჩხლობს ცოლი.

— რომელი და დილის ხუთი საათია, — ენის ბორძიკით პასუხობს მთვრალი ქმარი.

— კიდო კაი, საათს ცნობ.

— მაგი რაია, შენ დედაჩემი უნდა გენახა, მამაჩემი სახლში რომ მოვიდოდა, ეხვეწებოდა, კალენდარს შეხედე, შე სასიკვდილე, რომელი თვეაო.

❖ ❖ ❖

ქუთაისელმა „ღიმილის ბიჭებს“ უყურა:

— აუუ, ბუჯო, მეორე მსოფლიო ომის დროს მობილურები რომ ქონოდენ, რამდენი „ღიმილის ბიჭი“ გოდოურჩებოდა სიკვდილს!

❖ ❖ ❖

— რეიზა ხარ გაბრაზებული, სიმონ?

— მამი, გვეღები ღაპარაჯობენ? — ეკითხება ჯახელის შვილი.

— აბა, ხა! აგე, ჩემი სიდედრი განა არ ღაპარაჯობს?

— ეხლა შენე, — ეუბნება ზესტაფონელი სიდედრს, — ჩადი მარკეტში, აგეთ ფული და ამომიტანე სამლიტრიანით ჯარი ჰვავ, ოთი ჯილო სასისკა, ოთი ბოთლი არაყი, ოთი ცალი ტარანი, ეთი ჰური და, ხაც ხეიდა დაგიჩება, შენი იყოს.

გახარებული სიდედრი ფაცხაფუცხით გავარდა. ამ დროს მობილური ჰეკავს.

— ხა ქენი, ბიჭო, შენე? — ისმის ცოლის ხმა, — მიეცი დედაჩემს, მისი ჰენსია ხომ გამოგატანე?

— აბა, არა?! სიხარულისგან სიხბილით გავარდა მარკეტში.

✓ შეკრიბა
მურმან მერკვილიშვილმა,
ქეთი ხარატიშვილის ნახატები

Cyan Magenta Yellow Black

ალან ალექსანდრ მილნი

დასაწყისი №37-41

წითელი სახლის საიდუმლოება

ერივე სმენად იქცა. ცოტა ხნის წემდეგ ბილმა ენტონის უჩურჩულა:

— ხომ არ მოგეჩვენა? აღარაფერი ისმის.

— არა მგონია, თუმცა... როცა ღამეა, ადამიანს მხედველობის ხარჯზე სმენა უმძაფრდება.

— გეთანხმები, — ბილი წელში გაიმართა, — ახლა რა ვქნათ?

— გარეთ გავიდეთ და თხრილს შემოვუაროთ. იქნებ იქ წავაწყდეთ რამე საინტერესოს.

ასეც მოიქცნენ, მაგრამ ვერაფერი ნახეს.

უკვე უკან გაბრუნებას აპირებდნენ, როცა ენტონიმ შესძახა:

— მოიცა! ეს რა არის?

მათ წინ, თხრილის ერთ ადგილზე გაფოფლილი შტოების გროვა ჩანდა, რომელიც... საიდუმლო გასასვლელს ფარავდა.

— ევრიკა! — შესძახა ბილმა, — აი, საიდან გამობრძანდა ქალბატონი მსახიობი!

— ბილ, უკან ამ გზით ხომ არ დავბრუნდეთ? ბარემ ვნახავდით, სად იწყება.

— არა მგონია, ღირდეს.

— იცი, თავში ერთმა უცნაურმა აზრმა გამიელვა, — თქვა ენტონიმ.

— იქნებ მეც გამიზიაროთ, მისტერ ჰოლმს?

— რა და... ეს ჩვენი გაუჩინარებული მარკ ებლეტი მაგ იდუმალ გასასვლელში ხომ არ იმალება? ვატსონ, განა ეს გამორიცხულია?

ბილ ბევერლის გაოცებისაგან მეტყველების უნარი წაერთვა და, წითელ სახლამდე ისე მიაღწიეს, ხმა არ ამოუღია.

ასადილო ოთახში სასაუზმოდ შესულ ენტონის სტუმართმოყვარე მასპინძელი უკვე იქ დახვდა. კეილიმ ქაღალდები გვერდზე მისწია და სტუმარს თავი დაუკრა.

— მისტერ ებლეტზე... მარკზე... თუ ისმის რამე? — შეეკითხა ენტონი, თან ყავა დაისხა.

— არაფერი, — მიუგო კეილიმ, — ინსპექტორი ბერჩი დღეს ტრალის საშუალებით ტბის ფსკერის გადაჩხრეკას აპირებს.

— როგორ? აქ ტბაც გაქვთ?

— სინამდვილეში ტბორია, გუბურა, — ოდნავ გაეღიმა კეილის, — მაგრამ ყოველთვის ტბას ეძახდნენ.

— მერე იქ რას ეძებენ?

— ფიქრობენ, რომ მარკი ხომ არ... — კეილიმ სათქმელი აღარ დაასრულა, მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

— დაიხრჩო? რაკი მიმალვას ვერ შეძლებდა? და მიხვდა, კომპრომეტირებული რომ იყო? — მიაყარა ენტონიმ.

— ჰო, ალბათ, — ნელა თქვა კეილიმ.

— მე კი ვფიქრობდი, რომ ასე იოლად არ დანებდებოდა. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ჰქონდა. ვიდრე ეს ამბავი პოლიციის ყურამდე მიაღწევდა, განა ლონდონის მატარებელს ვერ მიუსწრებდა?

— რომ ეჩქარა, მიუსწრებდა. ინსპექტორმა ხალხი გამოჰკითხა. მარკი თითქოს არავის დაუნახავს.

— მოგვიანებით კი გამოჩნდებიან ვიღაცეები, ვინც ის სხვადასხვა ადგილას ერთსა და იმავე დროს ნახა.

— სრული ჭეშმარიტებაა, — გაიღიმა კეილიმ, — ასეა თუ ისე, როგორც დეტექტივებში წამიკითხავს, ასეთ დროს პოლიცია პირველად ტბას მიადგება ხოლმე, ანუ, ჩვენს შემთხვევაში, გუბურას.

— ღრმაა?

— საკმაოდ, — მიუგო კეილიმ, წამოდგა, კარისკენ წავიდა, შეჩერდა და ენტონის გამოხედა, — ვწუხვარ, ასეთ საქმეზე რომ გაჩერებთ, მაგრამ ეს მალე დამთავრდება. გამოძიება ხვალინდელი დღის მეორე ნახევრისთვისაა დანიშნული, მანამდე კი შეგიძლიათ ისე გაერთოთ, როგორც მოგესურვებათ, რაშიც ბევერლი დაგეხმარებათ.

— დიდი მადლობა, მაგრამ... სიმართლე გითხრათ, არაფერი მჭირდება.

კეილის აღარაფერი უთქვამს, ისე გავიდა ოთახიდან, ენტონიმ კი საუზმე გააგრძელა, თან, ცხადია, კეილიზეც ფიქრობდა. როგორ მოეწონა ინსპექტორის გადაწყვეტილება? აღელვებულს ნამდვილად არ ჰგავდა, თუმცა თავისი ჭეშმარიტი გრძნობების დამალვაც, როგორც ჩანს, კარგად ეხერხებოდა. იქნებ იცის კიდეც, ტბორი რომ არანაირ საიდუმლოებას არ მალავს და მშვიდადაც ამიტომაა? ვინ იცის...

კარი გაიღო და გაღიმებული ბილი შემოვიდა.

— აბა? — თქვა ხმამაღლა და მაგიდას მიუჯდა, — დღეს დილით რას ვაპირებთ?

— ხმადაბლა ლაპარაკს, მაგალითად.

— რაა? გვისმენს ვინმე? — ბილმა მიმოიხედა.

— არა, მაგრამ ყვირილი რა საჭიროა?

— მე ვყვირი?

— ძვირფასო უილიამ, შენი ხმა მკერდისმიერ ბგერებს გამოსცემს, რაც, თავის მხრივ, ბევრ საიდუმლოს ხდის ფარდას, ანუ, სხვა სიტყვებით, დაბრაწული პური გადმომაწოდე.

— ამ დილით აცუნდრუკებული მეჩვენები.

— არ გეშლება, რაც კეილიმაც შენიშნა და მითხრა, საქმე რომ არ მქონდეს, შენთან ერთად სოკოების საძებრად წამოვიდოდიო. ანუ მე იორდანეში უნდა მებანავა, იქვე, ნაპირზე კი ბერჩი იდგებოდა ანკესით ხელში. მერე კი, როცა ამოვიდოდი, მეტყოდა, კვერცხები ხომ არ გაგიცივდათ, უშვილობას იწვევსო. მერე კულისებში გავიდოდა, ამ დროს კი სცენის მეორე მხრიდან უილიამ ბევერლი გამოვიდოდა და...

— ძვირფასო ფსიხო, — შეაწყვეტინა ბილმა, — დილაობით ეს ხშირად გემართება?

— თითქმის რეგულარულად, — მიუგო პირგამოტენილმა ენტონიმ.

— ალბათ მზემ დაგკრა.

— მზემაც, მთვარემაც, ვარსკვლავებმაც. ყველამ შეთანხმებულად შეუტია ჩემს ცარიელ კუჭს. მისტერ ბევერლი, იცით კი რამე ვარსკვლავებზე? ვთქვათ, ორიონის სარტყელი გაგიგიათ? ან ის თუ იცით, ბევერლის სარტყელი რატომ არ არსებობს? — ენტონი წამოდგა, — კარგი, დღეისათვის საკმარისია. მოგვიანებით შეეხვდებით ერთმანეთს. ისე კი, კეილიმ მითხრა, ბევერლი გაგართობსო. თქვენ კი მთელი დილა ერთხელაც ვერ გამაცინეთ. მოკლედ, გართობა უნდა ისწავლოთ, ოღონდ მერე, ნასაუზმევს. ახლა კი არ იჩქაროთ, საჭმელი კარგად დაღეჭეთ, თქვენმა სტომაქმა რომ იოლად მოინელოს. უკაცრავად, რამე ხომ არ გაწყენინეთ? — ენტონი მეგობრის პასუხს არ დალოდებია, ისე გავიდა სასადილო ოთახიდან და გაოცებული ბილი პირღია დატოვა.

ავის ოთახში ასულ ენტონის უმცროსი მოახლე დახვდა ცოცხით ხელში.

— უკაცრავად... თქვენ, მგონი, ელსი ხართ, — გაუღიმა, როცა იცნო.

— დიახ, სერ, — ელსის ხმაში დარცხვენაც გამოსჭვიოდა და სიამაყეც.

— ეს თქვენ მოგესმათ გუშინ მისტერ მარკის ხმა, ხომ?

— დიახ, სერ.

— იმედია, ინსპექტორი თავაზიანად მოგექცათ.

— დიახ, სერ. გმადლობთ. ვუთხარი, რაც გავიგონე.

— მაგრამ მე მაკვირვებს, ძალიან მაკვირვებს, რატომ.

— რა რატომ, სერ?

— ბევრი რამ, ელსი... თუნდაც ის, ზუსტად იმ დროს იმ კართან რომ აღმოჩნდით.

— შემთხვევით, სერ, — ელსი გაწითლდა, — საერთოდ, სხვა კიბით ვსარგებლობ ხოლმე.

— მჯერა.

— სერ... — ელსი შეყოყმანდა, თითქოს თქმა უჭირსო, — მაპატიეთ, რომ გეკითხებით... გამოძიება ჩატარდება?

— ჰო. მგონი, ხვალ.

— ჩვენება მეც უნდა მივცე?

— რა თქმა უნდა. საშიში არაფერია.

— მე ხომ გავიგონე, სერ. მართლა.

— ცხადია, გაიგონეთ. ვინ ამბობს, რომ არა?

— ყველა, სერ. მისის სტივენსი და სხვები.

— შურთ და იმიტომ, — გაუღიმა ენტონიმ, — კარგი, ახლა ჩემს ჩიბუხს ავიღებ, თქვენ კი გააგრძელეთ.

ესტიბიულში ენტონი ბილს შეეჩეხა და გასეირნება შესთავაზა.

— სიამოვნებით, — მიუგო ამ უკანასკნელმა, — საით?

— პარკი მაჩვენე.

— წავედით.

კარგა მანძილი რომ გაიარეს, ენტონი ალაპარაკდა:

Cyan Magenta Yellow Black

— მისმინე, ვატსონ. სახლში როცა ხართ, ხმამაღლა ლაპარაკი მოიშალეთ. ჩვენ უკან, გარეთ მთელი ამ დროის მანძილზე ერთი ჯენტლმენი იდგა.

— მართლა? — ბილს სახე წამოუწითლდა, — დიდი ბოდიში. ახლა ვხვდები, იმ სისულელეებს რატომ როშავდი.

— ნაწილობრივ მაგიტომ. ისე კი, მართლა კარგ ხასიათზე ვიყავი.

— რატომ?

— მაგარი დღე გველის.

— რას გულისხმობ?

— გუბურის, უკაცრავად, ტბის ფსკერის დათვალიერებას აპირებენ.

— მართლა?

— აბა, გატყუებ? შენ ის მითხარი, ეს ტბა სად არის.

— სწორედ იქითკენ მივდივართ.

— მანდ ხშირად ხარ ხოლმე?

— არა. რა უნდა ვაკეთო?

— ცურვა ხომ იცი?

— ჰო, მაგრამ წყალი ბინძურია.

— გასაგებია... ეს ის გზა არაა, გუშინ რომ გამოვიარეთ?

— ისაა. სულ მალე მარჯვნივ შევუხვევთ და ტბაც გამოჩნდება. რაო, რას ვეძებთ?

— მარკს.

— რას ამბობ? — ბილი დაიბნა, — ძებნაზე გამახსენდა. საიდუმლო გასასვლელის ადგილის ძებნა როდის უნდა დავიწყოთ?

— ვიდრე კეილი სახლშია, ვერაფერს ვიზამთ. ისე, სამი საათისთვის ალბათ დამჭირდები, ოღონდ იცოდე, სახლში ამაზე კრინტი არ დაძრა და მაშინ ამყევი, მე თუ დავიწყე. შენ უნაკლო ვატსონი უნდა იყო.

— ვფიცავ, ვიქნები! აი, ტბაც!

მათ ტბად წოდებულ ტბორს გარშემო შემოუარეს, მერე ბალახზე დასხდნენ და გააბოლეს.

— მარკი აქ არ არის, — თქვა უცებ ენტონიმ დაბეჯითებით.

— რა იცი?

— არსი ცოდნა კი არა, მიხვედრაა, — სწრაფად მიუგო ენტონიმ, — შუბლში ტყვიის დახლა გაცილებით ადვილია, ვიდრე ტბაში დახრჩობა. მარკი კი, როგორც ვატყობ, დიდი გამბედაობით არ გამოირჩეოდა.

— ენტონი, იქნებ ახლა საიდუმლო გასასვლელზე გვეფიქრა?

— ერთი რამ ცხადია: მაგ ადგილს ან იოლად ვიპოვით, ან საერთოდ ვერ მივაგნებთ.

— გინდა თქვა, რომ დრო არ გვეყოფა?

— არც დრო, არც შესაძლებლობა. ჩემნაირი ზარმაცისათვის საკმაოდ დამამშვიდებელი აზრია.

— მაგრამ თუ ჩვენ ისე ძებნას შევძლებთ, როგორც საჭიროა, ყველაფერი გაძნელდება.

— პოვნა ძნელია, ძებნა კი ადვილი. მაგალითად, გასასვლელი შეიძლება კეილის საძინებელში დაწყებულიყო, მაგრამ ახლა ვიცით, რომ ეს ასე არ არის.

— არაფერიც არ ვიცით! — გააპროტესტა ბილმა.

— ჩვენი ძიების მიზნისთვის ვიცით. აბსოლუტურად ცხადია, რომ კეილის საძინებელში ვერც შევალთ და ვერც კედელზე კაკუნს ავტეხავთ. ხოლო რაკი ასეა, უნდა დავუშვათ, რომ საიდუმლო შესასვლელი იქ არ არის.

— ცხადია, რომ ვერც ზედა სართულზე დაიწყება, — შენიშნა ბილმა.

— რა თქმა უნდა, ანუ ძიების საქმეში წინ მივიწევთ, — გაიღიმა ენტონიმ.

— სამზარეულოც და სახლის მთელი ის ნაწილიც უნდა გამოვრიცხოთ.

— და მარანიც, თუ რამე ინახება.

— მოკლედ, არც ისე ბევრი ადგილი რჩება.

— ჰო, ოღონდ უნდა ავწონ-დავწონოთ, ყველაზე უსაფრთხო ძიება სად შეგვეძლება.

— სავარაუდო ჩამონათვალი შემდეგია: სასადილო, ბიბლიოთეკა, ვესტიბიული, საბილიარდო და კაბინეტი მისი მიმდებარე ოთახებით.

— კი, სულ ესაა.

— ყველაზე რეალური ალბათ კაბინეტია, არა?

— ჰო, ოღონდ ერთი წინააღმდეგობაა.

— რომელი?

— ფარული გზა უმოკლესი უნდა იყოს, კაბინეტიდან კი პირიქით, დაგრძელდებოდა.

— სწორია, — დაეთანხმა ბილი, — ანუ შენ სასადილო ან ბიბლიოთეკა გგონია?

— ჩვენთვის ბიბლიოთეკა.

— რატომ?

— სასადილო ოთახში ხშირად მსახურები შედიან, რაც სრულყოფილი მოძიების საშუალებას არ მოგვცემს, თან იქიდან მის ნორისის ფარულ კარში გაუჩინარებაც ძალიან სარისკო იქნებოდა.

აგზნებული ბილი ზეზე წამოიჭრა:

— წავედით ბიბლიოთეკაში! თუ კეილი ან სხვა ვინმე შემოვა, თავს ისე მოვაჩვენებთ, თითქოს წასაკითხს ვეძებთ რაღაცას.

ენტონი ზანტად წამოდგა:

— ჰო, სწორია, ვატსონ.

მარკის ბიბლიოთეკის ოთხივე კედელი, იატაკიდან ჭერამდე, თაროებით იყო სავსე, თაროები კი წიგნებით. სხვისი წიგნების თვალიერება ენტონის დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა და ამჯერადაც ასე მოხდა. რას არ ნახავდით აქ, რომელ ცნობილ თუ ნაკლებად ცნობილ ავტორს, ამგვარი მრავალფეროვნება კი იმის საწინდარი გახლდათ, რომ ნებისმიერი მსურველი თავისთვის საინტერესო წიგნს აუცილებლად შეარჩევდა.

— ბილ, შენ რა ლიტერატურა გიზიდავს? — შეეკითხა წიგნების თვალიერებით გართული ენტონი, — თუ ბილიარდის თამაში გირჩევნია?

— არც მასეა საქმე, — ნაწყენი კილოთი მიუგო მეგობარმა, — ისე კი, რა ბევრი წიგნია, არა?

— ბევრიც და საინტერესოც. ნებისმიერ გემოვნებას დააკმაყოფილებს, — კვერი დაუკრა ენტონიმ.

— ყოველი წიგნის გადმოღება მოგვიწევს, სანუკვარი ადგილი რომ არ გამოგვეპაროს, — შენიშნა ბილმა.

— თან ეს ეჭვსაც არ გამოიწვევს, — დაამატა ენტონიმ, — ბოლოს და ბოლოს, ბიბლიოთეკაში ხომ იმისთვის შედიხარ, წიგნები რომ გადმოიღო!

— მაგრამ უზომოდ ბევრია.

— რა გაეწყობა, — ენტონიმ კარის მოპირდაპირე თაროებს მიაშურა, — აი, აქ ძირითადად სპორტი და მოგზაურობებია. წიგნები მოგზაურობებზე ძალიან მიყვარს. შენ?

— წარმოუდგენლად მოსაწყენია.

— ბევრს მოსწონს, — ენტონი მომდევნო თაროზე გადავიდა, — პიესები. აღორძინების ეპოქის დრამატურგები. განუმეორებელი შექსპირი. ბილ, პიესების კითხვა შეუსვენებლად შემიძლია, ისე გამიტაცებს ხოლმე. აბა, შემდეგი.

— მისმინე, ჩვენ არც ისე ბევრი დრო გვაქვს, — ფრთხილად შენიშნა ბილმა.

— ნამდვილად, მაგრამ ვერ შევჩერდებით. ესეც ლექსები. დღეს მათ აღარავინ კითხულობს. ბილ, ბოლოს „დაკარგული სამოთხე“ როდის წაიკითხე?

— არც არასოდეს.

— ასეც ვიცოდი, — ენტონი მომდევნო სექციაზე გადავიდა, — ბიოგრაფიები, თან რა ბევრია! მიყვარს ბიოგრაფიები, თუ კარგი დაწერილია. შენ? ნეტა, რას გეკითხები!

— ვითომ რატომ?

— ეწყინა ბილს.

— მაინც არას მეტყვი და იმიტომ, — პირში მიახალა მეგობარმა და შემდეგ სექციას მიადგა, — ღმერთო! ეს რა არის? ხომ არ მეჩენება?

— რა ხდება? — ზანტად შეეკითხა ბილი.

— ქადაგებები, ბილ, ქადაგებები! — ენტონის მღელვარება უსაზღვრო იყო, მარკის მამა იყო მღვდელი თუ თავად გააჩნდა თანდაყოლილი ინტერესი რელიგიისადმი?

— მგონი, მამამისი იყო სასულიერო პირი. ჰო, ნამდვილად.

— ანუ მამისეული წიგნებია, გესმის? მერე რა წიგნები! „ნახევარი საათი უსასრულობასთან“, „გზააბნეული ცხვრები“, „ჯონსი სამების შესახებ“, „წმინდა პავლეს წერილები განმარტებებით“, „ვიწროა გზა. წმინდა თეოდორ ასშერის ქადაგებანი“... არა, არა! შეუძლებელია! დაუჯერებელია!

— რა არის? — ბილის ხმა კვლავ გულგრილი იყო, სულ არ გადასდებოდა მეგობრის აღფრთოვანება.

— უილიამ, ეს გასხივოსნებაა, — ენტონიმ თაროდან წმინდა თეოდორ ასშერის კლასიკური ნაშრომი გადმოიღო და ბილს გაუწოდა, — აჰა, დამიჭირე.

ბილმა მორჩილად გამოართვა.

— არა, დამიბრუნე. ასე. ახლა ვესტიბიულში გადი და კეილის თუ დაინახავ, ხმამაღლა დაიყვირე: „ჰელოუ! სალამი!“.

ბილი გავიდა და მალევე დაბრუნდა უკან:

— არავინაა.

— კარგი. ახლა ასშერი მარცხენა ხელში დაიჭირე. აი, ასე... მარჯვენათი კი ამ თაროს ჩაეჭიდე... კარგია... ახლა კი, როცა გეტყვი: „გასწიე“, ნელ-ნელა შენკენ გასწიე. მიხვდი?

ბილმა თავი დაუქნია, ენტონიმ კი ხელი ასშერის დატოვებულ სიცარიელეში შეყო, თაროს უკანა მხარეს თითებით შეეხო და...

— გასწიე! — დაიძახა.

მღელვარებისგან სახეალეწილი ბილი ასეც მოიქცა და უეცრად მთელი სექცია, ზედა თაროდან დაწყებული ქვედას ჩათვლით, ოდნავ შეინძრა და უხმაუროდ გაიღო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

✓ **თარგმნა გურამ ჩხეტიანმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატი**

Cyan Magenta Yellow Black

თინათინ ბონი

ოცნების ძიებაში

დასაწყისი №31-41

www.facebook.com/Tinatinbonney

თავი 12

ზურა განრისხებული აჯახუნებს კარს. როგორ გაბედეს მასთან თამაში?! არავინ ბედავს, მას აგდებულად მოექცეს. ირაკლიმ ეს თავისი დის გასამწარებლად გააკეთა. უნდა, რომ ზურა დააკნინოს მის თვალში. ვერ ეღირსება! ზურა გაანადგურებს მასაც და იმ ქალსაც. ღრმად ისუნთქავს და პიჯაკს სკამზე კიდებს. ირაკლის და არც არასდროს იყო მისი ღირსი. ბავშვები რომ არა, უფრო ადრეც დაშორდებოდნენ. მთავარია, ახლა ირაკლის გასამწარებელი გეგმა დაალაგოს. ამისათვის ყველაზე კარგი გზა უფროსი მეტრეველია.

❧

დღეს შაკო ბრუნდება. ერთი სულ მაქვს, ვნახო. გვერდიდან არ მოვშორდები. როგორ მიხარია, რომ ყველაფერი კარგადაა. ვუყურებ საათს. მალე იქნება სახლში და გადავალ. სანდრო იმის მერე არ მინახავს და მესიჯების გზავნაც შეწყვიტა. მშვიდი პერიოდი მქონდა, რაც კარგია. ყველამ დამივიწყა, გივიმაც კი. მაგას გაუხმა ეგ უტვინო თავი! ვაღებ მაცივარს. კვერცხი არის. ყიყლიყოს შევიწვავ. დედა შაკოსთანაა სახლში, სადილს უკეთებს. მიშო არასდროს არის სახლში. მის ქორწილზეც არ გვისაუბრია. მთავარია, ფული მივეცი. ჩემს ანგარიშზე იმდენი დამრჩა, რომ მშვიდად ვიცხოვრო ცოტა ხანს და მერე უნდა მოვიფიქრო რამე. ვხურავ მაცივრის კარს. ფიქრებში გართული ვჭრი პურს.

— გიხდება სახლში ფუსფუსი, — მესმის მამაკაცის ხმა და დანას ვუჭერ ხელს.

ვტრიალდები და ვხედავ ირაკლის, რომელსაც ქაღალდის პარკი უჭირავს.

— დარეკვა ძნელი იყო? — ვეკითხები მკაცრად.

— აქვე ვიყავი და საუზმე შემოგიტანე, — მაგიდაზე დებს პარკს.

— მადლობა, — ძალიან გემრიელი სუნი მცემს.

— მეც რომ ვისაუზმო... შეიძლება?

— უარი რომ გითხრა, წახვალ? — ვეკითხები ღიმილით.

— არა, — ასევე ღიმილით მპასუხობს და სკამზე ჯდება.

უხდება ღია ფერები, უფრო ნათელი უჩანს სახე... მისი ლამაზი სახე. თეფშებს მაგიდაზე ვალაგებ და ჩაიდანს ვაერთებ.

— ვერ შეგეხმიანე ეს დღეები...

— არც იყო საჭირო.

— მამაჩემი იყო ცუდად.

ვერ ვისწავლე, რომ ენას კბილი დავაჭირო.

— ახლა როგორაა?

— ცოტა უკეთ, მადლობა.

— იმედია, ყველაფერი კარგად იქნება. ყავა თუ ჩაი?

— ჩაი.

— შაქარი?

— ორი.

ვასხამ მისთვის ჩაის და ჩემთვის ყავას. ვსხდებით. ვალაგებ ფრანგულ ფუნთუშებს თეფშებზე.

— სამსახურში რა ხდება?

— ვცდილობ, გავერთო დირექტორობით. შენ რას აკეთებ მთელი დღეები?

— არც არაფერს.

— ნუ, სამუშაო შენ, რამდენადაც მახსოვს, არ გჭირდება.

ვახველებ და თვალს ვარიდებ.

— გჭირდება? — მეკითხება გაოცებული.

— რაღაცეები შეიცვალა...

— ანუ?

— ჩემმა ქმარმა ითაღლითა რაღაცეები და, მოკლედ, აღარ მაქვს იქ სახლი და ფულიც ცოტა დამრჩა. თან მეგობრებს დავეხმარე, იქ ჩემი დეიდაშვილის ქორწილიც და, მოკლედ, ყველაფერი ერთად.

— ჰმმ... ალბათ შენს ქმარს ვერანაირად მივუდგებით, რომ ფული დავაბრუნებინოთ, ხომ?

მესაყვარლება, როგორ ამბობს „მივუდგებით“... ჩვენ...

— ვერა და თანაც მაგის დანახვაც კი არ მინდა. მაგისი იყო თავიდან და ვერ შევირგებდი.

ირაკლი ფუნთუშას კბეჩს და ჩაის აყოლებს. ვიცი, უნდა, რომ სამსახური შემომთავაზოს, მაგრამ ვერ ბედავს.

— ირაკლი, თუ რამე გინდა, პირდაპირ მითხარი.

ჩაის ყლუპს სვამს და ჭიქას ლანგარზე დებს.

— სამსახური თუ გჭირდება...

— მჭირდება, — იცის უკვე სიმართლე და რაღას ვიფასონო?

— რა შეგიძლია?

— არ იცი, რა შემიძლია? — თვალს ვუკრავ.

ნერწყვი სცდება და ხველას იწყებს. ზურგზე ვუბარტყუნებ.

— კაი, დამშვიდდი, რა დაგემართა.

— ისეთი თვალებით შემომხედე, გადამცდა და კინაღამ დავიხრჩვი.

— მაპატიე, — ვამბობ ღიმილით.

— ახლა სერიოზულად. რა შეგიძლია?

— ინგლისური და კომპიუტერი ვიცი, — მეცინება.

— ჩემს მოადგილედ წამოხვალ?

— და რა უნდა ვაკეთო?

— არაფერი.

— კარგი ახლა.

— მართლა გეუბნები. ჩემი ძმაკაცი, მაგალითად, არაფერს აკეთებს.

— მე მასე არ შემიძლია.

— მოგიფიქრებ რამე საინტერესოს.

— მაინც? — თვალს ვუკრავ.

ამჯერად თავს იკავებს და მხოლოდ ღიმილით მპასუხობს:

— გაიგებ.

— გადასარევი მაშინ. როდის შემიძლია გამოვიდე?

— ორშაბათს.

— გადასარევი. დრესკოდი?

— სემი-ქეჟუალი.

— კარგი. რომელ საათზე მოვიდე?

— გამოგივლი.

— არ გინდა.

— რადგან ვამბობ, ესე იგი მინდა.

— კარგი. რომელზე?

— ათისთვის.

ფეხზე ვდგები და ჭურჭელს ნიჟარაში ვალაგებ.

— მე გავალ ახლა და ორშაბათამდე შეგეხმიანები დეტალების გასავლელად. თან ხელფასიც არ გიკითხავს...

— და რამდენია?

— რამდენი გინდა?

— ირაკლი!

— ხომ იცი, რომ, რაც უნდა მთხოვო, გავაკეთებ.

ირაკლი ბეჭებში იმართება და ისე მიყურებს, რომ გული მიჩქარდება. არის მასში რაღაც ძალიან მიმზიდველი.

— მოდი, გაგაცილებ, — ვამბობ და ვატყობ, რომ ხმა მიკანკალებს.

კარისკენ მივდივართ. ვაღებ კარს და მისკენ ვტრიალდები. რამდენიმე წამი ვუყურებ თვალებში და ვეხუტები. ხელებს მხვევს და ლოყაზე მკოცნის.

— შეგიშალეთ? — მესმის დედაჩემის ხმა.

ირაკლი ხელს მიშვებს და დედაჩემს ხელზე კოცნის.

— ირაკლი, რომელიც მუდამ სახლში გივარდებათ, — ამბობს ღიმილით.

— ლილი და ნებისმიერ დროს გვეწვიე, შვილო, — ამბობს გაბადრული დედაჩემი.

— დედა, ნუ ეუბნები, თორემ დაიჯერებს, — ვამატებ სიცილით.

— ცუდია, თუ დავიჯერებ? — ირაკლი თვალს მიკრავს.

— შევხედავთ.

ირაკლი მიდის და კარს ვკეტავ. დედაჩემი ისევ გაბადრულია.

— დედა!..

— რა? მშვენიერი ბიჭია.

— ვიცი, მაგრამ ნუ მტენი.

— აი, ისევ. შენ ნუ ისტერიკობ. შაკოს მოიყვანენ მალე.

— გადავივლებ და მერე გავალ.

ვეხუტები დედას და შუბლზე ვკოცნი.

— მიყვარხარ, დე! — ვეუბნები სიტყვებს, რომელიც, სამწუხაროდ, დიდი ხანია, არ მითქვამს.

❧

შევდივარ შაკოს ოთახში. როგორი გამხდარია. ვჯდები მის გვერდით სკამზე, ვიღებ მის ხელს და სახეზე ვიდებ.

— არ გინდა ახლა ბლაზები, — ცალ თვალს ახელს.

— როგორ შემაშინე.

— გავიგე, გივიას ფულებს უნდა ვუმადლოდე გადარჩენას.

— ღმერთს უნდა უმადლოდე!

შუბლზე ვკოცნი.

— ნამდვილად არ ვიყავი ჯერ სიკვდილისთვის მზად...

— გაჩერდი, ნუ ლაპარაკობ მასე, — ხელზე ვკოცნი.

— რომ მოვმკვდარიყავი, იმედია, შენი დასასაფლავებელი არ ვიქნებოდი, — ცდილობს, გაიღიმოს.

— შაკო, კი ხარ ნაოპერაციევი, მაგრამ შემოგარტყამ, თუ არ გაჩერდები!

თვალებს ხუჭავს და ჩემს ხელს გულში იკრავს.

— მომიყევი, რას აფუჭებდი, სანამ მე ვიტანჯებოდი.

— ბევრი სისულელე მოხდა, მაგრამ ამას მერე მოგიყვები, ახლა უნდა დაისვენო.

— კარგი. მოგვიანებით ხომ გადმოხ-

Cyan Magenta Yellow Black

ვალ?

— აბა, რას ვიზამ? — შუბლზე ვკოცნი და ოთახიდან გავდივარ.

მთავარია, გადარჩა. ახლა შემიძლია წამოვგორდე და სერიალი ჩავრთო. რამეს უნდა ვუყურო, სადაც სემ ფეიჯი თამაშობს. დარწმუნებული ვარ, ირაკლი აზვიადებს და საერთოდ არ ჰგავს. ვარჩევ შესაბამის ფილმს. გემრიელად ვკალათდები და ვრთავ. რა თქმა უნდა, რომ არ ჰგავს. ნუ, ოდნავ ფერებით და ღიმილით. კლუბის დაცვა ალბათ შაშუბეშა იყო. რატომ ვუთმობ ირაკლიზე ფიქრს ამდენ დროს? ეს მე არ მჩვევია. ვდგები, ვთიშავ ფილმს და მუსიკას ვრთავ. ვარჯიშის დროა.

ირაკლი სადილს იცხელებს. დღეს სახლში უნდა ყოფნა. ორშაბათიდან ალექსანდრას ყოველდღე ნახავს და ეს საკმაოდ დიდი ნაბიჯია. მან ხომ იცის, რასაც გრძნობს და მასთან ხშირი კონტაქტი ამ გრძნობას უფრო გააღვივებს, მაგრამ სხვანაირად ახლოს ვერ გაიცნობდა, თანაც ალექსანდრას დახმარება სჭირდება. იქნებ გამოვიდეს რამე და სერიოზულ ურთიერთობაში გადაიზარდოს ეს ყველაფერი. ფიქრებიდან მიმწვარი სადილის სუნს გამოჰყავს. სწრაფად იღებს ცხელ ტაფას და წყალს უშვერს. სამზარეულო იკვამლება. ირაკლი სადილს ტაფიანად აგდებს ურნაში, მაცივრიდან ლუდს იღებს და საძინებელში გადის.

ხვალ გივის ქორწილია. როგორ არ მივიდე? მაგრამ შაკოს ვერ წავიყვან. ირაკლის ამ შარში ვერ გავხვევ. აი, სანდროს კი... ალბათ სიამოვნებით ითამაშებს ამ როლს. თვითონაც ცოტა გადაერთვება. ვიღებ მობილურს და ვაგზავნი მესიჯს: „მარანძანა, მომენატრე“.

პასუხი არ აყოვნებს: „რას მელაპარაკები“. ვუთხრა პირდაპირ გივიზე თუ ჯერ დავაინტრიგო? ინტრიგა! „ხვალ ძალინ მჭირდება, რომ გვერდში მყავდეს სექსუალური, მომხიბვლელი, შეძლებული მამაკაცი... სულ რამდენიმე საათით. ხომ არ იცნობ მასეთს?“. ვდებ მობილურს მაგიდაზე და სამზარეულოში გავდივარ. ვისხამ ცივ წვენს და უკან ვბრუნდები. პასუხი ადგილზეა: „სად და რომელზე?“.

ჰმმ... ხვალ ვეტყვი, რაც ხდება. „ჩემს სახლთან, საღამოს 9 საათზე, იყავი შეუდარებელ ფორმაში!“.

იმ წამსვე მპასუხობს: „მუდამ“.

კმაყოფილი ვიკრიჭები. ახლა უნდა ავარჩიო კაბა.

ძალიან კარგ ფორმაში ვარ. წითელი მინი კაბა მაცვია. მაღალ ქუსლებზე ვარ შემხტარი, თმა გაშლილი და დახვეული, მაკიაჟი მძიმე, წითელი პომადით და ჩახატული თვალებით. მე ვიცი, რაც აღიზიანებს გივის! დიდ ამბავს ჩავატარებ. მესმის მუხრუჭის ხმა და ფანჯარაში ვიხედები. სანდრო ავტომობილიდან გადმოდის და მოხუცი მეზობელი ქალებიც კი ჭორაობას წყვეტენ. მეცინება. დღეს კარგი ღამე იქნება. გარეთ გავდივარ. ლოყაზე მკოცნის და მანქანის კარს მიღებს. მოუნდომებია. ძალიან ფორმაშია, თუმცა ამას პარკიც რომ შემოახვიო, მაინც ყველაზე კარგი იქნება.

— სად მივდივართ? — მეკითხება სანდრო და სათვალეს იკეთებს.

— ჩემი ყოფილი ქმრის ქორწილში.

— ნუთუ? — ცინიკურად ეცინება.

— იმედია, წინააღმდეგი არ ხარ.

— არანაირად. ზუსტად იმ ხასიათზე ვარ, ერთი-ორ კაცს ცხვირ-პირი რომ დავამტვრიო.

— დამტვრევა, მოდი, გადავდოთ და აი, ღადაობა და გამწარება შეიძლება.

— პატარძალი რომ გავახარო, შეიძლება? — იცინის და მანქანას ძრავს.

— მე მეგონა, მე გამახარებდი... — ვკისკისებ.

— შენ ღამე მოგხედავ.

მივქრივართ. სანდრო რაღაცას ყვება. ნახევარს არ ვუსმენ. გული ამოვარდნაზე მაქვს. იმის მერე, რაც ტრაკზე დავსვი, გივი არ მინახავს. რა საოცრებაა, ნაირ-ნაირი კაცები მეხვევიან და მე მაინც მტკივა. გივის ჩემი ცხოვრება ვაჩუქე და მან გადააგდო. სანდრო რესტორანთან აჩერებს. გადავდივართ. მკლავში ხელს ვუყრი.

— ხომ არ ნერვიულობ? — ყურში მიჩურჩულებს.

— შენ გვერდით არა, — ვპასუხობ და ტუჩებში ვკოცნი.

შევდივართ დარბაზში. დიდი ღრიანცელია. ყველა ცეკვავს. ოთხასი კაცია ალბათ. გივის ბიძაშვილი პირველი მამჩნევს და მის გამომეტყველებაზე ვატყობ, რომ ზეფორმაში ვარ. დანარჩენი ნათესავებიც მამჩნევენ, მაგრამ არ იძვრიან, გივის რეაქციას ელოდებიან. მისი ძმაკაცები სკამებიდან დგებიან. ქალები სანდროს არ აშორებენ თვალს. გივი სკამზე ზის და ვიღაცას ელაპარაკება. პატარძალს ვერ ვხედავ. ნელი ნაბიჯით ვუახლოვდებით მას. გივი ფეხზე დგება. ისეთი სახე აქვს, რომ კმაყოფილებას ვეღარ ვმალავ. ვუახლოვდები, სანდროს ხელს ვუშვებ და ვეხუტები. აი, ამას ნამდვილად არ ელოდა! ბრინჯივით იბნევა, მაგრამ მალევე მოდის გონს. მეხუტება ისე, როგორც ადრე, როცა ჩემი ცხოვრება მას ეკუთვნოდა და მე ვხედები, რომ გავიმარჯვე.

— მინდა, რომ ბედნიერი იყო, — ვუჩურჩულებ ყურში და ლოყაზე ვკოცნი.

აი, ახლა უკვე საბოლოოდ განადგურებულია. ხელს მიშვებს და წაშლილი სახით მიყურებს.

— მიხარია, რომ მოხვედი, — ამბობს ტანჯვით.

— ამას როგორ გამოვტოვებდი! — ვეუბნები ღიმილით.

— გივიკოო... — მესმის პატარა გოგოს წიკვინი.

პატარძალი კისერზე ეხუტება. შემდგომ მე მათვალიერებს, მაგრამ არ კითხულობს, ვინ ვარ. ჭკვიანი გოგო! გივიც არ მაცნობს. ვიცი, ახლა მის თავში რა ხდება.

— სიყვარულო, მოდი, რა! — ვეძახი სანდროს.

სანდრო თმაზე ისვამს ხელს და დინჯად მიახლოვდება. წელზე მხვევს ხელს და კისერში მკოცნის.

— გივი, გაიცანი ჩემი ალესანდრო.

გივის თვალები სისხლით ევსება. სანდრო თავს უქნევს, მაგრამ ხელს არ ართმევენ ერთმანეთს. ყველა ჩვენ გვიყურებს. მგონი, აღარც ცეკვავს არავინ.

— ჩვენ არ გავიდეთ? — მეკითხება სანდრო.

— უკვე მიდიხართ? — გივი თავს ვერ თოკავს.

— კი, მოსალოცად შემოვიარეთ, სხვაგან მივდივართ.

— სად? — გივი აგონიაშია.

— ჩემთან, — მშვიდად პასუხობს სანდრო.

— გილოცავთ კიდევ ერთხელ, — ვამბობ ღიმილით და ნელი ნაბიჯით მივემართებით გასასვლელისაკენ. მისი მზერა ზურგს მიწვავს და ეს საოცარი შეგრძნებაა!

სანდრო სანაპიროზე აპარკინგებს და ბარებისკენ ავდივართ. გარეთ ვსხდებით და სასმელს ვუკვეთავთ.

— მშია, ხომ იცი, — სანდრო მენიუს ათვალიერებს.

— ჭამე მერე.

— შენ არ გშია?

— მე ჯერ კიდევ ეიფორიაში ვარ, — ვეუბნები ღიმილით.

— რაღაც შეიძლება გკითხო?

— ხომ იცი, რომ შეიძლება.

— აი, ამ ტიპს როგორ გაჰყევი ცოლად? — წარბს წევს.

— პატარა ვიყავი და რა ვიცი, შემიყვარდა.

— ფულიც არ ჰქონდა ხომ, მაშინ?

— არა.

— ვერ ვიგებ და მომკალი. რა გჭირთ ამ ქალებს.

— რატომ ამბობ მასე?

— აი, ლენა აიღე... — ამბობს და ჩერდება.

— მითხარი.

ოფიციანტს სასმელი მოაქვს. სანდრო მექსიკურ კარტოფილს უკვეთავს.

— გააგრძელე, — მინდა, ვალაპარაკო. ვიცი, რომ უნდა.

— იცი, ვის გაჰყვა? პატარა უპატრონო ბიჭს, რომელიც არაფერში არ წერია.

— თქვენ შორის რამე მოხდა?

— ვიცი, გგონია? კი რთულია ჩემთან ყოფნა და იგრუზებოდა, ეს ამდენი ქალი რომ მყავდა, მაგრამ არ მაცალა, ისე გაიქცა. უკვე ქორწილს ვგეგმავდით და დატყდა, ჯვარი დაიწერა. არც კი დამელაპარაკა.

— მიძნელდება ასე რამის თქმა, თუმცა რაღაც სიცარიელე, რაც მას გულში ჰქონდა, აი, იმ ბიჭმა შეავსო.

→68

Cyan Magenta Yellow Black

სანდრო ფიქრობს, შემდეგ სვამს.

— სურათი გაქვს? — არ მინდა, რომ ჩაიკეტოს.

მობილურს მაწვდის. ვუყურებ ფოტოს. სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა ქალია. აი, მასეთებს ხვდებიან ასეთი კაცები, ჩემნაირ მაგრებს კი — გივისნაირები.

— ლამაზია, — უნამუსოდ ვიტყუები.

— ვიცი, — ამბობს ღიმილით.

— ის თუ იცი, რომ მოინდომო, დაიბრუნებ.

— გათხოვილია.

— მერე რა? ხომ გიყვარს?

— ძალიან.

— ხოდა, დამიჯერე, იმ ბიჭთან დიდი ხანი ეგ ვერ გაძლებს და შენ მზად უნდა იყო.

— რისთვის?

— როცა დაშორდებიან, შენ რომ მიიღო.

ეღიმება. ნაკვთებიც კი თბილი უხდება. ალბათ ძალიან უყვარს.

— გინდა, ვიცეკვოთ? — ფეხზე დგება.

— წამო, — მეც ვდგები.

წელზე მხვევს ხელს და ყველას გულის გასახეთქად საცეკვაოდ გავდივართ. საოცარი წყვილი ვართ. სანდროზე ვარ აკრული და ვცეკვავთ. პერიოდულად ვიღაცეები ესალმებიან და ისე კოცნის, რომ მე ხელს არ მიშვებს. მუსიკაც სასიამოვნოა.

— ჩემთან ხომ დარჩები? — ყურში მიჩურჩულებს.

— არ ვიცი... — თავს ვიფასებ.

— რაც გინდა, იმას გავაკეთებ.

— ეგ თავისთავად, — ვამბობ და ტუჩებში ვკოცნი.

ვცეკვავთ მანამ, სანამ გადაბლონდირებული „ნაშა“ უკნიდან არ ეხვევა.

— ვიცოდი, რომ აქ გიპოვიდი, — ამბობს „ნაშა“ და კისერზე ეკიდება.

— მივდივარ უკვე, — სანდრო იცილებს და მე მხვევს ხელს.

— შენ ვინ ხარ? — მეკითხება „ნაშა“ მე.

— თვითონ ვინ ხარ? — მოხვდება ამას ხელუკულმა.

— სანდროს ცოლი.

აი, შოკი! გასაგებია, რატომაც გაიქცა ის საწყალი გოგო.

— ყოფილი! — სანდრო კბილებში ცრის.

სანდრო ხელს მხვევს და მივდივართ. საშინელ ხასიათზეა.

— კაი, ნუ აჰყვები... — არც ვიცი, რა უნდა ვთქვა ასეთ სიტუაციაში.

— აი, ესენი, ეს ბოზები მიშხამავენ მუდამ ცხოვრებას! — წიხლს ურტყამს მანქანას.

— მოდი, მე წავალ... — ვამბობ მშვიდად.

— რატომ?

— მგონი, ასე ჯობია.

— იმედია, „ეს ბოზები“ შენს თავზე არ მიიღე?

— არ ვარ დარწმუნებული, რომ ოდესმე ჩემზეც მასე არ იტყვი.

— გეყოფა, — კისერში მკოცნის.

— შენ მიჩვეული ხარ, რომ ყოველთვის იმას იღებ, რაც გინდა, — ვიშორებ.

— აუუ, არ გინდა და კარგად იყავი, — მანქანაში ჯდება.

გაუნძრევლად ვდგავარ. ქოქავს, მაგრამ არ იძვრის. მე ისევ ისე ვდგავარ. გადმოდის მანქანიდან და მიახლოვდება.

— ბოდიში, — თვალებს ხრის.

— როგორ იქცევი ამხელა კაცი? — ვეკითხები მკაცრად.

— ძალიან ცუდად ვარ.

— ვიცი, მეც ცუდად ვარ.

— ძალიან გთხოვ, წამოდი ჩემთან. გეფიცები, მეგობარი უფრო მჭირდება ახლა, ვიდრე სხვა რამე.

— კარგი.

მანქანის კარს მიღებს და ვჯდები. მე ამას გამოვზრდი ისე, როგორც საჭიროა!

შევდივართ სანდროს ბინაში. პერანგს იხდის და იატაკზე აგდებს. ფეხზე ვიხდი. ავეჯი დაუმატებია. ახლა უფრო დაემსგავსა ბინას.

— დალევ რამეს? — მეკითხება სამზარეულოსკენ მიმავალი.

— მინერალურს.

ტახტზე ვჯდები. ბრუნდება მინერალურით და ლუდით. ჩემ გვერდით ჯდება.

— ალექსანდრა, მართლა ბოდიშს გიხდი იმ უხეში სცენისთვის.

— არა უშავს, უბრალოდ მომავალში აკონტროლე თავი.

ბეჭზე მადებს თავს.

— იცი, გამიმართლა, იმ დღეს ბარში რომ გაგიცანი.

— შენ მასე თვლი?

— კი. აი, იმ სიცარიელეს, რომელიც ლენამ დატოვა... შენ მივსებ.

— მიხარია, — მინერალურს იატაკზე ვდგამ.

— მე გავსებ? — თვალებში მიყურებს.

— რა გინდა, სანდრო? — მეცინება.

ლუდს იატაკზე დგამს.

— შენ მინდიხარ.

თავისკენ მწევს და მკერდს მიშიშვლებს.

— საოცრად ლამაზი სხეული გაქვს.

მკერდზე მკოცნის. თავს ვაწევინებ და ტუჩებში ვკოცნი.

— სანდრო, შენ ძალიან კარგი ხარ, — ვეუბნები.

პატარა ბავშვივით ეღიმება.

— შენ ყველა ქალისგან განსხვავებული ხარ...

— რითი? — მუხლებზე ვუჯდები.

— რაღაცნაირი ძლიერი ხარ და ამავდროულად საოცრად ქალური.

— სასიამოვნოა, რომ ასე მხედავ.

— რაღაც საოცრება ხარ, — კისერში მკოცნის.

— სანდრო, შემომხედე, — ვუბრძანებ.

თვალებში მიყურებს.

— დღეს დაგავიწყებ იმ აუტანელ ტკივილს. გპირდები.

ბედნიერების ნაპერწკალს ვამჩნევ მის თვალებში. ჩვენ მართლაც ვჭირდებით ერთმანეთს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეს იცოდით?

❖ მსოფლიოში ყველაზე დიდ ლექსიკონად იაკობ და ვილჰელმ გრიმების „გერმანული ლექსიკონი“ მიიჩნევა. ძმებმა გრიმებმა მასზე მუშაობა 1854 წელს დაიწყეს, შემდეგ სხვა ავტორებმა განაგრძეს, საბოლოოდ კი 34 519 გვერდიანი ლექსიკონი 1971 წელს დასრულდა და 33 ტომად გამოიცა.

❖ მსოფლიოს უძველეს გაზეთად 1470 წელს კიოლნში გამოცემული გაზეთი მიიჩნევა. დღემდე მისი ერთადერთი ეგზემპლარია შემონახული. მსოფლიოს უძველესი ჟურნალი კი 1645 წელს დაიბეჭდა. ის შვედეთის ლიტერატურის აკადემიის გამოცემაა.

❖ ბრაზილიის უძველესი ქალაქი სალვადორი გახლავთ. იგი 1510 წელს დაარსდა და 1763 წლამდე ამ ქვეყნის პირველ დედაქალაქს წარმოადგენდა.

❖ მუსლიმ-შიიტთა უწმინდეს ქალაქს ირანში მდებარე კუმი წარმოადგენს.

❖ კარის ზარი 1831 წელს გამოიგონეს.

❖ მსოფლიოში ყველაზე დაუცველ საზღვრად ამერიკა-კანადის საზღვარი მიიჩნევა, რომლის სიგრძე 8890 კილომეტრია.

❖ ამერიკელ ბიზნესმენსა და მსოფლიოს ნომერ პირველ მილიარდერ ჯონ როკფელერს ახალგაზრდობაში ორი სურვილი ჰქონდა: გამოემუშავებინა 100.000 დოლარი და ეცოცხლა 100 წელიწადი. პირველი სურვილი მან ზედმიწევნით შეისრულა, მეორის განსახორციელებლად კი მხოლოდ 2 წელი დააკლდა.

❖ იტალიელმა კოლექციონერმა რიო კოზელიმ მსოფლიოში იმით გაითქვა სახელი, რომ „ყველაზე მოსაწყენ“ წიგნებს აგროვებს, რომელთა რაოდენობა უკვე 10 ათასს შეადგენს.

❖ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა საერთაშორისო ორგანიზაციის, გაერო-ს დაფუძნებისას აღნიშნა: „გაერო-ს იმიტომ კი არ ვქმნით, რომ დედამიწაზე სამოთხე შევქმნათ, არამედ იმიტომ, რომ ირგვლივ ჯოჯოხეთმა არ დაისადგუროს“.

Cyan Magenta Yellow Black

მკურნალი ტუხტი

ძველ საბერძნეთში ამ ლამაზ ვარდისფერ ყვავილებიან მცენარეს ყველა დაავადების მკურნალს უწოდებდნენ. ტუხტის ძირები უძველესი დროიდან სამკურნალო მიზნით გამოიყენება. მისი ყვავილების, ფოთლებისა და თესლებისგან შინაურ წამლებს ამზადებენ. ავიცენა რეკომენდაციას იძლეოდა ამ მცენარის ფესვებისა და ფოთლების ნახარში ხველის, ფილტვების ანთების, შარდის ბუშტში კენჭებისა და სხვა დაავადებების შემთხვევებში გამოეყენებიათ.

ტუხტი ცნობილი საშუალებაა ანგინის დროს. მისი ნაყენი ასევე გამოდგება კომპრესისთვის თვალისა და კანის ლორწოვანი გარსების ანთების შემთხვევებში.

4 ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ ძირებს 2 ჭიქა ცივი ანადუღარი წყალი დაასხით. ჭურჭელს თავსახური დაახურეთ და ერთი დღე-ღამე დადგით, შემდეგ გაწურეთ. ნაყენი ყოველ 2 საათში პირში გამოივლეთ.

ტუხტის ჩაი შესანიშნავად ეხმარება კუჭის ტკივილის, ასევე ფაღარათის დროს. ღრძილების, პირისა და ყელის ლორწოვანის მდგომარეობას აუმჯობესებს.

2 ჩაის კოვზ ფოთლებს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით, 10 წუთი დადგით. კუჭისა და ნაწლავების მუშაობის დარღვევების დროს დაუმტკბარი დალიეთ.

ტუხტის კოსმეტიკა

ტუხტის შინაური საშუალებები შესანიშნავად მოქმედებს კანზე.

ნიღაბი ბღუვი ჯანისთვის

3 სუფრის კოვზი თაფლი და 1 სუფრის კოვზი დაქუცმაცებული ტუხტის ძირები აურიეთ. სახეზე დაიდეთ, 20 წუთის შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ. უმჯობესია, ნიღაბი ყოველ საღამოს, ერთი კვირის განმავლობაში გაიკეთოთ. კანი გადატკეცილი გახდება. ასევე გაქრება შეშუპება (თუ გაქვთ).

ტონიკი მშრალი ჯანისთვის

ტუხტის 2 სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ ძირებს 300მლ. მდუღარე დაასხით, დღე-ღამე დადგით, გაწურეთ. ტონიკში ბამბის ტამპონი დაასველეთ და სახე დიდა-საღამოს გაიწმინდეთ. ტონიკი აქერცლილ კანს აცლის, კანს მშვენივრად ასუფთავებს.

როგორ შევინარჩუნოთ ფიგურა გახდომის შემდეგ?

სტატისტიკის მიხედვით, ადამიანთა მხოლოდ 5% ინარჩუნებს გახდომის შედეგს მთელი ცხოვრება. დანარჩენი 95% წონაში ისევ იმატებს. რატომ? როგორ შეიძლება ამის თავიდან აცილება? მიზეზი სხვადასხვაა.



1. წონის დაბრუნება ბევრ შემთხვევაში აიხსნება იმით, რომ ადამიანი თავიდანვე არასწორად გახდა. ბევრი ამ პროცესს აღიქვამს, როგორც მოკლე დისტანციაზე გარბენას. „ახლა, ერთი კვირა დიეტას დავიცავ, სასურველ ფიგურას დავიყენებ და შემდეგ მოდუნება შეიძლება“, — ბევრი ასე ფიქრობს. სამწუხაროდ, ასეთი სქემა არ მუშაობს.

2. ჩვეულ რაციონზე დაბრუნებისას ახალი კილოგრამების აკრეფა, მატება უფრო მეტია, ვიდრე დიეტის დროს დაკარგვა. მიზეზი არამხოლოდ კალორიების გაზრდაში, ასევე ნივთიერებათა ცვლის შენელებაშია, რომელიც არასაკმარისი კვების დროს ორიენტირებული იყო ენერგიის დაგროვებაზე.

3. ხანმოკლე დიეტით წონაში დაკლებისას ადამიანი ძირითად კუნთურ მასას კარგავს. სწორედ კუნთებში იწვება ცხიმი. თუ ის ცოტაა, მაშინ ცხიმის ხარჯვა მცირდება.

4. ყოველდღიური არაქათის გამომცელელი ვარჯიში ფიტნეს-კლუბში, მაგალითად, ერთი თვის განმავლობაში. ეს წონაში კლებას ეხმარება, მაგრამ ამ პერიოდში ორგანიზმი განსაზღვრულ დატვირთვას ეჩვევა. ასეთ რეჟიმში მუდამ წვრთნა მხოლოდ პროფესიულ სპორტსმენებს შეუძლიათ. ენერგიის ხარჯვა მცირდება და კილოგრამების ისევ აკრეფა ადვილად ხდება.

რჩევა

ვინც წონას აკონტროლებს, მის მენიუში აუცილებლად უნდა შედიოდეს 500 გრამიდან 1 კგ-მდე ხილი და ბოსტნეული (ქორფა ან მოხარშული). რაციონის აუცილებელი შემადგენელია რთული ცილები: ბურღულეული და რუხი (ან შავი) პური. ცილოვანი საკვებიდან უმჯობესია გამოიყენოთ თევზი და ზღვის პროდუქტები — შემადგენლობით ხორცზე უფრო სასარგებლოა. ხოლო მზა ხორცის პროდუქტები (პაშტეტი, ძეხვეული) უნდა გამორიცხოთ, ისევე როგორც ტკბილეული და თეთრი პური.

ყოველდღიურ მენიუში უნდა შედიოდეს საუზმე, სადილი და ვახშამი, ასევე მეორე საუზმე და ორი წახემსება. მეტად მნიშვნელოვანია რეგულარულად ცოტა, ყოველ 3-4 საათში მიირთვათ. ზედმეტი კილოგრამების აკრეფას დასაწყისშივე და გახდომის შემდეგ ხშირად სწორედ კვების რეჟიმის დაუცველობა იწვევს — როგორც მუდმივი „ღეჭვა“, ასევე იშვიათი, მაგრამ მეტისმეტად უხვი ტრაპეზი.

ასევე საჭიროა სითხის მიღების რეჟიმის დაცვა. წონის ყოველ კილოგრამზე დღე-ღამეში ორგანიზმს უნდა მიეწოდოს 30 მლ წყალი ან დაუმტკბარი ჩაი. ეს საჭიროა ნივთიერებათა ცვლის ნორმაში დასაცავად, ასევე ზედმეტი რომ არ ჭამოთ. ბევრი შიმშილსა და წყურვილს ერთმანეთისგან ძნელად ასხვავებს.

რაციონში უნდა შედიოდეს პროდუქტების ყველა ჯგუფი: მარცვლეული, ხილი და ბოსტნეული, რძის პროდუქტები, ცხიმები და ცილები. რომელიმე მათგანის გამორიცხვა იწვევს ვიტამინებისა და მინერალების ნაკლებობას.

კვების შემცირების ხარჯზე გახდომა შესაძლებელია, მაგრამ ფიზიკური აქტივობის გარეშე წონის შენარჩუნება შეუძლებელია. არსებობს მარტივი პრინციპი: წონაში რომ არ მოიმატოთ, დღეში დაახლოებით 10 000 ნაბიჯი უნდა გააკეთოთ.

მიღებული შედეგი რომ შეინარჩუნოთ, რეგულარულად აკონტროლეთ წონა. ამის გაკეთება საჭიროა კვირაში ერთხელ, ერთსა და იმავე დღეს, დროს (უმჯობესია დილით). ყოველდღიურად სასწორზე დადგომა დროის ზედმეტი ხარჯვაა. თუ წონის მატების ტენდენცია აღინიშნება, რაციონიდან ამოიღეთ ის ზედმეტი, რისი მიღების უფლება თავს მიეცით.

თიხა — გამწმენდი

თიხის რძით ჯერ კიდევ უძველეს დროში მკურნალობდნენ. მისი მომზადება ადვილია. 6 სუფრის კოვზ ცისფერ თიხას (ან ნებისმიერ სხვას) 3 ლიტრ წყალში ხსნიან. ანჯღრევენ და დალექვას აცლიან. წყალს წურავენ და დღეში 2-ჯერ 100 გრამს იღებენ. თიხა შესანიშნავი ადსორბენტია. ისრუტავს და ტოქსინები და შლაკები გამოაქვს. თიხის ერთი და იმავე ულუფის გამოყენება რამდენჯერმე შეიძლება. საჭიროა გამოყენებულ თიხას ახალი წყალი დაასხათ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

გავიცნობ, ვეძებ

sms-ები გამოაგზავნეთ ოთხშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადაა შაბათი, 19 ოქტომბერი, 17 საათი.

2017

გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. სამეგობროდ გავიცნობ 38 წლამდე, იმერეთში მცხოვრებ ქალს. 514248998. ბექა

2. ვარ მაღალი, ათლეტური, ქერა, სიმპათიური მამაკაცი, გავიცნობ თბილისში მარტო მცხოვრებ, სერიოზულ, 25-დან 40 წლამდე ქალს. 598405598. ჯეკო

3. გავიცნობ რუსთაველ, 45 წლამდე ქალს სამეგობროდ. 555400945

4. ვარ 28 წლის, თბილისელი, სიმპათიური მამაკაცი. გავიცნობ 25-40 წლამდე ქალს ხანგრძლივი შეხვედრებისთვის. 557547781. ირაკლი

5. გავიცნობ ქუთაისში მყოფ სტუდენტ, 30 წლამდე გოგოს შეხვედრებისთვის. ჩამოსული ვარ ქუთაისში, მაქვს სამსახური და ბინა. 551512641. ნიკა

6. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ ლამაზ, გამხდარ ქალს, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ 36 წლის, სიმპათიური მამაკაცი. 557960190. ლევანი

7. გავიცნობ 30 წლამდე, თბილისელ გოგოს. ვარ 38 წლის, მაღალი, სპორტული აღნაგობის, შეხვედრის ადგილით. 599909457. გია

8. სამეგობროდ გავიცნობ 45 წლამდე პუტკუნა ქალს. ვარ 30/176/80. 599349650. დათო

9. შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს, სასურველია თბილისში მცხოვრები. ვარ 29 წლის მამაკაცი. 557111285

10. გავიცნობ 35 წლამდე გოგოს შეხვედრებისთვის. ვარ 30 წლის. 557977469. გიო

11. ვარ 40 წლის მამაკაცი. გავიცნობ კარგი გარეგნობის ქალს. 514197722. კაკი

12. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 30 წლამდე ლამაზ გოგოს. 598772903

13. შეხვედრებისთვის გავიცნობ ჯანმრთელი აზროვნების, მომხიბვლელ ქალს. ვარ 33 წლის, თბილისში მცხოვრები, დასაქმებული მამაკაცი. 557397959

14. ვარ 30 წლის, თბილისელი, სიმპათიური ბიჭი, სამეგობროდ გავიცნობ გურიაში ან აჭარაში მცხოვრებ 28 წლამდე ლამაზ გოგოს. 593973884. ლაშა

15. ვარ 30 წლის, თბილისელი მამაკაცი, სამსახურით, მანქანით და ფინანსურად უზრუნველყოფილი. გავიცნობ 30-40 წლამდე, თბილისში მცხოვრებ გათხოვილ ქალს სამეგობროდ, სასურველია იყოს ცოტა პუტკუნა, მოწესრიგებული და კარგი მოსაუბრე. 557758816. ნიკა

16. შეხვედრებისთვის გავიცნობ სითბოს მოკლებულ ქალს. 558547457. ზურა

17. გავიცნობ 35-დან 50 წლამდე, გორთან ახლოს მცხოვრებ ქალს. ვარ 32 წლის, მშვიდი, არამსმელი. 557321274

18. სამეგობროდ გავიცნობ 30 წლამდე გოგოს, კახეთში, თბილისში ან რუსთავში მცხოვრებს. ვარ 26 წლის ბიჭი. 577474753. ლევანი

19. ვარ 30 წლის, სიმპათიური ბიჭი, ვცხოვრობ თბილისში. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ სიმპათიურ, განათხოვარ ქალს. 555004073. ზურა

20. ვარ 24 წლის ბიჭი, ვცხოვრობ თბილისში, სამეგობროდ გავიცნობ 30 წლამდე თბილისელ, ყურადღებიან ქალს. 557942898. გიორგი

21. ვარ დასაქმებული, თბილისელი ბიჭი, სამეგობროდ გაიცნობ და ფინანსურად დავეხმარები სტუდენტ გოგოს. 557070709. გიო

22. სამეგობროდ გავიცნობ თბილ, მშვიდ და ეშხიან გოგოს, ასაკს არა აქვს მნიშვნელობა, 1000 წლის რომ იყოს, ოღონდ მომეწონოს, უნდა უყვარდეს მანქანით ბოდიალიც. 593223593

23. გავიცნობ 20-45 წლამდე ქალს. ვარ 27 წლის, სპორტული აღნაგობის მამაკაცი, ფინანსურად უზრუნველყოფილი. 593545897

24. ვარ თბილისელი მამაკაცი, სამეგობროდ გავიცნობ თბილისელ ქალს. 595976976

25. გავიცნობ თბილისში მყოფ ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 35 წლის. 591256800

26. გავიცნობ თბილი ბუნების, წყნარ, 65 წლამდე ქალს. ვარ 50/177/70, უბინაო, უცოლშვილო მამაკაცი. 555354757

27. გავიცნობ 50 წლამდე ქალს სამეგობროდ. 599519433

28. გავიცნობ 45 წლამდე პუტკუნა ქალს. ვარ 30 წლის, 176/80/30. დათო

29. გავიცნობ მიმზიდველ ქალს შეხვედრებისთვის, დედოფლისწყაროდან, უმჯობესია ჰქონდეს შეხვედრის ადგილიც. ვარ დროებთი წამოსული ხონიდან. 593493496

30. ვარ 20 წლის ბიჭი, გავიცნობ 27 წლამდე გოგოს. 555959582. ირაკლი

31. სამეგობროდ გავიცნობ ქალს. ვარ 28 წლის, ვცხოვრობ თბილისში. 598523571. გოგა

32. ვარ 30/185/85. თბილისელი, უცოლშვილო ბიჭი. შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს. 558556340. დათო

33. ვარ 36 წლის, დასაქმებული, ვცხოვრობ ქობულეთში. სამეგობროდ გავიცნობ 35 წლამდე ქალს, ვინც იცხოვრებს ჩემთან ერთად. 593352837

34. გავიცნობ 37 წლამდე თბილისელ ქალს, ვისაც არ გაუმართლა და გული ატკინეს. 557540464

35. ვარ 40 წლის, სიმპათიური, თბილისელი, ცოლს გაცილებული მამაკაცი, ვიმეგობრებ ასაკით უფროს თბილისელ ქალთან. 555639450

36. გავიცნობ ქუთაისში მცხოვრებ, 34 წლამდე გოგოს. ვარ 30 წლის, დასაქმებული ბიჭი, ვცხოვრობ მარტო. 557511520. პაატა

37. სამეგობროდ გავიცნობ ქალს. 557540464

38. გავიცნობ 28 წლამდე, ჭკვიან და ლამაზ გოგოს სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ 28 წლის ბიჭი, ვცხოვრობ თბილისში, მაქვს სამსახური და მყავს მანქანა. 557716691. ზუკ

39. შეხვედრებისთვის გავიცნობ ახალგაზრდა, სიმპათიურ ქალს. ვარ 43 წლის მამაკაცი, თბილისში ბინის და სამსახურით უზრუნველყოფილი. 557577067

40. ვარ 45 წლის, თბილისელი მამაკაცი, გავიცნობ სითბოს, სიყვარულს მოკლებულ ქალს ხანგრძლივი ურთიერთობისთვის. 591944220. კახა

41. ვარ 25 წლის, მაღალი, სიმპათიური ბიჭი, გავიცნობ მხოლოდ თბილისში მცხოვრებ გოგოს, ხანგრძლივი ურთიერთობისთვის. 593506341

42. გავიცნობ სულიერად ლამაზ, მდიდარ, მშვიდ და თბილ ქალს. 555675264. ნიკა

43. ვარ 27 წლის, თბილისელი მამაკაცი, სამეგობროდ გავიცნობ ლამაზ გოგოს. 557507744. გაგა

გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. გავიცნობ 26-დან 32 წლამდე გოგოს ოჯახის შექმნის მიზნით, ბინით უზრუნველყოფილს, თუნდაც განათხოვარს. ვარ სიმპათიური, ცისფერთვალება ბიჭი. 599435163. ბექა

2. გავიცნობ 27 წლამდე ქალს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 27 წლის, დასაოჯახებელი. 555349774

3. ვარ კახეთიდან, მაღალი, სპორტსმენი, 28 წლის. ოჯახის შესაქმნელად გავიცნობ 30 წლამდე გოგოს. 557405579

4. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, სიმპათიურ 20-30 წლამდე გოგოს. ვარ მაღალი, სპორტული აღნაგობის, 38 წლის მამაკაცი. 555162802. გია

5. ვარ 30 წლის, წმინდა წარსულის, დასაქმებული მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, მარტოხელა გოგოს, თუნდაც გულნატკენს. 555290345

6. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ, თბილისში ბინით უზრუნველყოფილ, 40 წლამდე ქალს, შესაძლოა განათხოვარი, ოღონდ შვილების გარეშე. 557409121

7. ახალგაზრდა, თბილისელი, სიმპათიური, მარტოხელა მამაკაცი ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისში მცხოვრებ 25-დან 35 წლამდე ქალს. 558270100

8. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე, წესიერ ქალს. 555263388

9. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ქალს. ვარ 35 წლის, ცოტა ინვალიდი, შრომა შემიძლია, მინდა სიყვარულით შევქმნა ოჯახი. 599918073

გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 50 წლამდე თბილისელ მამაკაცს. ვარ თბილისელი ქალი. 551197853

2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, სიმპათიურ, დასაქმებულ, 35-დან 40 წლამდე მამაკაცს. ვარ წესიერი, განათლებული გოგო. 599379485

გავიცნობ მამაკაცს შეხვედრებისთვის

1. ვარ 44 წლის ქალი. შეხვედრებისთვის გავიცნობ სერიოზულ, დასაქმებულ 55-დან 60 წლამდე მამაკაცს. 555534547

2. ვარ ლამაზი, ახალგაზრდა ქალი. გავიცნობ 40-50 წლამდე მამაკაცს, ვინც გამიწევს მეგობრობას, სასურველია იყოს დასაქმებული. 555669069

თუ გსურთ, ახლობელს მიულოცოთ ჩამიე ან გაუმხიერთ თქვენი გრძნობები ფუძნაე „სარჯის" მეშვეობით, აკრიფეთ ასო „M", შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და 93887 მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარჯის" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 19 ოქტომბრის 17 საათამდე.

ერთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. ნებისმიერ, რომელიც 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება!

ერთი აბონენტისადმი მინერილი ორ ბარათზე მეტი არ დაიბეჭდება

Cyan Magenta Yellow Black

10 პათოსია სამთავრობო და საპარლამენტო განცხადებებში. განცხადებაც გავაგზავნეთ და სატელეფონო კავშირებიც გვაქვს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან. ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ დღეის მდგომარეობით, მიუხედავად ასეთი სამწუხარო შემთხვევებისა და გაუგებრობებისა, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის მყარი პოზიციაა, რომ ჩვენ მივდივართ ოლიმპიურ თამაშებზე. რამდენიმე თვე კიდევ არის დარჩენილი ოლიმპიადამდე და კაცმა არ იცის, რა შეიძლება მოხდეს. მანამდე კი ყველა ღონეს ვიხმართ, რომ იმ სიიდან აფხაზეთი და ოსეთი ამოვაღებინოთ, როგორც ცალკე სუბიექტები. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან დაგვიკავშირდნენ და გვითხრეს, რომ ამ ამბებს კომიტეტის თავმჯდომარე საორგანიზაციო კომიტეტთან ტელეფონით გაარკვევს და მერე ჩავა კიდეც რუსეთში, სადაც ასევე აუცილებლად დადგება ჩვენი საკითხი. ეს არ არის შემთხვევითი ამბავი. რუსეთი აღიარებს აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს და რუსეთმა შეიტანა ეს ქვეყნები სიაში. ამ ჩამონათვალში არ არის, მაგალითად, კოსოვო, რომელსაც რუსეთი არ აღიარებს. რუსეთს, როგორც ჩანს, აქვს თავისი რუკა, სადაც აფხაზეთი და ოსეთი ცალკე ქვეყნებია.

— აფხაზი და ოსი სპორტსმენები მონაწილეობენ ოლიმპიადაში, როგორც თავისი „ქვეყნის“ წარმომადგენლები?

— არა, ეგ გამორიცხულია. მათ არ ჰყავთ იმ დონის სპორტსმენები, რომ ცალკე ქვეყნად მიიღონ მონაწილეობა, მაგრამ ჩვენს გულისწყრომას აკრედიტაციის სისტემაში შეტანილი მათი ჟურნალისტები იწვევენ.

— როგორია ოლიმპიადისთვის გამოცხადებული ბოიკოტების ისტორია?

— ზუსტად ასეთი, რომ ოკუპაციის და სხვისი ტერიტორიების ცალკე ქვეყნებად აღიარების პრობლემა დამდგარიყო, ალბათ არ არის. ოლიმპიადების ისტორიაში ბოიკოტები ძირითადად რუსეთს უკავშირდება. 1908 წელს ლონდონში ოლიმპიურ თამაშებზე ფინეთმა თავისი დროშით გამოსვლა გადაწყვიტა. ფინეთი მაშინ რუსეთის სამთავროში შედიოდა. ეს გააპროტესტა რუსეთმა და თვითონ არ მიიღო მონაწილეობა. აქედან იღებს ბოიკოტი სათავეს. ბოიკოტი გამოცხადდა 1956 წელს, როცა რუსეთი უნგრეთში შეიჭრა. 1980 წელს 65 ქვეყანა არ ჩავიდა მოსკოვში გამართულ ოლიმპიადაზე. 1984 წელს ლოს ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებზე ე.წ. სოციალისტური ბანაკის 15 ქვეყანა არ ჩავიდა. იყო სხვა შემთხვევებიც. კუბამ გააპროტესტა რაღაც, ჩინეთმა არ მიიღო მონაწილეობა რამდენჯერმე. ჩინეთი, თუ არ ვცდები, ტაივანის შესაძლო მონაწილეობას აპროტესტებდა ოლიმპიურ თამაშებში.

— თუ აკრედიტებულ ჟურნალისტთა სიაში ცვლილება არ მოხდება, ქართული მხარეც გამოაცხადებს ბოიკოტს?

— ამაზე რამის თქმა ნაადრევია. შეიძლება უარესი რაღაცეებიც მოხდეს და არ წავიდეთ. ამ ეტაპზე ვამზადებთ სპორტსმენებს, ემზადება დელეგაცია.

— ქვეყნისთვის რისი მომტანია ოლიმპიურ თამაშებზე წასვლა-არწასვლა?

— არწასვლით ბევრი რამ დაუშავდება ქართულ სპორტს. პირველ რიგში, ევროპის ოლიმპიურ კომიტეტთან გავიფუჭებთ ურთიერთობას. მოსკოვის ოლიმპიადაზე 1980 წელს 65 ქვეყანა, ფაქტობრივად მთელი მსოფლიო და მთავარი სპორტული ქვეყნები არ ჩავიდნენ, მაგრამ არაფერი მომხდარა, ჩვეულებრივ ჩატარდა ოლიმპიადა და მხოლოდ ის ქვეყნები და მათი სპორტსმენები დაზარალდნენ, რომლებმაც მონაწილეობა არ მიიღეს. ჩვენი პროტესტი ალბათ არანაირ ხმაურს არ გამოიწვევს. ერთს იტყვიან და ამით დამთავრდება ყველაფერი. ჩვენ არ ვართ ისეთი დიდი სპორტული ქვეყანა, რომ მთელი მსოფლიო ფეხზე დადგეს და თქვას, ქართველები თუ არ იქნებიან, ჩვენც წავალთ სახლშიო. თან არასერიოზული ადამიანების შთაბეჭდილებას დავტოვებთ — გუშინ გვინდოდა მონაწილეობის მიღება, დღეს აღარ გვინდა...

ოლიმპიადის გახსნას, ყველაზე ცოტა, ორმილიარდნახევარი ადამიანი მაინც უყურებს. ამდენი ხალხი რომ დაინახავს, მიუხედავად ასეთი პრობლემებისა რუსეთთან, საქართველო მაინც ამაყად აფრიალებს თავის დროშას, ცოტაა?! ეს არის მსოფლიოს ოლიმპიური თამაშები და არა — რუსეთის.

— ბოიკოტის შემთხვევაში რა სანქციებს აწესებს ოლიმპიური კომიტეტი?

— საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წესდებაში ეს ცალკე გაწერილი არ არის. ერთადერთი ფრაზა წერია, რომ სანქციების საკითხს განიხილავს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი საბჭო. სანქცია ალბათ არ იქნება, რადგან ჩვენ გვაქვს არგუმენტები და სერიოზული მიზეზები. თუ ამ მიზეზებს კიდევ დაემატა რამე, სერიოზული საფუძველი იქნება უარის სათქმელად. არ არის გამორიცხული, რომ ბევრი სხვა ისეთი რამეც მოხდეს, რაც უშუალოდ საქართველოს

„ამდენი ხალხი რომ დაინახავს, მიუხედავად ასეთი პრობლემებისა რუსეთთან, საქართველო მაინც ამაყად აფრიალებს თავის დროშას, ცოტაა?! ეს არის მსოფლიოს ოლიმპიური თამაშები და არა — რუსეთის“.

არ უკავშირდება. მაგალითად, რუსეთში ძალიან მკაცრი კანონები მიიღეს არატრადიციული ორიენტაციის ადამიანებთან დაკავშირებით. თუ ვინმე თავს გაამჟღავნებს, რომ არატრადიციული ორიენტაციის წარმომადგენელია, მაშინვე აპატიმრებენ. 14 დღიანი ციხეა და მერე ქვეყნიდან აძევებენ. ამის გამო კანადის მთავრობამ შეშფოთება გამოთქვა. მას სხვა ქვეყნებიც გამოეხმაურნენ, რომ რუსეთში ადამიანის უფლებები ილახება. ოლიმპიურ თამაშებზეც ხომ შეიძლება არატრადიციული ორიენტაციის სპორტსმენები იყვნენ?

— და აქვთ უფლება, ასეთი სპორტსმენები დააპატიმრონ?

— არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ ამის გამო სხვა ქვეყნები შეშფოთებას გამოთქვამენ. ცალკე პრობლემად განიხილება შესაძლო ტეროროისტული აქტები და ა.შ. კანადამ და აშშ-მა განაცხადეს, რომ თუ დაინახავენ, მათ სპორტსმენებს საფრთხე ემუქრებათ, შესაბამისი რეაქცია ექნებათ. ამიტომ ემოციებს უნდა შევეშვათ და არასერიოზული განცხადებები არ ვაკეთოთ.

— ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღებაარმიღების საკითხი ვინ უნდა გადაწყვიტოს — საზოგადოებრივმა აზრმა, მთავრობამ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, ოლიმპიურმა კომიტეტმა თუ ყველამ ერთად?

— ოლიმპიური კომიტეტია ერთადერთი ორგანიზაცია, რომელმაც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს და არავის აქვს უფლება, ამაში ჩაერიოს. მთავრობა და პარლამენტი თუ რამეს გვაიძულებენ, საქართველოს მაშინვე გარიცხავენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან და ვეღარც ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში მივიღებთ მონაწილეობას. ინდოეთი ამ მიზეზით არის გარიცხული, რადგან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კომისიამ დაადგინა, რომ ინდოეთის მთავრობა უხეშად ჩაერია ამ ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის არჩევნებში. ყველაზე მძიმე სანქცია მაშინ არის, როცა მთავრობა ერევა. საბედნიეროდ, ჩვენთან ამის არანაირი საფუძველი არ არსებობს. მთავრობას შეუძლია, თავისი აზრი თქვას. საბოლოოდ, ოლიმპიადა ჩაივლის და, რაც უნდა გავაკეთოთ, მავთულხლართები მაინც თავის ადგილზე იქნება.

— რამდენი წევრია ოლიმპიურ კომიტეტში, რამდენი ადამიანის მიღებული გადაწყვეტილება უნდა გაიზიარონ საქართველომ?

— ჩვენ სპეციალურად მოვიწვიეთ გაფართოებული სესია, რომელიც დაახლოებით 60 კაცამდე უნდა იყოს, თორემ გადაწყვეტილების მიღება შეუძლია ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომს, სადაც 15 წევრია. ინტერნეტ თუ სხვა გამოკითხვების მიხედვით, 70% უჭერს მხარს სოჭში ქართველების წასვლას. შეიძლება ნეჩაევის გამოჩენის შემდეგ ზოგმა შეცვალა პოზიცია, მაგრამ მაინც უფრო ბევრი ფიქრობს წასვლას, ვიდრე არწასვლას. რუსეთს ბევრ ქვეყანასთან აქვს პრობლემა, მაგრამ წელს მაინც ყველა ჩადის. რუსეთს პროვოკაციებში ხომ არ უნდა ავყვეთ?! სულელები ხომ არ ვართ?! მერე იტყვიან, ჩვენ ხელს ვუწყობდით, მაგრამ მაინც არ ჩამოვიდნენო.

— სპორტსმენებს ინდივიდუალურადაც ხომ შეუძლიათ წავიდნენ ოლიმპიადაზე საქართველოს სახელით?

— დიახ, თუ სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდება, არის ალტერნატიული ვარიანტი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დროშით ისე გამოვიდნენ, რომ ჩვენი ოფიციალური დელეგაცია არ გაემგზავროს. ისინი მიიღებენ მონაწილეობას, როგორც ქართველები. სულ ოთხი სპორტსმენი მიდის ამ ოლიმპიადაზე და თითქმის არც ერთს აქვს მედლის შანსი. შეიძლება მხოლოდ ელენე გედევანიშვილი მიუახლოვდეს პირველ სამეულს. სამი სამთოსათხილამურო სპორტსმენია. შეიძლება კიდევ ორი დაემატოს — ერთი მოციგავე და ერთიც სნოუბორდისტი.

— ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში ქართველების ყველაზე დიდი მიღწევა რა არის?

— საუკეთესო შედეგი დიდი ხნის წინ იყო, როცა მეცხრე ადგილი ავიღეთ. გედევანიშვილმა მეათე ადგილი აიღო.

❖

„სარკე“ ოლიმპიურ ჩემპიონებს ესაუბრა, რომელთაც დაახლოებით ერთნაირი პოზიცია აქვთ სოჭის ოლიმპიადაზე წასვლასთან დაკავშირებით. ისინი თვლიან, რომ სპორტსმენებმა შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვან და ოლიმპიადაზე აუცილებლად უნდა გაემგზავრონ.

რევაზ მინდორაშვილი ოლიმპიური ჩემპიონი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში მაშინ გახდა, როცა საქართველო იბომბებოდა. 2008 წელს ჩინეთიდან ქართველებმა ყველაზე ბევრი ოქრო ჩამოიტანეს.

რევაზ მინდორაშვილი: რა თქმა უნდა, სოჭის ოლიმპიადაზე ქართველები აუცილებლად უნდა წავიდნენ. სპორტი სპორტია და პოლიტიკა — პოლიტიკა. ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს. როცა საქართველო იბომბებოდა, ჩვენ ჩინეთში შეჯიბრებებზე გამოვდიოდით და ვიმარჯვებდით. იმ რთულ დღეებში უფრო დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობდით. ასევე უნდა იყოს ახლაც. მთავარია, სპორტსმენმა თავისი ქვეყანა ასახელოს. არავინ იცის, სპორტსმენი როდის როგორ გამოვა და ეს შანსი არავინ უნდა დაკარგოს. მე მათ ადგილზე აუცილებლად წავიდოდი და გამარჯვებასაც მოვიპოვებდი!

❖

ძიუდოისტი ირაკლი ცირეკიძეც 2008 წლის ოლიმპიური ჩემპიონია. მისი აზრით, სპორტსმენებმა მშვიდობის მტრედების როლი უნდა შეასრულონ.

ირაკლი ცირეკიძე: გადაწყვეტილება მშვიდად და გონივრულად უნდა მივიღოთ. ოლიმპიადა თავისთავად მშვიდობას ქადაგებს. როგორც ქართული სპორტისთვის აჯობებს, ისე უნდა მოვიქცეთ. ვფიქრობ, იქვე უფრო მისაღები იქნება გარკვეული პროტესტის გამოხატვა, ვიდრე აქედან.

✓ **რუსუდან ადვაძე**

Cyan Magenta Yellow Black

ღმერთი მაშინაც ჩვენთან არის, როცა აღარავის აღარ აქვს ჩვენი იმედი

ხსენება ღირსისა მამის ჩვენისა სამსონ უცხოთშემწყნარებელისა

ეკლესიას ყოველთვის ჰყავდა, ახლაც ჰყავს და მომავალშიც უცილობლად ეყოლება ღირსეული ადამიანები, სწორედ ისეთები, რომლებზედაც მართლმადიდებელი ეკლესიის სიმტკიცე და შეურყევლობა დგას. ახლა საუბარი გვექნება ერთ-ერთ წმინდანზე, რომელიც კიდევ უფრო საინტერესოა თავისი განსაკუთრებულობით, რადგან ცნობილია, როგორც უცხოთშემწყნარებელი, დღენიადაგ კეთილი მასპინძელი. როგორ? ამაზე უკვე ქვემოთ ვაპირებთ საუბარს.

წმინდა სამსონ უცხოთშემწყნარებელი დაიბადა რომში, სავარაუდოდ, მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში, მდიდარ ოჯახში. წმინდანის მშობლები რომში გავლენიანი ადამიანები იყვნენ, რამაც განაპირობა წმინდა მამის ინტელექტუალური განვითარება. მდიდარი მშობლების წყალობით წმინდა სამსონმა საუკეთესოდ შეისწავლა რიტორიკა, ფილოსოფია და ბოლოს ბრწყინვალე ექიმიც გახდა.

თავიდანვე ჩანდა, რომ ყველა სხვა მეცნიერებაზე მეტად სამსონს მედიცინა იტაცებდა, სადაც ხედავდა საკუთარი თავის რეალიზების უდიდეს შესაძლებლობას, რადგან ბავშვობიდან იყო მიდრეკილი, გაჭირვებულებზე და ავადმყოფებზე ეზრუნა. ეს კი საბოლოოდ გახდა იმის საბაბი, რომ შეისწავლა ექიმის პროფესია. სახლში მოჰყავდა ავადმყოფები და საკუთარი ხარჯით უზრუნველყოფდა მათ მკურნალობას, რისთვისაც უფალმა იმდენად აკურთხა წმინდა მამის საქმიანობა, რომ ხშირად სასწაულებრივად იკურნებოდნენ. ისეთ ავადმყოფებს, რომელთაც სხვა ექიმები ვერაფერს შველოდნენ, წმინდა სამსონი ღვთის ძალით უმალ აყენებდა ფეხზე.

ამასობაში წმინდა მამის მშობლები გარდაიცვალნენ და რადგან მის მეტი შვილი არ ჰყავდათ, მთელი ქონება წმინდა მამას დარჩა. მან კი გაყიდა ყველაფერი უძრავ-მოძრავი და გაჭირვებულებს დაურიგა, გაათავისუფლა ყველა მსახური, დარჩა მხოლოდ იმით, რაც ზედ ემოსა, მთლიანად გათავისუფლდა ამქვეყნიური საზრუნავისგან, შეიქნა სრულიად უპოვარი და ამის შემდეგ გადაწყვიტა, რომიდან კონსტანტინეპოლში გამგზავრებულიყო და ახლა იქ დახმარებოდა ავადმყოფებს.

უწინ უმდიდრესი სამსონი კონსტანტინეპოლში ცხოვრობდა ენით აღუწერელ სიღარიბეში და მკურნალობდა ავადმყოფებს სრულიად უსასყიდლოდ. არ არსებობდა ავადმყოფი, რომელსაც უარს ეტყოდა ან უკან გაუშვებდა. ღვთის შემწეობით უცილობლად კურნავდა სრულიად დავრდომილებსაც, დემონის სულით შეპყრობილთაც. მალე ყველამ იცოდა სამსონ მკურნალი და უამრავი ადამიანი აკითხავდა ყოველდღე, განუკურნებელი მისგან არავინ მიდიოდა.

ეს ყოველივე შეიტყო უწმინდესმა მინამ, რომელიც იყო კონსტანტინეპოლის პატრიარქი და გადაწყვიტა, ნეტარი სამსონი მღვდლად ეკურთხებინა. პატრიარქისთვის ყველა მისი ღაწლმოსილება გახდა ცნობილი, რის გამოც უყოყმანოდ გადაწყდა სამსონის ხელდასხმა. ოცდაათი წლის იყო წმინდა მამა, როცა მღვდლობის ხარისხი მიიღო, ამ დროს იმპერიას იუსტინიანე დიდი მართავდა, რომელიც უკურნებელ სენს შეეპყრო და უზომოდ იტანჯებოდა, სიკვდილს ნატრობდა, ისეთ დღეში იყო. ყველა ექიმს ჰყავდა ნანახი, ვინც ცნობილი იყო ქალაქში, შედეგი კი არანაირი. ისღა დარჩენოდა ხელმწიფეს, გარდაცვალებას დალოდებოდა.

ხედავდა მეფე, რომ ადამიანის ხელი და გონება უძლური იყო მის განსაკურნებლად, ამიტომ რჩებოდა ერთადერთი გზა და ცრემლმორეულმა უფალს უხმო საშველად. უფალმაც ხილვა უჩვენა მეფეს და დაანახა უამრავი ექიმი, რომლებიც გამოწყობილები იყვნენ ექიმის ფორმებში. ბევრი ატარა კაცთმოყვარე უფალმა ხელმწიფე და ბოლოს ერთ მღვდელთან გაჩერდნენ, რომელიც არაფრით ჩანდა გამორჩეული და თანაც საკმაოდ ახალგაზრდა იყო სხვებისგან განსხვავებით. უთხრა უფლის ანგელოზმა მეფეს, ეს ახალგაზრდა მღვდელი არის ის, ვისაც შენი განკურნება შეუძლია, კარგად დაიმახსოვრე და ყურადღებით იყავი, როგორც კი შეიცნობ ამ კაცს, მაშინვე მიმართე და საშველიც დაგადგებაო.

როგორც კი გამოიღვიძა ხელმწიფემ, ირწმუნა ვითარცა ცხადი ანგელოზის ხილვა და უზომოდ ბედნიერმა ბრძანა, ყველა ექიმი მისულიყო მასთან, ვინც კი იმპერიაში მოღვაწეობდა. მართლაც გამოცხადდა ყველა ექიმი. მეფე გულისყურით აკვირდებოდა ყველა მათგანს, მაგრამ თანდათან იმედგაცრუება ეუფლებოდა, რადგან იმას, ვინც უფლის ანგელოზმა უჩვენა, მათ შორის ვერ ამჩნევდა. გამოიკითხა დაწვრილებით, ხომ არ იცნობდნენ ისეთ ვინმეს, როგორიც უფლის ანგელოზმა უჩვენა. მაშინვე ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ ის, ვისაც ხელმწიფე ეძებდა, იყო სამსონი, რომელიც მათ შორის არ იმყოფებოდა.

ბრძანა მეფემ, მოეძებნათ და უდიდესი პატივით მოეყვანათ სასახლეში. მართლაც მოძებნეს სამსონი და წარუდგინეს მეფეს, რომელმაც მაშინვე ამოიცნო ის, ვინც უჩვენა უფლის ანგელოზმა ხილვის დროს. უზომოდ ბედნიერ ხელმწიფეს დაავიწყდა, რომ ავადმყოფი იყო, წამოხტა გახარებული, მივარდა წმინდანს და კოცნიდა თავზე, ხელებზე: „შენ ხარ, მამაო, ნამდვილად, ვინც მიჩვენა უფლის ანგელოზმა და ვინც მომარჩენს მე უკურნებელი სენისაგან“.

მაშინ მიმართა წმინდანმა ხელმწიფეს, რომელიც ასე ბედნიერი იყო მისი ხილვით: „ნუ მაძლევთ საბაბს, ხელმწიფევ, რათა საკუთარი თავი შევრაცხო რამის შემძლედ, ვინაიდან ვარ ერთი რიგითი ცოდვილი და უღირსი, რომელიც საჭიროებს შეწევნას თვით უფალ იესო ქრისტესაგან“. ამ სიტყვების წარმოთქმისას შეახო ავადმყოფ ხელმწიფეს ხელი იმ ადგილზე, რაც აწუხებდა და მაშინვე განიკურნა სრულიად.

წმინდა მამა მიხვდა, რომ ვერ ასცდებოდა ამ ფაქტის შემდგომ ქებას მათგან, ვისაც კი ხელმწიფე მოუყვებოდა მომხდარის შესახებ და ჭრილობის ადგილას ბალახების ნაყენი წამალი დაადო, რომელსაც თვითონ წმინდა სამსონი ამზადებდა. ეს იყო ის საშუალება, რომ ხალხს ბალახების ნაყენისთვის მიექცია ყურადღება და არა წმინდა მამის მადლმოსილებისთვის. თუმცა შეუმჩნეველი მაინც ვერ დარჩა მომხდარი, რადგან წმინდა მამის ხელით მანამდეც და მის შემდგომაც ხდებოდა უამრავი სასწაული.

როცა საბოლოოდ დარწმუნდა მეფე, რომ გამოჯანმრთელდა, იხმო თავისთან ღირსი სამსონი და გამოუცხადა, რომ მისი, როგორც მკურნალის დაჯილდოება უნდოდა. მთავარი იყო ახლა, წმინდანს ეთქვა, რა სურდა, მეფე კი თანახმა გახლდათ, თუნდაც ნახევარი სამეფო ეთხოვა, მიეცა. წმინდანმა კი მიუგო: „იმაზე, რაზეც იესო ქრისტეს სიყვარულისთვის ვთქვი უარი, ახლა მთავაზობ? განა არ მქონდა ეს ყოველივე ჩემი მშობლების წყალობით, მთელ კაცობრიობასთან შედარებით ბედნიერი ვარ და თავისუფალი. თუ გსურს ჩემი პატივისცემა განკურნების სანაცვლოდ, მაშინ ჩემ საცხოვრისთან იქნებ ერთი საავადმყოფო ააშენებინო, სადაც შესაძლებელი იქნება ავადმყოფების მიღება და მათზე მზრუნველობა. ეს იქნება საუკუნო საქმე შენთვის იმის სამადლობლად, რომ გამოგაჯანმრთელა უფალმა და შენი სულიც ნეტარი იქნება, როცა დატოვებ წუთისოფელს“.

მეფემ როგორც კი მოისმინა წმინდა მამის სათხოვარი, მაშინვე ბრძანა საავადმყოფოს აშენება. სავარაუდოდ, ამავე მშენებლების მიერ შეიძლება იყოს დაწყებული აია სოფიას ტაძრის მშენებლობაც კონსტანტინეპოლში. როცა დაასრულეს საავადმყოფო, იმ დღიდანვე ეწეოდა წმინდა სამსონ უცხოთშემწყნარებელი მოღვაწეობას.

ბუნებრივია, მეფემ საავადმყოფოს შესწირა უზარმაზარი ტერიტორია, სხვა

Cyan Magenta Yellow Black

სიმდიდრეც, რითაც დაკმაყოფილდებოდა ექიმების მოთხოვნები ავადმყოფთა სამკურნალოდ. უდიდესი სიყვარულით და ერთგულებით ხელმძღვანელობდა წმინდა სამსონი, ვიდრე ცოცხალი იყო. ავადმყოფებს ემსახურებოდა, ვითარცა ანგელოზი უფლისა. რომ მოხუცდა და სული მიაბარა უფალს, გადმოცემის თანახმად, მისი წმინდა ნაწილები დაასვენეს წმინდა მოწამე მოკიოსის ტაძარში. ცნობილი ხდება, რომ წმინდა მოკიოსი და წმინდა სამსონი ერთმანეთის ნათესავები ყოფილან, ამაზე მეტი არც თქმული და არც დაწერილი სხვა არაფერია მათ ნათესაობაზე.

ეს არის წმინდა სამსონის ცხოვრების დეტალები, რომლებიც წარმოვადგინეთ. თავსატეხი ის არის, რომ მისი გარდაცვალების შემდგომ მომხდარი სასწაულები, რომლებიც დღემდე გრძელდება, მკითხველამდე როგორ უნდა მივიდეს. აი, ეს არის საკითხავი. რამდენიმე მათგანს გადმოგცემთ მხოლოდ, რისთვისაც შენდობის თხოვნა მოგვიწევს.

პირველად მოგითხრობთ ისევ იუსტინიანე მეფის დროინდელ სასწაულს. როცა აია სოფიას ტაძარს ხანძარი გაუჩნდა, მთელ მიმდებარე დასახლებას გადაწვა ემუქრებოდა. ხანძარი ძლიერდებოდა, რამდენიმე შენობა-ნაგებობა შეიწირა კიდეც და როცა იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც წმინდა სამსონი მოღვაწეობდა, ხალხმა, ვინც დავალებული იყვნენ წმინდანისაგან და არა მარტო მათ, იწყეს, როგორც შეეძლოთ, ხანძრის ჩაქრობა. ასე ადვილი არ აღმოჩნდა ხანძრის შეჩერება. ამ დროს წმინდა მამა გამოჩნდა მოულოდნელად და უბრძანა ხანძარს, ახლავე უკან დაიხიეო. ამის თქმა იყო და, რაც წმინდანის გამოჩენამდე მოესწრო, დაეზიანებინა, ეგ იყო, ცეცხლმა მაშინვე იწყო ქრობა და მოსალოდნელი კატასტროფაც ამით შეჩერდა.

იყო კიდევ ასეთი შემთხვევა, ვინმე, სახელად თეოდორიტე, კიბეებზე ჩამოდიოდა, ფეხი აუსრიალდა და უგონო მდგომარეობაში ძირს დავარდა. მხოლოდღა სუნთქავდა, სხვა არანაირი სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ გააჩნდა. შემთხვევით გაახსენდა ნეტარი სამსონი, რომელიც უამრავ სასწაულს იქმოდა, თუმცა არც საუბარი შეეძლო და ვერც ვერავის გააგებინებდა თავის სურვილს. ერთი ის შეძლო, რომ გონებაში მოუხმო წმინდა მამას საშველად და დაელოდა მოწყალებას.

ამის გავლება იყო გულში და დაინახა გონებაში, წმინდა სამსონი მოსულა და მის ფეხებთან იდგა. შეეხო ფეხებზე, ავადმყოფს კოჭები ჰქონდა დამსხვრეული ყველაფერთან ერთად და უთხრა თეოდორიტეს: „წამოდექი, არაფერი გჭირს სერიოზული“. ამის შემდეგ წმინდანი გაუჩინარდა, ხოლო ავადმყოფი ისე წამოდგა, თითქოს არც არაფერი მომხდარა. თეოდორიტეს ეგონა, ეს სიზმარი იყო, მაგრამ იქ მყოფების გაოცებული სახეების დანახვაზე მიხვდა, რომ სინამდვილეში მოხდა ყოველივე. მაშინვე საკუთარ ფეხებს დაუწყო სინჯვა, რათა დარწმუნებულიყო. ბედნიერი და გახარებული ყვირილით მირბოდა წმინდა მამის საფლავზე, რათა მადლობა შეეწირა მისთვის.

ისევ ერთი მსგავსი სასწაული შეემთხვა თეოდორიტეს მეგობარს, რომელმაც ცხენზე ჯირითისას დამფრთხალი ცხენი ვეღარ დაიმორჩილა და ერთი ფეხი მთლიანად დაუმსხვრია. ცხენმა ჯებირს მიახეთქა ლეონტი, ასე ერქვა თეოდორიტეს მეგობარს. სამწუხაროდ, ექიმებმა ვერაფერი გააწყვეს და გადაწყვიტეს, მისთვის ფეხი მოეკვეთათ, რადგან სხვა გამოსავალი არ არსებობდა.

ოთხშაბათი დღე იყო, როცა ექიმებმა გადაწყვეტილება მიიღეს. იმავე ღამეს კი ხილვა იხილა თეოდორიტემ, გამოეცხადა სამი ადამიანი თეთრ სამოსში გამოწყობილი და უთხრეს: „ახლავე წადი და უთხარი შენს მეგობარს, ნუ მისცემს ექიმებს ფეხის მოჭრის უფლებას, რადგან პარასკევს წმინდა სამსონ უცხოთშემწყნარებელი აპირებს მოსვლას და უმჯობესია, მასთან შესახვედრად მოემზადო“.

როცა გათენდა, მივიდა თეოდორიტე მეგობართან და ექიმებსაც მოახსენა ხილვის შესახებ. ექიმებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ მაინც გადაწყვიტეს, პარასკევამდე დალოდებოდნენ. პარასკევი კი გათენდა და ლეონტი სრულიად ჯანმრთელი შეეგება ექიმებს. ეს იყო სასწაული, ყველასთვის დაუჯერებელი, თუმცა ფაქტი იყო და მისი უარყოფა არავის შეეძლო.

აგრეთვე იყო სახელგანთქმული მებრძოლი, სახელად ვარდასი, რომელსაც მარჯვენა მხარეს ნეკნებთან აღმოაჩნდა სიმსივნე, რომელიც თანდათან იზრდებოდა და ბოლოს ისე გაუხდა, რომ გადაადგილებაც კი აღარ შეეძლო. ყველაფერთან ერთად საშინელ ტკივილს განიცდიდა, სიკვდილს ნატრობდა. ექიმები ვერაფრით უყურჩებდნენ ტკივილს, ყველას დაკარგული ჰქონდა ვარდასის გადარჩენის იმედი. წმინდა სამსონის დღესასწაული ახლოვდებოდა და ამ დღისთვის ემზადებოდნენ. მწუხრზე ყველა ტაძარში მიდიოდა, ლოცვას რომ დასწრებოდნენ. მათ შორის არ იყო ვარდასი, რადგან ვერ შეძლო წამოდგომა და ტაძარში მისვლა. გულდათუთქული და მოწყენილი, მწოლიარე ითხოვდა შველას წმინდანისგან.

დილა გათენდა და ყველას გასაკვირად ტაძარში ნახეს ვარდასი სრულიად ჯანმრთელი. ეკითხებოდნენ, რა მოხდა, ფეხზე როგორ წამოდექიო. ვარდასმა კი უზომოდ ბედნიერმა ყველას უამბო: „გუშინ საღამოს სახლში ვიწექი და მოწყენილი ვფიქრობდი ჩემს უბედურებაზე. ისიც კი არ შემეძლო, მწუხრზე მოვსულიყავი და მომესმინა. ამ ფიქრებში გართულს გამომეცხადა ერთი მოხუცი ბერი და მითხრა: „ადექი და წადი სამსონის საფლავთან“. მე კი აცრემლებულმა მივუგე: „არ შემიძლია წამოვდგე, ჩემო ბატონო“. მან კიდევ ორჯერ მითხრა, წამოდექი და წმინდანის საფლავთან წადიო. ამის შემდეგ უხილავი გახდა, მე კი საერთოდ არაფერი მტკივა და კარგად ვარ. მაშინვე ჩემს ცოლს ვთხოვე, მოეხსნა ჩემთვის სახვევები, რომელიც ჭრილობაზე მქონდა. იმ ადგილას, სადაც მტკიოდა, სოკოს მსგავსი ჭრილობა მქონდა და ავადმყოფობა იქიდან გამქრალიყო. ახლა კი აქ ვარ სრულიად ჯანმრთელი და ვმადლობ უფალს მომხდარი სასწაულისთვის“. ექიმები გაკვირვებას ვერ მალავდნენ, რადგან თითქმის მიცვალებული დატოვეს და ახლა კი სრულიად ჯანმრთელს ხედავდნენ.

ალბათ საკმარისია ეს შემთხვევები იმისათვის, რომ შევავასოთ წმინდა მამის ღვაწლი და მადლმოსილება. იგი დღემდე არ ტოვებს იმ ადამიანებს, რომლებიც სასოებით მიმართავენ საშველად. წმინდა სამსონი უშურველად შეეწევა ყველას.

მოგვხედე და მეოხ გვეყავ ჩვენცა, წმინდაო სამსონ უცხოთშემწყნარებელო, რათა მარადის ვადიდებდეთ ღმერთს ყოვლისათვის!

ქრისტესმიერი სიყვარულით
პროტოდიაკონი მირიანი. ამინ!

„იმიტომ ვეზიარებით იესო ქრისტეს, რომ აღარასოდეს დავშორდეთ მას, სულ მუდამ ვიცხოვროთ მასთან ერთად“

ბევრი მორწმუნისთვისაც კი გაუგებარია ნათლობისა და ზიარების საიდუმლო. ადამიანებს უჭირთ, დაიჯერონ, რომ ღმერთთან დაახლოებას თავისი წეს-კანონები აქვს. ღმერთი ყველას თავისი საქმეებით განსჯის და არა იმით, მონათლულია თუ არა — მსგავს შეხედულებებს ალბათ ხშირად ხვდებით. ეს აზრი ბევრი სექტის მთავარი იდეა და არგუმენტი გახდა, რომელთაც ნათლობა და ზიარება უარყვეს. რატომ აქვს ამ ორ საღვთო საიდუმლოს გადამწყვეტი მნიშვნელობა ადამიანის სულის გადარჩენისთვის? ამ თემაზე იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი, **მამა გიორგი** (სხირტლაძე) გვესაუბრება.

— მამაო, არათუ არაქრისტიანებს, ბევრ მორწმუნესაც არ ესმის ნათლისღების საიდუმლო. ფიქრობენ, რომ ღმერთი ადამიანს თავისი საქმეებით განსჯის და არა იმით, მონათლულია თუ არა. განგვიმარტეთ, რა მნიშვნელობა აქვს ნათლობას.

— ღმერთის შესახებ დამახინჯებული სწავლება ყველაზე მკაფიოდ კითხვის ქვეშ ცხონებას აყენებს. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ნათლისღებისა და ევქარისტიის გაგება-გააზრების მაგალითზე ჩანს. ქრისტე მაცხოვარმა ნათლად და ერთმნიშვნელოვნად თქვა, რომ ნათლისღება არის ცხონების პირობა: „ამენ, ამენ გეტყვი შენ: უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ ხელ-ეწიფების შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა“. ქრისტიანული წყლით ნათლობა — ეს იმის ხილული სიმბოლოა, რომ ნათელღებადმა იესო ქრისტეს მეშვეობით სრულიად და უპირობოდ მიუძღვნა საკუთარი თავი ღმერთის ნების შესრულებას. ნათლისღება მიძღვნაც კი არ არის, რომელიც ნათლისღებამდე ლოცვაში სრულდება, არამედ მხოლოდ მისი სიმბოლოა. არავითარი სხვა აზრი ნათლისღებას არ გააჩნია. თუმცაღა, სრულიად უცნაური ჩანს ის, რომ სიმბოლური მოქმედება, მით უფრო ისეთი, სხვებისთვის რომ სრულდება, ღვთის სასუფეველში შესვლის პირობას წარმოადგენს. პუბლიკაციებში ახსნილი არაა, რატომ არის მაინ-

→74

Cyan Magenta Yellow Black

ცდამაინც ნათლისღება აუცილებელი. მტკიცდება მხოლოდ ის, რომ იგი მნიშვნელოვანია და ქრისტემ გვამცნო.

ახალ აღთქმაში არაორაზროვანი ტექსტებია, რომლებიც პირდაპირ მიუთითებენ ნათლისღების ჭეშმარიტ შინაარსზე: „შეინანეთ და ნათელ-იღეთ კაცად-კაცადმან თქუენმან სახელითა უფლისა იესუ ქრისტესითა მისატევებელად ცოდვათა, მიიღოთ ნიჭი სულისა წმიდისა“. „მაშ, რაღას უცდი? ადექი, ნათელ იღე, ჩამოირეცხე შენი ცოდვები და მოუხმე უფლის სახელს“. თავად ტექსტიდან ნათელია, რომ ნათლობა ცოდვათა მიტევებისა და შემდგომში სულიწმიდის მიღებისათვის სრულდება. შესაბამისად, ნათლისღებაში

■ მამა გიორგი

„ადამიანები დიდი სიამაყით ყვებიან ხოლმე, თუკი ოღესმე ჰომელიმე ცნობილ მსახიობს, პოლიტიკოსს თუ პოეტს შეხვედრიან. ჩვენ კი ეკლესიაში შეგვიძლია შევხვდეთ ქვეყნისა და ზეცის დამბადებელ ღმერთს, ჰომელსაც ანგელოზები ემსახურებიან, ჰომელსაც ემოჰჩილება ქართა, ოკეანეთა, ვარსკვლავთა ძალა...“

თავად ღმერთი მოქმედებს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი არა უბრალოდ დეკლარატიული აქტია ადამიანის მხრიდან, არამედ საიდუმლო. ნათლობა პირდაპირ ეხება ცხონებას.

— რა მნიშვნელოვანი ფაქტი სრულდება მორწმუნის ცხოვრებაში ნათლობის დროს?

— პირველქმნილი ცოდვის მხოლოდ პატიება საკმარისი არაა. ეს არის ბუნების დაზიანება, რომელიც ჭეშმარიტ კურნებას საჭიროებს. ეს სნეულებაა და ამიტომ მისი პატიება საკმარისი არაა, იგი უნდა განიკურნოს. ნათლისღება თავად მას არ სპობს, ჩვენ არ ვკარგავთ ცოდვის ჩადენის უნარს. ნათლისღებაში მიღებული საღვთო მადლის დახმარებით, ჩვენ თავად უნდა ამოვძირკვოთ ცოდვილი მიდრეკილებები ჩვენში.

„წმინდა ნათლისღების საიდუმლოთი ქრისტე ჩვენს გულებში ისევე ითესება, როგორც თესლი მიწაში. ეს ძღვენი თავისთავად სრულყოფილია, მაგრამ, იმის მიხედვით, თუ როგორ ვცხოვრობთ, მას ან ვავითარებთ, ან ვახშობთ. ამ მიზეზით ეს საბოძვარი მთელი თავისი დიდებულებით მხოლოდ მათში ბრწყინავს, ვინც საკუთარ თავს სახარებისეული მცნებებით ხვეწს. ნათლისღებისას თესლი გვეძლევა, რომელიც საკუთარ თავში უნდა ავაღორძინოთ“, — გვასწავლის ერთ-ერთი სულიერი მამა.

— ზიარების მნიშვნელობის შესახებ გკუსაუბრეთ.

— ძველი ქრისტიანები სერიოზულად ეკიდებოდნენ ქრისტეს სიტყვებს: „მე ვარ პური ცხოველი, რომელი ზეცით გარდამოვედ. უკუეთუ ვინმე ჭამდეს ამის პურისაგან, არა მოკუდეს, არამედ ცხოვნდეს უკუნისამდე. და პური, რომელი მე მივსცე, ხორცი ჩემი არს, რომელსა მე მივსცემ ცხორებისათვის“.

ჩვენი თავისუფალი, პირადი ნება ქრისტეს მიერ პირდაპირ ვერ განიკურნება, რადგან მას არ შეუძლია საკუთარი თავით ჩაანაცვლოს თითოეული ჩვენგანის პიროვნული არჩევანი, მაგრამ იგი ჩვენს პიროვნებას ვნებათა ტყვეობისაგან იმის წყალობით ათავისუფლებს, რომ განახლებულ და განკურნებულ, ფერნაცვალ ადამიანურ ბუნებასთან გვაზიარებს. ამიტომ ზიარებით ჩვენ თითქოს ისევ ედემურ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით.

ზიარება არის ყველაზე მთავარი რამ, რისთვისაც ეკლესიაში დავდივართ. ზიარება არის ღმერთთან, იესო ქრისტესთან შეხვედრა. ადამიანები დიდი სიამაყით ყვებიან ხოლმე, თუკი ოდესმე რომელიმე ცნობილ მსახიობს, პოლიტიკოსს თუ პოეტს შეხვედრიან. ჩვენ კი ეკლესიაში შეგვიძლია შევხვდეთ ქვეყნისა და ზეცის დამბადებელ ღმერთს, რომელსაც ანგელოზები ემსახურებიან, რომელსაც ემორჩილება ქართა, ოკეანეთა, ვარსკვლავთა ძალა...

ეკლესიაში ქრისტეს იმიტომ არ ვხვდებით, რომ შემდეგ სახლში დაბრუნებულებმა მხოლოდ საკუთრი თავისთვის ვიცხოვროთ, ქრისტე კი სადღაც ჩვენგან შორს გვეგულებოდეს. იესო ქრისტე არ არის უცხო, შორეული არსება. ის ჩვენი ზეციური მამაა, რომელმაც მოგვანიჭა სიცოცხლე, გვზრდის და ზრუნავს ჩვენზე. თუკი ჩვენი მიწიერი მშობლები, დედ-მამა, ცდილობენ, არ მოგვაკლონ ჯანსაღი, სასარგებლო საზრდო, იესო ქრისტე ზიარებისას გვიმასპინძლდება ზეციური პურით. ის პური და ღვინო, რომელსაც მორწმუნენი ზიარებისას მიიღებენ ხოლმე, არის ქრისტეს სისხლი და ხორცი. ზიარებამდე ადამიანი მხოლოდ სულიერად არის ღმერთის მსგავსი, მისი მონათესავე (ბიბლიიდან ჩვენ ვიცით, რომ მხოლოდ ადამიანს შთაბერა ღმერთმა თავისივე სული), ზიარებისას კი ის ხდება ქრისტეს სისხლხორცეული შვილი, სისხლხორცეული ნაწილი.

ქრისტემ, როცა ის მიწაზე მოვიდა, გაინაწილა, გაიზიარა ადამიანთა ცხოვრება — შიმშილი, წყურვილი, უსახლკარობა, შეურაცხყოფა, ღალატი, ტანჯვა და ბოლოს სიკვდილი. ზიარებისას ის გვინაწილებს თავის ღვთაებრივ ცხოვრებას. ქრისტესთან

„თუკი ჩვენი მიწიერი მშობლები, დედ-მამა, ცდილობენ, არ მოგვაკლონ ჯანსაღი, სასარგებლო საზრდო, იესო ქრისტე ზიარებისას გვიმასპინძლდება ზეციური პურით. ის პური და ღვინო, რომელსაც მორწმუნენი ზიარებისას მიიღებენ ხოლმე, არის ქრისტეს სისხლი და ხორცი“.

ზიარებით ჩვენ უკეთესები ვხდებით, ვიდრე ვიყავით, ვამარცხებთ ჩვენში სიზარმაცეს, მატყუარობას, შურს, ჩვენს თანატოლში ვხედავთ არა მოწინააღმდეგეს, რომელსაც უნდა ვაჯობოთ, დავჯაბნოთ, დავჩაგროთ, მოვერიოთ, არამედ ჩვენივე მსგავსს, ქრისტეს შვილს, ე.ი. ჩვენს დას თუ ძმას. ქრისტესთან ზიარებით ჩვენ ვხდებით ქრისტეს მსგავსები, ვსწავლობთ სიკეთეს, სიყვარულს. ჩვენ იმიტომ ვეზიარებით იესო ქრისტეს, რომ აღარასოდეს დავშორდეთ მას, სულ მუდამ ვიცხოვროთ მასთან ერთად.

✓ მანანა ნოდია

„ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲨᲘ, ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ, ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲣᲤᲐᲚᲘ ᲛᲔᲤᲝᲑᲡ!“

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲨᲔᲒᲝᲜᲔᲑᲐᲜᲘ

„ძალზე მძიმეა ჯვარი ადამიანისა და, მით უმეტეს, ჯვარი პატრიარქისა. თქვენ ესწრებით საზეიმო წირვა-ლოცვებს და ვერ ხედავთ იმ სიმძიმეს, რომელიც აწევს პატრიარქს. ამიტომაც აღევლინება ყოველდღე მწუხრსა და ცისკარზე ლოცვა მღვდელმთავრის, პატრიარქის სახელზე. წმინდა მამები ამბობენ, რომ მღვდელმთავრის ცხოვრება ყოველდღიური მოწამეობაა. რომ ვუყურებ ჩემს წარსულს, ვხედავ, რომ იგი ყოველდღიური მოწამეობა იყო და დღესაც ასეა, რომ არა ღვთის მადლი და შემწეობა და თქვენი სიყვარული და თანადგომა, ამ ჯვრის ტვირთვას ვერ შევძლებდი“.

„იოანე ღვთისმეტყველი სახარებაში ამბობს: „ღმერთი სიყვარული არს“ და მე ვფიქრობ, არავის გამოუთქვამს უფლის ამაზე უფრო ზუსტი სახელწოდება. მართლაც, ღმერთი არის სათავე სიყვარულისა და სადაც სიყვარულია, იქ სიხარულია, იქ მშვიდობაა“.

„მეფე დავით წინასწარმეტყველი ასე ლოცულობდა: „მოიხსენე, უფალო, დავით და ყოველი სიმშვიდე მისი“. დღეს, როცა საოცარი წინააღმდეგობა და ბრძოლაა ადამიანებს შორის, შევთხოვოთ უფალს, რომ როგორც დავით მეფეს მიმადლა სიმშვიდე, ისე მიანიჭოს საქართველოს!“

„ყოველთვის უნდა გვახსოვდეს სიტყვები ბიბლიიდან: „ამპარტავანთა შემუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი“.

„არაერთხელ მითქვამს თქვენთვის, რომ ძალიან საყურადღებო სიტყვები თქვა დავით მეფე წინასწარმეტყველმა: „უფალი მეფობს“. ყველაფერში, ყოველთვის, ყველგან უფალი მეფობს. მართლაც, რომ გადავხედოთ ჩვენს ცხოვრებას, დავინახავთ, რომ ყოველ ნაბიჯზე ღვთის კვალია, ღვთის განგებაა და მისგან მოცემული წყალობაა. ჩვენ არაფერი შეგვიძლია ღვთის გარეშე“.

„მშვიდობა ყველასათვის სასურველია, მაგრამ მისი მიღწევა იოლი არ არის. ჩვენს გარშემოც და ჩვენს სულშიც მშვიდობა რომ სუფევდეს, მშვიდობისმოყვარე გული უნდა გვქონდეს“.

„მოთმინება ერთგული რაინდივით იცავს მშვიდობას, სახარულსა და სიყვარულს და თავადაც უხვად საზრდოობს ამ მადლიდან“.

Cyan Magenta Yellow Black

მოძღვარი, რომელიც ეკლესიაში პასუხგაუცემელმა კითხვებმა მიიყვანა

მამა ლუკა: „ჩემი მეგობრის, ირაკლი დოჩანაშვილის წლისთავზე 23 წლის ასაკში მოვინათლე“

„ნათლობის დღეს მოძღვარს ვკითხე, როგორც ქრისტიანმა, დღეიდან რა უნდა გავაკეთო-მეთქი. მიპასუხა, ყოველ შაბათ-კვირას ეკლესიაში უნდა იაროო. მადლობა ღმერთს, რომ იმ დღიდან ამ წესის შესრულება დავიწყე".

დეკანოზი ლუკა სუპატაშვილი დიდი დიღმის წმინდა ასი ათასი მოწამის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი გახლავთ. ტაძრის აგების დღიდან იქ მსახურობს. სასულიერო გზას დიდი და მტკივნეული დანაკარგების შემდეგ შეუდგა. 13 წლის ასაკში დედა გარდაეცვალა, 21 წლის ასაკში — ბავშვობის მეგობარი, ირაკლი დოჩანაშვილი — მწერალ გურამ დოჩანაშვილის ვაჟი. ამის შემდეგ დაიწყო ფიქრი ცხოვრების წარმავლობაზე. მომხდარმა ტრაგედიებმა ბევრი კითხვა გაუჩინა და კითხვებზე პასუხის მიღება მხოლოდ ეკლესიასთან დაახლოებით შეძლო. მანამდე მონათლულიც არ იყო. 23 წლის ასაკში მოინათლა და მოძღვართან ურთიერთობაც მაშინ დაიწყო. იქიდან მოყოლებული, ეკლესია მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა.

— მამა ლუკა, წმინდა ასი ათასი მოწამის სახელობის ტაძარი სულ რამდენიმე წელს ითვლის. როგორია მისი აშენების ისტორია?

— მღვდლად კურთხევის პირველივე დღიდან დიდ დიღომში, საბავშვო ბაღის შენობაში, წმინდა ილია მართლის პატარა სამლოცველოში ვიყავით, რომელიც დღესაც არსებობს. მერე და მერე მრევლი ისე გაიზარდა, რომ იქ ვეღარ ვეტეოდით. აუცილებელი იყო ამ უბანში ტაძრის აშენება. ღვთის შეწევნით, საბავშვო ბაღის გვერდით წმინდა ასი ათასი მოწამის სახელობის ტაძარი აშენდა. ამ ადგილას ადრე დიდი სანაგვე იყო. ქარი რომ დაუბერავდა, ნაგავი აქეთ-იქით მიმოიფანტებოდა ხოლმე. სიმბოლურია, რომ იქიდან, საიდანაც ნაგავი ვრცელდებოდა, ახლა ღვთის მადლი ვრცელდება.

ასი ათასი მოწამის სახელობის ეკლესიის მშენებლობა 2005 წელს დაიწყო და 2009 წელს დასრულდა. მადლობა ღმერთს, რომ დიდი ეკლესია ავაშენეთ, სადაც მრევლი თავისუფლად ეტევა. იმედია, მომავალში უფრო გავმრავლდებით. როგორც ჩანს, ძველ დროში მეტი მაზიარებელი იყო. ამაზე თუნდაც ისიც მეტყველებს, რომ ქალაქის ძველ უბნებში ბევრი ტაძარი იყო, რომლებიც ლამის ერთმანეთის მიყოლებით იდგა. შემდეგ დრომ მოიტანა ის, რომ ხალხი მამაპაპის ფესვებს მოსწყდა. ვგულისხმობ კომუნისტურ ხანას. რამდენიმე წელია, რაც მდინარე თავის კალაპოტს უბრუნდება.

— წმინდა ასი ათასი მოწამის სახელზე ტაძრის აგება თქვენი იდეა იყო?

— დიახ. როდესაც ასი ათასი მოწამის შესახებ შევიტყვე, არაეკლესიური და მოუნათლავი ვიყავი. გასული საუკუნის 70-იან წლებში ქრისტიანობის შესახებ არავინ ქადაგებდა. მე კი მსგავსი ისტორიები ძალიან მაინტერესებდა. უფრო მეტად ჩავუღრმავდი ამ თემას და მივხვდი, რომ ამ ადამიანებისთვის რელიგიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ამის გამო არ დაეწანათ სიცოცხლის დათმობა. თანაც თავის მოკვეთის პროცესი საყურებლად საშინელებაა. წარმოიდგინეთ, როგორი შემართება ჰქონდათ მოწამეებს. ხედავდნენ, როგორ კვეთდნენ სხვებს თავებს და არ ეშინოდათ, რომ თავადაც იგივე დაემართებოდათ.

სულ ვფიქრობდი, ვინ იყო ეს ასი ათასი მოწამე, როგორები იყვნენ და ა.შ. ისიც ვიფიქრე, იქნებ გაჭირვებულები, უქონელნი იყვნენ და დასაკარგიც არაფერი ჰქონდათ. ამიტომაც გაწირეს თავები ასე ადვილად. ამ დროს კი ისინი საკმაოდ შეძლებულები იყვნენ. ჯალალ ედ დინის მეომრები ერთი კვირა ითვლიდნენ იმ ნადავლს, რაც დახოცილთა ოჯახებიდან აიღეს. აშკარაა, რომ მოწამეები სანიმუშო ადამიანები იყვნენ. მათ ყველაზე დიდი სიმდიდრე ჰქონდათ, რაც არის უფლისა და სამშობლოს სიყვარული. სწორედ ამ სიყვარულს შესწირეს თავი.

ილია მართალი ბრძანებს, ქვეყნის გადაშენება მაშინ იწყება, როდესაც ის თავის ისტორიას ივიწყებსო. ჩვენი ისტორია არ უნდა დავივიწყოთ, მით უმეტეს, ის გმირები და მოწამეები, რომლებმაც სიცოცხლე დათმეს უფლისა და სამშობლოსათვის.

— ეკლესიისკენ მიმავალ გზაზე ადამიანები ხშირად პირადი ტრაგედიის შემდეგ დგებიან. თქვენ რამ გიბიძგათ სასულიერო მოღვაწეობისკენ?

— ეს განწყობა ბავშვობიდან მქონდა. საბურთალოზე დავიბადე და გავიზარდე, სადაც ერთი ტაძარიც არ იყო. სასულიერო პირი ფიზიკურად ნანახიც კი არ მყავდა. სანათესაო-სამეგობროში ეკლესიური არავინ იყო. ჩემს გულში კი რაღაც ამოუხსნელი ხდებოდა, რაც მეტად მაფიქრებდა ამ ქვეყნის ამაოებაზე. შემდეგ მოხდა სამწუხარო ფაქტი. ჩემი მეგობარი ირაკლი დოჩანაშვილი (მწერალ გურამ დოჩანაშვილის ვაჟი) გარდაიცვალა. ჩვენ ბავშვობის მეგობრები ვიყავით. 21 წლის ბიჭებისთვის მეგობრის გარდაცვალება დიდი განსაცდელი იყო, თუმცა ამ უბედურებამ ჩვენ დიდი ცოდნა შეგვძინა, რომ ეს ქვეყანა დროებითია.

„ჩემს ოჯახში სიხეყოფიღების განცდა გვაქვს, ხადგან უფალმა ამდენი შვილი გვაჩუქა. მხავალშვილიანობა ჯაჩგია, მაგრამ ახის ეთი ხთული მომენტი — ხოდესაც ნვხილშვილი თავს დაგეხვევა, ამ დროს მოთმინებით უნდა იყო და გაუძლო. ძველი ქახთული გამონათქვამია: დავნვხილშვილდი — დავინიე, გამეზახდენ და ავინიეო. ასეთია ზუსტად ჩემი ყოფაც".

13 წლის ასაკში დედა გარდამეცვალა. იქამდე თუ უდარდელი ვიყავი, მერე ხასიათი შემეცვალა, სხვა რამეებზე ფიქრი დავიწყე. ირაკლის გარდაცვალების შემდეგ კი ეს ყველაფერი გამძაფრდა. გადავწყვიტე, ჩემს კითხვებზე პასუხები თავადვე მომეძებნა. ერთ-ერთი ფილოსოფოსი ბრძანებს, რომ ადამიანმა სამ რამეზე უნდა გასცეს პასუხი: რატომ დავიბადე? რატომ ვცხოვრობ? რატომ გარდავიცვლები? ამ კითხვებს ჩემს თავს მუდმივად ვუსვამდი და სარწმუნოება ჩემში ლოგიკურად შემოვიდა. ვიდრე ეკლესიური ცხოვრება არ დავიწყე, მანამდე კითხვებს პასუხი ვერ გავეცი.

— რამდენი წლის იყავით, როცა მოინათლეთ?

— ჩემი მეგობრის, ირაკლი დოჩანაშვილის წლისთავზე, 23 წლის ასაკში, მეგობრებმა მომნათლეს. სამეგობროში ერთადერთი მოუნათლავი მე ვიყავი. ამ პერიოდიდან დავიწყე ეკლესიური ცხოვრება. ნათლობის დღეს მოძღვარს ვკითხე, როგორც ქრისტიანმა, დღეიდან რა უნდა გავაკეთო-მეთქი. მიპასუხა, ყოველ შაბათ-კვირას ეკლესიაში უნდა იაროო. მადლობა ღმერთს, რომ იმ დღიდან ამ წესის შესრულება დავიწყე. ნაძალადევში, ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში დავდიოდი. იქ გავხდი სტიქაროსანი, დიაკვანი.

ეკლესიისკენ გზას რომ შევუდექი, იმ დროს ქვეყანაში მძიმე სიტუაცია იყო. საბურთალოდან ნაძალადევში ხშირად ფეხით მიწევდა წასვლა, მაგრამ ერთ წირვასაც არ ვაცდენდი. მამა ვახტანგმა (ასათიანი) მომნათლა და მისი მრევლი ვიყავი. შემდეგ უკვე სასულიერო აკადემიაში ჩავაბარე. ბევრ სასულიერო ლიტერატურას ვკითხულობდი. შევიგრძენი ლოცვის მადლი და ის სიყვარული, რასაც ლოცვა მანიჭებს. ამას ვეღარ მოვწყდი, რადგან ეს არის ცხოვრება. ეს არის ცეცხლი, რომელიც ჩემში ენთება უფალთან ლოცვის შემდეგ.

საერთოდ, სიცოცხლე ისეთი პროცესია, რომელიც ცეცხლთან არის დაკავშირებული. ილია წინასწარმეტყველი ამბობს, ცეცხლი ყველამ თქვენს გულებში უნდა დაანთოთო. ეს არის ცეცხლი, რომელიც ღვთის სიყვარულს ნიშნავს და იმ სიკეთეს, რომელიც ადამიანმა უნდა ატაროს. 23 წლის ასაკში მე ის ცეცხლი მივიღე, რაც ამდენი წელი მაკლდა. მონათვლის, ზიარებისა და ლოცვის შემდეგ მივხვდი, რა ვიყავი მანამდე და როგორი გავხდი ამის მერე. როდესაც ამ გზას შეუდგები, ძნელია უფალთან კავშირის გაწყვეტა. ადამიანი, რომელიც ამ გზიდან გადადის, ნელ-ნელა იშრიტება. შფოთიანი, განსაცდელიანი და უენერგიო ხდება.

პროფესიით ინჟინერი ვარ. უმ- →76

Cyan Magenta Yellow Black

აღლესის დამთავრების შემდეგ 6 თვე საიუველირო ქარხანაში ვიმუშავე. რადგანაც ჩემი გული და სული სულ სხვაგან იყო, მუშაობა აღარ გავაგრძელე. მონათვლის მერე სახარება რომ წავიკითხე, მივხვდი, სად იყო ჩემი ადგილი. ვიპოვე ის სიცოცხლის წყარო, რომელსაც მთელი ცხოვრება ვეძებდი.

— როგორ გახსენდებათ ის განცდები, რაც დიაკვნად კურთხევის დროს გქონდათ?

— საოცარი განცდები დამეუფლა. დიაკვნად 2001 წლის 21 ნოემბერს, მთავარანგელოზობას მაკურთხეს. ჩემს ცხოვრებაში ამ დღეს საოცრება მოხდა. ვიგრძენი, რომ ჩემში რაღაც სრულიად ახალი დაიწყო. კარგა ხანი ეკლესიის მსახური ვიყავი — ხან მედავითნე, ხან სტიქაროსანი. დიაკვნად კურთხევის დღეს აღსავლის კარში რომ შემიყვანეს უწმინდესთან და უნეტარესთან, მივხვდი, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი

„დიაკვნად კურთხევის დღეს აღსავლის კარში რომ შემიყვანეს უწმინდესთან და უნეტარესთან, მივხვდი, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი კარი. ჩემს ცხოვრებაში რაღაც მოხდა, რაც სულიერადაც და ფიზიკურადაც განვიცადე.

კარი. ჩემს ცხოვრებაში რაღაც მოხდა, რაც სულიერადაც და ფიზიკურადაც განვიცადე. დიაკვანი რომ გავხდი, იმ დროიდან ჩემთვის ახალი ცხოვრება დაიწყო.

სიყვარული, სიხარული თუ განსაცდელები ყველა ადამიანს აქვს, მაგრამ სასულიერო ცხოვრებაში ეს ყველაფერი უფრო გამძაფრდა. როგორც გრიგოლ ხანძთელი ბრძანებს, სასულიერო პირობა არის ქრისტეს ნაცვალობა ამქვეყნად, ამიტომაც ჩვენ დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია. ყველა ადამიანი ჩვენგან მეტს მოელის. არ გვაქვს სისუსტის, დაღლის, სიტყვის არასწორად თქმისა და ემოციის გამოხატვის უფლება. სასულიერო პირმა საკუთარი თავი უნდა აკონტროლოს, ვინაიდან ის ღვთის ნაცვალია და მეტი მოეთხოვება.

— 10 წელზე მეტია, რაც მღვდელი ხართ. რა შეგძინათ ამ წლებმა?

— დიაკვნობიდან 8 თვის შემდეგ, 2002 წლის ბზობას, მღვდლად დამასხეს ხელი. ეს კიდევ უფრო საპასუხისმგებლოა, ვიდრე დიაკვნობა. ერთხელ გრიგოლ რობაქიძის ერთ-ერთი კვლევა წავიკითხე, სადაც ის სიტყვა „მღვდელს“ განმარტავდა. თურმე ამ სიტყვის ფუძე არის „ღუდვა“, რაც წვას ნიშნავს. შესაბამისად, მღვდელი არის პიროვნება, რომელიც იწვის უფლის წინაშე. ვიდრე სასულიერო პირად მაკურთხებდნენ, ერთადერთი რამ მაინტერესებდა: იყო თუ არა ეს ღვთის ნება. არ მინდოდა, ამ გზას მხოლოდ ჩემი ან ვიღაცის სურვილით შევდგომოდი. როდესაც ყველაფერი ღვთის ნებით ხდება, ბედნიერი ხარ და მეტ საქმეს აკეთებ. ცეცხლს, რომელიც სიცოცხლისთვის გვჭირდება, ღმერთი გვაძლევს. ამ ათწლიანმა სასულიერო მოღვაწეობამ დამარწმუნა, რომ არის ღვთის ნება და სწორედ უფალი მეხმარება მსახურებაში. ჩემს შინაგან სამყაროს როცა ჩავხედავ ხოლმე, ვგრძნობ, რომ ბედნიერი ვარ, რადგან იმ საქმეს ვემსახურები, რომელიც მიყვარს. მართალია, ზოგჯერ ვიღლები, განსაცდელებიც მაქვს, მაგრამ ყველაფრის გადალახვაა შესაძლებელი, თუკი ხარ იქ, სადაც უნდა იყო.

— როგორც ვიცით, თქვენ კიკეთის სკოლაში ასწავლით. რას მოიცავს თქვენი საქმიანობა?

— კიკეთის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სკოლაში აღმზრდელობითი ბლოკის ხელმძღვანელი ვარ. მე მევალება ზნეობრივი საკითხების მოგვარება. ბავშვებთან მუდმივი ურთიერთობა მაქვს. გაკვეთილებს იშვიათად ვატარებ. უფრო მეტად ეკლესიას წარმოვადგენ და ბავშვთა სულიერებაზე ვზრუნავ სხვა ადამიანებთან ერთად. ეს არის საინტერესო მიმართულება, თუ როგორ სწავლობენ ისინი ღვთის დიდებას. მათზე დაკვირვებით ვხვდები, რომ ბავშვებს ეს ბუნებრივად აქვთ, ეს არის მათი გენეტიკა. უბრალოდ ჩვენ რწმენა უნდა გავუღვივოთ და სწორი მიმართულება მივცეთ. ასეთი რამ ყველა სკოლაში რომ იყოს, კარგი იქნება.

— უფრო კონკრეტულად, რა სახის ურთიერთობა გაქვთ პატარებთან და რა მნიშვნელობა არის ეს სასარგებლო მათი მომავალი ცხოვრებისათვის?

— ბავშვებს ხშირად ვესაუბრებით. ისინი აღსარებას გვაბარებენ. სკოლაში რაიმე პრობლემური სიტუაცია თუ არის, ანდა რაიმე სასიხარულო, მაშინვე მოძღვარს უკავშირდებიან. მე ხშირად ვესწრები ღონისძიებებს, რომლებსაც პატარები ატარებენ. ეს არის ერთგვარი კულტურა, რომ ადამიანს პატარა ასაკიდანვე ჰქონდეს სიახლოვე ეკლესიასთან. ბავშვობიდანვე გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ, რომ მხოლოდ სწავლა კი არ არის საჭირო, სულიერებაც აუცილებელია. ადამიანის წარმატება ორი მიმართულებით უნდა ხდებოდეს, როგორც ფიზიკური, აგრეთვე სულიერი კუთხით. იცოდეს, რომ კარგი ხდება თუ ცუდი, ტაძარში მაინც უნდა მივიდეს და

„სულ ვფიქობდი, ვინ იყო ეს ასი ათასი მონამე, ჰოგოჰები იყვნენ და ა.შ. ისიც ვიფიქრე, იქნებ გაჭირვებულები, უქონელნი იყვნენ და დასაჯაჰგიც აჰაფეჰი ჰქონდათ. ამიტომაც განიჰეს თავები ასე ადვილად. ამ დროს ჯი ისინი საკმაოდ შეძლებულები იყვნენ. ჯალალ ედ დინის მეომრები ეჰთი ჯვიჰა ითვლიდნენ იმ ნადავლს, რაც დახოცილთა ოჯახებიდან აიღეს“.

აღსარება ჩაბაროს. როდესაც ხედავენ, რომ ჭირშიც და ლხინშიც მათ გვერდით სულიერი მოძღვარია, ეს მათთვის მეტი პასუხისმგებლობაა.

უკვე გითხარით, ისე გავიზარდე, რომ სასულიერო პირი თვალით არ მინახავს. 62-ე სკოლა დავამთავრე. წლების შემდეგ გავიგე, რომ ამ ადგილას ძველად ეკლესია ყოფილა. ერთხელ ერთ-ერთ გაზეთში ჩვენი პატრიარქის სურათი ვნახე. ამოვჭერი და დღემდე ვინახავ. დღეს კი ახალგაზრდებს საშუალება აქვთ, რომ ჩვენთან ახლოს იყვნენ. ჩვენ მუდამ მზად ვართ მათ დასახმარებლად. ბავშვებს შეუძლიათ, რომ დასვან ყველანაირი შეკითხვა, რაც რელიგიას უკავშირდება და მასზე პასუხი მიიღონ. სკოლაში საღვთო სჯულს ასწავლიან და ამ გაკვეთილს ზოგჯერ სასულიერო პირებიც ვესწრებით ხოლმე. პატარებს ისეთი საოცარი კითხვები უჩნდებათ, რომ ამით ვხარობთ. ჩემს ბავშვობას რომ ვიხსენებ, სულიერების კუთხით საშინელება ხდებოდა. დღეს კი სასიხარულოა, რომ პატარას მშობელთან ერთად სასულიერო პირიც ფხიზელი თვალით უყურებს.

— თქვენს ოჯახში 7 შვილი იზრდება. ალბათ მათი აღზრდის პროცესშიც ასეევე ხართ ჩართული.

— რა თქმა უნდა, მათ სულიერ აღზრდას ვაკონტროლებ, თუმცა, სხვა მხრივ, ყველაფერს მეუღლე აგვარებს. საერთოდ, ძველი დროიდან მოყოლებული, მრავალშვილიანობა ჩვენი ერის ერთ-ერთი თვისება იყო. რაც მეტი შვილი გყავს, მით უფრო ბედნიერი ხარ.

მახსენდება ის ამბავი, რაც გადმოცემით ვიცით. ერთხელ, ერეკლე მეორე ბრძოლიდან რომ ბრუნდებოდა, ერთმა გლეხმა თავისი პატარა ლაშქრით სახლში შეიპატიჟა. მეფე სახლში რომ შევიდა, დაინახა, რომ 9 აკვანი ირწეოდა, რომელშიც ამ გლეხის შვილიშვილები იწვნენ. ერეკლე მეორე ისეთი აღფრთოვანებული დარჩა, თქვა, როცა ერს ასეთი ოჯახები ჰყავს, მას ვერაფერი დაამარცხებსო. მრავალშვილიანობას მართლაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. თითოეული შვილი გულს გიხარებს. ისინი ხომ მშობლებს ჰგვანან, ჩვენნაირები არიან. მათსა და ჩვენ შორის ბევრ საერთოს ვამჩნევთ და ამით ვართ ბედნიერები. მადლობა ღმერთს, რომ 7 შვილი მაჩუქა. სამწუხაროდ, მეტი ვეღარ შეგვეძინება...

ჯერ კიდევ დასაოჯახებელი ვიყავი, როდესაც მეტეხის ტაძარში მივედი. იქ ჩვენი პატრიარქის კურთხევა იყო გამოკრული: „იყოლიეთ 7 შვილი და თქვენ შეგეწევათ შვიდი მთავარანგელოზი“. ეს ისეთი დალოცვა იყო, ძალიან მომინდა, რომ შემესრულებინა. ჩემს ოჯახში სრულყოფილების განცდა გვაქვს, რადგან უფალმა ამდენი შვილი გვაჩუქა. მრავალშვილიანობა კარგია, მაგრამ არის ერთი რთული მომენტი — როდესაც წვრილშვილი თავს დაგეხვევა, ამ დროს მოთმინებით უნდა იყო და გაუძლო. ძველი ქართული გამონათქვამია: დავწვრილშვილდი — დავიწიე, გამეზარდნენ და ავიწიეო. ასეთია ზუსტად ჩემი ყოფაც. უფროსი 15 წლის არის, ყველაზე უმცროსი — 4 წლის. ყველა მათგანი და, მათ შორის უმცროსი ბიჭიც კი, ცდილობენ, რომ სახლში რაღაც სასიკეთო საქმე გააკეთონ და მშობლებს გვერდით დაგვიდგნენ.

— გაგვაცანით თქვენი მეორე ნახევარი, რომელიც ამდენ შვილს გიზრდით და გვერდში გიდგათ.

— ჩემი ცოლი არის ირინა სამსონია. ის ძალიან ერთგული ადამიანი და ჩემი თანამებრძოლია. მეუღლის მხარდაჭერის გარეშე ვერც ერთი კაცი წინ ვერ წავა. ჩემს ცხოვრებაში მის თანადგომას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მთელ ჩემს ენერგიას ოჯახის გარეთ ვხარჯავ. სახლში რომ ვბრუნდები, იქ ენერგიით ვივსები. ამ

„ეჰთ-ეჰთი ფილოსოფოსი ბჰძანებს, ჰომ ადამიანმა სამ ჰამეზე უნდა გასცეს ჰასუხი: ჰატომ დავიბადე? ჰატომ ვცხოვჰობ? ჰატომ გაჰდავცვლები? ვიდჰე ეჯლესიეჰი ცხოვჰება აჰ დავიწყე, მანამდე ჯითხვებს ჰასუხი ვეჰ გავეცი“.

ყველაფერს კი მეუღლე აკონტროლებს. 7 შვილს თავად ზრდის, მე კი საპატიო სტუმრის რანგში ვარ.

ირინა ბავშვთა ქირურგია. ხუმრობით ვეუბნები ხოლმე, სადისტური პროფესია გაქვს-მეთქი. ის თავის სამედიცინო თუ სასულიერო ცოდნას ოჯახში ახორციელებს. ერთმანეთს ეკლესიაში შევხვდით. ისიც მრევლი იყო. მაშინ მედავითნე ვიყავი. თავადაც ისურვა, რომ მედავითნე გამხდარიყო და მე ვასწავლდი. 3 წლის განმავლობაში ეკლესიაში სულ ერთად ვიყავით. მერე კი ჩვენ შორის ის ურთიერთობა ჩამოყალიბდა, რომელიც ცხოვრებისეულ მეგობრობაში გადაიზარდა.

✓ თეონა კენჭიაშვილი

Cyan Magenta Yellow Black

თავსატეხი



გაფერადეთ



Cyan Magenta Yellow Black

ხელსაქმე

ყვავილის ბურთები

ნადღესასწაულო დღეებში ოთახის ან სუფრის გასალამაზებლად ყვავილის ორიგინალური ბურთები გამოგადგებათ, რომლებიც საკუთარი ხელით შეგიძლიათ იოლად დაამზადოთ. ამისათვის დაგჭირდებათ: ბურთის ფორმის ღრუბელი, მძივებიანი ქინძისთავები, ფერადი ქაღალდი, წებო.

ნაზი ფერის ქაღალდისაგან ოთხყურა ყვავილები გამოჭერით (ჩვენს შემთხვევაში ვარდისფერი ქაღალდი გამოვიყენეთ) და ორ-ორი ცალი (ცენტრში, გულების ადგილზე) ერთმანეთს ქინძისთავით მიამაგრეთ. უკანა მხრიდან ყვავილებს წებო წაუსვით და ღრუბლის ფორმის ბურთებში ჩაარჭვეთ.

სულ ესაა.

გისურვებთ წარმატებას!

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

№ 1

7	4	3	5	1	2	6	9	8
2	5	8	6	9	3	4	7	1
1	9	6	8	7	4	2	5	3
4	3	2	7	6	8	9	1	5
6	8	1	9	2	5	3	4	7
9	7	5	4	3	1	8	6	2
5	1	9	3	8	6	7	2	4
3	2	7	1	4	9	5	8	6
8	6	4	2	5	7	1	3	9

№ 2

7	9	6	2	3	1	4	5	8
8	5	2	4	7	9	3	1	6
1	3	4	8	6	5	2	7	9
9	1	8	3	2	6	7	4	5
2	7	3	5	4	8	6	9	1
4	6	5	9	1	7	8	2	3
5	8	7	6	9	4	1	3	2
3	4	9	1	8	2	5	6	7
6	2	1	7	5	3	9	8	4

ეს იცოდით?

❖ ნუდისტური პლაჟების ყველაზე პოპულარული სპორტი ფრენბურთია.

❖ ფილიპინებზე განქორწინება კანონით იკრძალება.

❖ 1948 წლამდე ბერმუდის კუნძულებზე აკრძალული იყო ავტომობილის პირად მფლობელობაში ყოლა. სწორედ ამას ასახელებენ მიზეზად, რომ კუნძულებზე უამრავი ველოსიპედი იყო.

❖ კომპოზიტორი, რომელმაც პირველმა უდირიჟორა ორკესტრს ზურგშექცევით, გენიალური რიხარდ ვაგნერი გახლდათ.

❖ ფრანგ მხატვარ პოლ სეზანს ჰყავდა თუთიყუში, რომელსაც შეასწავლა მხოლოდ ერთადერთი წინადადება და ამ წინადადებას ფრინველი ხშირად იმეორებდა: „სეზანი დიდი მხატვარია“.

❖ პირველი ცხენი დედამიწაზე 60 მილიონი წლის წინ გაჩნდა. მას ზოოლოგებმა ეოგიპუსი (განთიადის ცხენი) უწოდეს. მისი სიმაღლე 35 სანტიმეტრი იყო და 5 კილოგრამს იწონიდა.

❖ ცხოველებს შორის ყველაზე დღეგრძელები კუ და სპილო არიან, ფრინველებიდან კი — ყვავი, რომლებიც რამდენიმე ასწლეულს ცოცხლობენ. ამ მხრივ, თევზებიდან სვია გამოირჩევა (100 წლამდე).

❖ ჩინეთის მოსახლეობის რაოდენობის ოფიციალური სტატისტიკის ჩანიშვნა შეუძლებელია, რადგანაც ის ყოველ წამს იცვლება.

❖ ზოგიერთი ჩინელი ჯარისკაცი პერანგის საყელოში ქინძისთავებს იმაგრებს, რომ მწყობრში დგომის სავალდებულო პოზა ადვილად და სწორად შეისწავლოს.

❖ მსახიობი ტეილორ ლოტნერი 12 წლის ასაკში კარატეში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

❖ კონცერტის წინ მერაია ქერის დაახლოებით 15 საათი სძინავს.

❖ უმა თურმანის მამა ბუდისტი ბერია.

❖ პირველი კონტრაქტი უცნობი აგენტისგან ჰოლივუდის უმშვენიერესმა ვარსკვლავმა, შარლიზ ტერონმა, მაშინ მიიღო, როცა ბანკში მოლარედ მუშაობდა. აგენტი იმით მოიხიბლა, თუ როგორ მოხერხებულად უთხრა უარი მომავალმა მსახიობმა კლიენტს ქვითრის განაღდებაზე.

❖ მსახიობი მარკ უოლბერგი კრიმინალური დაჯგუფების წევრი იყო და დიდი ხნის განმავლობაში კოკაინს ყნოსავდა. მკვლელობის მცდელობისთვის იგი ციხეშიც კი იჯდა.

❖ ცნობილი ბრიტანელი მომღერალი როდ სტიუარტი საყოველთაო აღიარების მოპოვებამდე სასაფლაოზე მესაფლავედ მუშაობდა.

❖ ჰოლივუდის მსახიობი კრისტოფერ უოკენი ახალგაზრდობაში ლომების მომთვინიერებელი იყო. სილვესტერ სტალონე კი, სანამ სამსახიობო კარიერას დაიწყებდა, ზოოპარკში გალიებს წმენდდა.

❖ ერთ-ერთი ყველაზე მომხიბვლელი მსახიობი მამაკაცი, ბრედ პიტი, ახალგაზრდობაში ნიუ იორკის ქუჩებში წიწილის ფორმით დადიოდა და ფლაერებს არიგებდა.

❖ როკმენი მიკ ჯაგერი ფსიქიატრიული კლინიკის შვეიცარად მუშაობდა.

Cyan Magenta Yellow Black

მაგთის გათამაშებაში

მოიგე!

2014 წლის რეინჯ როვერ სპორტი

ბინა ლისი ვერანდაზე

100 000 ლარი

მაგთის, ბანის, ბალისა და მაგთი ფიქსის აბონენტებმა გათამაშებაში მონაწილეობისათვის

დარეკეთ *599

*5990

www.magticom.ge

ნებართვა N19-03/061

ბილაინი®

საჩუქარი ბილაინისგან!

შეიძინე ბილაინის ტელეფონი

და მიიღე მეორე საჩუქრად!

275 ლარი

360 ლარი

2 20 22 20

www.beeline.ge